

თამარ შარაზიძე

**ბოლშევიზმით დანგრეული
ცხოვრება**

თბილისი 2020

რედაქტორი: ფილ. მეცნიერებათა დოქტორი ანა დოლიძე

რეცენზენტები: ფილ. მეცნიერებათა დოქტორი
ნანა გონჯილაშვილი
ფილ. მეცნიერებათა დოქტორი
ეკა ნაეროზაშვილი

ყდის დიზაინერი და დამკაბადონებელი: გიორგი ბაგრატიონი

© თამარ შარაბიძე, 2020

გამომცემლობა „ნეკერი“, 2020

ISBN 978-9941-????????????????????/

წინათქმა

წიგნი დაიწერა 2004 წელს, ქალთა ზეპირი ისტორიების კვლევის ფონდის – „ტასოს“ – ხელშეწყობით. თემა – „20-50-იანი წლების რეპრესიები და ქართველი ქალები“ – ავირჩიე მე თავად, რადგან ვიცნობდი ორ არაჩვეულებრივ ადამიანს, თამარ წულუკიძეს (თამარა ბებია) და ლიზიკო ქავთარაძეს (ჩემი ბავშვობის მეგობრის – რუსიკო ჭუბაბრიას – ბებია) და ამ ადამიანებთან განსაკუთრებული (მარტო ორმა რომ იცის და გრძნობს) ურთიერთობა მქონდა; ხშირად ვსაუბრობდი მათთან, უფრო მეტად ისინი მეკითხებოდნენ ჩემი საქმიანობის შესახებ, მე კი ვპასუხობდი მორიდებით, მოკრძალებით, რადგან მშობლებისგან ვიცოდი, რომ ისინი არა მხოლოდ ძლიერი პიროვნებები, არამედ გმირები იყვნენ; გადაიტანეს ის, რასაც სხვებმა სხვადასხვა მიზეზის გამო თავი აარიდეს; გაუძლეს იმას, რასაც სხვები ვერ გაუძლებდნენ; ჰქონდათ ერთი მიზანი – საქართველოს დამოუკიდებლობა, რაზეც სხვები ვერც კი იოცნებებდნენ. ალბათ აქედან იყო გამონეული ჩემი მორიდება მათდამი, თუმცა ყოველთვის ვგრძნობდი ამ ადამიანების თბილ დამოკიდებულებას ჩემდამი და ჩემი პროფესიისადმი. მე ხომ ქართული ლიტერატურის მცოდნე და მოყვარული ვიყავი, ე.ი. მეტ-ნაკლებად პატრიოტი იმით თვალში. ლიზიკო ქავთარაძემ გრიგოლ კიკნაძის წიგნიც კი მაჩუქა, რაც დიდი პატივი იყო ჩემთვის. ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, ვიხსენებ მათ სახეებს, უკვე მოხუცებულ ადამიანთა ნაკვთებს და სულაც არ მიკვირს, რომ მათში, მიუხედავად ასაკისა, ვხედავ დიდ შინაგან კულტურას, ერთად შერწყმულ თავმდაბლობასა და სიამაყეს. მესამე ქალბატონი – ოლია მესხი – ლიზიკო ქავთარაძის შვილიშვილთან საუბრის შემდგომ შევარჩიე. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ისეთი ადამიანის ცხოვრების აღწერაც, რომელიც შემთხვევით გახდა მსხვერპლი; ანუ ჩვენება

იმისა, რომ რეპრესიები შეეხო როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლ, ასევე – პოლიტიკისგან შორს მდგომ ადამიანებსაც, თუმცა გადატანილმა გაჭირვებამ ისინიც მებრძოლებად აქცია.

2020 წელს ამ სამი ქალბატონის ცხოვრების ისტორიას დაემატა კიდევ ერთი ქალის, უფრო სწორად, გოგონას, ისტორია. მარიამ შარაბიძე არც გმირი ყოფილა და არც რეპრესიების მსხვერპლი. ის 16 წლის ასაკში გარდაიცვალა თბილისში წითლების შემოსვლის დღეს. გარდაცვალების მიზეზი იყო შიში ველური და სტიქიური ძალის მიმართ. როგორც ამბობდნენ, გული გაუსკდა.

ვფიქრობ, წიგნი გამოადგებათ საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევართ, რადგან მასში თავმოყრილია დოკუმენტური მასალა ოთხი ქართველი ქალის ცხოვრებიდან. წიგნი დააინტერესებს ეროვნული შეგნების ქართულ საზოგადოებას, რომლისთვისაც მტკივნეულია თავისი ქვეყნის წარსული.

წიგნს ერთვის სამი ქალბატონის – თამარ წულუკიძის, ლიზიკო ქავთარაძისა და ოლია მესხის – ოჯახებში დაცული ფოტოარქივი; სხვა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი, მასალა გადაღებულია ლევან ჩხაიძის მიერ.

სარჩევი

წინათქმა	3
20-50-იანი წლების რეპრესირებული ქალები	7
1. თამარ წულუკიძე (ბიოგრაფიული დეტალები)	21
2. ლიზიკო ქავთარაძე (ბავშვობიდან პატიმრობამდე) ...	22
3. ოლია მესხი (შემთხვევით დაპატიმრებული)	26
ოჯახური ტრაგედია	27
ხელისუფლების „ზრუნვა“ თავის მოქალაქეებზე	31
ციხეები	44
ეტაპი	45
შიში	50
გმირები	60
შთამომავლობა	64
წერილები	69
ფოტოარქივი	75
გადასახლებულთა თანამგზავრი ნივთები	76
გადასახლებულთა ლექსიკონიდან	79
გადასახლებული ქალები	93
გამოყენებული ლიტერატურა	95

ინტერვიუები და მოგონებები	96
1. თამარ წულუკიძე	96
ინტერვიუ ქალბატონ ნათელა გობრონიძესთან	97
ინტერვიუ ქალბატონ ქეთევან გოფოძესთან, თამარ წულუკიძის შვილიშვილთან	125
მოგონებები თამარ წულუკიძის შესახებ შემოგვინახა როსტომ ხიდაშელმა	127
2. ლიზიკო ქავთარაძე	128
ინტერვიუ ლიზიკო ქავთარაძის შვილიშვილთან – ქალბატონ რუსუდან ჭუბაბრიასთან	131
ინტერვიუ ლიზიკო ქავთარაძის დისშვილთან – ბატონ გია ჭუბაბრიასთან.....	136
მოგონებები ლიზიკო ქავთარაძის შესახებ შემოგვინახა გია ჭანტურიამ	149
3. ოლია მესხი	150
ინტერვიუ ოლია მესხის ქალიშვილთან – ქალბატონ თინათინ იმნაიშვილთან	151
4. მარიამ შარაბიძე	168
მარიამ შარაბიძის ძმიშვილების, თამაზ და მერცია შარაბიძეების მოგონებებიდან	169
რომანტიკული რეალობა (თამარ შარაბიძის მონათხრობი)	173
ფოტოარქივი	177

20-50-იანი წლების რეპრესირებული ქალები

დრო რომ გადის, საზოგადოებას ავინწყდება ან სპეცი-
ალურად ივინწყებს ახლო წარსულს, პატიობს წინაპარსა თუ
გადამთიელ მტერს. პატიება შეიძლება, ისტორიასაც უკუ-
ღმა ვერ დაატრიალებ, მაგრამ ყველას და ყველაფერს თა-
ვისი სახელი უნდა დაერქვას; თუ გვინდა, რომ ეს ყველივე
– ძალადობა, დიქტატურა და ამის მაგვარნი – ისევ არ
გაგვიმეორდეს. სახელების შერჩევას ბევრი ფიქრი არ სჭირ-
დება: „დამკვეთი“ ტირანია, „შემსრულებელი“ – მტერი, უმ-
რავლესობა (ამ გაუგებრობაში შემთხვევით მოყოლილი,
უხმო, უენო, უმიზნო) – მსხვერპლი, ხოლო უმცირესობა
(მიზანდასახული, მებრძოლი, შემართული, თავგადადებული) –
გმირი. თუმცა ისინი (მომავალი გმირები) გმირობაზე ნაკლებად
ფიქრობენ ხოლმე, უბრალოდ თავიანთ საზოგადოებრივ
ვალს ასრულებენ – გამოხატავენ პროტესტს, არ უშინდებიან
ძალადობას, არ ხდებიან დამბეზღებელნი, შეშინებულნი და
დამონებულნი. სწორედ ეს ხდის მათ გმირებად, მსგავსი
სიტუაცია კი ხშირად მეორდება ისეთი ქვეყნის ისტორიაში,
რომლის სახელმწიფოებრიობასაც მუდამ საფრთხე ემუქრება.

ამჯერად ჩვენ ვისაუბრებთ ზოგადად საბჭოეთის რეპრე-
სიებზე, უფრო კონკრეტულად – იმ რეპრესიებზე, რომლებიც
განხორციელდა საბჭოეთში შემავალი პატარა ქვეყნის –
„საბჭოთა საქართველოს“ – მიმართ და კიდევ უფრო კონ-
კრეტულად – რამდენიმე რეპრესირებულ ადამიანზე, რომელთა
ცხოვრება – ცხოვრების წესი, შეგნება, აზროვნება, სიტყვა და
ქმედება – თავდაპირველად გმირობის ტოლფასი იყო, ტანჯვის
საფასურად კი გმირობა გახდა. ამაში ჩვენი არაშემთხვევითი
არჩევანიც დაგარწმუნებთ – ჩვენი რესპონდენტები ქალები
არიან. ისტორიის „შეფასებას“ კი ამჯერად 1917 წლიდან
შევეცდებით.

მაშ ასე, რუსეთში ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ¹ გაიმარჯვა. ეს გამარჯვება ბოლშევიკებისათვის² დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა. იმთავითვე ცხადი იყო მათი პოზიცია ამიერკავკასიის მიმართ. უბრალოდ რუსეთს ჯერ არ ეცალა, ბოლშევიკური ხელისუფლება ქვეყნის შიგნით იყო შესანარჩუნებელი. ამით ისარგებლეს ამიერკავკასიის პოლიტიკოსებმა, რუსეთის მთავრობას დაასწრეს და შექმნეს ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატი³ (1917 წ. 15. XI), შემდეგ ამიერკავკასიის სეიმი⁴ (1918 წ. II), რომელმაც ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა⁵ გამოაცხადა (1918 წ. 09. IV). 1918 წლის 26 მაისს შედგა სეიმის უკანასკნელი

- 1 ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია – 1917 წ. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) რუსეთში დროებითი მთავრობის ხელისუფლების დამხობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება შეიარაღებული გზით.
- 2 ბოლშევიკები – პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები. ბოლშევიზმის ცნება წარმოიშვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობაზე (1903 წ.), პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით, როდესაც ლენინის მომხრეებმა ადგილების უმრავლესობა მოიპოვეს (რუსული სიტყვიდან *большая*).
- 3 ამიერკავკასიის კომისარიატი – ამიერკავკასიის უმაღლესი სამხარეო ორგანო, შეიქმნა თბილისში 1917 წ. 15(28) ნოემბერს სოციალ-ფედერალისტების, დაშნაკების, მუსავატელების, მენშევიკების, კადეტების, ეროვნულ-დემოკრატების გადანყვეტილებით. კომისარიატის თავმჯდომარე გახდა ე. გეგეჭკორი. კომისარიატმა რწმუნებები 1918 წ. თებერვალში მოიხსნა.
- 4 ამიერკავკასიის სეიმი – ხელისუფლების ორგანო ამიერკავკასიაში, რომელიც მოიწვია ამიერკავკასიის კომისარიატმა 1918 წ. 10(23) თებერვალს თბილისში. მისი მთავარი დანიშნულება იყო იურიდიულად გაეფორმებინა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა რუსეთისგან. სეიმში შევიდნენ დამფუძნებელი კრების დეპუტატები, რომლებიც არჩეულნი იყვნენ ამიერკავკასიიდან და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. სეიმი საკანონმდებლო ორგანო იყო, რომელმაც 1918 წ. მარტში საბჭოთა რუსეთიდან გამოყოფის შესახებ გადანყვეტილება მიიღო. ამავე წლის აპრილში მისი დადგენილებით შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა და ჩამოყალიბდა მთავრობა.
- 5 ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა – სახელმწიფოებრივი გაერთიანება ამიერკავკასიაში, შეიქმნა 1918 წ. 9(22) აპრილს ამიერკავკასიის სეიმის გადანყვეტილებით. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გახდა ა. ჩხენკელი. რესპუბლიკა იმავე წლის 26 მაისს დაიშალა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებად.

სხდომა, იმავე დღეს საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ – ნოე ჟორდანიამ⁶ – მიიღო „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რის საფუძველზეც საქართველო სუვერენულ, სრულუფლებიან, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ეროვნულმა საბჭომ⁷ დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაც ნოე რამიშვილის⁸ თავმჯდომარეობით. აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ისეთი მეზობლების გვერდით, როგორებიც იყვნენ რუსეთი და თურქეთი, ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნება საკმაოდ ძნელი იყო და, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო (1920 წ. 7 მაისი), ცხადი იყო, რომ იგი მაინც ვერ შეეგუებოდა იმპერიის შემადგენელი ნაწილის დაკარგვას. 1918–1920 წლებში რუსეთში სამოქალაქო ომი მიმდინარებდა, 1921 წლის იანვრიდან კი უკვე წითელმა იმპერიამ, როგორც იქნა, მოიცალა და გადაწყვეტილებამაც არ დააყოვნა – საქართველოში რუსეთს ინტერვენცია უნდა დაეწყო. ამ გადაწყვეტილებაში დიდი როლი მიუძღვით ქართველ ბოლშევიკებს – იოსებ სტალინს (ჯუღაშვილი)⁹

6 ნოე ჟორდანია – (1868-1053 წწ.) სოციალ-დემოკრატი, კავკასიის მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი, “მესამე დასის” დამფუძნებელი წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 1918 წლის ივნისიდან.

7 ეროვნული საბჭო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანო. 1918 წ. ოქტომბერში მას საქართველოს პარლამენტი ეწოდა, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად გადაეცა მინისტრთა კაბინეტს.

8 ნოე რამიშვილი – (1881-1930 წწ.) სოციალ-დემოკრატი, პარტიული და სახელმწიფო მალაღჩინოსანი, ქართველ მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი, შინაგან საქმეთა მინისტრი.

9 იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი) – (1879-1953 წწ.) 1917 წ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, 1922 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ხელმძღვანელი, რომელიც ლენინის გარდაცვალებიდან მოყოლებული თავისი სიცოცხლის ბოლომდე მართავდა საბჭოთა სახელმწიფოს.

და სერგო ორჯონიკიძეს¹⁰. 1921 წლის თებერვალში XI ნითელი არმია თბილისს მოუახლოვდა. ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ დიდი ბრძოლები გადაიხადეს. 1921 წლის 25 თებერვალს XI არმიამ თბილისი დაიკავა. იმავე დღეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. საქართველოს მთავრობის ნევრთა უმრავლესობა ემიგრაციაში გაემგზავრა, რათა იქიდან გაეგრძელებინათ ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

ჩამოთვლილი ფაქტები ყველასათვის ცნობილია, ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია შედეგი, რომელიც ამ ფაქტებს მოჰყვა – მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამი წელიც კი ვერ იარსება, დამოუკიდებლობის წლებმა უდიდესი გავლენა იქონია შემდგომი ეპოქის საქართველოს ისტორიაზე. ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლა გაგრძელდა. საქართველოში არსებულმა სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიამ იდეოლოგია უკან მოიტოვა და ერთი სულისკვეთებით გაერთიანდა. როგორც ეროვნულ-დემოკრატიების¹¹, ასევე სოციალისტების¹² მთავარ მიზნად საქართველოს დამოუკიდებლობა იქცა და არა სოციალური

10 სერგო (გრიგოლ) ორჯონიკიძე – (1886-1937 წწ.) საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების ერთ-ერთი მთავარი მესვეური.

11 ეროვნულ-დემოკრატიები – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ნევრები. 1906 წ. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შიგნით ჩამოყალიბდა მემარჯვენე ფრთა – ეროვნულ-დემოკრატიების ჯგუფი, რომელსაც სოციალურ და ეროვნულ საკითხებში ფედერალისტებისაგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ოფიციალურად დაფუძნდა 1917 წ. 4 ივნისს. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1921 წ. მარტში ე.დ.პ-ის მთავარმა კომიტეტმა პარტიის დაშლა დაადგინა. პარტიის ერთი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა, სადაც შექმნა ეროვნულ-დემოკრატიების საზღვარგარეთის ბიურო. საქართველოში დარჩენილ ეროვნულ-დემოკრატთა ნაწილმა ცნო საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო ნაწილი კვლავ იბრძოდა მის წინააღმდეგ. ე.დ.პ საქართველოში აღდგა 1981-83 წწ. იატაკქვეშეთში, ხოლო ლეგალურად დაფუძნდა 1988 წ. 30 ნოემბერს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე.

12 სოციალისტები – სოციალისტ-ფედერალისტები.

თანასწორობით გაერთიანებულ ერთა კავშირი. პატრიოტული იდეა, რომელიც ანექსიის ზენოლამ წარმოშვა, განსაკუთრებით გამოიკვეთა ახალგაზრდა თაობაში, რაც გამოვლინდა 1921-1924 წლების მასობრივ აჯანყებებში, რომლებშიც ჩაება ყველა კლასი და ყველა სოციალური ფენა. 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ მასობრივი მღელვარება ჩაცხრა, თუმცა 1928 წლის გამოსვლებში კვლავ გამოიხატა, რასაც ეკონომიკურ მიზეზებთან ერთად ნაციონალური მისწრაფებებიც ედო საფუძვლად. საერთოდ, საქართველოზე განხორციელებული რეპრესიების ხასიათი ძირითადად მოსახლეობის ნაციონალისტურმა „რეციდივებმა“ განსაზღვრა. რა თქმა უნდა, იყო სხვადასხვაგვარი და „მრავალფეროვანი“ რეპრესიებიც, ანალოგიური რუსეთში მძვინვარე რეპრესიებისა, მაგრამ საბჭოეთში შემავალი ანექსირებული ხალხების ძირითადი დანაშაული იყო მათი პატრიოტული ხასიათის საქმიანობა, რომელიც, რასაკვირველია, კონტრრევოლუციურ მოღვაწეობად ითვლებოდა. ამ სახის მოღვაწეობაში საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო. აქედან გამომდინარე, საკმაოდ დიდი აღმოჩნდა შეფარდება, რაც ამ პატარა რესპუბლიკამ 20-50-იან წლებში რეპრესირებულების სახით გაიღო. ზუსტი რიცხვი დადგენილი არ არის, თუმცა ბოლო დროის ოფიციალური მონაცემებით „გულაგის“¹³ ბანაკებში გადასახლებული იყო 11723 ქართველი. თუ ამ მონაცემებს დავუმატებთ ადგილობრივ საპატიმროებში დახვრეტილთა რაოდენობას, ცხადი გახდება, რომ საქართველო რეპრესირებულთა საერთო რაოდენობით საბჭოთა რესპუბლიკებს შორის წინა რიგებში იდგა.

13 „გულაგი“ – აბრევიატურა რუს: ГУЛАГ- Главное управление исправительно-трудовых лагерей и трудовых колоний..... საბჭოთა კავშირში 1034-56 წწ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს) სპეციალური განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობდა შრომით-გამასწორებელი ბანაკების სისტემას (исправительно-трудовой лагерь - ИТЛ). ГУЛАГ-ის სპეციალური სამმართველოები აერთიანებდა მრავალ ბანაკს, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონში იყო განლაგებული. ა. სოლჟენიცინის 1973 წ. გამოქვეყნებული „გულაგის არქიპელაგის“ შემდეგ ტერმინი „გულაგი“ შინსახკომის საპურობილეებისა და ტოტალიტარული რეჟიმის სინონიმად იქცა.

რა ხდებოდა რუსეთში და რატომ იყო საქართველოსათვის ქართველი ხალხის მიმართ განხორციელებული რეპრესიები უფრო გამანადგურებელი, ვიდრე დიდი რუსეთისათვის? პასუხი მარტივი და ნათელია, რუსეთის ეროვნულობას არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა. იქ რეპრესიები ძირითადად მასობრივი დამონების, პიროვნულობის მოსპობისა და ბოლშევიკური „ნაღების“ უზომო და უნაპირო ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა. ვერ ვიტყვით, რომ ეროვნებით რუსები უფრო მეტად იყვნენ დაცულნი. საბჭოთა იმპერია განურჩევლად თრგუნავდა ყოველგვარ ძალას, ეროვნულსა თუ არაეროვნულს, მის წინააღმდეგ მიმართულს თუ საერთოდ არარსებულს. მივედით აბსურდამდე. როგორ შეიძლება იმის დათრგუნვა, რაც არ არსებობს? ჩვენ იმის თქმა გვინდოდა, რომ რეპრესიები ხორციელდებოდა ხალხზე, რომელიც საერთოდ ვერ ხვდებოდა დაპატიმრების მიზეზს ან, უფრო სწორად, ეს მიზეზი არ არსებობდა. საბჭოთა იმპერიაში ასეთი აბსურდები ხშირი იყო.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ, რაც რუსეთში ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს, დაიწყო რეპრესიები ყველა არაბოლშევიკური ძალის მიმართ.

დაპატიმრებები ნაკადებად მიმდინარეობდა: სასულიერო ნოდების, მემამულეთა და ბურჟუაზიის კლასის, ინტელიგენციის, მეფის არმიის ოფიცრების, სხვადასხვა პარტიის: სოციალისტების, ესერების¹⁴, მენშევიკების¹⁵,

14 ესერები – სოციალისტ-რევოლუციონერები, პარტია შეიქმნა რუსეთში 1901-02 წწ. ხალხოსანთა ჯგუფებისა და წრეების გაერთიანების შედეგად. ქართველმა ესერებმა, რომლებიც რუსეთის პარტიის წევრებად ითვლებოდნენ, 1917 წ. ამიერკავკასიის კონფერენციაზე, სხვა მონაწილეებთან ერთად, ნდობა გამოუცხადეს რუსეთის დროებით მთავრობას. 1918 წ. ამიერკავკასიის ესერებში მოხდა განხეთქილება და ქართველმა ესერებმა შექმნეს საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია. ქართველი ესერები მხარს უჭერდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. სწორედ ეს გახდა მიზეზი მათი რუსეთის ესერებისგან გამოყოფისა. 1921 წლის ბოლოს ქართველი ესერების პარტია გაუქმდა.

15 მენშევიკები – მენშევიზმის მიმდევრები. მენშევიზმი მთავარი მიმდინარეობა იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში. მენშევიზმის ცნება

ანარქისტებისა¹⁶ და კადეტების¹⁷ წარმომადგენლების. ეს ყოველივე მარტივად აიხსნებოდა: „Мы не ведём войны против отдельных лиц. Мы истребляем буржуазию, как класс. Не ищите на следствии материалов и доказательств того, что обвиняемый действовал делом или словом против советов. Первый вопрос, который вы должны ему предложить, - к какому классу он принадлежит, какого он происхождения, воспитания, обрзования или профессии. Эти вопросы и должны определить судьбу обвиняемого. В этом смысл и сущность красного террора. (Лацис, газета «Красный террор», 1ноября 1918 г.) ეს კიდეც არაფერია იმასთან შედარებით, რაც საერთოდ ხდებოდა. აქ

წარმოიშვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობაზე (1903 წ.), პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით, როდესაც ლენინის მონინააღმდეგეებმა ადგილების უმცირესობა მოიპოვეს (რუსული სიტყვიდან меньше). საქართველოში მენშევიზმი სათავეს იღებს „მესამე დასიდან“. საქართველოს მენშევიკური ორგანიზაციები დამოუკიდებელ პარტიად გაფორმდა 1918 წ., როდესაც ამიერკავკასიის მენშევიკების VIII ყრილობის დელეგატების უმრავლესობამ თავი გამოაცხადა საქართველოს სდმპ დამფუძნებელი ყრილობის დელეგატად და აირჩია ცენტრალური კომიტეტი.

16 ანარქისტები – ანარქისტული ორგანიზაციის წარმომადგენლები. ანარქიზმი საზოგადოებრივ-პოკიტუკური მიმდინარეობა იყო, რომელიც უარყოფდა ყოველგვარ სახელმწიფო ხელისუფლებას, ქადაგებდა პიროვნების აბსოლუტურ თავისუფლებას. საქართველოში ანარქისტულმა მოძრაობამ XX საუკუნის დასაწყისში იჩინა თავი, ანარქისტები განსაკუთრებით გააქტიურდნენ 1905-07 წწ. რევოლუციის დროს. მოგვიანებით ისინი შეუერთდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას, მაგრამ 1919 წ. დასაწყისში გამოეყვნენ და ამავე წლისბოლოს კვლავ შეუერთდნენ. 1921 წ მარტში ანარქისტებმა ისევ განაახლეს საქმიანობა, მაგრამ მალე გაქრნენ ასპარეზიდან.

17 კადეტები – კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია (ოფიციალურად „სახალხო თავისუფლების“ პარტია) შეიქმნა რუსეთში 1905 წ. პარტიის პროგრამა ითვალისწინებდა რუსეთში კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული პარლამენტით. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის დროებით მთავრობაში მათ წამყვანი ადგილი ეკავათ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ეს პარტია „ხალხის მტრად“ გამოცხადდა. პარტიის ემიგრირებულ წევრებს შორის 1921 წ. პარიზში გამართულ ცენტრალური კომიტეტის ყრილობაზე განხეთქილება მოხდა, რის შემდეგაც პარტიამ მალე არსებობა შეწყვიტა.

კიდევ არის ზღვარი, რომლითაც შეიძლება ადამიანის დამნაშავეობის დადგენა, მაგალითად, თუ ის წარმოშობით მაღალ სოციალურ კლასს მიეკუთვნებოდა, თუ კარგი აღზრდა, განათლება და პროფესია ჰქონდა, კლასობრივი დამნაშავე იყო. მას ხომ ეს პრივილეგიები მისმა კლასმა მიანიჭა?! მაგრამ რა უნდა ვთქვათ იმ ფაქტზე, როდესაც „ЧК“-ს¹⁸ და „НКВД“-ს¹⁹ დავალებით მძევლებად აიყვანეს გლეხები იმ რაიონებიდან, რომლებშიც დამაკმაყოფილებელი არ იყო რკინიგზის ხაზების თოვლისაგან განმენდა?! ულტიმატუმი იყო შემდეგი, „თუ სამუშაოს არ შეასრულებდნენ, მძევლებს დახვრეტდნენ“ („Декреты советской власти“, т. 4, М., 1968, стр.627). 1920 წლის ბოლოს СНК-ის²⁰ დადგენილებით დაშვებული იყო სოციალ-დემოკრატების²¹ პირდაპირ აყვანაც.

ვის აღარ აპატიმრებდნენ, რამდენგვარი მიზეზი არსებობდა, ვინ მოთვლის?! – ამაზე ალბათ მთელი ტომები დაი-

18 ЧК - აბრევიატურა რუსული სახელწოდებისა: чрезвычайные комиссии по борьбе с контрреволюцией и саботажем. კონტრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის საგანგებო კომისიები საბჭოთა რესპუბლიკებში.

19 НКВД - აბრევიატურა რუსული სახელწოდებისა: народный комиссариат внутренних дел, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

20 СНК - აბრევიატურა რუსული სახელწოდებისა: совет народных комиссаров, სახალხო კომისართა საბჭო, უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო საბჭოთა რესპუბლიკებში. რუსეთში შეიქმნა 1917 წ., 1946 წელს გადაკეთდა მინისტრთა საბჭოდ.

21 სოციალ-დემოკრატები – სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები. პარტია შეიქმნა 1893 წ. 1918-1921 წწ. იგი წარმოადგენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია იატაკქვეშეთში გადავიდა. 1925 წ. ჩატარდა პარტიის მესამე, ხოლო 1930 წ. კი – მეოთხე არალეგალური ყრილობები. 50-იანი წლების დასაწყისში განადგურებულ იქნა პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტი. პარიზში 1923 წლიდან მოქმედებდა (სოციალ-დემოკრატების ნაწილის ემიგრაციის შემდეგ) პარტიის საზღვარგარეთის ბიურო. 1989 წ. თბილისში შეიქმნა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღორძინების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც პარტიის საზღვარგარეთის ბიუროსგან გადაეცა პარტიის ბეჭედი და უფლებამოსილება V რილობის ჩატარებისა. 1990 წ. გამართულმა პარტიის V ყრილობამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია აღორძინებულად გამოაცხადა.

წერება. ტერორისაგან დაცული არავინ იყო. იგი ყველგან პოულობდა თავის მსხვერპლს: დაწესებულებებში, ქარხნებში, მეცნიერებათა აკადემიებში, თეატრებში; ქალაქად თუ სოფლად, ინტელიგენციაში, გლეხობასა თუ მუშათა კლასში... ინტელიგენცია, როგორც საზოგადოების გამორჩეული ნაწილი – განათლებული და მაღალზნეობრივი, საერთოდ მოისპო. მისი ადგილი კი „წითელმა ინტელიგენციამ“ დაიჭირა, პროფესიულად მეტ-ნაკლებად განათლებულმა, მაგრამ მორალურად საეჭვო ძალამ, რომლის მოქალაქეობრივი ღირსება გახდა ჯაშუშობა, გამცემლობა, პირმოთნეობა, მონური მორჩილება და ა.შ. კონტრრევოლუციად ინათლებოდა ყველაფერი, დიქტატურის ტერორი კი ამაღლებული მიზნისადმი მსახურების ნიღბით საზოგადოებას უსწორდებოდა. სულ ერთი იყო – მტყუანისა თუ მართლის, რეაქციონერისა თუ რევოლუციონერის, დიდი მოაზროვნისა თუ გარეწრის, ქვეყნის მტრისა თუ მოყვრის გარჩევა აღარ არსებობდა, ან კი როგორ იარსებებდა ისეთ დიქტატორულ ქვეყანაში, რომლის ეთიკის ძირითად პრინციპად სიყალბე ქცეულიყო, წაშლილიყო ზღვარი სიმართლე-სიცრუეს შორის.

1917 წლიდან დაწყებული ეს ძალმომრეობა შემდგომ წლებში არათუ დაცხრა, არამედ უფრო მეტად გამძაფრდა, უფრო მასიური გახდა და 1937 წელს თავის პიკს მიაღწია (ამ რეპრესიებს მასობრივი ხასიათი ჰქონდა საქართველოშიც). კაცობრიობა გაფაცვიცვბით ადევნებდა თვალს საბჭოეთის ინკვიზიციებს, მაგრამ იმ მზაკვრობის სისრულით წარმოდგენა, რომელსაც კონკრეტული ადამიანების მიმართ მასობრივად სჩადიოდნენ, მას ნამდვილად გაუჭირდებოდა. „რკინის ფარდის“ მიღმა ძალზე მცირე ინფორმაცია აღწევდა. სტალინის გარდაცვალების შემდგომ იგი უფრო ხელმისაწვდომი გახდა, მაგრამ მაინც ფარული იყო და ბუნდოვანი; უტყუარი ინფორმაცია გადასახლებულთა ხსოვნაში ინახებოდა. ისინი მას ან სამუდამოდ იმარხავდნენ გულში, რადგან საბჭოეთში ცხოვრობდნენ და კვლავ არსებობდა შიშის – ხელახალი რეპრესიების – ფაქტორი (ასეთნი მრავალნი იყვნენ), ან ისევ

აგრძელებდნენ დისიდენტურ მოღვაწეობას (რა თქმა უნდა, მცირე ნაწილი) – წერდნენ თავიანთი წარსულის შესახებ და კვლავ გამოხატავდნენ პროტესტს. მათი ნაწერები ოჯახიდან ოჯახში გადადიოდა, ჩუმად იკითხებოდა, КГБ-ის²² მიერ იძებნებოდა, მაგრამ მაინც ვრცელდებოდა და ასე იბადებოდნენ მომავალი გმირები, მომავალი დისიდენტები, რომელთა საქმიანობაც ერთ მშვენიერ დღეს მწვერვალს მიაღწევდა, აღარაფერს შეუშინდებოდა და დაამსხვრევდა კაცთა მონობის, ნამდვილი მონობის – უხმო მორჩილების – ბორკილებს.

დღეს, როდესაც დრომ წარსულად აქცია 1924 წლის აჯანყებაც, 20-50-იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის რეპრესიებიც, საბჭოთა კავშირიც²³ და მისგან მემკვიდრეობით მიღებული კომუნისტური მსოფლმხედველობაც; როცა ქვეყანაში ასე თუ ისე დაწყებულია დემოკრატიული პროცესები და მოქალაქეობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება, წარსულს უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგან წარსული ყოველთვის განსაზღვრავს მომავალს, აწმყოსთვის ის მაგალითი და ჭკუის მასწავლებელია.

საქართველოს უახლესმა ისტორიამ უკვე გაანალიზა მომხდარი მოვლენები, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ არჩეული პერიოდის – 20-50-იანი წლების – თითოეული დღის, თითოეული კუნჭულის, თითოეული პიროვნების ბედის ისტორიული შესწავლა მოქალაქეობრივი თვითმემცნების დიდ მიზანს მოემსახურება.

მაშ ასე, 1921 წელს საქართველო კვლავ ანექსირებულია, ქართველი ხალხი კი გამოფხიზლებული და აღმდგარი. მოგვაქვს ნაწყვეტი ლიზიკო ქავთარაძის, ქართველი დისიდენტი ქალბატონის, ჩანანერებიდან: *„მე ვერ მოგიტხრობთ იმას, თუ როგორი თავგამეტებით ებრძოდა დამპყრობლებს ქართველი*

22 КГБ – აბრევიატურა რუს: Комитет государственной безопасности при Совете Министров СССР, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, 1954-1991 წწ.

23 საბჭოთა კავშირი – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, სახელმწიფო შეიქმნა 1922 წელს, არსებობდა 1991 წლამდე.

ხალხი: დემონსტრაციები, მანიფესტაციები, მიტინგები, ობსტრუქციები, პარტიზანული რაზმები, აჯანყებები... ჩვენი იყო ოჯახი, ქარხანა, ტიპოგრაფია, უნივერსიტეტი, ქუჩა... ერის გული იატაკქვეშეთში ფეთქავდა. დაზგები, მერხები, დაწესებულების უჯრები, შენობათა ფასადები – პროკლამაციებით ივსებოდა. თეატრებში, კინოებში, ლექცია-სხდომების დარბაზებში მოფარფატე ფურცლებიდან ხალხის რისხვა ქუხდა. „ჩეკა“-სთან, მეტეხისა და ორთაჭალის ციხეებთან იყინებოდნენ, თაკარა მზის ქვეშ ოფლში ინურებოდნენ პატიმრების მოზღვავებული ჭირისუფლები... იმ ლეგენდარულ წლებზე ტომები დაინერება...“ (ლიზიკო ქავთარაძის დღიურებიდან).

ახალი თაობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვითგამორკვევა შედარებით ადრე დაიწყო, სანამ ანექსია მოხდებოდა. რევოლუციებისა და დიდი სოციალური ძვრების პირობებში ამ თაობას მოძალებული საზოგადოებრივი სტიმული და ინიციატივა ჩამოუყალიბდა. მაშინვე გაჩნდა იატაკქვეშეთი და შეიკრიბა სოციალისტ-ფედერალისტების²⁴, ეროვნულ-დემოკრატიების ჯგუფები, უფრო მასიური ახალგაზრდა მარქსისტების²⁵ ორგანიზაცია იყო. ჯგუფებში ერთიანდებოდა გამბედავი, სულით მებრძოლი, გარდაქმნისა და არსებულის შეცვლის მომხრე ახალგაზრდობა, რომლის აფორიაქება დრომ – ისტორიულმა მოვლენებმა – განაპირობა. მათ კარგად დაინახეს, როგორ მოხდა მათი სამშობლოს ანექსია, როგორ დამარცხდა ქართული გვარდია, რომლისთვისაც

24 სოციალისტ-ფედერალისტები – საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტია. ასპარეზზე გამოვიდა 1901 წლიდან, 1903 წლიდან გამოსცემდა გაზეთ „საქართველოს“ (გამოცემა დაიწყო პარიზში), პარტიას 1917 წ. გამოეყო მემარჯვენე ნაწილი, რომელმაც შექმნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

25 ახალგაზრდა მარქსისტები – საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაცია, შეიქმნა 1915 წ. თბილისში მარქსიზმის შემსწავლელი წრეების სახით. 1917 წ. ორგანიზაციამ აირჩია ხელმძღვანელი ორგანო – ცენტრალური კომიტეტი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქტიურ ანტისაბჭოთა მოღვაწეობას ეწეოდა. ლიკვიდირებულ იქნა 1921 წ. მარტში.

ისინი ფულსა და პროდუქტებს აგროვებდნენ, სადილებს ამზადებდნენ და საავადმყოფოებში მიჰქონდათ ომში დაჭრილი ქართველი მეომრებისათვის. (ლიზიკო ქავთარაძეს სამუდამოდ დაამახსოვრდა დაჭრილი დემნა შენგელაიას²⁶ აღფრთოვანებული სახე და მისი სიტყვები: „ქართველო ქალებო!“) ამასთან ერთად ამ თაობამ გამოიარა რევოლუციების ხანა, რომელმაც ჩამოუყალიბა მას სოციალური თანასწორობის იდეა და ახალი მსოფლმხედველობა; ამიტომ ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ, რომ ცოდნა მიეღოთ და მოსმენით შექმნილი საყოველთაო იდეები გონებითა და განათლებით გაეცნობიერებინათ: „ჩაფუჯექით მარქსიზმის შესწავლას. ვკითხულობდით „დიდ ნოეს“ (დიდ ნოეს ეძახდნენ ნოე ჟორდანიას ასაკისა და პატივისცემის გამო ნოე რამიშვილისაგან გამოსარჩევად – თ.შ.), არჩილს (ჯორჯაძეს²⁷), პლენანოვს²⁸, კაუცკის²⁹ და, ვინ მოთვლის, ვის აღარ. თანდათან ენგელსისა³⁰ და მარქსის³¹ ნაშრომებსაც მოვკიდეთ ხელი“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერები).

ჩვენ ვისაუბრებთ ახალგაზრდა თაობაზე, იმ ქალბატონებზე, რომლებიც 1924 წელს მხოლოდ მერვე კლასის მოსწავლეები იყვნენ და იმდენად განვითარებული ჰქონდათ მოქალაქეობრივი აზროვნება, რომ სკოლის მერხიდან პარტიებთან და

26 დემნა შენგელაია – (1896-1980 წწ.) ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

27 არჩილ ჯორჯაძე – (1872-1913 წწ.) ცნობილი პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ლიდერი.

28 გეორგ პლენანოვი – (1856-1918 წწ.) რუსული და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი, მარქსისტი, მენშევიკების ლიდერი.

29 კარლ კაუცკი – (1854-1938 წწ.) გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II ინტერნაციონალის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და ლიდერი, თავდაპირველად მარქსიზმის მიმდევარი, მოგვიანებით – მონინალმდევე.

30 ფრიდრიხ ენგელსი – (1820-1895 წწ.) მარქსიზმისა და კომუნისტური მოძღვრების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

31 კარლ მარქსი – (1818-1883 წწ.) მეცნიერული კომუნისმის ფუძემდებელი, კომუნისტური მოძრაობის იდეოლოგი.

საზოგადოების ყველა ფენასთან ერთად აქტიურად ჩაებნენ საყოველთაო მოძრაობაში, რომელსაც ქვეყნის გადარჩენის გზა უნდა განესაზღვრა. მოგვაქვს ნაწყვეტი კვლავ ლიზიკო ქავთარაძის ნაწერებიდან, რომლებშიც ასეთი სახის ერთ-ერთი თავყრილობაა აღწერილი:

„დიდი ეზო გაჭედულია ქალებით, მასპინძლებითა და კიდევ არამონაფუარი იერის მქონე მოქალაქეებით. ზოგი ნაცნობია, ზოგი უცნობი და, რა თქმა უნდა, ზოგიც – საექვო. ხელშეუშლელად, ერთი მეორის მიყოლებით, ორატორები მოქადაგე ქრისტესავით მთელი სიგრძე-სიგანით, ხან ერთი ფანჯრის რაფაზე გამოჩნდებიან, ხანაც მეორეზე. უკან შეჯგუფული მოსწავლეების თავები მათ ფერხთით მოჩანან, ალბათ, ემზადებიან გამოსვლისათვის. ფანჯრების ასეთ მოულოდნელ ცვლას რაღაც საზეიმო მხიარულება შეაქვს შეკრებილობაში. თითქოს უხილავი კომანდის ქვეშ, განვრთნილი რაზმივით, მთელი ეზო ხან იქით მიტრიალდებოდა, ხან აქეთ. ეს უდავოდ „ახალგაზრდა მარქსისტების“ ფანჯარაა, აგერ მოპირდაპირე ფედერალისტებს დაუმართოხელებიათ, ამ მესამეს კი ნამდვილად ეროვნულ-დემოკრატიები ფლობენ. უკანა ჯგუფი, ცოტა არ იყოს, წაიმეჩხერებს. – ჩვენ არ ვეკუთვინით არც ერთ პოლიტიკურ პარტიას! – აცხადებდა მეოთხე ფანჯარა, – ჩვენი დროშა პოეზიის ქნარია, მაგრამ თავისუფლების გარეშე პოეტებს სიცოცხლე არ შეუძლიათ. ძირს მოძალადენი! გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!!!

გამოჩნდნენ სხვადასხვა ჯურის ხელისუფალნი. მარო მიქელაძე-ორახელაშვილი³² რაღაც ყუთებზე შემდგარა, ხელებს აქეთ-იქით აქნევს, ტურჩებს ამოძრავებს, ჩვენამდე ცალკეული სიტყვები და ანეული ხმის გაბზარული ბგერები მოდის: ძირს გამყიდველი! ძირს სამშობლოს მოღალატე! ქუჩაში ხომ დაგვარბიე, აქ როგორ გაბედე მოსვლა, ჯალათო?! ...

32 მარო მიქელაძე-ორახელაშვილი – (1887-1937) საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბოლშევიკური რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს განათლების სახალხო კომისარი.

ბიჭები თავგამოდებით უსტვენენ. სტვენა ქალებს არ გვეხერხება. ბიჭებს ყვირილ-ყვირილით ვუერთდებით.

– ამხანაგებო! – ფედერალისტების ფანჯრიდან დათიკო კანდელაკის ხმამ იჭექა. მაშინვე მაროს ზურგი ვაქციეთ. ნამსვე სიჩუმე დამყარდა. რა ბიჭია! აზრი – ვაჟკაცურად მართალი! დაუფარავი აღშფოთება, ზიზლი ... მისი ოქროს თვალები დამამახსოვრდა. ეს უცნაური ფერი სხვისათვის არასოდეს შემინიშნავს. დათიკო კანდელაკი 1924 წელს დახვრიტეს. თბილისის სკოლების სხვა ეზოებში, უნივერსიტეტში, სხვა ქალაქებშიც იგივე ხდება. ხალხს ერთი გული ჰქონდა და ერთი სუნთქვით სუნთქავდა“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერები).

ეს ვრცელი ამონაწერი იმისთვის მოვიტანეთ, რომ წარმოვაჩინოთ საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის – მოსწავლეების – მოქალაქეობრივი შეგნება, აზროვნება და ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ქვეყნის ბედი ყველა სოციალური ფენისა და ასაკის მოქალაქისთვის უპირველესია; და მცდარია აზრი, რომ მოსწავლემ მხოლოდ უნდა ისწავლოს და მას სხვა არაფერი ევალება.

ჩვენი სამი რესპონდენტიდან (ჩვენ მათ პირობითად ვუწოდებთ რესპონდენტებს, რადგან ვსარგებლობთ მათი პირადი ჩანაწერებით და მათი შთამომავლებიც, ვისგანაც ინტერვიუები ავიღეთ, მათ მაგივრად გვაძლევენ პასუხს.) ორი მათგანი – თამარ ნულუკიძე და ლიზიკო ქავთარაძე – მოსწავლეობის ასაკიდან ჩაებნენ სახალხო პატრიოტულ მოძრაობაში; მესამე რესპონდენტი – ოლია მესხი – შემთხვევითაა მოხვედრილი როგორც პატრიოტობაში, ასევე გადასახლებაში, – ხუმრობის გამო, მაგრამ გადასახლებიდან უკვე პოლიტიკურად ჩამოყალიბებული ადამიანი ბრუნდება. ამ ქალბატონების მიზნებისა და ამოცანების შესახებ ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ, ამჯერად ზოგადად დავახასიათებთ თითოეული მათგანის ოჯახურსა და სოციალურ გარემოს, რამაც განსაზღვრა მათი ცხოვრების წესი და მიზანი.

თამარ ნულუკიძე (ბიოგრაფიული დეტალები)

თამარ ნულუკიძე 1906 წელს დაიბადა ქალაქ თბილისში. როგორც თვითონ აღნიშნავდა, სამეფო ტახტის აზნაურთა მემკვიდრის – ალექსანდრე სიმონის ძე ნულუკიძისა – და თავადის – ოლია ქველის ასული ჯაფარიძის – ოჯახში. 1913 წელს გიმნაზიაში შევიდა; 1924 წლის აჯანყებამ დამამთავრებელ კლასში „მოუხსრო“; სკოლის ასაკიდანვე გახდა „ახალგაზრდა მარქსისტა“ ორგანიზაციის წევრი; 1925 წლიდან თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია; 1929 წელს პარტიული დევნის გამო იძულებულია დატოვოს უნივერსიტეტი. 1930 წელს გასაუბრებით ირიცხება პოლიტექნიკური ინსტიტუტის საკონსტრუქტორო ფაკულტეტზე; 1931 წელს აპატიმრებენ კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის, როგორც „ახალგაზრდა მარქსისტა“ ორგანიზაციის წევრს და 3 წლის ვადით ასახლებენ ქალაქ ენისეისკში³³.

ქალბატონი თამარის შვილისა და შვილიშვილისგან ალებული ინტერვიუებიდან, აგრეთვე მისი პირადი ჩანაწერებიდან ნათელია, რომ თამარი მებრძოლ ადამიანად დრომ და გარემოებამ ჩამოაყალიბა. ამასთანავე მას ჰქონდა პიროვნული თვისებები – მტკიცე ხასიათი, გამბედაობა, ურყეობა, უშიშრობა. 1924 წელს, სკოლის დამამთავრებელ კლასში, იგი უკვე „პარიტეტულ კომიტეტში“³⁴ მეკავშირის როლს ასრულებდა.

33 ენისეისკი – ქალაქი რუსეთის ფედერაციაში, მდინარე ენისეის ნაპირზე.

34 პარიტეტული კომიტეტი – საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა – სოციალ-დემოკრატებმა, სოციალ-ფედერალისტებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა და „სხიველებმა“ ეროვნული მოძრაობის კოორდინაციისა და ხელმძღვანელობის მიზნით 1922 წლის აგვისტოში პარიტეტულ საწყისებზე შექმნეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ („დამკომი“), იგივე „პარიტეტული კომიტეტი“, რომელიც სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლებს აერთიანებდა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: გიორგი ფალავა, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, ნიკოლოზ ქარცივაძე, იასონ ჯავახიშვილი, შალვა ამირეჯიბი და სხვები. „დამკომმა“ შექმნა სამხედრო, საფინანსო, სარედაქციო და სხვა კომისიები. აჯანყების უშუალო მომზადება დაევალა სამხედრო ცენტრს.

თამარ წულუკიძეს – მოსწავლეს – „პარიტეტული კომიტეტის“ საქმიანობაში თავისი წვლილი შეჰქონდა, მეკავშირეობასთან ერთად ის ავრცელებდა პროკლამაციებს, ეწეოდა აგიტაციას. ეპიზოდი – თუ როგორ გადაყარა ოპერის დარბაზში პროკლამაციები, ამ დროს აღძრული მღელვარება – მას მთელი ცხოვრება ახსოვდა. ერთი სიტყვით, თამარ წულუკიძე ასრულებდა იმ ძნელ და საპასუხისმგებლო დავალებებს, რომელთა შესრულება დიდი რისკისა და საფრთხის ფასად შეეძლო მოსწავლესა და ახალგაზრდას; მოქალაქეობრივი ზნეობა, სხვა არაფერი, აძლევდა ამის უნარსა და შესაძლებლობას.

ლიზიკო ქავთარაძე (ბავშვობიდან პატიმრობამდე)

ელისაბედ (ლიზიკო) ქავთარაძე დაიბადა 1905 წელს ქალაქ თბილისში; 1924 წლიდან ის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოცეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტია; ამავე წლიდან – „ახალგაზრდა მარქსისტთა“ პარტიის წევრი, 1928 წლიდან კი – უკვე პოლიტპატიმარი.

ქალბატონი ლიზიკოს პატრიოტულ და პოლიტიკურ აღზრდას ხელი ოჯახმა შეუწყო. მისი მამა – ქაიხოსრო ქავთარაძე – ფედერალისტი ყოფილა, როგორც იმდროინდელი ინტელიგენციის უმრავლესობა, და მეფის მთავრობის დროს მეტეხის ციხეში იყო დაპატიმრებული. როდესაც საბჭოთა მთავრობამ ლიზიკო დააპატიმრა, ისიც იმავე საკანში მოხვდა, სადაც ერთ დროს მამამისი იჯდა; საკნის კედელზე მას მამის წარწერა უნახავს. ქაიხოსრო ქავთარაძე პროფესიით ჟურნალისტი იყო, ილია ჭავჭავაძესთან³⁵ დაახლოებული პირი, მისი დამკრძალავი კომისიის წევრი. ილიას სიკვდილის შემდეგ მწერლის თბილისის სახლი ქაიხოსროსათვის გადაუციათ. ლიზიკო ქავთარაძეც სწორედ ამ სახლში გაიზარდა, ახლანდელი თევდორე მღვდლის ქუჩაზე. ილია ჭავჭავაძის სიყვარული,

35 ილია ჭავჭავაძე – (1837-1907 წწ.) ქართველი პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

ილიას გზით სიარულის ქეშმარიტება, ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს მშობლებმა ლიზიკოს. მას ამ გზისთვის არც უღალატია, მიუხედავად იმისა, რომ „ახალგაზრდა მარქსისტებისა“ და სოციალ-დემოკრატიული პარტიების არსი და მიზანი თითქმის რადიკალურად იყო განსხვავებული ილიას გზისაგან. ილიას გზა გულისხმობდა კავკასიის ქვეყნების გაერთიანებულ ბრძოლას რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევას და დამოუკიდებელ ქვეყანაში სხვადასხვა კლასის მშვიდობიან თანაცხოვრებას – შრომის დაფასებისა და ანაზღაურების პრინციპზე; ქართველი სოციალ-დემოკრატები კი, ანუ „მესამე დასი“, პრინციპულად უპირისპირდებოდნენ თერგდალეულებს – „პირველ დასს“³⁶. „მესამე დასელებს“³⁷ მიუღებლად მიაჩნდათ ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა. ისინი სოციალურ საკითხს ეროვნულზე წინ აყენებდნენ, არ ეთანხმებოდნენ კლასთა შერიგების, ნოდებათა თანამშრომლობის ილიასეულ თეორიას. პირიქით, ისინი კლასობრივ ბრძოლას სოციალური საკითხის გადაჭრის ერთადერთ სწორ გზად მიიჩნევდნენ, თავიანთი როლი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის³⁸ გარეშე ვერ ნარმოედგინათ და „ინტერნაციონალიზმის დროშით“ ფაქტობრივად რუსეთის იმპერიის შენარჩუნებას ემსახურებოდნენ. თუმცა, აქვე უნდა

36 თერგდალეულები – „პირველი დასი“ – მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენლები. თავდაპირველად რუსეთში განათლებამიღებული ახალგაზრდები („თერგდალეულები“) უფროს თაობას („მტკვარდალეულებს“) დაუპირისპირდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებთან დაკავშირებით, შემდეგ ეს უთანხმოება სოციალურ და პოლიტიკურ შეხედულებათა დაპირისპირებაში გადაიზარდა.

37 „მესამე დასელები“ – პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი საქართველოსა და ამიერკავკასიაში შეიქმნა 1892 წ. ე.ნინოშვილსა და მ.ცხაკაიას ინიციატივით. ამ ჯგუფს ეს სახელი პირველად 1894 წ. ე. ნინოშვილის დაკრძალვაზე გ. წერეთელმა უწოდა, „მესამე დასი“ საქართველოში სოციალ-დემოკრატიის სინონიმი გახდა.

38 რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია – კომუნისტური პარტიის სახელწოდება 1898-1917 წწ. მისი პირველი ყრილობა გაიმართა 1898 წ. მინსკში, მაგრამ, როგორც პარტია, გაფორმდა მე-2 ყრილობაზე 1903 წ. (ბრიუსელი, ლონდონი).

აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ მონარქიის დამხობამდე, 1916-1918 წლებში, საქართველოში არსებული თითქმის ყველა პარტია ეროვნულმა მიზანმა გააერთიანა; ამის მიზეზი მარტივი იყო – ყველა მოქმედმა პარტიამ დაინახა, რომ ქართველი ხალხი მხოლოდ ისეთ პარტიულ მოძრაობას დაუჭერდა მხარს, რომელიც სოციალურ პრობლემებთან ერთად მის ეროვნულ თავისუფლებასაც უზრუნველყოფდა, მხოლოდ ასეთი პარტია მოიკიდებდა ფეხს საზოგადოებაში. საქართველოს დამოუკიდებლობის სამმა წელიწადმა კიდევ უფრო გამძაფრა ქართველ ერში დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობისკენ ლტოლვა, რომლის გარეშე არსებობა მას უკვე ველარ წარმოედგინა. ამიტომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დამოუკიდებლობის აღდგენა ყველა ქართული პარტიის ძირითად ამოცანად იქცა; ახალგაზრდა თაობამ კი ეს პარტიები გაიცნო, როგორც ეროვნული მოძრაობისთვის მებრძოლი პარტიები, რომლებიც ფაქტობრივად ილიას გზას დაადგენენ; ახალგაზრდა თაობა წინააღმდეგი იყო მათი თვითლიკვიდაციისა, რადგან ხედავდა მაშინდელი კამპანიის „ჩეკისტურ“ სარჩულს (არაპროლეტარული პარტიები უნდა დაშლილიყვნენ იმ მოტივით, რომ „საბჭოთა ხელისუფლება თვით ახორციელებდა ამ პარტიათა საპროგრამო მოთხოვნებს და მათი არსებობა ზედმეტი ჩანდა.“ თვითლიკვიდაციის პროცესი შეეხო „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციასაც, რომელიც საქართველოს კომპარტიას ოპოზიციაში ედგა). როდესაც სოციალ-დემოკრატების ე. წ. „ლიკვიდაციის“ ნაკარნახევი სხდომა მიმდინარეობდა და გაბედული სიტყვებით გამოდიოდნენ როგორც თვითლიკვიდაციის იდეის მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეებიც, სწორედ მაშინ ლიზიკო ქავთარაძემ პროკლამაციების დასტა ზევით შესტყორცნა. „თეთრი ფურცლები ჰაერში შეთამაშდნენ და ფანტელებივით რხევით დაეშვნენ პარტერისაკენ“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

1923 წლიდან საქართველოში სასტიკი რეპრესიები დაიწყო, რაც კიდევ უფრო გამძაფრდა 1924 წლის აჯანყების

მარცხის შემდეგ. ფიზიკურად მოსპეს უამრავი ადამიანი, უამრავმა კი თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები ციხეებსა და გადასახლებაში გაატარა. აღარც ლიზიკო ქავთარაძეს ეცალა სწავლისათვის, ახალგაზრდა აქტივისტს დაპატიმრება მოელოდა; მშობლებისა და მეგობრების რჩევით გადაწყვეტილება მიიღო, სწავლისათვის თავი დაენებებინა და სოხუმში გამგზავრებულიყო. ეს მისთვის დიდი ტრაგედია იყო. არც სოხუმში დარჩენილა უმეტესადაც, მით უმეტეს, არც იქ მალავდა თავის შეხედულებებს და დასაპატიმრებლად გამზადებულიც კი იყო. ლიზიკოს აყვანა პროვოკატორის მეშვეობით მოხდა:

„გამეცნო ვილიამ სპირო, ვინმე გერმანელი, მოსკოვის რომელიღაც უნივერსიტეტის ლექტორი. 45 წლის იქნებოდა, წარმოსადგეი, დარბაისელი, ევროპულად განათლებული, იცნობდა ფილოსოფიას, ფროიდს და მაშინ ჩემთვის უკეთესი სანუნკარი არც გამოიძებნებოდა. ხოლო, როდესაც „ფილოსოფოსი“ პოლიტიკურ თემებს უხეშად მიეძალა, ჩემთვის გასაგები გახდა, თუ რა უნდოდა მას“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ლიზიკო ქავთარაძე სოხუმში აიყვანეს და ეტაპით³⁹, ფოთის ციხის გავლით, მეტეხის საპყრობილეში გადმოიყვანეს. სპიროს მამხილებელი მასალა მაინც ვერ შეუგროვებია, ამიტომ სიცრუის გზას დაადგა. გამოაცხადა, რომ ვითომ ლიზიკო ქავთარაძემ მას მიანოდა 1924 წლის აჯანყების წინააღმდეგ ჩატარებული სამხედრო ოპერაციების საიდუმლო მასალა. თუ რა, კონკრეტულად არაფერი თქვა. ამას კრიმინალური მნიშვნელობა მაინც არ უნდა ჰქონოდა, რადგან პრესაში „პარიტეტული კომიტეტის“ გასამართლების მასალებში უკვე ყველაფერი იყო მოხსენებული. მისი მიზანი იყო, რომ ლიზიკო ჯაშუშობის მუხლით გაესამართლებინათ, რაც მის ავტორიტეტს პატიმრობაში ძირს დასწევდა. ლიზიკოს პრინციპულობის გამო სპიროს აბსურდული ბრალდებებით საქმის შეთითხვნა ვერ

39 ეტაპი – (ფრ. *étape*- გასავლელი მონაკვეთი) აქ: პუნქტი, დაპატიმრებულთა ღამის გასათევი ადგილი, ტუსაღთა გადასადგოლებელი გზა, თვით ტუსაღთა ჯგუფი.

მოხერხდა, მაგრამ ლიზიკო ქავთარაძე მაინც გადაასახლეს შორეულ ციმბირში, სოფელ კოლპაშოვოში⁴⁰.

თუ ჩვენი ორი რესპონდენტი – თამარ წულუკიძე და ლიზიკო ქავთარაძე – პოლიტიკურად მომზადებული, აქტიური და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქალები არიან – ასეთი შემართება და ხასიათი მათ სხვადასხვა გარემოებამ ჩამოუყალიბა – მათგან განსხვავებული პიროვნებაა ოლია მესხი.

ოლია მესხი

(შემთხვევით დაპატიმრებული)

ოლია მესხი მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა, სადაც ათი დედმამიშვილი იზრდებოდა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა, ისიც წარმატებით დაამთავრა და სამუშაოდ საგარეჯოში გაანაწილეს. იყო 1929 წელი, იწყებოდა კოლექტივიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ოლია არც 20-იანი წლების დისიდენტურ მოძრაობაში იყო შემჩნეული და არც 24 წლის აჯანყებაში მიუღია რაიმე, თუნდაც სულ მცირეოდენი, მონაწილეობა, იგი მაინც დააპატიმრეს და სამი წლით გადასახლება მიუსაჯეს. მიზეზი დაჭერისა ის იყო, რომ მან კოლექტივიზაციაზე იხუმრა. ოლია მესხის დაპატიმრება თვალნათელი მაგალითია იმისა, რომ რეპრესიების ამ საშინელ წლებში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვის იჭერდნენ. არსებობდა მხოლოდ გეგმა, თუ რამდენი კაცი უნდა დაეჭირათ. ახალგაზრდა და სრულიად გამოუცდელი ქალი თბილისში, მეტეხის ციხეში, ჩამოიყვანეს, ისარგებლეს მისი გამოუცდელობით და ცარიელ ფურცლებზე მოაწერინეს ხელი, მერე თავად მოუგონეს ბრალდება და ხელმოწერილი საბუთი საქმეში ჩადეს, მიუსაჯეს გადასახლება და ნარიმის მხარეში გაისტუმრეს.

ოლია მესხის დაპატიმრების მსგავსი მრავალი შემთხვევა იყო საქართველოში. ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ ჟერმენ ბეგთაბეგიშვილს სიკვდილის განაჩენი სამი წლით

40 კოლპაშოვო – სოფელი რფ-ში, მდ. ობის სანაპიროზე.

თავისუფლების აღკვეთით და იძულებითი შრომით შეუცვალეს. მისთვის ბოლომდე უცნობი იყო დაპატიმრების მიზეზი, რაც მის ეროვნებაში მდგომარეობდა – ჟერმენი ქართველზე გათხოვილი ფრანგი იყო, ამიტომაც პოლიტიკურად არასაიმედო; განუკითხაობას არ ჰქონდა საზღვრები; უნდა შექმნილიყო ძლიერი, „რკინის იმპერია“, რომელიც მონურ მორჩილებას შეაჩვევდა საზოგადოებას. დაპატიმრება-გადასახლება ეს დასაწყისი იყო. მათ წინ ელოდათ ტანჯვა-წამება, დაცინვა, დამცირება, ადამიანური ღირსების შელახვა. გაუბედურდა ათი ათასობით ოჯახი, რომელთა ზუსტი რიცხვი დღესაც არაა ცნობილი. საქართველოში ასეთი ოჯახი ყოველი მეორე ან მესამე მაინც იყო. ჩვენ ოჯახურ ტრაგედიაზეც გვინდა ვისაუბროთ, რადგან მასიური ხასიათის ოჯახური ტრაგედიები უკვე ქვეყნის უბედურებაა და საზოგადოებრივ აზრსა და სულისკვეთებას გამოხატავს.

ოჯახური ტრაგედია

თამარ წულუკიძისა და ოლია მესხის პირადი ოჯახები გადასახლებაში შეიქმნა. თამარ წულუკიძემ ენისეისკში გაიცნო სამსონ გობრონიძე, რომელიც სტალინზე ანეგდოტის მოყოლის გამო იყო დაპატიმრებული. ისინი 1932 წელს დაქორწინდნენ და 1934 წელს გადასახლებაში, ქალაქ ენისეისკში, შეეძინათ ქალიშვილი – ნათელა გობრონიძე; პირველი პატიმრობის შემდეგ საქართველოში დაბრუნდნენ, 6 თვის შვილი მშობლებთან დატოვეს, თვითონ კი რაიონში მუშაობდნენ, სანამ 1937 წელს კვლავ არ დააპატიმრეს ორივე. მეორე გადასახლებამდე მაინც ახერხებდნენ შვილის ნახვას; პერიოდულად ჩუმიად რამდენიმე საათით ჩამოდოდნენ ბავშვის სანახავად, მაგრამ რამდენჯერაც ჩამოვიდოდნენ, იმდენჯერ მილიცია⁴¹ ადგებოდათ თავს. თურმე

41 მილიცია – საბჭოთა კავშირში საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ადმინისტრაციული ორგანო, რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შეიქმნა 1917 წ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში კი – 1921 წ.

მეზობელი ასმენდათ. 1937 წლიდან 1948 წლამდე შვილი აღარ უნახავთ; 1948 წლის ზაფხულში ჩამოვიდნენ, კვლავ არ ჰქონდათ თბილისში მუშაობის უფლება, იანვარში კი ისევ დააპატიმრეს. საბოლოოდ, 1954 წელს გაიცნეს უკვე მოზრდილი შვილი, მესამე კურსის სტუდენტი. ქალბატონ ნათელას ბებია და დეიდები ზრდიდნენ, შეძლებისდაგვარად არაფერს აკლებდნენ, მაგრამ სულ ჰქონდა იმის განცდა, რომ მისი მშობლები მასთან ერთად არ იყვნენ, ამიტომ არავისთვის შეეძლო ეთქვა, „ეს მიყიდეთ, ეს მჭირდება, ეს მინდაო“. კმაყოფილდებოდა იმით, რასაც თავად აჩუქებდნენ და მისცემდნენ. ჰქონდა შიშის განცდაც, არასოდეს ერთვებოდა პოლიტიკურ საუბრებში, არასოდეს იჩენდა აქტიურობას; არც კრებებზე გამოდიოდა სიტყვით. ეს განცდა მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვა. ამავე დროს არ ჰქონდა იმედი, რომ მშობლები ოდესმე დაბრუნდებოდნენ, ამიტომ გადანწყვიტა, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თვითონ ჩასულიყო მათთან და რამეში გამოსდგომოდა. ცხადია, რა განცდა ექნებოდათ გადასახლებაში მყოფ მშობლებს, რომლებიც შვილის სახეს მხოლოდ სურათებში ხედავდნენ, მისი წარმატებების შესახებ მხოლოდ წერილებიდან იგებდნენ. არც მათ ჰქონდათ დაბრუნების იმედი, ის კი არა და ხშირად სიკვდილს უცქერდნენ თვალებში და შემთხვევითობის წყალობით თუ გადარჩნენ. დედის უიმელო მდგომარეობას კიდევ უფრო აორკეცებდა შვილის მომავლისადმი შიში. ნათელა გობრონიძე მოგვითხრობს:

„სკოლა რომ დავამთავრე, უნივერსიტეტში შევიტანე საბუთები, მედალოსანი ვიყავი და უგამოცდოდ მიმიღეს, გასაუბრებით. გახარებულმა დეიდაჩემმა წერილი მისწერა თავის დას – თამარა, შენ ისეთი კარგი შვილი გყავს, სკოლა მედალზე დაამთავრა და უკვე უნივერსიტეტის სტუდენტიარო. გაგიჟდა თურმე დედაჩემი, ეს რომ წაიკითხა. რას ჰქვია – უნივერსიტეტის სტუდენტიარო?! გამოქცეულა თურმე ფოსტაში და ბიძაჩემისთვის ასეთი დეპეშა გამოუგზავნია: „ვფიქრობ, ნათელას მომავალზე სერიოზულად არავის უზრუნია, დაუყოვნებლივ მოვითხოვ, საბუთები გადაიტანოთ სამედიცინო ინსტიტუტში“ (იხ. დანართი „ინტერვიუ ნათელა გობრონიძესთან“). ქალბატონ თამარს შიში

ჰქონდა, რომ მის შვილსაც გადასახლებდნენ. ამის მაგალითები 37 წლის შემდგომ საკმაოდ ბევრი იყო; მას არც შვილის არჩევანი მოეწონა – დასავლეთ ევროპის ფაკულტეტი, ეს შეიძლება მისი გადასახლების მიზეზიც გამხდარიყო (უცხო ენების არჩევა ჯაშუშობის მიზნით). გადასახლებაში ყველაზე კარგი პროფესია ექიმობა გახლდათ. ექიმი ამ განუკითხაობაშიც კი პატივისცემით სარგებლობდა; სხვებს თუ ტყის მჩეხავებად ამუშავებდნენ და კონდახის ცემით გაჰყავდათ ტყეში, სამედიცინო მუშაკი, უბრალო მედდაც კი, პროფესიით მუშაობდა და დაფასებული იყო. მით უმეტეს, რომ გადასახლებაში ექიმი ყველას სჭირდებოდა. ეს იყო მიზეზი, რამაც თამარ წულუკიძის აღმოფოთება გამოიწვია და შვილს პროფესია შეაცვლევინა.

ნათელა გობრონიძის მსგავსად გადასახლებაში დაიბადა თინათინ იმნაიშვილიც. მისმა მშობლებმა – ოლია მესხმა და ნესტორ იმნაიშვილმა – ნარიში გაიცინეს ერთმანეთი და დაოჯახდნენ. თუ ქალბატონი ოლია შემთხვევით მოხვდა გადასახლებაში, ნესტორ იმნაიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აქტიური დისიდენტი იყო. ის ჯერ კიდევ 1921 წელს დააპატიმრეს და 24 წელს მეტეხის ციხეში შეხვდა. ამიტომ, ბუნებრივია, აჯანყებაში მონაწილეობა ვერ მიიღო. მან უარი განაცხადა შეწყალების თხოვნის დაწერაზე და დედის ხვეწნას ასე უპასუხა: „ვთქვათ, დავწერე, მერე კი გინდა, დედა, შენ ასეთი შვილიო?“ იგი ამაყად პასუხობდა გამომძიებელს, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ იმავე საქმიანობას გააგრძელებდა, რასაც დაპატიმრებამდე ეწეოდა, რადგან სხვანაირად არ შეეძლო. ნესტორ იმნაიშვილი გადასახლებიდან აღარ დაბრუნებულა. დაბრუნდნენ მხოლოდ მისი ახალშერთული ცოლი და 1 წლის ქალიშვილი. ქალბატონი თინათინი მსუბუქად, საინტერესოდ და იუმორით მოგვითხრობს იმ საშინელი წლების შესახებ, რომელიც დედისა და ქალბატონი ლიზიკო ქავთარაძის მონაყოლიდან დაამახსოვრდა. გვაქვს ქალბატონი ოლიას ჩანაწერებიც, რომლებშიც დანვრილებითაა აღწერილი თინათინის დაბადება და გადასახლებულთა ცხოვრება. როდესაც თინიკო იმ ასაკის გამხდარა, ფეხი რომ უნდა აედგა, გამოუწერიათ საქართველოს

რუკა; ეს რუკა დაუფინეს ძირს და იმაზე აადგმევინეს ფენი. გადასახლებაში, შორეული ნარიმის მხარეში პატარა თინიკომ საქართველოს რუკაზე გადადგა პირველი ნაბიჯები. მხოლოდ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გაიცნო ოლია მესხმა ქმრის ოჯახი და მეგობრები, დაუახლოვდა მათ და ამ მეგობრობამ ცხოვრების ბოლომდე გასტანა. მეუღლე კი აღარ უნახავს. შეკითხვაზე მოსდიოდა პასუხი: „жив, здоров, без права переписки“. ბოლო პასუხი 1938 წელს მიიღეს. დღემდე უცნობია, სად და როგორ დაიღუპა ნესტორ იმნაიშვილი. ვარაუდობენ, რომ ეს ეტაპის დროს მოხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ლიზიკო ქავთარაძეს არც მანამდე და არც გადასახლებაში ოჯახი არ შეუქმნია, მისი მშობლების განცდა და მღელვარება არაფრით ნაკლები არ ყოფილა იმ განცდაზე, რასაც საკუთარი ოჯახის დანგრევა ჰქვია. ქალბატონი ლიზიკოს დედა, ოლია გაბიტაშვილი, პროფესიით ექიმი, თვალსა და ხელს შუა გასივდა და უჩვეულო ფორმა მიიღო. მოუყვანეს ექიმი, თავისივე კოლეგა, გვარად კოლუაშვილი. მან თქვა, რომ ეს ყველაფერი ნერვიულ ნიადაგზე დაემართა. მკურნალობამ შედეგი გამოიღო, ქალი რამდენიმე ხანში ჩაცხრა, მაგრამ სამუდამოდ მოტეხილი და განადგურებული დარჩა, ოჯახი კი უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა.

ლიზიკოს თბილი ტანსაცმელი ესაჭიროებოდა. საქართველოდან პატიმრები თხელი ტანისამოსით მიჰყავდათ, გადასახლებაში კი ისინი მკაცრ ჰავაში ხვდებოდნენ და იღუპებოდნენ, ვერ უძლებდნენ ციმბირის ყინვებს. ლიზიკო ქავთარაძის ოჯახმა გადაწყვეტილება მიიღო – სასწრაფოდ გაყიდეს ერთი ოთახი და მიღებული მცირე თანხით უყიდეს ლიზიკოს ყველაფერი, რისი გატანებაც კი გზაში შეიძლებოდა. ლიზიკო გადაასხლეს ციმბირში, სოფელ კოლპაშოვოში. ეს იყო მიუდგომელი ადგილი, მდინარე ოზზე⁴², რომელსაც არც რკინიგზა და არც სამანქანო გზა უდგებოდა, მხოლოდ ციგისა და ძაღლების მეშვეობით თუ მიაღწევდი.

42 ოზი – მდინარე რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში, დასავლეთ ციმბირში.

ლიზიკოს დედა – ქალბატონი ოლია – შვილის სანახავად გაემგზავრა. იარა ჯერ მატარებლით, მერე ცხენით, მერე ციგით და თავის შვილამდე მაინც მიაღწია. უკვე მოგვიანებით, ომის შემდგომ, 1945 წელს, როდესაც ნება დართეს პატირებთან ამანათის გაგზავნის, მოხუცმა ქალბატონმა სისხლის ჩაბარება დაიწყო სისხლის გადასხმის კლინიკაში. ამგვარად მიღებულ თანხას უმატებდა თავის მცირე პენსიას და ქალიშვილს ამანათს უკეთებდა, შეიძლება ითქვას, თავისი სისხლის ფასად.

სკლისუფლების „ზრუნვა“ თავის მოქალაქეებზე

იმ ტკივილში, რაც 20-30-იანი წლების რეპრესიებმა ქართულ ოჯახებს მიაყენა, მთელი სისრულით გამოვლინდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ნამდვილი სახე და ის მოჩვენებითობა, რომლითაც ხელისუფლება თავის მოქალაქეებზე ზრუნავდა. ეს ტკივილი ძირითადად სულიერი გახლდათ; თავად პატიმრები კი, სამშობლოს თვისუფლებისათვის მებრძოლი გმირები, ორმაგ ტკივილს განიცდიდნენ: სულიერსა და ფიზიკურს. ჩვენ მათ ფიზიკურ ტკივილზეც ვისაუბრებთ, ანუ ციხეებზე, იძულებითი შრომის ბანაკებსა და ეტაპებზე, სადაც ტრადიციულ ქართულ ოჯახებში აღზრდილი ქართველი ქალები ისტორიულმა ბედუკულმართობამ მოახვედრა:

თამარ წულუკიძე იგონებს 1937 წელს: „...ბანაკში ყოფნიდან 5 თვის შემდეგ 22 ქალი კვლავ დაგვაპატიმრეს და როგორც ყოფილი გადასახლებულები, ტომსკში⁴³ დაგვაბრუნეს, სადაც ერთეულ კამერაში მოგვათავსეს და ბრალად დაგვდეს ტუხაჩევსკის⁴⁴ ორგანიზაციის წევრობა. გამომძიებელი იყო

43 ტომსკი – ქალაქი რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში, დასავლეთ ციმბირში.

44 ტუხაჩევსკი – (1893-1937 წწ.) 1918 წლების სამოქალაქო ომში დენიკინის წინააღმდეგ მებრძოლი არმიების მეთაური, სსრკ მარშალი, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე. ის გაასამართლეს 1936 წლის 8 ივლისს და სტალინზე თავდასხმის ბრალდებით დახვრეტა მიუსაჯეს.

ვინმე ჩეკისტი ფლეიშმანი, რომელმაც ბრალდების წამოყენების შემდეგ დამსვა ოთახში, სტალინის სურათის წინ, ხის უზურგო სკამის კიდეზე. უძრავ მდგომარეობაში, თავანუელი უნდა ვმჯდარიყავი. მომიჩინა ორი სამხედრო მცველი, რომელთაც ევალეობდათ, რომ სკამზე მთლიანად არ დავმჯდარიყავი და არ მომეცილებინა მზერა სტალინის სურათისათვის. მასმევედნენ მხოლოდ წყალს, არ მაძლევდნენ საკვებს. წამების მესამე დღეს დამეწყო პირღებინება. ჯარისკაცებს ხელმოკიდებული გავყავდი საპირფარეშოში. მე-4 თუ მე-5 დღეს დამეწყო ჰალუცინაციები. სტალინის სურათი გაქრა, მის ნაცვლად გაჩნდა კიბე, რომელზედაც ჩამოდიოდნენ თეთრ სამოსში გამოწყობილი მონყალების დები. გაღიმებული ვუყურებდი, რადგან მათში მხსნელებს ვხედავდი. მცველებს ეგონათ, რომ შევიშალე, რადგან სახეზე სულ ღიმილი მქონდა. ვეცოდებოდი და, როცა ოთახიდან გამომდიებელი გადიოდა, დაახლოებით 21 საათზე, უფლებას მაძლევდნენ, თავი დამეხარა და სკამზე სრულად დავმჯდარიყავი, მაგრამ თავის დახრის შემდეგ იატაკზე მეჩვენებოდა ბავშვის თავები, თმებზე ბაფთებით. მცველებმა ჩათვალეს, რომ საბოლოოდ გავვიჟი და ცდილობდნენ, როგორმე შეემსუბუქებინათ ჩემთვის მდგომარეობა; მირჩევდნენ, სკამზე კარგად დავმჯდარიყავი, მაგრამ უკვე ესეც აღარ შემეძლო, რადგან ხელები და ფეხები უსამველოდ შემუშებული მქონდა. წამების მე-7 თუ მე-8 დღეს სკამიდან გადმოვვარდი. ფლეიშმანს ჩექმის წვერით შეუმონშებია, ცოცხალი ვიყავი თუ არა და უბრძანებია ჩემი საკანში გადაყვანა. საკანში თვალეები შეხვეული მქონდა, რადგან უნებლიე მოძრაობებს ასრულებდნენ და მხედველობის ფიქსირება ერთ წერტილში არ შემეძლო“ (თამარ წულუკიძის ჩანაწერებიდან).

წამების მრავალგვარი საშუალება არსებობდა: გარეთ ზამთარი იყო. ერთეულ საკანში კი უშვებდნენ ორთქლს. თამარ წულუკიძე ყვიროდა: – „Дайте воздух“, მერე უცებ გაყინავდნენ საკანს. სხვადასხვა უკიდურესი ტემპერატურის ზემოქმედება სხეულზე იმდენად საშინელი იყო, რომ ქალბატონმა თამარმა დაადასტურა სიცრუე – ვითომ იყო ტუხჩაჩევსკის ორგანიზაციის

წვერი. მოსთხოვეს აღნიშნული ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების განმარტება. ამის შესახებ არაფრის თქმა არ შეეძლო, რადგან წარმოდგენაც არ ჰქონდა ამ ორგანიზაციის არსებობაზეც კი. სამაგიეროდ ფლეიმანმა თვითონ ითავა ყოველივეს შეთხზვა. ორგანიზაციის წევრებად დასახელებულნი იყვნენ სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოების გმირები, რომელთა შესახებ პატიმრები ეტაპის დროს ლაპარაკობდნენ. ჯამუშ ქალს, რომელიც მათთან ერთად მგზავრობდა, ისინი რეალური პიროვნებები ჰგონებია და ყველას სახელი და გვარი ჩაუწერია. მიუხედავად იმისა, რომ თამარ წულუკიძეს თავისი ხელისმოწერით ზიანი არავისთვის მიუყენებია და არავინ დაუბეზლებია, მაინც ძლიერ განიცდიდა ამ ფაქტს და ბოლოს მაინც მოახერხა მისი უარყოფა და გაუქმება.

ერთეულ კამერაში მჯდომი თამარ წულუკიძე სიკვდილის განაჩენს ელოდა და ყოველ წუთს მზად იყო, გაყვანის წინ „ტელეგრაფიკა“ გაეხადა და შემდგომი პატიმრისათვის დაეტოვებინა. სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა. მამაკაცთა საკუნიდან კაკუნით, მორზეს ანბანით⁴⁵ შეატყობინეს, რომ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, ეჟოვი⁴⁶ გადაუყენებიათ და მის ნაცვლად ლავრენტი ბერია⁴⁷ დაუნიშნავთ, ჩეკისტები ერთმანეთს აღარ ენდობიან და ერთმანეთის ეშინიათო. ისინი არწმუნებდნენ თამარს, რომ ამ სიტუაციაში მის განცხადებას

45 მორზეს ანბანი – ამერიკელ მხატვარ-გამომგონებლის მორზე სემიუელ ფინლი ბრიზ ჩარლზტაუნის (1791-1872 წწ.) მიერ 1838 წ. დამუშავებული სატელეგრაფო კოდი.

46 ნიკოლოზ ეჟოვი – (1895-1940 წწ.) სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისარი.

47 ლავრენტი ბერია – (1899-1953 წწ.) საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკოსი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1931-38), საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამხედრო კომისარი (1938-1945), სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სტალინური რეპრესიების აქტიური ორგანიზატორი, სტალინის გარდაცვალების შემდეგ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ბრძოლაში ბერია დამარცხდა. ის დააპატიმრეს და დახვრიტეს.

უთუოდ გააგზავნიდნენ. ამის შემდეგ ქალბატონმა თამარმა მოითხოვა საწერ-კალამი და ოჯახში გასაგზავნი წერილის მაგივრად განცხადება დაწერა სსრკ გენერალური პროკურორის სახელზე. საკნების შემოვლის დროს თამარმა განცხადება პირადად გამოძიებელს ჩააბარა და ხმამაღლა განაცხადა ამის თაობაზე, რომ ყველას გაეგო და არგაგზავნის შეშინებოდათ. საბედისწერო ოინმა გაჭრა და ქალბატონი თამარი სიკვდილს გადაურჩა; თუმცა ამის შემდეგ ფლეიშმანი მარტო შეიჭრა მის კამერაში, სცემა და უკანასკნელი სიტყვებით აგინა; დაჟინებით ითხოვდა, პატიმარს ეთქვა, ვისგან გაიგო, რომ ეყოფი აღარ არის. ქალბატონმა თამარმა კი საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ, რაც უნდა მომხდარიყო, ცემითაც რომ მოეკლათ, ხმა არ ამოელო და ხელი არაფერზე მოეწერა; ფლეიშმანმა გული იჯერა ცემით, შემდეგ ორ ჩეკისტს დაუძახა და დაავალა, ცემისგან გათიშული პატიმარი საკანში „გაეტანათ“. პატიმრობის საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში (1931-1937 წწ.) თამარ წულუკიძემ პირველად იგრძნო ჩეკისტების მხრიდან უსიტყვო თანაგრძნობა. ქალბატონ თამართან პროკურორი ჩამოვიდა. შედგა სასამართლო, რომელიც სამეულმა ჩაატარა. სასამართლომ ფლეიშმანის მიერ წამოყენებული ყველა ბრალდება ბათილად სცნო. თბილისში გამოტანილი განაჩენი კი მას არ ეხებოდა. ქალბატონი თამარი ბანაკში დააბრუნეს. თან გაატანეს სამეულის დადგენილება – „Использовать на исключительно лёгкой работе“. თუმცა ტანჯვის ფასად, მაგრამ მაინც მოხერხების წყალობით, რომელიც ალბათ გამოუვალ სიტუაციაში ღმერთისაგან გვეძლევა, თამარ წულუკიძე სიკვდილს გადაურჩა.

ნათელა გობრონიძის ინტერვიუდან პატიმრების წამების კიდევ ერთ სახეს გამოვეყოფთ. სამსახურიდან დაბრუნებული ქალბატონი ნათელა შეშინებული შევარდნილა სახლში, თურმე სადარბაზოში ვირთხა უნახავს, ამაზე თამარ წულუკიძეს გაუცინია და პირველად მაშინ მოუყოლია გადატანილი ერთ-ერთი წამების შესახებ (ამ თემაზე იგი საერთოდ არ საუბრობდა): „ხელებს შემიკრავდნენ, ჯიბეებში შაქრებს ჩა-

მიყრიდნენ და ვირთხების ოთახში მიშვებდნენ; ვირთხები სულ ზედ დამდიოდნენო“.

ყველაზე საშინელი წამება ფსიქოლოგიური ხასიათის ყოფილა. ფლეიშმანი მაგიდას ტკბილეულობით ავსებდა, მეორე ჩეკისტთან ერთად მიუჯდებოდა სუფრას ისე, რომ ოთახში სპეციალურად შემოყვანილ პატიმარს ყურადღებას არ აქცევდა, იწყებდა ჭამას და თან ამ პატიმრის პირად ცხოვრებაზე, მაგალითად, მისი ქორწინების პირველ ღამეზე, ყოველგვარი საშინელების, გარყვნილების მოყოლას. ისინი ამაზე უსაშველოდ ხარხარებდნენ. პატიმარს კი სიკვდილი და ფიზიკური წამება ერჩია.

ქალბატონმა ლიზიკო ქავთარაძემ ტანჯვა გადასახლებაში, მეტეხის ციხეში, ქართველისავე ხელით იგემა. ის თვითონ რაფავამ⁴⁸ სცემა. რაფავა იმ სისტემის ტიპური წარმომადგენელი იყო, რომელიც საბჭოეთმა წარმოშვა: თანამდებობის პირი თავად სცემდა პატიმარს – ეს ფაქტი მის გადახრილ აზროვნებასთან ერთად მძიმე სულიერ (ავადმყოფურ) მდგომარეობაზეც მეტყველებს. კინორეჟისორი გია ჭუბაბრია, ქალბატონი ლიზიკოს დისშვილი, 3 წლის ბავშვის პოზიციიდან საინტერესოდ მოგვითხრობს ერთი ამგვარი ფაქტის შესახებ: „ლიზიკოს მეორე დაპატიმრება მე უკვე მახსოვს. სამი წლის ვიყავი, როდესაც “НКВД“-ს წარმომადგენლები ჩვენს სახლში შემოიჭრნენ; მაშინ სოლოლაკში, ჩაიკოვსკის ქუჩაზე ვცხოვრობდით. მაისის თვე იყო. მე პატარა ვიყავი და მათი სახეები არ მახსოვს, რასაკვირველია, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან კარგად დამამახსოვრდა მათი გაპრიალებული ჩექმები. ჩემმა მზერამ რამდენიმე საინტერესო სურათი დააფიქსირა: გაპრიალებული ჩექმები, ლურჯი სინათლე და იატაკზე გადმოყრილი უამრავი წიგნი... ძალიან ღამაში ლურჯი ფერის ჭალი გვექონდა, მოლურჯო-მოცისფრო სინათლეს გამოსცემდა. ეს სინათლე მახსოვს და პაპას წიგნები... ეტყობა, წიგნებში რალაცას ეძებდნენ, ამიტომაც გადმოყარეს.

48 ავქსენტი რაფავა – (1899-1955 წწ.) საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, 1924 წ. აჯანყების ჩახშობისა და 37-იანი წლების რეპრესიების აქტიური ორგანიზატორი, ბერიას სიკვდილის მერე დახვრიტეს.

მერე მახსოვს, როგორ ჩაიყვანეს დეიდაჩემი კიბეებზე და დეიდაჩემმა მოითხოვა, მოსულიყო მანქანა. მე ერთი-ორჯერ მინახავს სოლოლაკში, როგორ მიჰყავდათ ხელშეკრული მამაკაცი ორ წითელარმიელს, დაახლოებით 3-5 მეტრის დაშორებით მისდევდნენ ხიშტიანი თოფებით, დეიდაჩემმა კი რატომღაც კატეგორიულად მოითხოვა ავტომანქანა და დღესაც მახსოვს ის ემადინი⁴⁹, რომელიც მაშინ რამდენიმე ხანში მოვიდა. ყოველთვის მეჯავრებოდა ემადინები ... გონებაში ჩამრჩა ის, რომ ამ მანქანას გვერდზე ჰქონდა ფარი, სინათლის ფარანი დაყენებული... წაიყვანეს დეიდაჩემი, იმ დღიდან მე სხვა აღარაფერი მაგონდება. მახსოვს კიდევ, როგორ წამიყვანეს ორთაჭალის ციხეში. საკმაოდ დიდი ოთახი და გისოსებიანი კედელი იყო. პატარა კარებიდან დეიდა გამოვიდა, თვითონაც პატარა იყო ტანად, ხელი გაშალა და თქვა, „აი, ამ ღამეს მანამეს“. მახსოვს, ჩემმა თვალებმა დააფიქსირა და ვიგრძენი კიდევ, რომ რაღაც ძალიან დიდი უბედურებაა. მერე თვითონ დეიდაჩემს აქვს მოყოლილი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, რომ იმ ღამეს თუ წინა ღამეს თავისი ხელით აწამა რაფავამ, სცემდნენ თურმე მათრახებით, რომელთაც ბოლოში ჰქონდა ბურთულეები, საოცრად მწარე, და აძლევდნენ სრულიად გაუგებარ კითხვებს. საკმაოდ განუვითარებელი ხალხი იყო ამ **HKВД**-ში და კითხვებიც შესაბამისად – პრიმიტიული და უგუნური“.

ეს ჩანანერი გარდა იმისა, რომ ქალბატონი ლიზიკოს წამების ფაქტზე მოგვითხრობს, საინტერესოა სხვა მხრივაც. აქ გადმოცემულია სამი წლის ბიჭის ემოციები, რომელიც მის მეხსიერებას სურათებად შემორჩა – გაპრიალებული ჩექმების, პაპის გადმოყრილი წიგნების, ლურჯი სინათლისა და ემადინის ფანრის სახით. დეიდის წამება გაცნობიერდა აღქმაში – რომ პატარა კარებიდან თავადაც პატარა დეიდა გამოვიდა, ხოლო თვალებმა და გულმა დააფიქსირა, რომ „რაღაც ძალიან დიდი უბედურებაა“. ეს არის ბავშვის მიერ აღქმული, მაგრამ კინორეჟისორის ფსიქოლოგიურ და მხატვრულ აზროვნებაში

49 ემადინი – მსუბუქი ავტომანქანა, M-1, მოსკოვის მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის გამოშვება (1936 წ.).

დამუშავებული გაუცვეთელი კადრები, რომლებიც ემოციის გარეშე ვერც მკითხველს დატოვებს.

წამების ფაქტები განსაკუთრებული სიმძაფრით აისახა ლიზიკო ქავთარაძის ნაწერებში. იგი ნაკლებად საუბრობს თავის თავზე, პირად წამებაზე, თუ არ ჩავთვლით შიმშილობის დღეების აღწერასა და გაუსაძლის მდგომარეობას ეტაპის დროს. უნდა ვიფიქროთ, რომ მკაცრი ფიზიკური ანგარიშსწორება გადასახლების პერიოდში მასზე აღარ განხორციელებულა. ლიზიკო ქავთარაძეს, როგორც განსაკუთრებულად თამამ, გაბედულ, პოლიტიკურად და იურიდიულად განათლებულ, ამიტომ „საშიშ“ ადამიანს, „ჩეკა“ უფრო მორიდებით ექცეოდა და ვერ უბედავდა იმას, რასაც სხვა პატიმრებს. ქალბატონი ლიზიკოს ჩანაწერებში ძირითადად სხვების წამებაზეა მოთხრობილი. მაგალითად, როგორ აწამებდნენ 1928 წელს სოხუმის „ჩეკაში“ სამი შვილის პატრონ, მარტოხელა ქალს ერთი წყვილი კონტრაბანდა წინდებისათვის, როგორ ამწყვდევდა გამომძიებელი მას „კარადაში“, ამომშილებდა, ფეხზე ათევინებდა ლამეს, მკერდში მუშტებს უბრაზუნებდა და ა.შ.

ყველაზე საშინელ წამებას პატიმრები თეთრ ზღვაში მდებარე სალოვეცკის კუნძულებზე განიცდიდნენ. აქ მე-15 საუკუნის 20-30-იან წლებში დაარსდა მონასტერი; მოგვიანებით კი კუნძული მეფის რუსეთისა და საბჭოთა ხელისუფლების მონინაალმდეგე პირთა გადასახლების ადგილად იქცა. მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში „სალოვკამ“ სისასტიკით გაითქვა სახელი. „იქიდან დაბრუნებული ადამიანი თითქმის ყველა ხეიბარი იყო: ზოგს მკლავი ჰქონდა მოკვეთილი, ზოგს – იდაყვამდე, ზოგ „ბედნიერს“ მხოლოდ მტევანი აკლდა. თურმე პატიმრები, ურთიერთდახმარებით, თვითონვე იჩეხავდნენ, იმტვრევდნენ ხელებს ცულით ან რითაც მოიხელთებდნენ. სალოვკელთა სახეებს ინდივიდუალობის ნატამალი აღარ აჩნდა. ნაკვთები მხოლოდ ელემენტარულ გრძნობებს აირეკლავდნენ ... ეს იყო დაშინებული, დამშეული და უკვე მორჩილი საქონელი, რომელსაც ამ ქვეყნისაკენ პირი აღარ უჩანდა“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

სისასტიკით ცნობილ ამ ციხე-ბანაკში 1925 წლიდან ქართველი პატიმრები იხდიდნენ სასჯელს. ქართველთა ჯგუფი 75 კაცისაგან შედგებოდა. ჯგუფს ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატი აფთონ წულაძე. ცოტა მოგვიანებით მათ კონსტანტინე გამსახურდია⁵⁰ შეუერთდა. 1945 წლის ბოლოს კი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლევან გოთუა⁵¹ იქ გაგზავნეს. აუტანელი პირობების გამო 1925 წელს ქართველ პატიმართა სწორედ ამ 75-კაციანმა ჯგუფმა შიმშილობა გამოაცხადა, რაც მოულოდნელად სრული გამარჯვებით დასრულდა: ქართველები არა მარტო იძულებითი კატორღული შრომისაგან გაათავისუფლეს, არამედ „სალოკიდანაც“ ჩამოიყვანეს. ამ ბრძოლაში დაიღუპა მხოლოდ ერთი პატიმარი, ეროვნულ-დემოკრატი ვ. ყარანგოზაშვილი, საზოგადო მოღვაწე, დამფუძნებელი კრების⁵² დეპუტატი. ადმინისტრაციის მუხანათობის გამო იგი ვერ გაერკვა შიმშილის მოხსნის საკითხში და უჭმელობა 48 დღემდე გააგრძელა; შემდეგ კი, ცნობადაკარგულს, მსუბუქი სითხის მაგივრად, უვიცობითა თუ ვერაგობით (საექიმო პუნქტიც არსებობდა და გამოცდილებაც საკმარისი ჰქონდათ), კვერცხი აჭამეს. ყარანგოზაშვილის მიმართ ჩადენილი საქციელი სცილდება ტანჯვა-წამების სისასტიკის ფარგლებს და აშკარა ბოროტმოქმედებაა, სისხლის სამართლის დანაშაული. თუ

50 კონსტანტინე გამსახურდია – (1891-1975 წწ.) ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე.

51 ლევან გოთუა – (1905-1973 წწ.) ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

52 დამფუძნებელი კრება – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის არჩევნები 1919 წ. თებერვალში გაიმართა. ადგილების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიებმა მოიპოვეს. ამავე წლის მარტში დამფუძნებელმა კრებამ შეადგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით. 1921 წ. თებერვალში დამფუძნებელი კრება თბილისიდან ბათუმში გადავიდა, სადაც, მისი წევრების ემიგრაციაში წასვლამდე, ჩაატარა უკანასკნელი სხდომა. ამავე წლის მარტში საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მიიღო დეკრეტი დამფუძნებელი კრების დათხოვნის თაობაზე.

ციხის მმართველობა ასეთი სისასტიკით უსწორდებოდა პატიმრებს, ცოცხალ ადამიანებს, ადვილი წარმოსადგენია, რა დამოკიდებულება ექნებოდა გარდაცვლილების მიმართ. გადასახლებაში მიცვალებულებს ფეხზე ნომერგამობმულებს შიშვლად ყრიდნენ საერთო ორმოში; ქართველებს მოუხერხებიათ და დაღუპული ამხანაგი ადამიანურად დაუსაფლავებიათ – ცალკე საფლავიც გაუკეთებიათ, ფოტოც გადაუღიათ და საზღვარგარეთაც გაუგზავნიათ. „სალოვკის“ ეს და სხვა მრავალი საინტერესო ეპიზოდი ნარიმის გადასახლებაში უამბო ლიზიკო ქავთარაძეს სოციალ-დემოკრატიმა აფთონ ნულაძემ. სალოვკაში მომხდარა პატიმრების მასიური ამოწვეტაც შეიარაღებული ბადრაგის მიერ, ვითომდა დაუმორჩილებლობის მიზნით; ადმინისტრაცია ვარაუდობდა, რომ სროლის დროს პატიმრები უნებლიეთ გაიქცეოდნენ, ზურგში ნატყვიარებს კი მასობრივი ურჩობისა და ორგანიზებული გაქცევის საბუთად გამოიყენებდნენ. თავიდან ასეც მომხდარა, მაგრამ მაშინვე ერთ-ერთ პატიმარს დაუყვირია: – შეჩერდით, ხელები მაღლა! დაჭრილ-დახოცილთა უმრავლესობა წინა მხრიდან აღმოჩნდა განგმირული. ამბავი გახმაურდა და მეორე ინტერნაციონალმა⁵³ საკითხი დასვა რუსეთში პოლიტპატიმრების ბანდიტური ყლგეტის შესახებ (უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს საკითხი დასვა არაბოლშევიკური პარტიების გაერთიანებამ). სწორედ ამის შემდეგ გადარჩენილები „სალოვკის“ კატორღიდან წაიყვანეს და იძულებითი შრომა ციხეში იზოლაციით შეუცვალეს.

ყარაბაზის ბანაკში ყოფილა მომცრო ზომის შენობა – საკარანტინო სადგომი, საიდანაც მასიური წამების ისეთი ხმები, უსაშველო გნისი და აღუნერელი, არაადამიანური ღმუილი გამოდიოდა, რომ ადამიანს თმა ყალყზე დაუდგებოდა, კომშარად ჩათვლიდა და არა სინამდვილედ; თუმცა ეს სადგომი დღისით ყოველთვის ცარიელი იყო. როგორც ჩანს, წამების ფაქტებს ხშირად ნიღბავდნენ, მაგრამ, როგორც ქალბატონი ლიზიკო თავის ჩანაწერებში გვიამბობს, პროკლამაციებით

53 მეორე ინტერნაციონალი – სოციალისტური პარტიების საერთაშორისო გაერთიანება; დაარსდა 1889 წ. პარიზში ფ. ენგელსის უშუალო მონაწილეობით.

მაინც ქვეყნდებოდა წამებულთა გმირობის ამბებიცა და წამებით გატეხილთა აღსარებანიც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1937 წელს, მას შემდეგ, რაც სტალინის ხელმოწერით გამოვიდა ბრძანება ფიზიკური ზემოქმედების ანუ წამების საყოველთაო შემოღების შესახებ, ტანჯვის მეთოდებმა „საინკვიზიციო ჯალათობის ხასიათი მიიღო და ფანტასტიკურ ბრალდებათა თავზე მოხვევის, პირადი ანგარიშსწორების მრავალ ფარულ ბოროტმოქმედებათა საყოველთაო საშუალებად იქცა. ამ გაუგებარ საშუალებათა კომპლექსს კი, რითაც “ჩეკა” ახერხებდა გამობრძმედილი რევოლუციონერების გატეხვას და მათ საზღაპრო ამეცყველებას, კურტ ლევინმა⁵⁴ ანთროპოლოგია შეარქვა... ამ ანთროპოლოგიამ თავის კულმინაციას მიაღწია და გადაიქცა ხელისუფალთა პოლიტიკური ბანდიტიზმის, ფალსიფიკაციის, სიყალბის, განუკითხავი ჟღერის საყოველთაო და ერთადერთ საშუალებად. ბუხარინის⁵⁵, ზინოვიევის⁵⁶ და სხვათა საჯარო პროცესები კომმარს უფრო ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს. ამ საინკვიზიციო, და მათ შორის ტელეპათია-ჰიპნოზის, დანაშაულებრივიმეთოდების გულდასმით შესწავლა მომავალი მკვლევარის ამოცანაა“, – წერს ქალბატონი ლიზიკო, იმედს

54 კურტ ლევინი – (1890-1947 წწ.) გერმანელი და ამერიკელი ფსიქოლოგი, ბერლინისა და აშშ სხვადასხვა უნივერსიტეტების პროფესორი, მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ჯგუფური დინამიკის კვლევითი ცენტრის ორგანიზატორი და დირექტორი (1945-47). ექსპერიმენტულად შეისწავლიდა ნებელობას და აფექტს. დაამუშავა პიროვნების კონცეფცია. მან თავის მოსწავლეებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა მოტივაციის თანამედროვე ექსპერიმენტულ კვლევას. ლევინი ჯგუფების ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

55 ნიკოლაი ბუხარინი – (1888-1938 წწ.) საბჭოთა პარტიული მაღალჩინოსანი, გაზეთების – „პრავდა“ და „იზვესტია“ – რედაქტორი, კომინტერის აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელი, დააპატიმრეს ტროცკისტობის გამო.

56 გრიგორი ზინოვიევი – (1883-1936 წწ.) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრი 1917 წლიდან, I ინერნაციონალის ორგანიზატორი და თავმჯდომარე. პარტიიდან გარიცხეს ორჯერ, დააპატიმრეს კონტრრევოლუციური აიტაკვეშა „მოსკოვის ცენტრის“ შექმნის გამო, მოკლეს ციხეში.

არ კარგავს, რომ ყოველივე ამის შესახებ ოდესმე ითქმება ხმამაღალი სიტყვა.

როგორც ვხედავთ, 1937 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბდა საგამომძიებლო და სასჯელალმკვეთი ორგანოების ტანჯვის სხვადასხვა მეთოდზე (მათ შორის გამორიცხული არ იყო ტელეპათია-ჰიპნოზის საშუალება(ც) დაფუძნებული „მწყობრი და შეთანხმებული“ სისტემა. საგამომძიებლო და სასჯელალმკვეთი ორგანოების მეთოდებს შორის მცირე განსხვავება არსებობდა. ციხის ადმინისტრაცია უფრო თავშეკავებული იყო და იძულების საშუალებანიც გარკვეულწილად რეგლამენტირებული ჰქონდა, რასაც ვერ ვიტყვით კატორღებისა და ბანაკების ადმინისტრაციებზე; იმდროინდელ ბანაკთა სისტემის დახასიათებას ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან შემოგთავაზებთ:

„სალაგერო სისტემა ლენინის⁵⁷ სიცოცხლეში არის ჩამოყალიბებული. საბჭოური კატორღის მსგავსი, ბენკენდორფიდან⁵⁸ დაწყებული, რომანოვების⁵⁹ ჯალათებს არც კი დასიზმრებიათ. მაგრამ ვაი, რომ ოცდაჩვიდმეტი წლიდან ლაგერი ისეთ ჯოჯოხეთურ სრულყოფას აღწევს, რომ ადამიანის ნორმალურ ფანტაზიას შესადარინიმუშისგამონახვა გაუჭირდებოდა, თუ ფაშისტურ ლაგერებთან მსგავსებას არ იუკადრისებენ“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

გერმანელების საკონცენტრაციო ბანაკებს ადარებდა საბჭოურ ბანაკებს თამარ წულუკიძეც და ამბობდა, „გერმანელებმა ამათგან ისწავლესო.“

გარდა ტანჯვა-წამებისა, ცენტრს მოშორებულ ამ ორგა-

57 ლენინი – ვლადიმერ ულიანოვი (1870-1924 წწ.) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრკ სახელმწიფოს შემქმნელი, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორი.

58 ალექსანდრე ბენკენდორფი – (1783-1844 წწ.) რუსი სახელმწიფო მოღვაწე, გრაფი, კავალერიის გენერალი, ნიკოლოზ I-ის სამინაო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი გამტარებელი, დეკაბრისტების აჯანყების ჩამხშობი; 1826 წლიდან ჟანდარმერიის შეფი და III განყოფილების უფროსი.

59 რომანოვები – სამეფო გვარი, რომელიც რუსეთს მართავდა 1613 წლიდან 1917 წლამდე.

ნიზაციებში ხდებოდა ადამიანის გაბოროტება, გაცხოველება, პიროვნულობისა და ადამიანური თვისებების წართმევა. ქალბატონი ლიზიკო ქავთარაძის გადასახლების წლებიდან ერთ საინტერესო ეპიზოდს მოგვითხრობს მისი შვილიშვილი რუსუდან ჭუბაბრია:

„ლერწამს ჭრიდნენ, კონებად კრავდნენ და ეზიდებოდნენ და ეზიდებოდნენ. წყალში მდგომს ერთხელ ჩასძინებია და კინალამ გაყინულა კიდეც, მაგრამ დედის თუ დის ხმას გამოუღვიძებია. არ ენერა მაშინ სიკვდილი. საშინლად მძიმე სამუშაო ყოფილა, გამთანგველი და გაუსაძლისი. ლიზიკოს ხერხისთვის მიუმართავს, კონა ზურგზე მოუგდია და ოთხით გაუგრძელებია გზა. „ო, ეს საოცარი ნეტარება იყო; რომ იცოდე, როგორ იოლად მივათრევდი ჩემს ტვირთს; ის იყო, უკვე ფონს გასულს, აღმომჩენის ყიჟინა უნდა ამომხდომოდა, რომ გავშეშდი... ჩემს ირგვლივ ყველა ოთხზე იდგა და ჩემებრ ზურგით ეზიდებოდა ლერწმის კონებსო“. ლიზიკო ფეხზე წამომხტარა და სასიხარულო შვების ნაცვლად განგამის ზარი დაუცია – „ხალხნო, ახლავე ფეხზე დადექით, ჩვენ ხომ ცხოველებს ვემსგავსებითო“.

ვფიქრობთ, ადამიანის ცხოველთან დამსგავსების ყველაზე უმტკივნეულო შემთხვევა მოვიტანეთ; პატიმრის უფლებების შელახვა უფრო მძიმე იერსახესაც იღებდა და, რაც მთავარია, თავად პატიმრებისავე ხელით ხორციელდებოდა ზედამხედველების მიერ მათი თავაშვებული საქციელის გამიზნული მხარდაჭერით. სისხლის სამართლის კოდექსის სათაურის ორი ასოს კომპოზიტი – „ურკა“ – ასეთ პატიმართა, სისხლის სამართლის დამნაშავეთა, შემოკლებულ სახელს წარმოადგენდა. „ურკას“ ციხეში ისეთ პატიმარს ეძახდნენ, რომელიც ციხის უფროსობასთან იყო შეკრული და მის არაკანონიერ, სამარცხვინო დავალებებს ასრულებდა; „ურკები“ ციხეში ჯიბგირების, იაფფასიანი ქურდებისა და დამბეზღებლების როლსაც ითავსებდნენ. ისინი ყველანაირი საშუალებით აღწევდნენ დასახულ მიზანს; იცოდნენ სხვების აბუჩად აგდება, წყენის დამახსოვრება; როგორც ყველა ლაჩარი, „ურკებიც“ თავხედები და უტიფრები იყვნენ, ამავე დროს

მშიშრებიც, ამიტომ ადვილად იჯაბნებოდნენ. ეს „ურკები“ უამრავ მავნებლობასა და ბოროტმოქმედებას სჩადიოდნენ. ლიზიკო ქავთარაძე იხსენებს, თუ როგორ არ აძლევდნენ აბანოში მსახური მამაკაცი „ურკები“ პატიმარ ქალებს ცხელ წყალს და როგორ პარავდნენ მათ ტანსაცმელს. აბანოდან სველი და თანაც ტანსაცმლის სრული კომპლექტის გარეშე გამოსვლა სიკვდილის ტოლფასი იყო. „ურკები“ ხშირად მორალურადაც ანადგურებდნენ პატიმრებს. ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერები „ურკების“ მავნებლობის შესახებ ნათლად წარმოაჩენს არა მარტო ამ ადამიანთა ბოროტმოქმედებას, არამედ იმ სისტემასაც, რომელმაც ეს ბოროტმოქმედები წარმოშვა:

„ლაგერში არა ასი და ათასი მორალურად ჯანსაღი ადამიანი განადგურებულა. არა ასსა და ათას შემთხვევით დამნაშავეს მიუღია პროფესიული წვრთნა, არა ასი და ათასი პოლიტპატიმარი დაღუპულა ურკების ხელით და ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით, ადმინისტრაციის ნება-უნებური ნაქეზებით. ამ საშინელი დივერსიების მოწმეც და ობიექტიც ვყოფილვარ და, თუ დამცალდა, თავის დროზე ვიტყვი“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერები).

პატიმრის ადამიანურ ღირსებებზე საშინელ ზემოქმედებას ახდენდა თავად ციხის სიტუაციაც: უიმედობა, ტუსალების მიერ ერთმანეთის ჩაგვრა, სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მასიური შეტაკებები, „ურკების“ მავნებლობა, ბადრაგის თავზეხელაღებულობა და ა.შ. შეურაცხმყოფელი იყო ყველაფერი – ნარები, რომლებიც მხოლოდ აქტიურებსა და თავზედებს ხვდებოდათ; ადგილისათვის ბრძოლა საკანში; ციხის ზედამხედველი, რომლისთვისაც „პოლოჟენო“ – „ნე-პოლოჟენოთი“ ისაზღვრებოდა საზოგადოებრივი და ადამიანური ფასეულობანი; ბალანდა⁶⁰, რომელიც სადილის ცნებას დაგავიწყებდა (რის ნარჩენს აღარ აღმოაჩენდი მასში); კარადა-საკანი – უსარკმლო, ვინრო, ფეხზე სადგომი ოთახი – სპეციალური დასასჯელი ისედაც განამებული პატიმრისათვის;

60 ბალანდა – რუსულიდან: ფქვილით შესქელებული და გაცივებული, ერთმანეთში არეული ჭარხლის ღეროების ნახარში და ბურახის შეჭამანადი, აქ: ცუდი, უგემური საჭმელი.

„კავერე“ – ციხის „культурно воспитательная часть“, სადაც აღმზრდელებად რეციდივისტები და თავიდან ფეხებამდე გარყვნილი ნაძირლები მუშაობდნენ, და კიდევ რამდენი ასეთი მსხვილმანი თუ წვრილმანი.

საბჭოთა ციხეების სპეციფიკაზე ზედგამოჭრილ, ზუსტ შთაბეჭდილებას გვიქმნის ციხეთა სახელწოდებებიც, რომლებიც ამ ციხეებმა მეფის რუსეთისაგან მემკვიდრეობით მიიღეს და ტანჯვის სასტიკი მეთოდების გაძლიერებით გადააჭარბეს კიდევ მემკვიდრეობით მიღებულს. ეს ციხეებია „ეკატერინკები“ და „სტოლიპინკები“.

ციხეები

„ეკატერინკები“ რუსეთის სხვადასხვა მხარეში მეფის მთავრობის დროს აშენდა; კორპუსების განლაგება რუსული E-ს კონფიგურაციისაა, აქედან მიიღეს ეს სახელწოდებაც. ქალბატონი ლიზიკო ქავთარაძე ასე ახასიათებს მათ: „მიხვეულ-მოხვეული, გულსაკლავად ერთნაირი, ყრუ, ჩაკეტილ-ჩარაზული კარებებით. ნესტის მომწვანო ხაოთი გადაკრული რუხი კედლები; ქვას რომ ხელი ახლო, ასეული წლების ნაღეჯი, ტენიანი წვირე აგყვება ... რუსეთის იმპერატორები და მათი დიდი მოურავები სახელის უკვდავებას გალია-დილეგებშიც იმკვიდრებდნენ ...“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

„სტოლიპინკები“ იმპერატორების დიდი მოურავის „საპატივცემულოდ“ შეარქვეს განსაკუთრებულად რეაქციული ხასიათის ციხეებს. პეტრე არკადის ძე სტოლიპინი⁶¹, 1906 წლიდან რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, ცნობილია, როგორც 1905-1907 წლების რევოლუციების სისასტიკით ჩამხშობი. მან მთელი რუსეთი სახრჩობელებით აავსო, რომელთაც „სტოლიპინის ჰალსტუხები“ შეარქვეს.

61 პეტრე არკადის ძე სტოლიპინი – (1862-1911 წწ.) რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი 1907-1911 წწ. აგრარული რეფორმის ხელმძღვანელი, რომელიც სტოლიპინის რეფორმების სახელითაა ცნობილი.

მეფის მთავრობის ნამოღვაწარი „ღირსეულად“ აითვისა საბჭოთა იმპერიამაც, რომლის ბრძოლის ძირითად მიზანსაც კლასთა თანასწორობა წარმოადგენდა; მაგრამ ერთხელ მაინც რომ გენახათ საბჭოური მართლმსაჯულებისა და ციხე-ბანაკების მიერ განადგურებული, უღმერთოდ პატივაცარილი ადამიანი-მონა, საკმარისი იყო, რომ სამუდამოდ დაგეკარგათ მადა კლასთა ბრძოლის ბოლშევიკური ყალიბის „რომანტიკისა და რევოლუციური ტერორის დიდი სისპეტაკისა“. მაღალმხატვრულად, თან წინასწარმეტყველური დატვირთვით განმარტავს დიქტატურის ტერორს ლიზიკო ქავთარაძე:

„რარიგ ამაღლებულ მიზანსაც არ უნდა ისახავდეს დიქტატურის ტერორი, იგი სრულიად სანინალმდეგო შედეგს იღებს ... დიქტატურის ტერორს, როგორც საერთოდ სტიქიონს, თავისი გაქანების უმაღლესი ბალი გააჩნია, თავისი საბედისწერო კულმინაცია. მან არ იცის ზომიერება, რომ შენელდეს, კვლავ მეტი სიფრთხილითა და სისასტიკით აინთება. არის რომელიღაც ჯიშის მორიელი – კუდს მოიქნევს და საკუთარ თავსაც დაგესლავს. დიქტატურის უკუქცევითი მოქმედება – შხამიანი კუდის მოქნევა – ფაშისტებმა, იაკობინელებმა და ბოლშევიკებმაც საკუთარ სხეულზე განიცადეს“. 1937 წელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოქმედი კუდი მორიელს, ჯერ წინ იყო დაპატიმრებათა ახალი ნაკადები, საბჭოთა მართლმსაჯულების „საარაკო“ საქმეები.

ეტაპი

საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემას სრულყოფილად ვერ დავახასიათებთ, თუ არ ვისაუბრებთ ეტაპზე, დასჯის საშუალებათა განუყოფელ ნაწილზე. მიუხედავად ციხის საშინელი პირობებისა, საკანში ყოფნა პატიმარს დიდ კეთილდღეობად მიაჩნდა, ვიდრე გაუთავებელი ეტაპები, ერთი ციხიდან ან ბანაკიდან მეორეში გადასვლა-გადაბარგება ყოველგვარი მიზეზის გარეშე. ჩვენ დავადგინეთ იმ ციხე-

ბანაკთა თანმიმდევრობა, რომლებშიაც თამარ წულუკიძე და ლიზიკო ქავთარაძე ეტაპით გადაჰყავდათ:

პირველი გადასახლება ქალბატონმა თამარმა ქალაქ ენისე-ისკში გაატარა (1931-1934 წწ). მეორედ 1937 წელს დააპატიმრეს და გაგზავნეს ტომსკის საკონცენტრაციო ბანაკში, რომელიც ენისეისკიდან 150-200 კმ-ით დაშორებული, რამდენიმე ბანაკისაგან შედგებოდა და წარმოადგენდა ტყეში გაშლილი კარვების ერთობლიობას. აქ მან დაჰყო 1948 წლამდე. ამის შემდეგ, მესამე გადასახლებაში, 1949-1954 წლებში, ეტაპით მოიარა სხვადასხვა ციხე-ბანაკი: ბაქოს⁶² ციხე, როსტოვის ციხე,⁶³ მოსკოვის ციხე „ბუტირკა“⁶⁴ (გადამანაწილებელი პუნქტი), კუიბიშევის⁶⁵ ციხე, სვერდლოვსკის⁶⁶ ციხე, კრასნოიარსკის⁶⁷, სადაც მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, ალან-უდეს⁶⁸ ბანაკი, ირკუტსკის⁶⁹ ბანაკი, იგარკა⁷⁰. ამ უთავბოლო მარშრუტის გავლას მან ერთი წელი და ორი თვე მოანდომა. დიდი ბრძოლის შემდეგ მისცეს შუა აზიაში ქმართან გადასვლის უფლება. მისი მეუღლე მესამე გადასახლებას

62 ბაქო – აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქი.

63 როსტოვი – ქალაქი რფ ცენტრალური ევროპის ნაწილში, მდ. დონის ნაპირზე.

64 ბუტირკა – მოსკოვის გამანაწილებელი ციხის სახელწოდება; ფუნქციონირებდა მე-17 საუკუნის 80-იანი წლებიდან; მდებარეობდა მოსკოვის გარეუბანში, კარიბჭესთან, და ციხე-სიმაგრის მნიშვნელობა ჰქონდა. 1879 წელს მის ადგილზე ახალი ციხე ააგეს. ამ ციხეში სხვადასხვა დროს მსხდარან: ემილიანე პუგაჩოვი, ხალხოსნები, მოროზოვის აჯანყების მონაწილენი, ბოლშევიკები, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ფელიქს დერჟინსკი და თითქმის ყოველი მეორე საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

65 კუიბიშევი – ქალაქი რფ-ში, შუა ვოლგისპირეთში, ამჟამად ქ. სამარა.

66 სვერდლოვსკი – ქალაქი რფ-ში, შუა ურალში, ამჟამად ეკატერინბურგი.

67 კრასნოიარსკი – ქალაქი რფ-ში, დასავლეთ ციმბირში, მდ. ენისეის ნაპირზე.

68 ალან-უდე – ქალაქი რფ-ში, ბურიატიის ასსრ, ბაიკალის ტბასთან ახლოს.

69 ირკუტსკი – ქალაქი რფ-ში, ციმბირში მდ. ანგარის ნაპირზე.

70 იგარკა – ქალაქი რფ-ში, ჩრდილო-დასავლეთ ციმბირში, მდ. ლენაზე.

ჯამბულის ოლქში⁷¹, სოფ. მიხაილოვკაში, იხდიდა. ამ სოფელში მათ ააშენეს ქოხი და ცხოვრობდნენ უიმედოდ, რადგან სამუდამო გადასახლება ჰქონდათ მისჯილი.

ქალბატონი ლიზიკო ქავთარაძე თავდაპირველად 1928 წელს სოხუმის ჩეკაში აიყვანეს, სადაც სამი თვე იმყოფებოდა; შემდეგ ფოთის ციხის გავლით მეტეხის საპყრობილში გადაიყვანეს გამოძიების ჩასატარებლად; 1929 წელს ტომსკში გადასახლეს, ტომსკიდან – ნარინის მხარეში, სოფელ კოლპაშოვოში, 1932 წელს კურსკის⁷² ციხეში იმყოფებოდა, 1933 წელს – ვორონეჟის⁷³ ჩეკაში; 1936 წელს გაათავისუფლეს, 1940 წელს კი ხელახლა დააპატიმრეს. მეორე გადასახლების დროს მან მოიარა შემდეგი ციხე-ბანაკები: პეტროპავლოვსკის⁷⁴, ვორონეჟის, ყარაგანდის ოლქის⁷⁵ სოფ. ყარაბაზის ბანაკი, მოსკოვის ციხე – „ბუტირკა“, აკმოლინსკის⁷⁶ ბანაკი და სოფ. კოკჩეტავი⁷⁷, სადაც ის უკვე თავისუფალ გადასახლებაში იმყოფებოდა.

როგორც ვხედავთ, გადასახლებულებს მუდმივად უწევდათ ეტაპით გადაადგილება ერთი ციხიდან მეორეში, ბანაკიდან ბანაკში; განუსაზღვრელი იყო ამ გადაადგილებათა მიმართულება, მიზანი, აზრი. თუ გავანალიზებთ, ეს უნდა ყოფილიყო დასჯის ერთ-ერთი მძიმე ფორმა, რომელიც პატიმარს სულ მცირეოდენ კეთილდღეობასაც ართმევდა – გარემო პირობებისადმი შეგუების შესაძლებლობას.

პატიმარი არ უნდა შეჩვეოდა ერთ ადგილს, არ უნდა მოესვენა, მუდამ გადაადგილებაში უნდა ყოფილიყო, ხან – აქეთ, ხან – იქით, ხან ერთ ციხეში, ხან – მეორეში, ვიდრე

71 ჯამბულის ოლქი – ყაზახეთის სამხრეთი რეგიონი.

72 კურსკი – ქალაქი რფ-ში, ცენტრალურ ევროპულ ნაწილში.

73 ვორონეჟი – ქალაქი რფ-ში, ცენტრალურ ევროპულ ნაწილში.

74 პეტროპავლოვსკი – ქალაქი რფ-ში, კამჩატკის ოლქის ცენტრი, ნავსადგური წყნარი ოკეანის ავაჩის უბეში.

75 ყარაგანდის ოლქი – რეგიონი ყაზახეთის რესპუბლიკაში.

76 აკმოლინსკი – ქალაქ ცელინოგრადის სახელწოდება იყო 1961 წლამდე, ყაზახეთის რესპუბლიკაში.

77 კოკჩეტავი – სოფელი ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ მხარეში.

ათასი კილომეტრებით არ მოწყდებოდა თავის სამშობლოს და არ ჩაიკარგებოდა რუსეთის ჯოჯოხეთურ უფსკრულში. ეტაპი ციხეში მჯდომსაც უწევდა და თავისუფალ გადასახლებაში მყოფსაც:

„ჩვენი უმონყალო დევნის სიდუხჭირეს აორმაგებდა ადგილ-სამყოფელის გაუთავებელი ცვლა. ათეული წლობით სამშობლოსა და ოჯახისაგან მოწყვეტა არ კმაროდა, მანანნალა-ბოგანოსავით გვახეტიალებდნენ. ისედაც ვაინარულ საყოფაცხოვრებო ბაზას ძლივს შეაკონინებდი და კვლავ უნდა აყრილიყავი, გულიდან მოგეგლიჯა ჩასახული მეგობრობა, კეთილი ამხანაგობა, ნაცნობობა, კვლავ სამუშაო უნდა გეძებნა, ძნელად შესაძენ საოჯახო წერილმანებზე უნდა გეზრუნა და ა.შ. ეს იყო ჩვენი უსინდისოდ წვალეობა, რომლის მსგავსსაც იმპერიის პენიტენციარულ პრაქტიკაში ადგილი არა ჰქონია“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერები).

ქალბატონი ლიზიკოს ჩანაწერები შესანიშნავად გვიხატავს არა მარტო პატიმრის გაუსაძლის მდგომარეობას ეტაპის დროს, არამედ დასჯის ამ სასტიკი მეთოდის ჭეშმარიტ არსს:

„ეტაპი არის განადირება და სასონარკვეთა გალიაში მომწყვედეულისა, შიმშილი, წყურვილი და განგაში საპირფარეოში გასვლისა, სიმწარე, დამცირება, სირცხვილი კუჭის აშლისა, შარდის მოძალებისა...“

საბჭოურ ეტაპში, სადაც კონდენსირებულია ჩვენი ცხოვრების ყოველგვარი უბედურება-უკუღმართობა, პატიმარი პირწმინდად გაჯავშნულია და ეს უსაშველო დაუცველობა, სრული სიშიშველე უმწარესი განსაცდელია თანამედროვე ცივილიზებული ადამიანისათვის.

ეტაპში მხოლოდ ერთი რამ სუფევს: მორჩილება, მორჩილება და მხოლოდ მორჩილება. სად არის საზღვარი? ხომ უნდა იყოს სადღაც? ბადრაგის ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა სრულდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბადრაგი გესვრის გაუფრთხილებლად. ეს არის და ეს. არსად ჩანს უზენაესი კანონის ძალა, რომლის წინაშე ყველა თანაბრად ვალდებულია ...“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ეტაპს მრავალი ადამიანი შეენირა. ქართველი მანდილოსნებიდან ჩვენ გამოვყოფთ მაცვალა რატიანსა და ლიკო ხუციშვილს. მაცვალა რატიანი ოლია მესხის მეგობარი იყო, ქალბატონი ოლიასაგან განსხვავებით, პოლიტიკურად მომზადებული და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი. ოლია მესხმა და მაცვალა რატიანმა ერთად დაამთავრეს სამედიცინო ინსტიტუტი. ორივე საგარეჯოში გაანაწილეს. ოლია მესხის დაპატიმრების შემდეგ მასაც იგივე ბედი ელოდა, ამიტომ ახლობლებმა ემიგრაციაში წასასვლელად გაამზადეს; მაგრამ ქალბატონ მაცვალას ოლია მესხის დაპატიმრება თავის პირად დანაშაულად მიაჩნდა და ელოდა მეგობრისათვის განაჩენის გამოტანას; თუ ოლიას გაათავისუფლებდნენ, თანახმა იყო – ემიგრაციაში წასულიყო, თუ არა და – არა. ქალბატონი ოლია გადაასახლეს; მაცვალა რატიანი კი თავისი ფეხით გამოცხადდა მილიციის განყოფილებაში და განაცხადა, ოლია მესხი დამნაშავე არ არისო. რა თქმა უნდა, ისიც დაიჭირეს და გადაასახლეს. მოხდა საოცრება, მეგობრები ერთად აღმოჩნდნენ გადასახლებაში – ნარიმის მხარეში, იქ დაბადებულ ქალბატონ თინას კი ერთის მაგივრად ორი დედა ჰყავდა. ქალბატონი მაცვალა მეორედ დააპატიმრეს 1945 წლის ბოლოს; გადასახლებიდან იგი აღარ დაბრუნებულა, ეტაპის დროს გარდაიცვალა კუჭ-ნაწლავის დაავადებით.

ქალბატონი ოლიას მეუღლეც – ნესტორ იმნაიშვილი – ვარაუდით ეტაპის დროს უნდა გარდაცვლილიყო, რადგან სხვადასხვა ციხეში გაგზავნილ შეკითხვაზე მისი გარდაცვალების დამადასტურებელი პასუხი არ მოსვლიათ.

1927 წელს თავისუფალ გადასახლებაში, მარიუპოლში⁷⁸, ეტაპით მიჰყავდათ ლიკო ხუციშვილი. ყელის ქლექით მძიმედ სწეული სამგზავრო ვაგონით სამი ჯარისკაცის თანხლებით მგზავრობდა. ავადმყოფობა „ფორმულიარშიც“ შეეტანათ და სახეზედაც ეწერა პატიმარს. სიცხისაგან გათანგულს გუშაგი საპირფარეოში შეჰყვა და პირისპირ გაუჩერდა. აღშფოთებული

78 მარიუპოლი – ქალაქ უდანოვის სახელწოდება 1948 წლამდე, უკრაინაში, დონეცკის ოლქში. ამჟამად კვლავ მარიუპოლი.

ლიკო უკან გამოტრიალდა. ორი დღის განმავლობაში ერთი და იგივე მეორდებოდა. უკვე მონამღვლმა ქალმა სადგურზე ჩასვლისას ბაქნის საპირფარეშოს მიაშურა, ფართობი გაითვალისწინა. სალდათის თანხლებით შესულს ქალები საცემრად ეცნენ – როსკიპი ეგონათ; მაგრამ, როდესაც გაერკვნენ, ცოცხალი კედლით დაიფარეს და სალდათს – ეტაპის ამ განუკითხავ ბატონ-პატრონს – მუჯღუგუნით უკან დაახევინეს (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ლიკო ხუციშვილის, მოკრძალებული და ვაჟკაცი ქალის, ცხოვრების ეს მტკივნეული ეპიზოდი ნათლად წარმოგვიდგენს, თუ რა დიდი შეურაცხყოფა და უბედურება იყო პატიმრისათვის ეტაპი, მით უმეტეს, რომ ეტაპებში უფრო დიდი ბოროტმოქმედებაც ხდებოდა, ვიდრე ზემოთ აღწერილი ამბები. არსებობდა დახურულვაგონებიანი სპეცემელონებიც; ეტაპის დასაწყისიდან მატარებელი საგზაჯვარედინო ინტერვალების გარეშე ერთი მიმართულებით მიემართებოდა; კარებს დროგამოშვებით ალებდნენ და მკვდრები გაჰქონდათ. ხმელი ულუფა წინასწარ იყო დარიგებული, „კლოზეტი“⁷⁹ იქვე კუთხეში გაჭრილი, რა თქმა უნდა, ტიხარიც კი არ არსებობდა, რადგან საქონელს არც რიდი და აღარც პატივი არ უნდა ჰქონოდა (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

შიში

სამართალდამცავი ორგანოების ტანჯვის სხვადასხვა მეთოდზე დაფუძნებული სისტემა ხელისუფლების მთავარი საყრდენი ძალა იყო. ამ ორგანოებში მოხვედრილი ადამიანი ან ფიზიკურად ნადგურდებოდა, ან არა და სამუდამოდ კარგავდა პიროვნულობას, უმრავლესობა მონასავით მორჩილი და უტყვი ხდებოდა, ან ორგანოებთან თანამშრომლობას იწყებდა და ჯა-

79 კლოზეტი – (ინგლის.) საპირფარეშო, რომელსაც აქვს წყლით ჩასარეცი მონყობილობა.

შუშობის გზას ადგებოდა. მხოლოდ მცირეოდენს შესწევდა ძალა, ამ სიბინძურეში არ ამოსვრილიყო, ყველაფრისათვის გაეძლო ისე, რომ თავის სინდისთან სუფთა დარჩენილიყო, თუმცა ორგანოები ყველა ადამიანს – უნესოსა თუ წესიერს – სამუდამო დაღს ასვამდნენ, მთელი ცხოვრების განმავლობაში უტოვებდნენ ხელმეორედ დაპატიმრების, დამცირების, შიშის განცდას.

ეს განცდა თან ახლდა ჩვენი სამივე რესპონდენტის გადასახლების შემდგომდროინდელ, უკვე რეაბილიტირებულ ცხოვრებას. ეს განცდა გამოხატული იყო შიშით გამოწვეულ პასიურობაშიც და შიშის დაძლევით მოპოვებულ აქტიურობაშიც.

გადასახლებიდან დაბრუნებული თამარ წულუკიძე საერთოდ არ საუბრობდა იქ გატარებულ წლებზე, „რაც ნაკლებს ვილაპარაკებთ ამ თემაზე, ის აჯობებსო“. მოგვიანებით, როდესაც შვილს – ნათელა გობრონიძეს – შეუთავაზებია ქალბატონი თამარისათვის, თავისი მეგობრის – ლიზიკო ქავთარაძის – მსგავსად მოგონებები დაენერა და ოჯახისათვის მაინც შემოენახა, ქალბატონ თამარს უპასუხია: „არ არის საჭირო, ლიზიკო ქავთარაძის უკან არავინ დგას, მე კი თქვენ მყავხართო; ესენი (კომუნისტებს გულისხმობდა) როდის რას მოიმოქმედებენ, როდის გამოიყენებენ ამ ჩემს ნაწერებს და თქვენ რას გიზამენ, არავინ იცისო, თქვენ არ იცნობთ ამათ, ვერც კი წარმოგიდგენიათ, რისი გამკეთებლები არიანო“. ხანდახან დაიწყებდა ხოლმე ქალბატონი თამარი რალაცის გახსენებას, მერე უცებ იტყოდა – „НЕ СТОИТ“ – და შეწყვეტდა.

ქალბატონი თამარის შიში ერთ, ამჟამად სიცილით მოსაგონარ, ეპიზოდშიც გამომჟღავნდა. სახელგამში⁸⁰ შვილი-შვილს ბებიისათვის უთხოვია, ლენინის სურათი მიყიდეო. ქალბატონი თამარი შეეცადა, გადაეთქმევინებინა მისთვის – ჩვენ გვაქვს ასეთი სახლშიო; ბავშვი გაურჩებულა, დაჟინებით მოითხოვდა ლენინის სურათს. სიტუაცია უცნობ კაცს შეუნიშნავს და ქალბატონი თამარისათვის რჩევა მიუცია, აუცილებლად ეყიდა. თამარ წულუკიძე, რომელიც ფიზიკურმა

80 სახელგამი – სახელმწიფო გამომცემლობა, წიგნის მალაზიების ქსელი საბჭოთა კავშირში.

ნამებამ ვერ შეაშინა, უცებ შეშინებულა, იქნებ ვინ არის ეს კაციო და ლენინის სურათი უყიდია.

უცნაური შიში ბავშვობიდანვე ჩაენერგა ქალბატონი თამარის ქალიშვილს – ნათელა გობრონიძესაც; სიტყვა „პოლიტიკის“ გაგონებაც კი არ სურდა, უნდოდა, მუდამ იზოლირებული ყოფილიყო; ეშინოდა, შემთხვევით რამე არ ნამოსცდენოდა. გამიზნულად შევიდა პიონერულ ორგანიზაციაშიც⁸¹, კომკავშირშიც⁸², რომ თავისი თავისთვის როგორმე რეაბილიტაცია გაეკეთებინა. ერთადერთი პროტესტი სტალინის სიკვდილთან დაკავშირებით გამოხატა. მისი მეგობრები ტიროდნენ, მას კი ცრემლი არ გადმოვარდნია, რადგან კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ პირადად ამ აღამიანმა დაუნგრია მას ცხოვრება. სხვებმა თუ გვირგვინი შეუკვეთეს და გლოვის გამოსახატავად „ალექსანდროვის“ ბალისაკენ⁸³ გაემართნენ, ნათელა გობრონიძემ ის დღე თეატრში გაატარა. იმ დროიდან მოყოლებული ქალბატონი ნათელა დღესაც არ საუბრობს პოლიტიკაზე. რა თქმა უნდა, დღევანდელ დღეს მას აღარავისი ეშინია, მაგრამ თავის შეკავება მისთვის უკვე ჩვეულებად ქცეულა; „ადრე კი შიში მქონდა; მქონდა სულ ყოველთვის: სტუდენტობის დროს, სამსახურში. იცი, როგორ მქონდა? აქტიური არ ვიყავი, უკან დახეულივით ვიყავი ყოველთვის; არ მინდოდა, რომ რამეში გამოვჩენილიყავი. კრება იყო თუ სხვა რამე, არასოდეს სიტყვით არ გამოვდიოდი“, – მოგვითხრობს ნათელა გობრონიძე (ინტერვიუ ნათელა გობრონიძესთან).

ხელმეორე დაპატიმრების შიში მუდამ თან სდევდა ოლია მესხსაც და მას ამის რეალური საფუძველი ჰქონდა.

81 პიონერული ორგანიზაცია – ბავშვებისა და მოზარდების კომუნისტური ორგანიზაცია საბჭოთა კავშირში, შეიქმნა 1922 წ.

82 კომკავშირი – ახალგაზრდათა ლენინურ-კომუნისტური კავშირი საბჭოთა კავშირში, შეიქმნა 1918 წ.

83 „ალექსანდროვის“ ბალი – ბალი თბილისში, რუსთაველის გამზირსა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შორის, სადაც 1956 წ. მარტში გაიმართა სტალინის ხსოვნისადმი მიძღვნილი დემონსტრაცია, რომლის მონაწილეები დახვრიტა საბჭოთა ხელისუფლებამ, ამჟამად დედა-ენის ბაღი.

გადასახლებიდან დაბრუნებული ქალბატონი ოლია ჯერ მე-
ულლის სოფელ შუხუთში დასახლდა, რადგან თბილისში
ცხოვრებისა და მუშაობის უფლება არ ჰქონდა; მეზობელ
სოფელ ჩოჩხატში ექიმად მოენყო, მაგრამ სამუშაო ადგილზე
დიდხანს არ დარჩენილა, საცხოვრებელი შეიცვალა და იმე-
რეთში, სოფ. თერჯოლაში, გადავიდა (ადგილმდებარეობას
ყოფილი გადასახლებულები ხშირად იცვლიდნენ, რათა „ჩე-
კასთვის“ თავიანთი გზა-კვალი აერიათ). თერჯოლაში ქალ-
ბატონ ოლიას ჰყოლია 18 წლის ექთანი თამარ კაპანაძე,
რომლის ძმაც თურმე ორგანოში მუშაობდა. გვიან ღამით
თამარს ქალბატონი ოლიასათვის შეუტყობინებია, რომ დილით
მას დაიჭერდნენ. ოლია მესხის ძმას სასწრაფოდ ღამითვე
უშოვია ურემი, დაუნვენია ზედ და, ვითომ თრომბოფლებიტის
შეტევა ჰქონდა, თბილისში წამოსულან. „აღბათ დედა რომ
არ დახვდებოდათ, მის მაგივრად სხვას დაიჭერდნენ“, –
მოგვითხრობს თინათინ იმნაიშვილი, – „მაშინ ხომ ასე იყო,
გეგმა ჰქონდათ, რამდენი უნდა დაეჭირათ, თუ – ვინ, ამას დიდი
მნიშვნელობა არ ჰქონდა. დედა უბრალოდ ადვილი დასაჭერი
იყო, როგორც უკვე გადანასახლები“. ამის შემდეგ ოლია მესხი
კარგა ხანს რაჭაში აფარებდა თავს. იქ ის არ მუშაობდა;
იმალებოდა, რათა ხელახალი დაპატიმრება აეცდინა. მერე,
ომის დაწყებამდე ლუქსენბურგში, დღევანდელ ბოლნისში,
დაიწყო მუშაობა, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას გერ-
მანელები წარმოადგენდნენ; შემდეგ კი დიდი რისკის ფასად
თბილისში გადმოიყვანა მისმა ყოფილმა ლექტორმა – ლუკა
ცაგარელმა, რითაც (გადასახლებულის მფარველობის გამო)
თავადაც ჩაიგდო თავი საფრთხეში. ქალბატონ ოლიას მისადმი
მადლიერების გრძნობა მთელი ცხოვრების განმავლობაში
გაჰყვა. მან ნათლად აღიქვა, რომ ბატონი ლუკას საქციელი
მაშინ გმირობის ტოლფასი იყო. ოლია მესხის თვალწინ და
მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა გერმანელების აყრა
ლუქსენბურგიდან და მათი შუა აზიაში გადასახლება. ოლია
მესხს ებრძანა, ეტაპით გაჰყოლოდა მათ, როგორც ექიმი.
არც უარმა, არც მცირეწლოვანი ბავშვის ყოლამ არ გაჭრა.

ბავშვი KFB-ს სკოლა-ინტერნატში გადაიყვანეს, ოლია მესხი კი ეტაპით გაისტუმრეს. საბოლოოდ ქალბატონი ოლია გადაურჩა ხელმეორე დაპატიმრებას, მაგრამ დაჭერის შიში სულ მუდამ ჰქონდა. დედის ეს განცდა მემკვიდრეობით ერგო ქალიშვილსაც. „მახსოვს, როდესაც სკოლას ვამთავრებდი“, – გვეუბნება თინათინ იმნაიშვილი, – „50-იანი წლების დასაწყისში დაინყო ტყვედნამყოფი და გადანასახლები ოჯახების ხელმეორე დაპატიმრება. სკოლიდან და მერე უკვე უნივერსიტეტიდანაც სირბილით მოვდიოდი სახლში, მეშინოდა, რომ დედა აღარ დამხვდებოდა, წაიყვანდნენ და მე დამტოვებდნენ. დედა სულ მეუბნებოდა: მე თუ გამამასახლებენ, შენ უნდა დარჩე, შენ უნდა ისწავლო. დედას დიდი ოჯახი ჰქონდა, 9 და-ძმა ჰყავდა, ისე რომ, თავისუფლად შეეძლო ჩემი დატოვება მათთან... ვხედავდი, რომ ხელმეორედ დაიჭირეს ლიზიკო დეიდა (ლიზიკო ქავთარაძე), მაყვალა დეიდა (მაყვალა რატიანი), ლევან ბიძია (ლევან გოთუა); მეშინოდა, რომ დედასაც დაიჭერდნენ და საერთოდ აღარ გავდიოდი სახლიდან. მუდამ მქონდა დედის დაკარგვის შიში. ასევე იყო დეიდაჩემიც – დედას უფროსი და; ყოველ დილით მოდიოდა ჩვენთან და გვამონმებდა, ხომ არ წაგვიყვანეს; მერე თავის ქალიშვილთან მივბოდა, რადგან სიძე ჰყავდა ტყვედნამყოფი ომის დროს“.

ქალბატონ თინათინს კარგად ახსოვს ახალგაზრდა, ქერა, ხუჭუჭთმიანი, ცისფერთვალეა ყმანვილი, რომელიც ფეხდაფეხ დაჰყვებოდა დედამისს; სპეციალურად ჰყავდა მიჩენილი და ერთ წუთს არ შორდებოდა. ქალბატონი ოლია მაშინ უბნის ექიმი იყო და ავადმყოფებთან უხდებოდა ბინებზე სიარული, ისიც სულ უკან დაჰყვებოდა; ფანჯრიდან ჩანდა, თუ როგორ ელოდებოდა ეზოში, ბოძზე მიყუდებული.

როგორც ვხედავთ, ჩვენს რესპონდენტებს მთელი ცხოვრების განმავლობაში ჰქონდათ შიშის განცდა და ამ განცდის რეალური საფუძველი არსებობდა. ომის შემდგომ პერიოდში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კვლავ შეუპოვრობით შეუდგა სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის გატარებას. რეპრესიები გატარდა ყველა სფეროში. მათი მიზანი იყო

პარტიული დოგმებისადმი მონური მორჩილება და თავისუფალი აზრის ჩახშობა. საბჭოთა რეჟიმის პირველი დღიდანვე ქართული ინტელიგენცია „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ ბუდედ იყო გამოცხადებული და ხორციელდებოდა მისი „წმენდა“; ეს პროცესი ომმა ბუნებრივად გააგრძელა; ომის შემდეგ კი, იმის მაგივრად, რომ ქვეყანას დაესვენა, კვლავ წინა პლანზე დადგა ინტელიგენციის „წმენდის“ საკითხი. გადასახლებას დაექვემდებარა ყველა ოჯახი, რომლის წევრი ან ტყვედ იყო ნამყოფი 1941-1945 წლების ომში, ან ნათესაურად დაკავშირებული ქართულ ემიგრაციასთან. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში ჩააყენეს სარკინიგზო ეშელონები. ყველაზე დიდი ოპერაცია 1951 წლის 25 დეკემბერს განხორციელდა. 20 ათასამდე ქართველი წინასწარი გაფრთხილების გარეშე ჩაყარეს ვაგონებში და შუა აზიაში გადასახლეს. ამ გადასახლებას გადაურჩა ოლია მესხი. მართალია, გადასახლების შიში მას ადრეც ჰქონდა, მაგრამ ამ წლებში ხელმეორედ გადასახლების იმდენად დიდი საფრთხის წინაშე იდგა, რომ აღარც დამალულა, ელოდა დაპატიმრებას და შვილსაც წინასწარ ამზადებდა ამ განსაცდელისთვის.

1951 წელსვე დაიწყო ქართველი ხალხისათვის საბედისწერო ე. წ. „მეგრელთა საქმე“, რაც 1948 წელს უკვე მესამედ გადასახლებული თამარ წულუკიძის სამუდამო გადასახლების მიზეზად იქცა. ეს ოპერაცია შემზადდა ბერიას წინააღმდეგ. მეგრული წარმომავლობის ხელმძღვანელ მუშაკებს ბრალი დასდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოყოფისა და თურქეთთან შეერთების მცდელობაში. მეგრელთა ჯგუფის ლიკვიდაციის ოპერაციას საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ნ. რუხაძე ხელმძღვანელობდა, რომელიც 1955 წელს დახვრიტეს. პროვოკაციული მონაწილის საფუძველზე სახელი გაუტეხეს მეგრელ ფუნქციონერებს და დააპატიმრეს. ეს სამარცხვინო კამპანია მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდგომ დასრულდა; მან მრავალი მეგრელი თუ არამეგრელი უდანაშაულო ქართველი შეინირა. ჩვენ არ შევეუდგებით გადასახლების ყველა იმ ნაკადის ჩამოთვლას,

რომელიც 37-54 წლებში განხორციელდა; უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ამ პერიოდში გაცილებით დიდი იყო პროვოკაციული ბრალდებისა და გადასახლების ალბათობა, ვიდრე მანამდე, 21 წლიდან 37 წლამდე. ამიტომ, ბუნებრივია, რომ საზოგადოებაში იყო შიშის ფაქტორი და არსებობდა ე. წ. მასიური ხასიათის შიში; არც ერთი ფენა და ასაკი არ იყო დაზღვეული მისგან. ეს შეეხებოდა უკვე გადასახლებულებსაც და გადასახლების მოლოდინში მყოფთაც. ეს არ იყო პიროვნული ტანჯვა-წამებით გამოწვეული შიში, ეს იყო მასობრივი შიში შვილთა თაობის, რომ წაართმევდნენ მშობელს; უფროსი თაობის – რომ მათ შვილებსაც იგივე ბედი მოელოდათ; შიში არ გამქრალა არც 1954 წლის შემდგომ, მან ამგვარი ფორმულირება მიიღო – *„ესენი როდის ვის რას გაუხსენებენ, არავინ იცის“*. ამ შიშისგან დაზღვეული, მით უმეტეს – გასახლებული ადამიანი, ძნელად თუ მოიძებნება; მასზე აუცილებლად აისახება გამოვლილი ცხოვრების, გადახდენილი უბედურების კვალი და მისი უშიშრობაც, აქტიური ცხოვრება და შემართება შიშთან ბრძოლის, მისი დაძლევის მცდელობა უფრო მგონია, ვიდრე საერთოდ მისი უგულებელყოფა.

ლიზიკო ქავთარაძის პიროვნებამ ამ მხრივაც გადააჭარბა ჩვენს მოლოდინს. უაღრესად საინტერესოდ, რეჟისორის თვალით დანახული დეტალების გათვალისწინებით აღწერს გია ჭუბაბრია დეიდის დაბრუნებას გადასახლებიდან. 19 წლის ბიჭმა გადანყვიტა, 16 წლის უნახავ დეიდას მანამ შეხვედროდა, სანამ ის თბილისში ჩამოვიდოდა. ამ მიზნით ჩავიდა გორში და მატარებელს იქ დაელოდა; იცოდა, რომელი ვაგონითაც მგზავრობდა დეიდამისი, თან მისი ახალგაზრდობის სურათიც ჰქონდა, მაგრამ საკმაოდ ხანდაზმული ქალბატონი რომ ბრუნდებოდა, ესეც მშვენივრად ჰქონდა გაცნობიერებული. *„დავდივარ კუპებს შორის და ვაკვირდები მგზავრებს, – იხსენებს ბატონი გია, – ვიცოდი, რომ ტანად პატარა იყო, მაგრამ პირველი, რასაც ყურადღება მივაქციე, იყო ხელები, დედაჩემის ხელებს ჩამოგავდა, ერთი ფორმა იყო, ერთი ნახაზი, ერთი სილამაზე. პირველი რეაგირება ხელებზე და თითებზე გავაკეთე და მერე, რასაკვირველია, შევხედე და მივხვდი,*

რომ ის დეიდაჩემია და გადავებხვიეთ ერთმანეთს ... ჩამოვიდა დეიდაჩემი ისეთივე შემართებით, როგორც ადრე იყო, ძალიან აქტიური, ძლიერი, რუსული პოლიტიკის წინააღმდეგი, ისეთივე თავდადებული საქართველოსთვის, მაგრამ მაინც უკვე დალდასმული ადამიანი. 28 წლის გადასახლება და წამებამ თავისი კვალი დააჩნია და საკმაოდ რთული იყო ურთიერთობაში...” (ინტერვიუ გია ჭუბაბრიასთან).

ლიბიკო ქავთარაძე ის იშვიათი გამონაკლისია, ვისაც შიში არასდროს გამოუხატავს, არც გადასახლების პერიოდში და არც იქიდან დაბრუნებულს. ხანდაზმული ქალბატონი ახალი თაობის დისიდენტურ მოძრაობაში ჩაება; ცდილობდა ახალგაზრდებთან დაახლოებას, თავის გამოცდილებასა და პრინციპებს მათ უზიარებდა; მის ბინაზე იკრიბებოდნენ: მერაბ კოსტავა⁸⁴, თამრიკო ჩხეიძე⁸⁵, გია ჭანტურია⁸⁶, ირაკლი შენგელაია⁸⁷, ავთო იმნაძე⁸⁸, ირაკლი წერეთელი⁸⁹

84 მერაბ კოსტავა – (1939-1989 წწ.) XX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

85 თამრიკო ჩხეიძე – (1960 წ.) XX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი, საქართველოს პარლამენტის წევრი 1992-95 წწ.

86 გია ჭანტურია – (1959-1994 წწ.) XX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აღდგენის ორგანიზატორი და თავმჯდომარე.

87 ირაკლი შენგელაია – (1947 წ.) XX საუკუნის 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნული სამართლიანობის კავშირის დამფუძნებელი და თანათავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი 1992-95 წწ.

88 ავთო იმნაძე – (1940 წ.) XX საუკუნის 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნული სამართლიანობის კავშირის დამფუძნებელი და თანათავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი 1990-92 წწ.

89 ირაკლი წერეთელი – (1961 წ.) XX საუკუნის 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის დამფუძნებელი და თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი 1992-95 წწ.

და მათი ამხანაგები. გია ჭანტურია ქალბატონი ლიზიკოს შესახებ თავის მოგონებებშიც საუბრობს და მას „ქართული რევოლუციის დეიდასა“ და თავის პირად მასწავლებელს უწოდებს, რომელმაც „ყალბი თვლების ძვირფასი თვლებისაგან გარჩევა“ ასწავლა. იგი ასე ახასიათებს მას: „ეს უტყებელი და საოცარი ნებისყოფის ქალი, უნივერსალურად განათლებული და მშვენიერი პუბლიცისტი იყო. დიდი პოლიტიკოსი და მკაცრი მსაჯული და უმკაცრესი კონსპირატორი, მრწამსით ათეისტი და სოციალ-დემოკრატი ... დეიდა ლიზიკო 5-6 წლის ასაკიდან მზრდიდა. ჩვენ მეზობლები ვიყავით და დედაჩემმა ქალბატონ ლიზიკოს ჩემი რუსულში მომზადება სთხოვა. რუსული როგორ ვისწავლე, ვერ გეტყვით, მაგრამ 15 წლის ასაკში პოლიტიკის საფუძვლებს რომ დავეუფლე, ეს ფაქტია... ლიზიკო ქავთარაძე იმდენად დიდი ავტორიტეტი იყო ჩემთვის (და არა მარტო ჩემთვის), რომ დღესაც კი, როდესაც რაიმე ნაბიჯს ვდგამ, ყოველთვის ვფიქრობ, რა შეფასებას მისცემდა ამას დეიდა ლიზიკო. იატაკქვეშეთში აღდგენილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც პირველად ლიზიკო დეიდას, ჩვენს დიდ მასწავლებელს დავალოცვინეთ“.

მას შემდეგ, რაც ამ დიდებული პიროვნების – ლიზიკო ქავთარაძის – ცხოვრებას საფუძვლიანად გავეცანი, მანვალებს ერთი კითხვა – ეს ბავშვობიდანვე უტყები ნებისა და შემართების ქალბატონი ოდესმე თუ განიცდიდა შიშის გრძნობას? შიში ოდნავადაც არ გამოკრთის მის არც გადასახლებისდროინდელ და არც შემდგომი ხანის ნაწერებში (სიცოცხლის ბოლო წლებში ქალბატონმა ლიზიკომ დაწერა ვერმიშევის⁹⁰ – სომეხი მწერლის – რომანზე სარეცენზიო წერილი „Амирспасалар Вермишева и поруганная честь армянского народа“, რომელშიც პასუხი გასცა ავტორს თამარ მეფის შეურაცხმყოფელი წარმოჩენისათვის,

90 გრიგორი ვერმიშევი – (1894-1973 წწ.) სომეხი მწერალი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე კავკასიის ფრონტზე, 1920 წ. თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლი სომხური კავალერიის მეთაური, 1923-1956 წწ. მუშაობდა სსრკ სახელმწიფო დაგეგმვისა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში, რომანის – „ამირსპასალარი“ (1968 წ.) – ავტორი.

და საკმაოდ დაუზოგავი პასუხიც, რის გამოც სომხეთის მწერალთა კავშირმა უჩივლა და ამ საქმეში საქართველოს KFB-ც ჩაება), შიშზე არ მეტყველებს არც მისი ხასიათი და არც ერთი ქმედება. რამდენჯერმე ვკითხულობ მონაკვეთებს რუსუდან ჭუბაბრიას ინტერვიუდან, რომელშიც ყველაზე მეტად წარმოჩნდება ქალბატონი ლიზიკოს ბუნება:

„ერთხელ სახლში ვბრუნდებოდი და ვხედავ – ლიზიკოს თავისი „ტახტრევანი“ ამოუტრიალებია და რაღაც იდუმალებით მოცული ფუსფუსია ირგვლივ. მიმოვიხედე – კვლავ უშიშროება ხომ არ გვესტუმრა-მეთქი (ერთხელ დაგვაფასეს და მთელი ბინა გაჩხრიკეს). უცხო არავინ ჩანდა. მერე გამომიტყდა; შინსახკომის მუშაკთა მოსვლას ველოდი და ყოველი შემთხვევისათვის ჩემი ნაწერები სავარძელს ქვემოთ ამოვუკერეო. ლიზიკო ყველანაირად მარიდებდა პოლიტიკას ...“ (რუსუდან ჭუბაბრიასთან ინტერვიუდან).

ის ფაქტი, რომ შინსახკომის მოსვლის წინ ქალბატონი ლიზიკო თავის ნაწერებს საგულდაგულოდ მალავდა, ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ მას შინსახკომის ეშინოდა. ეს იყო თადარიგის დაჭერა, რომ ოჯახისათვის ზედმეტი უსიამოვნება აეცდინა. შვილიშვილის პოლიტიკისადმი არიდებაც სიყვარულით იყო გამონვეული, რათა რუსუდანს ბუბიის ხვედრი არ გაეზიარებინა. *„ჩემმა ცხოვრებამ ყოველგვარი შედეგის გარეშე ჩაიარაო“*, – უთქვამს სიკვდილის წინ თავისი დისშვილისათვის – ბატონი გია ჭუბაბრიასთვის. *„ეს იმიტომ თქვა, რომ თავის სამშობლოს მართლაც ვერანაირი შედეგი ვერ მოუტანა გარდა იმისა, რომ საკუთარი თავი შესწირა ისევე, როგორც სხვებმა“*, – განმიმარტა ბატონმა გიამ.

ლიზიკო ქავთარაძის მაგალითით კიდევ უფრო კარგად ვხვდებით, რომ ჩვენი გმირების შიში არ იყო პიროვნული, საკუთარი თავის გადარჩენის, წამების წინაშე უკანდახევის განცდა. ეს იყო ახლობლისადმი პასუხისმგებლობა და ზრუნვა, რომელიც პატიოსანი ადამიანის მუდმივი თანამდევია. და თუ მაინც კიდევ შიშს ვუნოდებთ, ეს იყო არა სიკვდილის შიში, არამედ – მათთვის უხილავი მომავლის. სიკვდილის

ნინ, სანამ ქალბატონ ლიზიკოს აგონია დაენწყებოდა, რუსუ-დანისთვის უთქვამს: „ბუცუნა (ასე ეძახდა მოფერებით), ჩამეხუტე, მეშინიაო“. ეს იყო მისი „პირველი და უკანასკნელი ვინმესთან გამჟღავნებული სისუსტე“ (ინტერვიუ რუსუდან ჭუბაბრიასთან).

ბმირაუბი

თამარ წულუკიძე, ლიზიკო ქავთარაძე და ოლია მესხი ის პიროვნებები იყვნენ, რომელთათვისაც საქართველო სალოცავი ხატი იყო. მას შესწირეს ყველაფერი – პირადი ბედნიერებაცა და თავისუფლებაც. და მიუხედავად გარკვეული შიშის განცდისა, მთელი ცხოვრების განმავლობაში ისინი იყვნენ შეუვალნი და უკომპრომისონი ეროვნულ საკითხში და მამულიშვილური იდეალებისაგან გადახვევას არ პატიობდნენ არც თავისიანებს და არც სხვას. არ დაგვაზინყდეს, რომ ამ ადამიანებს თავისუფლად შეეძლოთ, გასცლოდნენ საბჭოურ რეჟიმს და ემიგრაციაში წასულიყვნენ. „თავისუფლად“ – ვამბობთ იმიტომ, რომ 30-იანი წლებში НКВД ოპოზიციონერებს აძლევდა იმის საშუალებას, რომ სამშობლო დაეტოვებინათ და საზღვარგარეთ წასულიყვნენ. ეს იყო სრულიად დემოკრატიული გზით მონინააღმდეგეთა მოშორება. რასაკვირველია, ბევრი წავიდა, მაგრამ ნაწილი, რომელსაც წასვლა შეეძლო, შეგნებულად იქ დარჩა, სადაც მისი ხალხი იყო. ამ ქმედებით მათ თავად აირჩიეს თავიანთი გზა, რომელიც მთელი ცხოვრება ტანჯვასა და უბედურებას პირდებოდა.

თამარ წულუკიძეს საფრანგეთში ეპატიჟებოდნენ მეგობრები, აფრთხილებდნენ მოსალოდნელი პატიმრობის შესახებ, მიანიშნებდნენ. „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ერთ-ერთ აქტიურ წევრს – მუჯირს – სადგურზე გამოშვებებისას მისთვის ღია ბარათი გადაუცია მეტეხის ციხის ხედით. ამით მიახვედრა, „შენი ბოლო ეს იქნებაო“, მაგრამ ვაი, რომ მეტეხის ციხე მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა...

თინათინ იმნაიშვილი მუდამ ეკითხებოდა ქალბატონ ლი-

ზიკოს: „როგორ მოხდა, რომ ზოგი წავიდა ემიგრაციაში, თქვენ კი გადაგასახლესო?“ ქალბატონი თინათინის მამასაც – ნესტორ იმნაიშვილს – თავისუფლად შეეძლო ემიგრაციაში წასვლა ისევე, როგორც ლიზიკო ქავთარაძეს, მაყვალა რატიანს, ლევან გოთუას და სხვებს. მათი ოჯახები ინტელიგენციის ნალებს წარმოადგენდა. მართალია, სახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა არ ჰქონდათ, მაგრამ გაჭირვებით მაინც შეეძლოთ გამგზავრებისათვის საჭირო თანხების მოძიება და საქმის ვითარების (ანუ გაპარვის) ნაცნობობით მოგვარება, მაგრამ მათ შეგნებულად უარი თქვეს სამშობლოს დატოვებაზე. ამ საქციელით ისინი გაემიჯნენ იმ პოლიტიკოსებს, ვინც სხვა გზა აირჩია, და შეგნებული, „ნებაყოფლობითი“ ტანჯვა-წამებით გააგრძელეს დასახული მიზნისთვის ბრძოლა. მართალია, ოლია მესხს დისიდენტური ცხოვრებით არ უცხოვრია, მაგრამ გადასახლებიდან უკვე პოლიტიკურად ჩამოყალიბებული პიროვნება დაბრუნდა. გადასახლებაში იგი ნესტორ იმნაიშვილის (შეურიგებელი და უკომპრომისო დისიდენტის) მეუღლე გახდა და სასჯელის მოხდის შემდეგაც, როცა მის მიმართ დევნა გაორმაგდა, ქმრის პოლიტიკური იდეალებისათვის არასდროს უღალატია. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი რესპონდენტები წმინდა წყლის პატრიოტები იყვნენ, ნამდვილი დისიდენტები, რომელთაც ციხე-ბანაკებში ყოფნამ პოლიტიკური ასპარეზი აღარ დაუტოვა, განსხვავებით ემიგრაციაში წასული მათი თანამებრძოლებისაგან; მათ არ ჰქონდათ მოქმედი პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელი თვისებები, ამიტომაც კატეგორიულები და მომთხოვნები იყვნენ ეროვნულ საკითხში როგორც თავისი თაობის, ასევე ახალი დისიდენტური თაობის მიმართაც და არ პატიობდნენ მათ თუნდაც პოლიტიკური ლავირების გამო უკანდახევას (ისინი იზიარებდნენ და ეთანხმებოდნენ ზვიად გამსახურდიას⁹¹

91 ზვიად გამსახურდია – (1939-1993 წწ.) XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მწერალი, მთარგმნელი, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი.

შეხედულებებს, მაგრამ კრიტიკულად აფასებდნენ მისი რეპრესიის პერიოდს⁹²).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ ჩვენი რესპონდენტები 20-30-იანი წლების რეპრესირებულები არიან და არა შემდგომი პერიოდის. მართალია, განუკითხაობა საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლების რეპრესიებშიც იმთავითვე გამოვლინდა, მაგრამ დაპატიმრებები მაინც პატრიოტული ნიშნით ხდებოდა (პატრიოტულ ნიშანში სარწმუნოებრივსაც ვგულისხმობთ, როგორც მისგან განუყოფელს); ძირითადად ასახლებდნენ ეროვნული სულისკვეთების ინტელიგენციას; 1934-1938 წლებში კი ამ ინტელიგენციასთან ერთად გადაასახლეს ის პარტიული და საბჭოთა ფუნქციონერებიც, რომლებიც, ვიდრე თანამდებობა ეკავათ, თვით იყვნენ რეპრესიების მოთავენი და მათი ხელის შემწყობნი. ამ კატეგორიის ხალხთა სახელებს დღეს ისტორია აღარ მალავს. ესენი იყვნენ: მამია⁹³ და მარიამ ორახელაშვილები, ლ. ქართველიშვილი⁹⁴, მ. კახიანი⁹⁵, ლ. ლოლობერიძე⁹⁶,

92 იგულისხმება გამსახურდიას საჯარო მონანიების ფაქტი.

93 მამია (ივანე) ორახელაშვილი – (1881-1937) 1921 წ. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

94 ლავრენტი ქართველიშვილი – (1890-1938 წწ.) საბჭოთა რევოლუციონერი, პარტიული და სახელმწიფო მაღალჩინოსანი, საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სახელმწიფო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალ „მნათობის“ პირველი რედაქტორი, საქმიანობდა შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში, ყირიმში.

95 მიხეილ კახიანი – (1896-1937 წწ.) საბჭოთა რევოლუციური და პარტიული მოღვაწე, იყო თბილისის კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტისა და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საკავშირო კომპარტიის შუა აზიის ბიუროს II მდივანი.

96 ლევან ლოლობერიძე – (1890-1938 წწ.) საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მაღალჩინოსანი, თბილისის რევკომის თავმჯდომარე, კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ს. მამულია⁹⁷, ე. ეშბა⁹⁸, ნ. ლაკობა⁹⁹ და ათასობით სხვა პარტიულ და საბჭოთა აპარატებში მომუშავე მაღალი თუ დაბალი თანამდებობის პირი. გადასახლებულებმა და მათმა შთამომავლობამ კონკრეტულად იცინან იმ ადამიანთა გვარები, რომელთაც უშუალოდ დააბეზლეს და ცილი დასწამეს. 1937 წელს ამ თანამდებობის პირებთან ერთად მათი ცოლებიც გადასახლეს, რომლებიც ფუფუნებიდან საშინელ ტანჯვა-წამებაში მოხვდნენ და ქმრის დანაშაულზე (ზოგიც უდანაშაულობაზე) აგებდნენ პასუხს. აკმოლის¹⁰⁰ ქალთა ბანაკს „ალჟირი“ ერქვა – „Акмолинский лагерь жён изменников родины“. ლიზიკო ქავთარაძე „ხალხის მტრების“ ცოლებს პირადად იცნობდა გადასახლებიდან და რამდენიმე მათგანის ტრაგიკული ამბავი თავის ჩანაწერებშიც შეიტანა. ეს ქალები არიან: პედაგოგი ნინო ხუნდაძე-გაბუნია, შინსახკომის კომისრის მეუღლე; კინომსახიობი თამარ მეტრეველი, ჩეკისტის მეუღლე, რომლის ქმარი 1937 წელს დახვრიტეს; ნესტორ ლაკობას მეუღლე, არაჩვეულებრივი სილამაზის აჭარელი ქალი, რომელმაც ქედუხრელად აიტანა წამება და მისთვის უცნობ, ჯალათების მიერ შეთხზულ სიყალბეს ხელი არ მოაწერა. მის თვალწინ უწამებიათ 15 წლის შვილიც, რომელიც დედას ეხვეწებოდა, რაიმე ეთქვა და

97 სამსონ მამულია – (1891-1937 წწ.) საბჭოთა რევოლუციური და პარტიული მოღვაწე, პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების წევრი, 1935 წლიდან სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა მოსკოვში.

98 ეფრემ ეშბა – (1893-1939 წწ.) აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის აქტიური მებრძოლი, აფხაზეთის რევკომისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივანი, საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

99 ნესტორ ლაკობა – (1893-1936 წწ.) კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების აქტიური ლიდერი, 1918 წ. ე.ეშბასთან ერთად ხელმძღვანელობდა აფხაზეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს, იყო აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

100 აკმოლა – ყაზახეთის სსრ-ში მდებარე ციხე-ბანაკის სახელწოდება, ყაზახურად თეთრ სამარეს ნიშნავს.

სატანჯველისგან ეხსნა; ლაკობას ცოლი ციხის საავადმყოფოში ჩქარი ჭლექისგან გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი დღეების შემსწრენი ყვებოდნენ, რომ ამ განსაკუთრებული სინატიფის ქალს მაღალი სიცხე ჰქონდა და ბოდავდა, შვილს უხმობდა, ბალიშს უმღეროდა „სისატურას“, არწმუნებდა – ხელს მოვანერ და გიხსნიო. ამ ადამიანებმა უსამართლოდ გამოიარეს მართლაც საშინელი ტანჯვა-წამება და შეენიღნენ კიდეც მას, მაგრამ მათი ტანჯვა არასდროს ყოფილა გამიზნული ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის. დღეს 1937 წელს გადასახლებული ყველა ადამიანი რეპრესირებულად ითვლება; სინამდვილეში უმრავლესობა მართლაც დიქტატურის მსხვერპლი იყო, მცირე ნაწილი – საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლეები – გმირი, ნაწილზე კი, ვფიქრობთ, ჩადენილი ბოროტებისა და ცოდვის განაჩენი აღსრულდა.

შთამომავლობა

ჩვენ შეძლებისდაგვარად ვისაუბრეთ 20-50-იან წლებში რეპრესირებულ სამ ქართველ ქალბატონზე, მათ ღვანლზე ზოგადად „ქართული რევოლუციის“ საქმეში, უფრო მეტს მათ შესახებ სტატიის დანართებიდან – ოჯახის წევრებისაგან აღებული ინტერვიუებით – შეიტყობთ, ჩვენ კი ყურადღებას მათ შთამომავლებსა და კვლევის დროს წამოჭრილ საინტერესო საკითხებზე გავამახვილებთ.

პირველი ინტერვიუ ნათელა გობრონიძისგან ავიღეთ. ენისეისკში დაბადებულმა ქალბატონმა ნათელამ დედა მაშინ გაიცნო, როდესაც სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი იყო. დღეს ნათელა გობრონიძე თბილისის მეორე სამშობიაროს წამყვანი ექიმი, მეან-გინეკოლოგია და უამრავი ბავშვის (მათ შორის ჩემს) დაბადებაში მიუძღვის გადამწყვეტი როლი. იგი მეგობრული, მხიარული ქალბატონია, იუმორის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული, ისე რომ, ერთი შეხედვით ვერც კი წარმოიდგენთ, რამხელა დაღი დაასვა

უდემამოდ გაზრდამ მის სულიერ მდგომარეობას. ქალბატონი ნათელა იშვიათად იწონებს თავს ღირსეული წინაპრით – დედით – რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა და სხვა ამაზე მნიშვნელოვანი აზრი და იდეა ცხოვრებაში არა ჰქონია, მაგრამ თუ თავად დაუწყებთ საუბარს, უმაღლეს შეატყობთ სიამაყეს. მის არსებაში სამუდამოდ ჩაბეჭდილია დედის სიტყვები: „*კარგად დაიმახსოვრე, იცოდე და შეგიძლია, წელგამართულმა იარო, ამდენი წამება გავიარე და კაციშვილი არ დამიბეზღებია, არაფერზე ხელი არ მომიწერია. ერთი ციხიდან მეორეში რომ გადავყავდით, პატიმრები ერთმანეთს ეუბნებოდნენ, წულუკიძის ქალი მოჰყავთო*“.

ქეთევან გოფოძემ – ქალბატონი ნათელას ქალიშვილმა – შედარებით გვიან აღიქვა ბებუის პიროვნება. ის მისთვის ჩვეულებრივი ბებია იყო, შვილიშვილზე განსაკუთრებულად გადაყოლილი და მზრუნველი. მისი წარსული არანაირ როლს არ თამაშობდა ქეთევანის აღზრდაში, რადგან ამ თემაზე ოჯახში არც იყო საუბარი. მოგვიანებით, დაახლოებით 1988 წელს, როდესაც ქალბატონ თამარს გაზეთი „კომუნისტი“¹⁰¹ მოუტანეს, სადაც 1924 წლის აჯანყებასა და იმ პერიოდის ეროვნულ მოძრაობაზე ეწერა, ქეთევანმა განსაკუთრებული ინტერესი შეატყო ბებიას, რომელსაც თვალეები ცრემლებით აევსო და თქვა: „*რა ვიცი, ამის გულისათვის ამდენი წელი გვტანჯეს და დღეს თურმე გმირები ვყოფილვართო*“. მაშინდა გააცნობიერა, რომ მისი ბებია შესაძლოა, გმირიც კი იყო.

ქალბატონი ლიზიკო ქავთარაძის დისშვილი – გაია ჭუბაბრია – ცნობილი კინორეჟისორია, ალბერტ შვეიცერის სახელობის პრემიის¹⁰² ლაურეატი, კინოაკადემიის პრიზის – „ნატოს“¹⁰³

101 „კომუნისტი“ – საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, გამოდიოდა 1920 წლიდან.

102 ალბერტ შვეიცერი – (1875-1965 წწ.) გერმანულ-ფრანგულენოვანი მწერალი, თეოლოგი, მისიონერი, ექიმი, მუსიკათმცოდნე, ნობელის პრემიის ლაურეატი. მისი სახელობის პრემია გ.ჭუბაბრიამ 1983 წ. მიიღო ფილმისათვის „საარბრიუკენის ქრონიკები“.

103 საქართველოს კინოაკადემიის პრიზი „ნატო“ გ. ჭუბაბრიამ მიიღო 1998 წ. ფილმისათვის „გზა თავისუფლებისაკენ“.

– მფლობელი, შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის დოკუმენტური კინორეჟისურის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელი, პროფესორი; ავტორი ფილმებისა: „თეთრი ზღაპარი“, „თეთრი თორღვაი“ (თუში მეცხვარის შესახებ), „ჩუქურთმა“, „ორაგულის ბედი“, „ქართველები ნიდერლანდებში“, „ჟამი შეკრებად ქვათა“, „ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში“, „ომალო“, „ჩუქურთმის საგალობელი“, „იაპონია“, „გზა თავისუფლებისაკენ?!“, „რწმენის აღორძინება“ („წამი სასწორისაი“) და სხვა. ბატონი გია 1937 წელს დაიბადა და 3 წლისა იყო, როდესაც დეიდამისი – ლიზიკო ქავთარაძე – მეორედ გადაასახლეს. ბავშვის მეხსიერებამ შემოინახა ის საშინელი კადრები, რომლებიც მათ ოჯახში დატრიალდა; ბავშვობა გაატარა ბებუის შემყურემ, რომლის მთავარი საფიქრალი გადასახლებაში მყოფი შვილის ბედ-იღბალი იყო. ბატონი გია, როგორც ზოგადად, ასევე ცალკეულ დეტალებზე დაკვირვებით, აანალიზებს იმ ეპოქას, რომელმაც დღევანდელი მდგომარეობამდე მოგვიყვანა. გია ჭუბაბრიას აღზრდა და „კომუნისტების მიმართ გამომჟღავნებული გულწრფელი არსიყვარული“ ხშირად გამხდარა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მისდამი დაინტერესების მიზეზი. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ მას კარგა ხანს ეკრძალებოდა საზღვარგარეთ გამგზავრება. ბატონ გიასთან საუბარი, მასთან ინტერვიუ ძლიერ დაგვეხმარა ქალბატონი ლიზიკოს ცხოვრების მიზნის გაგებასა და ეროვნულ მოძრაობაში მისი როლის განსაზღვრაში.

„ეს დამოუკიდებლობა არ არის ის თავისუფლება, რომელიც დეიდაჩემსა და ჩემს ოჯახს უნდოდა. ეს უფრო პოსტკომუნისტური შინაარსის ქვეყანაა ამ ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებელ საქართველოში და მე უფრო ლექის აღზევებას მაგონებს, ვიდრე ფასეულობის მატარებელი საზოგადოების ჩამოყალიბებას, იმ უანგარო საზოგადოების, რომელიც თავისუფალ საქართველოში წარმომედგინა“, – დღევანდელი მას მკაცრ შეფასებას აძლევს ბატონი გია. მისი შეფასება კი ოჯახის, დეიდამისის იდეალებიდან გა-

მომდინარეობს. ბატონი გია ამჟამად ეჭვით, მაგრამ მაინც დიდი იმედით შეჰყურებს მომავალ თაობას და სწამს, რომ კომუნისტური მენტალიტეტის დარღვევის შემდეგ ადამიანებიც შეიცვლიან განწყობას, აზროვნებას, საქმისადმი დამოკიდებულებას და გახდებიან ის ჭეშმარიტი ქართველები, როგორებიც დეიდა ლიზიკო და მისი მეგობრები იყვნენ.

ბატონი გიას ქალიშვილი – რუსუდან ჭუბაბრია – ჩემი ბავშვობის მეგობარი და უერთგულესი ადამიანია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დოცენტი, არმენოლოგი. სწორედ მისი მეშვეობით გავიცანი ქალბატონი ლიზიკო და ბავშვობიდანვე, თუმცა მაშინ კარგად ვერც კი ვაცნობიერებდი მის პიროვნებას, გამიჩნდა სურვილი ამ დიდებულ, მკაცრ ადამიანთან სიახლოვისა. ეს სურვილი ალბათ დღეს ავიხდინე, როდესაც, რუსუდანის დახმარებით, სრულყოფილად გავეცანი ქალბატონი ლიზიკოს ჩანაწერებსა და არქივს. ინტერვიუ რუსუდან ჭუბაბრიასთან, რომელიც თან ერთვის ნაშრომს, თავად რუსუდანის მიერაა დაწერილი ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე, ალბათ ამიტომაცაა ასე მაღალმხატვრული და დამოუკიდებელი სტატიის ღირებულება აქვს. მე მხოლოდ ამ სტატიის დასკვნით ნაწილზე გავამახვილებ ყურადღებას:

„ლიზიკო ქავთარაძის ნაწერები, რომლის მხოლოდ ორი ტომის აკინძვა-დაბეჭდვა მოვახერხე, ძალიან ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს და ვფიქრობ, თავის ღირსეულ სიტყვას აუცილებლად იტყვის. თვითონაც სჯეროდა ამის ... სამუშაო კიდევ ბევრია. იმედი მაქვს, ბებიაჩემისა და მისი თაობის ღირსეულ შვილთა ხსოვნას დავინყება არ უწერია“. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის.

ბოლო ინტერვიუ თინათინ იმნაიშვილისაგან ჩავინერე. გადასახლებაში, ნარიმის მხარეში დაბადებულ ქალბატონს უამრავი მასალა – უნიკალური ფოტოარქივი, საინტერესო შინაარსისა და ფორმის წერილები და აგრეთვე დაუვიწყარი მოგონებები „აღმოაჩნდა“ არა მარტო დედის – ოლია მესხის – შესახებ, არამედ მის მშობლებთან ერთად მეტეხის ციხესა

თუ გადასახლებაში მყოფი თითოეული ქართველისა თუ სხვა ღირსეული ადამიანის შესახებ. მასთან ინახება ქალბატონი ლიზიკო ქავთარაძის არქივიც. ქალბატონი თინათინი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში გეორგიკის განყოფილების გამგედ მუშაობს. ის უცხო ენების სპეციალისტია. მშობლებისაგან მას გამოჰყვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისადმი ინტერესი; იგი აქტიურად მონაწილეობს მათში. თავად მიაბო, რომ 1988 წლის ნოემბრის „შიმშილობის“ დროს (საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით) და მას შემდეგაც მუდამ განიცდიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბედ-იღბალს და უთვლიდა გია ქანტურიას: „გია, ისეთი არაფერი გააკეთო, რომ დეიდა ლიზიკო (რომელიც ახალი გარდაცვლილი იყო) საფლავში გადატრიალდესო“. სახალხო ფრონტის¹⁰⁴ პირველ ყრილობაზე ქალბატონი თინა და მისი მეგობარი დილის 9 საათიდან მივიდნენ და გვიანობამდე იქ იყვნენ. ნოდარ ნათაძემ¹⁰⁵ ყრილობა 1921 წლის დროშით გახსნა. დარბაზი ფეხზე წამოუდგა თავისუფალი ქვეყნის სიმბოლოს და ოვაციებით შეეგება. ეს დროა ნოე ქებაძესა და ნესტორ იმნაიშვილს თან ჰქონიათ მეტეხის ციხეში და საგულდაგულოდ ინახავდნენ; მისი ციხიდან გამოტანაც მოახერხეს წერილებთან და ნესტორ იმნაიშვილის მიერ შედგენილ პატიმართა სიასთან ერთად, რომელშიც აღნიშნული იყო – მეტეხის ციხეში 1923 წელს ვინ რა ბრალდებით, რომელ საკანში იჯდა და რა ჰქონდა მისჯილი. მითითებული იყო პატიმრის გვარი, სახელი, ასაკი, სოციალური მდგომარეობა, პროფესია და კუთხური წარმომავლობა. საინტერესოა ამ ნივთების ციხიდან გამოტანის ისტორიაც. ნოე ქებაძესა და ნესტორ იმნაიშვილს დროა, სია და წერილები თიხის ფიგურაში ჩაუტენიათ, რომლის ძირიც თიხითვე დაუფარავთ და ამგვარად

104 სახალხო ფრონტი – საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, დაფუძნდა 1989 წ. ივნისში.

105 ნოდარ ნათაძე – (1929 წ.) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ფილოსოფიის მემკვიდრეობის განყოფილების გამგე, პროფესორი, სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი 1992-95 წწ.

გამოუტანიათ მეტეხის ციხიდან. ფიგურა ნოე ქებაძის ოჯახში ინახებოდა და ბატონი ნოეს ქალიშვილს – ნათელა ქებაძეს – ძალიან უკვირდა, რომ მამამისი, რომელსაც არ ახასიათებდა რაიმე ნივთისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება და სიყვარული, სიფრთხილითა და სიფაქიზით ეკიდებოდა სწორედ ამ ქანდაკებას; სიკვდილის წინ მას შვილისთვის უთქვამს, რაშიც იყო საქმე და დაუბარებია – დრო რომ დადგება, თქვენ გახსენითო. 1989 წელის 20 ივნისს, სახალხო ფრონტის პირველი ყრილობის გახსნის დღეს, ქალბატონმა ნათელამ ჩათვალა, რომ ეს დრო დადგა.

დღეს ჩარჩოში ჩასმული დროშა ნათელა ქებაძის ოჯახში ინახება, მასთანვეა წერილებიცა და სიაც, რომლის ქსე-როასლსაც მე გავეცანი. ვფიქრობთ, რომ ეს ისტორიული დოკუმენტი უთუოდ დააინტერესებს როგორც უახლესი ისტორიის მკვლევარებს, ასევე საზოგადოების იმ ნაწილს, რომლის წინაპარი ან ახლო ნათესავი ამ პერიოდში მეტეხის ციხეში იხდიდა სასჯელს და არა მხოლოდ მათ, არამედ დააინტერესებს ჩვენს დღევანდელ საზოგადოებას, რომელსაც არ დაუკარგავს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენებისადმი ინტერესი.

წერილები

ქალბატონი თინას არქივი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: დედის ჩანაწერები, რომლებიც ჩვენ სტატიასა და ინტერვიუში გამოვიყენეთ, გადასახლებიდან გამოგზავნილი წერილები და ფოტომასალა.

წერილები შეიძლება დავყოთ შინაარსობრივადაც და ფორმის თვალსაზრისითაც. შინაარსობრივად მათში ნათლად ისახება ავტორთა პიროვნული თვისებები, ხასიათი, შემართება, დიდსულოვნება.

სიყვარულითა და სინაზითაა აღსავსე ნესტორ იმნაიშვილის წერილები დედისადმი. ერთი შეხედვით წარმოუდგენელია, რომ ისინი ციმბირში გადაკარგული, ოჯახს მოშორებული და

საშინელ პირობებში მყოფი კაცის დაწერილია, რომელსაც, წესით, დაკარგული უნდა ჰქონდეს ამ გრძნობების თუნდაც გამოხატვის უნარი. მოგვყავს ნაწყვეტი მისი წერილიდან:

„ქ. სუზდალი. პოლიტ-იზოლატორი. 29. 11. 22წ.

საყვარელო და სანატრელო დედიკო,

... გენაცვალე, შენ იწერები რაღაც „გაჯავრებაზე“.

განა მე, რომელიც ასე დატვირთული ვარ შენი თბილი სიყვარულით, რომელიც შენი სიყვარულით ვსუნთქავ, შემიძლია შენზე გავეჯავრდე? განა მე არ ვიცი, რომ ჩემი სახე შენ მუდამ თვალწინ გიდგას და ყოველდღე, სანამ დღიური შრომით დაქანცული ძილს მისცემდე თავს, ჩემთან ხარ და მე მემუსაიფები? და განა მარტო ფხიზლობის დროს? ვინ იცის, ალბათ რამდენჯერ სიზმარშიც არ მიშორებ და ჩემთან ხარ! არა, ჩემო ტკბილი დედიკო, მე გასაჯავრებელი არა მაქვს რა. მე შესაძლოა, რაიმე მენყინოს, ეს მოსალოდნელია. ოხ, შენ რომ იცოდე, ჩემო კარგო, როგორ ვამათრახებ ჩემს თავს, როდესაც წარსულს წარმოვიდგენ და გავიხსენებ ყველა წვრილმანებს ჩემი ცხოვრებისა! რამდენი მეტი ტკბილი წუთების გამოყენება შემეძლო შენთვის ამ ხნის განმავლობაში! ვინ იცის, ჩემი ცხოვრების რამდენ წელს მივცემ, რომ გიხილო და დავტკებ შენი ნაღვლიანი და გონიერი თვალეების ცქერით. ახლოს ვიგრძნო შენი ანთებული სიყვარული და მეც მზრუნველი ხელით გაგისწორო ორიოდე ღარი შენს სპეტაკ შუბლზე და ნაზად ვეამბორო შენს ნაღვლიან სახეს!“

დედისადმი მიწერილი ყველა ბარათი ასეთი ღრმა, თბილი გრძნობების გამოხატვაა და ერთი ათასად ამაღლებს ჩვენს თვალში ქართველი ვაჟკაცის პიროვნებას.

მიუხედავად წერილის მოსაკითხი შინაარსისა, მწერლის მხატვრული აზროვნება, იუმორი და პატიმრის გაუსაძლისი ყოფა იხატება ლევან გოთუას ოლია მესხისადმი გამოგზავნილ ბარათებში. მოგვაქვს ერთ-ერთი მათგანი:

„ჩემო დაო ოლია! მადლობა თბილი წერილისათვის. თქვენი წერილები – გზიდანაც და საქართველოდანაც – ყველა მიღებული მაქვს. კარგია, მეტად კარგი, რომ ასე კეთილად გიმგზავრიათ. ეხლა ისლა გაკლიათ, რომ სრულიად განიკურნოთ (ოლია მესხი გადასახლებიდან თრომბოფლებიტის მძიმე შეტევის გამოც გაათავისუფლეს – თ.შ.). ამის სრული იმედი მაქვს. სამშობლო – ისიც ასეთი სამშობლო რომელ სენს არ განკურნავს? მეტად მენატრება თინიკო და ამ მხრივ ვნანობ კიდევაც თქვენს წასვლას (ადამიანი ეგოისტია მაინც!) წარმოდგენილი მაქვს: ფეხშიშველა და მზენაწვავი შუხუთის ღელეებში დასდევს პეპლებს და ბაყაყებს. თან გაჰკვივის წარიმულ-გურულ დიალექტზე. ვკოცნი თინიკოს. ვავალებ (მე ხომ მის მასწავლებლად ვითვლები): ქართულის მცოდნე დამხვდეს – იქნებ მეც ჩამოვიდე ბოლოს და ბოლოს. ნესტორის ამბავი ვიცი მისი თქვენდამი მონაწერი წერილებიდან (მაყვალას ნებართვით მეც გადავიკითხე იგი – ბოდიში თქვენს წინაშე – ვიცი, არ გამიჯავრდებით). აქაურ ამბებს გწერთ: არაფერი ან თითქმის არაფერი გამოცვლილა. გალიტომ მიიღო განთავისუფლების მოწმობა – პოლიტპატიმართა საქმის გამორკვევას უცდის. გოგიტა დაიკარგა სადღაც (ალბათ მაქეთ წამოვიდა), მისი ესოდენ პატივისაცემი მეუღლე (თუ უღელი) აქ დარჩა. შესაძლოა, ესეც გამოჰყვეს უკან ... ჟორა (სახელი გარკვევით არ წერია და ვერ ამოვიკითხეთ – თ.შ.) და სხვები ელიან ... ელიან ... ამაოდ ჯერ ... მაყვალა კარგად და კეთილად არის. ქალბატონი თამარიც. მე და მაყვალა თანდათანობით დავმეგობრდით, მაგრამ ძალიან ვნანობ, რომ მას თინიკო არა ჰქვია (საუბარია მაყვალა რატიანზე, ქალბატონი ოლიას მეგობარზე, რომლის ნამდვილი სახელი ყოფილა ეპრაქსია. გადასახლებაში დაბადებული თინათინ იმნაიშვილისთვის უნდოდათ ან ეპრაქსია დაერქმიათ მაყვალა რატიანის საპატივცემულოდ ან კიდევ თინათინი. ერთი ხმით

თინათინმა გაიმარჯვა. ამ ფაქტით უნდა აიხსნას ბატონი ლევანის ხუმრობაც, რომ უმჯობესი იყო, მაცვალას თინათინი რქმეოდა – თ.შ.).

მეც არა მიშავს ჯანის მხრივ. იცით, რომ საშინელი ჯინიანი და ჯიუტი ვარ. გულქვაც ვყოფილვარ თურმე. სჩანს, მგრძნობელობა მომიჩლუნგა ამდენმა ვაი-ვაგ-ლახმა. დასტურ – ყოველი ვაებათა სისტემაში გადასული ჰკარგავს თავის სიმძიმეს ... უფრო სწორედ – აჩლუნგებს გრძნობას. სიკვდილშიც – ყველაზე უფრო საშინელი სიჩუმე და დაჩლუნგებაა ... გლოვაში კი უცრემლობა. მე – ჩემი კეთილი მამის ესოდენ უცნაურ და აუგ სიკვდილის ამბავს რაღაც გაბოროტებით და უცრემლოდ ვზიდავ ... ბოდიში, ცოტაოდენ მძიმე წერილი გამომივიდა ... შევეცდები მომავალში უფრო ღია ფერებით მოგწეროთ და „კბილი გავკრა“ ჩვენ წარსულ უცნაურ ... საერთო მოგონებებს ან მომავალ ნეტარ სურვილებს. ნესტორს მოკითხვა მიაწვდინე – გულითადი. ცოტა კიდევ და იქნებ იგიც გესტუმროთ შუხუთში. მოკრძალებითი სალამი ნესტორის დედას...

საინტერესოა, როგორ მოგეწონათ შუხუთი – და როგორ მიიღეს გურულებმა რაჭველი რძალი? ქალი ხომ არ დაგვიწუნეს?!

ღარწმუნებული ვარ – მისამართი – მე რომ მოგეცით – დაგავინყდებოდათ. ამიტომ გწერთ: გაბაშვილის 2. მოკითხვა გადაეცით. ასე ჩემო დაო, აქეთაც გამოზაფხულდა – უკვე დათბა ბოლოს და ბოლოს. მოკითხვა გულითადი აქედან. ახლა თქვენსკენ (საქართველოში) რა ამბავია ... ფიქრებით მაქვთ ვარ სულ. აბა კარგად იყავით. მოინერეთ.

26.05.36წ.

სადა ხართ ამჟამად: წყალტუბოში, ტფილისში თუ შუხუთში? წერილს ალალ ბედზე შუხუთში ვაგზავნი“.

ლევან გოთუას ეს წერილი სრული სახით გადმოვეცით, რადგან საინტერესო უნდა იყოს მკვლევართათვის, როგორც

უარესად დიდი პიროვნებისა და მწერლის – ლევან გოთუას – პირადი ბარათი, ასევე როგორც ჩვეულებრივი პატიმრის, გადასახლებულის, სამშობლოსაგან მოშორებული კაცის თვალთახედვის, ოცნების, სურვილისა და მსოფლმხედველობის გამომხატველი დოკუმენტური მასალა.

ქალბატონი თინას არქივის კვლევისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა განსაკუთრებული შინაარსის წერილმაც. ეს იყო ქალბატონი ოლიას მოსამსახურის – პელაგია პავლოვნასა და მისი ქალიშვილების, ვარიასა და დუნიას წერილი. წერილიდან ირკვევა, რომ პელაგია ქალბატონი ოლიას მოსამსახურე ყოფილა გადასახლებაში, ნარიმის მხარეში; ოლია მესხის განთავისუფლების შემდეგ ტატიანა ზინოვიევასთან გადასულა, რომელიც ნარიმიდან თავად გაუცილებია, გზაში გაჰყოლია.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავისუფალი გადასახლება შედარებით იოლი გადასატანი იყო პატიმრისათვის. იგი არ განიცდიდა ფიზიკურ ტანჯვა-წამებას, არ ევალებოდა იძულებითი სამუშაოს შესრულება, ჰქონდა მუშაობის და დაოჯახების უფლება, თქვენ წარმოიდგინეთ, მოსამსახურის აყვანისაც კი (რაც საბჭოთა კავშირში ყოველთვის ცუდ ტონად ითვლებოდა და არაოფიციალური სახე ჰქონდა). გადასახლებაში ოლია მესხიც და მისი მეუღლეც მუშაობდნენ: ოლია მესხი – ექიმად კოლჰაშევოს რაისაავადმყოფოში, ნესტორ იმნაიშვილი – ეკონომისტად ხე-ტყის დამზადების ქარხნის ბუღალტერიაში. მათ ჰქონდათ დამხმარე ქალის აყვანის შესაძლებლობაც; მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ყველა ვერ მუშაობდა; ყველას არ ჰქონდა განათლება და რომც ჰქონოდა, ისეთი პროფესიის ადამიანს, როგორცაა, ვთქვათ, ფილოსოფოსი, გადასახლებაში სად უნდა ემუშავა, რა უნდა ეკეთებინა? ზოგი წაღებს კერავდა, ზოგი ხე-ტყეს ქრიდა, ზოგიც სარგებლობდა საერთო თანხიდან, რომელსაც დებდნენ ნარიმში გადასახლებული ქართველები ერთმანეთის დასახმარებლად.

კიდევ ერთ საინტერესო დაკვირვებას გაგიზიარებთ – გადასახლებიდან გამოგზავნილ წერილთა უმრავლესობა გარკვეული ნიშნითაა დალდასმული. ეს ნიშანია შტამპი,

რომელზედაც აღარ იკითხება იმის მანიშნებელი წარწერა, რომ წერილი შემონმებულა. ამ შემონმებულ წერილებში მელნითაა გადაშლილი წინადადებები და ზოგჯერ მთელი აბზაცებიც. როგორც გადასახლებულთა ოჯახების გამოკითხვით გავარკვიეთ, გადასახლებიდან გამოგზავნილი ყველა წერილი მონმდებოდა: თუ არ ჰყავდათ მთარგმნელი, პატიმარს უფლებას არ აძლევდნენ წერილი მშობლიურ ენაზე დაენერა; შეიძლებოდა მხოლოდ რუსულ ენაზე. რაც არ მოეწონებოდათ, ან საეჭვოდ ჩათვლიდნენ, ტექსტიდან შლიდნენ. ასეთ გადახაზულ და შემონმებულ წერილებს ერქვა „ИКРА“. КРА ეწოდებოდათ კონტრრევოლუციური აგიტაციისათვის გადასახლებულებს. ეს ნაკადი 20-იანი წლებიდან დაწყებული 50-იანი წლების ბოლომდე გრძელდებოდა; მას სსრკ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის (ყველაზე მრავლისმომცველი მუხლის) მე-10 პუნქტი მიესადაგებოდა, რომელიც ითვალისწინებდა პირადი წერილების შემონმებასაც. აბრევიატურა „ИКРА“ უნდა ყოფილიყო შემდეგი: „Исследование КонтрРеволюционной Агитации“. მონმდებოდა საქართველოდან გაგზავნილი წერილებიცა და ამანათებიც. ლანა ლოლობერიძის ავტობიოგრაფიულ წიგნში – „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“ – წერილებთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ფაქტს მივაგენით. დედისათვის გასაგზავნი წერილი ქალბატონ ლანას რუსულად დაუნერია (ალბათ ცენზორების თვალის ასახვევად, მთარგმნელის საჭიროება რომ აღარ ყოფილიყო) და მოსაფერებელ მეტაფორად შემდეგი სიტყვები გამოუყენებია: „Моя дорогая Кдашипулия!“ მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო ხერხი ყოველთვის ჭრიდა. როგორც ჩანს, ჩვენს ცენზორებს არ აკვირვებდათ ქართული სახელების უცნაური ფლერადობა და რამდენიმე თვის მერე მოდიოდა პასუხი: „Моя дорогая Пулимивиге!“ ფულს ბლოკნოტის სპეციალურად გაჭრილ ყდაში დებდნენ, შემდეგ ისევ ანებებდნენ ყდას, რომ გაჭრილი შეუმჩნეველი ყოფილიყო და ამგვარი სახით უგზავნიდნენ პატიმარს (ლ. ლოლობერიძე, „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“, 2003 წ., გვ. 21).

ფოტოარქივი

ჩვენთვის უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა ქალბატონი თინა იმნაიშვილის ფოტოარქივიც, რომელიც პირობითად თემატურად დავყავით: ფოტოპორტრეტები, გარემოსა და ყოფაცხოვრების ამსახველი ხედები და ჯგუფური სურათები.

თავიანთ ფოტოებს გადასახლებულები სპეციალურად იღებდნენ მშობლებისა და ახლო ნათესავებისათვის გამოსაგზავნად. ამავე მიზნით იღებდნენ იმ მიდამოსა თუ სახლის სურათსაც, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ჯგუფური ფოტოები უფრო სამახსოვროდ ესაჭიროებოდათ. ამ ჯგუფებში ისინი ეროვნებისა და პოზიციის მიხედვით ერთიანდებოდნენ, ანუ ეროვნება, პოზიცია და პიროვნულობა იყო მეგობრობის საფუძველი.

საყოფაცხოვრებო ფოტოებიდან აღსანიშნავია ნარიმის მხარეში, სოფელ კოლპაშოვოში გადაღებული ფოტო, სადაც მთელი პლანითაა გამოსახული სოფელი, პატარა ქოხი, რომელშიც ქართველ გადასახლებულთა ნაწილი ცხოვრობდა, და სახლთან შორიდან გადაღებული ქართველთა ჯგუფი.

ერთ-ერთ ფოტოზე ნავია გამოსახული, რომელიც შიგ სოფელში, სახლებს შორის, მიცურავს. ნავში ქართველთა ჯგუფი – 5 კაცი ზის. მენავეს გურული ყაბალახი ახურავს და ნიჩბებს უსვამს. თურმე გაზაფხულობით, ყინული რომ ღვებოდა, გზები წყლით იფარებოდა და სახლიდან სახლში მხოლოდ ნაგებით შეეძლოთ გადასვლა. ათვალიერებ ამ ფოტოებს და თვალწინ გეშლება ქართველ პატიმართა გადასახლებაში გატარებული ცხოვრების საუკეთესო დღეები, საქართველოსგან სრულიად განსხვავებული, რუსეთის მიყრუებული სოფლის, ბუნება და თავისდაუნებურად გრძნობ, აღიქვამ, რა გადაიტანეს, როგორი ნება „სურვილთა დათმობისა“, როგორი სიმტკიცე გამოამჟღავნეს ჩვენმა თანამემამულეებმა.

ეს სიმტკიცე და განსაკუთრებულად ჭარბი პატიოსნება კიდევ უფრო იკვეთება ჯგუფურ ფოტოებში, რომელთაც უკანა ყდაზე ახლავს ჯგუფის წევრთა სია. სიაში ზოგიერთი

გვარი გადახაზულია. გადახაზულ გვარებს სახეზეც ჯვარი აქვს დასმული; ზოგიერთ ფოტოში ასეთ პატიმართა სახეები მაკრატლითაა ამოჭრილი. ამგვარი შემოქმედების მიზეზი თინათინ იმნაიშვილმა ამიხსნა: ვინც გადაუხვევდა მორალური პრინციპებიდან, „დამბეზღებელი“ და საეჭვო პიროვნება ხდებოდა, ორგანოებთან გარკვეული სახის თანამშრომლობას იწყებდა, ჯგუფი მათ იკვეთდა, ანუ მათთან ურთიერთობას ნყვეტდა. ამ სურათებმა შთამომავლობას შემოუნახა გმირებისა და მოღალატეების სახეები, აგრეთვე განცდა იმისა, რომ ლალატი, ისევე როგორც გმირობა, არ დაიმალება და შთამომავლობას გადაეცემა.

გადასახლებულთა თანამგზავრი ნივთები

და ბოლოს, იმ ნივთებზე გვინდა მოგითხროთ, რომლებიც გადასახლებულთა ცხოვრების მუდმივ თანამგზავრებად იქცნენ. ალბულის ინტერვიუების თანმიმდევრობის მიხედვით თამარ წულუკიძიდან დავიწყებთ. ქალბატონი თამარის საყვარელი ნივთები ყოფილა: „ვეფხისტყაოსანი“, ბარათაშვილის¹⁰⁶, პუშკინის¹⁰⁷, ლერმონტოვისა¹⁰⁸ და ჩეხოვის¹⁰⁹ პოეზია. „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა, „პროლოგიდან რომ დაიწყებდა, თუ არ გააჩერებდით, ალბათ ბოლოში გავიდოდა. წერილებს შეგნებულად არ ინახავდა; ფოტოსურათიც სულ რამდენიმე შემორჩა ოჯახს; ერთადერთი, რაც გადასახლებაში მუდამ თან ჰქონდა, იყო ხატი. ამ ხატს არ იშორებდა, ყოველ დაკითხვასა და გამოძახებაზე თან ჰქონდა და ჩამოიტანა კიდეც“ (ნათელა გობრონიძის ინტერვიუდან). ეს ხატი ქალბატონ თამარს საწოლთან

106 ნიკოლოზ ბარათაშვილი – (1817-1845 წწ.) ქართველი პოეტი.

107 ალექსანდრე პუშკინი – (1799-1837 წწ.) რუსი პოეტი.

108 მიხეილ ლერმონტოვი – (1814-1841 წწ.) რუსი პოეტი.

109 ანტონ ჩეხოვი – (1860-1904 წწ.) რუსი მწერალი.

ედო და ჩუმად ლოცულობდა ხოლმე. დღეს კი ეს ხატი, რომელიც სიძველისაგან ნახევრად გადაშლილია და არ ხერხდება რუსული წარწერის ამოკითხვა, თუ რომელი წმინდანისაა, ოჯახის რელიქვიას წარმოადგენს. ქალბატონი თამარის განუშორებელი მეგობარი – რადიო – მას საფლავეში ჩაატანეს.

ქალბატონი ლიზიკოს საყვარელი ნივთების აღსაქმელად მისი ოთახის ფოტოსურათიც საკმარისია, საიდანაც ამ დიდებული ქალბატონის სულიერი სიმდიდრე გეცემა თვალში – სისადავე, უბრალოება. კედელი ავსებულია მისთვის სათაყვანებელ მწერალთა და მოღვაწეთა სურათებით. როგორც რუსუდან ჭუბაბრია იხსენებს, მის ძველ ბინაში, ორთაჭალაში, კედელზე ზიჩის¹¹⁰ „ვეფხისტყაოსნის“ საკმაოდ დიდი რეპროდუქცია ეკიდა, აგრეთვე ლ. გუდიაშვილის¹¹¹ „ფრესკა“ და „ტვინის ჭყლეტა“, რომლებიც ქალბატონ ლიზიკოს ძალიან ყვარებია. ლიტერატურულ ნაწარმოებთა გვერდით მისი საყვარელი ნიგნი მარქსის „კაპიტალი“ ყოფილა, ოთახში სიცოცხლის ბოლომდე ედგა მარქსის პატარა ბიუსტი; კედელზე კი ილიასა და ნოე ჟორდანიას სურათები ეკიდა (ინტერვიუ რუსუდან ჭუბაბრიასთან). ქალბატონი ლიზიკო ძალიან აფასებდა ლევან გოთუას, როგორც პიროვნებასა და როგორც მწერალს. მისი არაერთი მოთხრობა უთარგმნია რუსულად. კიდევ ერთი შტრიხი – მის ოთახში სანოლთან პატარა რადიო იყო ჩამოკიდებული, რომელიც ქალბატონ ლიზიკოს გადასახლებაში, სოფელ კოკჩეტავში უყიდა. „სამყაროს ამ რადიოს მეშვეობით ვუკავშირდებოდით“, – ამბობდა. ეს რადიო თამარ ნულუკიძის მსგავსად ქალბატონ ლიზიკოსაც იმქვეყნად გაატანეს, ხოლო გადასახლებიდან ჩამოყოლილი, პატიმრების მიერ ცოცხისაგან გაკეთებული თოჯინა მისმა შვილიშვილმა – რუსუდან ჭუბაბრიამ – დაიტოვა; ბებიის თოჯინა ახლა შვილიშვილის ოთახის კედელზე ჰკიდია და, ქალბატონი რუსუდანის თქმით,

110 მიხაი ზიჩი – (1827-1906 წწ.) უნგრელი ფერმწერი და გრაფიკოსი, საქართველოში 1881 წ. ჩამოვიდა, მან შექმნა და საქართველოს უსასყიდლოდ გადასცა “ვეფხისტყაოსნის” ილუსტრაციები.

111 ლადო გუდიაშვილი – (1896-1976 წწ.) ქართველი მხატვარი.

მისგან განუშორებელი იქნება: „იმედია, დიდი ხნის შემდეგ, ჩვენც ერთმანეთს ავეკიდებით სულეთისაკენ მიმავალ გზაზე“, – ამბობს რუსუდანი და ამ, ერთი შეხედვით, ხატოვან სიტყვაში ისახება უდიდესი სიყვარული, პატივისცემა და, მე ვიტყვოდი, თავგანწირვა იმ ღვანლის მიმართ, რომელიც ქალბატონმა ლიზიკომ თავისი სამშობლოსადმი გაიღო.

თინათინ იმნაიშვილის ოჯახის რელიქვიას წარმოადგენს ალ. ჯავახიშვილის¹¹² შედგენილი საქართველოს რუკა, რომელიც წარიმის მხარეში გადასახლებულმა ქართველებმა სპეციალურად იმისათვის გამოიწერეს, რომ პატარა თინიკოს ზედ ფეხი აედგა. ასეც მოხდა, საკმაოდ დიდი მასშტაბის რუკაზე ისწავლა მან სიარული. გადასახლებიდან დაბრუნებულმა ოლია მესხმა რუკა სამშობლოში ჩამოიტანა. მოგვიანებით კი ქალბატონი თინათინი და მისი მეგობრები სწორედ ამ რუკის მიხედვით, სადაც პატარა, უმნიშვნელო სოფლებიცა და ხეობებიც კი იყო აღნიშნული, ადგენდნენ მარშრუტებს და სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში ექსპედიციებს აწყობდნენ. დღეს ეს რუკა სიძველის გამო საკმაოდ შელახულია და რესტავრაციას საჭიროებს; კედელზე დასაკიდებლად იგი საკმაოდ დიდია, ამიტომ ქალბატონმა თინათინმა მთხოვა, მისი ჩვენს მიერ გადაღებული ფოტო მე-სახსოვრებინა, რაც შევასრულე კიდევაც.

გაგვიგრძელდა ნივთებზე საუბარი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ნივთი, მით უმეტეს, საყვარელი, განუშორებელი, გამოხატავს მისი მფლობელის ბუნებას, ხასიათს, ინტერესს. რაზე შეიძლება მიგვანიშნოს ჩვენი რესპონდენტების საყვარელმა ნივთებმა: წიგნებმა – ქართველი თუ რუსი კლასიკოსების ავტორობით, ცნობილ მხატვართა რეპროდუქციებმა, ხატმა, რადიომ, რუკამ და დროშამ? პირველ რიგში, მათი მფლობელების განათლებაზე (წიგნები, რეპროდუქციები); ახალი, ძირითადად საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინფორმაციის ფლობის სურვილზე (რადიო); იმედზე და რწმენაზე (ხატი); და, რაც მთავარია, სამშობლოს სიყვარულზე (რუკა და დროშა).

112 ალექსანდრე ჯავახიშვილი – (1875-1973 წწ.) ქართველი გეოგრაფი და ანთროპოლოგი.

გადასახლებულთა ლექსიკონიდან

გვინდა ზოგიერთი სიტყვის – მეტწილად ჟარგონის, რუსიციზმის, აბრევიატურის – განმარტებებსაც შევეხოთ, რომელთაც პირობითად „გადასახლებულთა ლექსიკონიდან“ ვუნოდეთ. დღევანდელმა თაობამ არ იცის ამ სიტყვების მნიშვნელობა; ისინი მხოლოდ უფროსი თაობის ხსოვნაში ცოცხლობენ, შემორჩენილი მათი მშობლების მოგონებებიდან და წერილებიდან; არადა გადასახლებულთა ლექსიკაში მათ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ. ეს სიტყვები გვხვდება ალექსანდრ სოლჟენიცინისა¹¹³ და ყველა იმ ავტორის შრომებში, რომლებიც საბჭოთა რეპრესიებს – შეხებიან. ზოგიერთ სიტყვას (ქართულსა თუ საერთაშორისოს, ან ციხის სახელწოდებას) განმარტება არ ესაჭიროება, მაგრამ ლექსიკონში მაინც შევიტანეთ გადასახლებულთა იმ მიმართების გამოსათქმელად, რომელიც ჰქონდათ მათ ამ სიტყვებით გამოხატული არსის, მოვლენისა თუ დაწესებულების მიმართ. სიტყვათა იმ დატვირთვის უკეთ გასაგებად, რა მნიშვნელობითაც ეს სიტყვები იხმარებოდა, თითოეულ მათგანს ვურთავთ ძირითადად ქალბატონი ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან ამოკრეფილ ციტატებს; ელისაბედ ქავთარაძის სიტყვები წარმოადგენს ლექსიკონის ეპიგრაფსაც:

„დე, მაპატიოს მკითხველმა ეს რუსიციზმები. ზოგი ნახულ-განცდილი იმდენად საბჭოურია, იმდენად ბილწი სათქმელი, რომ ენა არ მემეტება. დე, იმ ენამ ზლოს, რომელმაც მათ სიცოცხლე მისცა“.

ჩვენმა თაობამ აღარ იცის იმ სიტყვების მნიშვნელობა, რომლებსაც საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლნი ხმარობდნენ, უკიდევანო ქვეყნის სხვადასხვა ციხე-ლაგერში მოხვედრილნი;

113 ალექსანდრ სოლჟენიცინი – (1918 წ.) რუსი მწერალი, დისიდენტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სამამულო ომის დამთავრებიდან მოყოლებული მრავალი წელი გაატარა ციხეში ანტისაბჭოთა მოღვაწეობის გამო, 1974 წ. სსრკ მთავრობამ იგი სამშობლოდან გააძევა, 1994 წ. დაბრუნდა რუსეთში. ნობელის პრემიის ლაურეატი.

არცაა საჭირო; დაე, არასდროს დასჭირდეს მათი ხმარება; ჩვენი ე. წ. „გადასახლებულთა ლექსიკონი“ მხოლოდ ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს გამოადგება, განუმარტავს მას არა მარტო სიტყვის მნიშვნელობას, არამედ იმ დატვირთვისა და ემოციასაც, რომლითაც გადასახლებულები და პატიმრები მას იყენებდნენ. ზოგიერთი სიტყვა საყოველთაოა, მკითხველისათვის კარგად ნაცნობი, მაგრამ მაინც შეგვაქვს ლექსიკონში მისი სხვაგვარი გააზრების წარმოსაჩენად. ლექსიკონი შედგენილია ძირითადად ელისაბედ ქავთარაძის ჩანაწერებიდან ამოკრეფილი სიტყვების, რუსიციზმებისა და აბრევიატურების განმარტებებით. აქვე ვათავსებთ საბჭოთა კავშირის ციხეების მისეულ დახასიათებასაც, რათა უფრო ნათლად წარმოვაჩინოთ გადასახლებულთა ის გაუსაძლისი მდგომარეობა, მათ მიერ ნანახი, მოსმენილი და გადატანილი, რაც ნაშრომში სისრულით ვერ ავსახეთ.

აკმოლა – ყაზახეთის ციხე-ლაგერის სახელწოდება, ყაზახურად თეთრ სამარეს ნიშნავს. „აკმოლინსკის ლაგერის ბაზაზე ჩამოგვიყვანეს. თეთრი ლაგერი 45 კილომეტრის იქით ყოფილა. ეს მანძილი მისი მკვდარი ზონის რადიუსია. ჩიტიც ვერ გადაფრინდება, ბუჩქნარს, ტოტსაც ვერ მიაგნებს, რომ შეისვენოს – გადაყვლეფილი ტრამალია“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ალჟირი – აკმოლინსკის ქალთა ლაგერის სახელწოდება ჟარგონზე – «Акмолинский лагерь жён изменников родины».

ასა – АнтиСоветская агитация.

ბადრაგი – ჯარისკაცი, რომელიც თვალყურს ადევნებს პატიმარს მისი ერთი ადგილიდან მეორეში გადაყვანის დროს. „ვისაც ბადრაგი არ უნახავს, არ იცნობს რუსი სალდათის ბუნებას ... ბადრაგი ეტაპის განუკითხავი ბატონ-პატრონია. მის შემადგენლობაში ნაირყადის ჯარისკაცია. პატიმარი თავის თავზე განიცდის ახალწვეულის ფეთებას, დაგეშილი სალდათის ღვარძლიან ხითხითს, წესდებით გამოშიგნული გუშაგის ყრუ და ბრმა უგულობას. მკაცრი,

მაგრამ კანონიერად მკაცრი და გონიერად სამართლიანი, ელემენტალურად ადამიანური დამოკიდებულება ბადრაგისაგან მე არ მახსოვს. იქნებ ეს ასეც უნდა იყოს?! ... ჩემს მეხსიერებაში ბადრაგი და სტოლიპინკა ერთ განუყოფელ მთლიანობად დარჩა. მე არ ვიცი, როგორი იყო მათი ურთიერთზემოქმედების ვითარება. იქნებ ბადრაგი ქმნიდა სულისშემხუთავ სტოლიპინკას, ან სტოლიპინკა სულისშემხუთავ ბადრაგს ... იქნებ გალია უსპობს ბადრაგს ადამიანის გულისსათემელს, ან იქნებ ბადრაგის ბეჭედი დაღავს გალიას?!“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ბალანდა – ცუდი საჭმელი; „ცნება სადილისა ჩვენი ლექსიკონიდან, დიდი ხანია, ამოგდებული იყო. ბალანდა მხარზე ჯოხგადგმული პარაშასმაგვარი ავზებით მოჰქონდათ. მისი მადლი ისაა, რომ ცხელია, თუ მიუსწარი. ჩაშავებული ბოსტნეულის ნახარში ზოგჯერ თევზის თავსაც ნააწყდები, რაღაც ბურღულეულიც ცურავს – მარცვალი მარცვალს მისდევს და ვერ დასწევიაო, ხუმრობენ ზეკები“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ბუტირკა – მოსკოვის გამანაწილებელი ციხის სახელწოდება; ფუნქციონირებს მე-17 საუკუნის 80-იანი წლებიდან; მდებარეობდა მოსკოვის გარეუბანში, კარიბჭესთან, და ციხესიმაგრის მნიშვნელობა ჰქონდა. 1879 წელს მის ადგილზე ახალი ციხე ააგო არქიტექტორმა მ. ფ. კაზაკოვმა. ამ ციხეში სხვადასხვა დროს მჯდარან: ემილიანე პუგაჩოვი, ხალხოსნები, მოროზოვის აჯანყების მონაწილენი, ბოლშევიკები, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ფელიქს დერჟინსკი და თითქმის ყოველი მეორე საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

ეტაპი – პატიმართა გადაყვანა ერთი ციხიდან მეორეში; „გადასარეკ პატიმართა ნახირს ეტაპი ეწოდება, გადარეკვის პროცედურასაც იგივე. იზოლატორისაგან განსხვავებით, პეტროპავლოვსკის ციხე გამანაწილებელი პუნქტია. აქ სხვადასხვა მიმართულებით ეტაპის დაშლა და კვლავ ფორმირება წარმოებს. ასეთი გზაჯვარედინების

უხილავი ქსელი აბლაბუდასავით აქვს შემოხვეული ამ ბედუქულმართი ქვეყნის უთვალავ გზებს. ეტაპის გადაყალიბება-ჩამოყალიბებას პატიმარი ხშირად თვეზე მეტ ხანს უცდის, რაც არავის ეუცხოება და, პირველ რიგში, პროკურატურის ზედამხედველობას. საზოგადოების ჩვეული წყობა-გარემოდან ძირფესვიანად ამოგდებული პატიმარი საეტაპო მანქანის კლანჭებშია მოქცეული. გააფთრებული მუშაობს ეს უჯმაჯური მექანიზმი, ატრიალებს თავის შემზარავ ბორკილებს და უსასრულო საეტაპო ტრასებით ხან აქეთ და ხან იქით მიათრევს პატიმარს, შეგდება ხან ერთ ციხეში, ხან – მეორეში, ვიდრე სამშობლოს არ მოწყვეტს ათასი კილომეტრებით და არ ჩაკარგავს სადღაც რუსეთის ჯოჯოხეთურ უფსკრულეთში.

ეტაპი არის განადირება და სასონარკვეთა გალიაში მომწყვდეულისა, შიმშილი, წყურვილი და განგაში საპირფარეშოში გასვლისა, სიმნარე, დამცირება, სირცხვილი კუჭის აშლისა, შარდის მოძალებისა ...

საბჭოურ ეტაპში, სადაც კონდენსირებულია ჩვენი ცხოვრების ყოველგვარი უბედურება-უქულმართობა, პატიმარი პირნმინდად გაჯავშნულია და ეს უსაშველო დაუცველობა, სრული სიშიშვლე უმნარესი განსაცდელია თანამედროვე ცივილიზირებული ადამიანისათვის.

ეტაპში მხოლოდ ერთი რამ სუფევს: მორჩილება, მორჩილება და მხოლოდ მორჩილება. სად არის საზღვარი? ხომუნდა იყოს სადღაც? ბადრაგის ბრძანება და უყოვნებლივ უნდა სრულდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბადრაგი გესვრის გაუფრთხილებლად. ეს არის და ეს. არსად ჩანს უზენაესი კანონის ძალა, რომლის წინაშე ყველა თანაბრად ვალდებულია...

... ათეული წლოებით სამშობლოსა და ოჯახისაგან მოწყვეტა არ კმაროდა, მანანნალა-ბოგანოსავით გვახეტიალებდნენ. ისედაც ვაინაჩრულ საყოფაცხოვრებო ბაზას ძლივს შეაკონინებდი და კვლავ უნდა აყრილიყავი, გულიდან მოგეგლიჯა ჩასახული მეგობრობა, კეთილი ამხანაგობა,

ნაცნობობა, ძნელად შესაძენ საოჯახო წვრილმანებზე უნდა გეზრუნა და ა.შ. ეს იყო ჩვენი უსინდისო წვალება, რომელსაც იმპერიის პენიტენციალურ პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ახლაც მოულოდნელად გამოგვიძახეს, რომ ქალაქიდან ჯანდაბაში გადასახლებისათვის მოსამზადებლად 24 საათი გვეძლეოდა (კურსკი, 1932წ.) (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ეკატერინკები – მეფის რუსეთის დროს აგებული გარკვეული ფორმის ციხეები. „მიხვეულ-მოხვეული, გულსაკლავად ერთნაირი, ყრუ, ჩაკეტილ-ჩარაზული კარებებით. ნესტის მომწვანო ხაოთი გადაკრული რუხი კედლებით; ქვას რომ ხელი ახლო, ასეული წლების ნალექი, ტენიანი წვირე აგყვება. გარედან კორპუსების განლაგება რუსული E-ს კონფიგურაციისაა. ასეთ ციხეებს „ეკატერინკებს“ უწოდებენ. რუსეთის იმპერატორები და მათი დიდი მოურავები სახელის უკვდავებას გალია-დილეგებშიც იმკვიდრებდნენ ... საქართველოში თავისუფლების დასაცავად აგებულ ციხე-სიმაგრეებს კი ხალხი თამარის ციხეს უწოდებს ...“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ვორონეჟის ციხე – მდებარეობს რსფსრ-ს ცენტრალურ ევროპულ ნაწილში; „ვორონეჟის ციხის საკანში ვიყავით მხოლოდ მე და რიმა სარქისიანი. გამოძიება მოთავებული იყო. ყოველდღიურობა რეზინასავით გაინელა ... საკანი დიდ სულგრძელობას მოითხოვს. როდესაც ბოღმა შემომანვებოდა, კედლისაკენ ვიცოდი პირით ბრუნება. ძაღლონეს მოვიკრებდი, გადავლახავდი, წონასწორობას აღვიდგენდი ხოლმე. – თქვი რამე, თქვი, – მეხვეწებოდა გამწარებული რიმა. მეც ვამბობდი, მოქმედების ილუზიას ვქმნიდი, ადმინისტრაციას ვუხირდებოდი, განვიმუხტებოდი ხოლმე“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ზეკა – პატიმარი; „ზეკა ზაკლუჩონის ორი ასოს კომბინაციაა და ქართულად პატიმარს შეესატყვისება. ძველი პენიტენციარული ცნებანი: პატიმარი, ტუსალი, არესტანტი

და სხვა ხმარებიდან თავისთავად ამოღებულ იქმნა და მისი ადგილი ციხის ლექსიკაში ზეკას ცნებამ სტიქიურად დაიკავა. დიახ, ჩვენ შევდიოდით ახალ სამყაროში, სადაც ძველი კატეგორიები აღარც კი გამოგვადგებოდნენ. ზეკა ახალი კატეგორიაა, სოციალურ ბალანს გარეშე მყოფი ახალი ფორმაციის სრულიად უუფლებო მდგომარეობის აღმნიშვნელი. ზეკა იყო მონა, რომელსაც არავითარი უფლება არც ადამიანის, მით უმეტეს, არც მოქალაქის, არც პატიმრის, აღარ გააჩნდა“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

„...უცებ დაირხეოდა ხმა, რომ ციმბირიდან თუ ჩრდილოეთიდან, თუ ყაზახეთიდან ჩამოდის ნაცნობი თუ უცნობი ზეკი, და იწყებოდა მისი მოსკოვური ცხოვრების ორგანიზება: ფულის შეგროვება, საცხოვრებლის მოწყობა, აუცილებელი ნივთების შეძენა...“ (ლანა ლოლობერიძე, „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“, გვ. 182)

ინტელიგენცია – „საგინებელი სახელი ციხეში. აბა, ურკას აკადრე: მე შენ გიჩვენებ „ინტელიგენციას“, შენი დედა და სულიო ... საკანში დეკლარირებული ბოგანო ნაძირლები გაბატონებულ წოდებას წარმოადგენდნენ და უპირატესი ადგილი – ნარები – მათ ჰქონდათ მიტაცებული. იატაკზე განუკითხავად დაჯაბნილი ორმოცდათვრამეტმუხლიანი „ინტელიგენცია“ სახლობდა. ძირს მობინადრენი შეშინებული ცხვრის ფარასავით შექუჩულიყვნენ, ირგვლივ მგლები – სართულის ავყია მტაცებლები – დათარეშობდნენ, „ძლიერის უფლებას“ ცხვრების ღრენა-კბენით იმტკიცებდნენ. ეს გამოხატავდა გარე ძალთა განწყობა-მიმართებას. რუსეთის რევოლუციამ თავისი ინტელიგენცია პირნმინდად „პადლეცებად“ მონათლა და აქცია კიდეც. „პადლეცის“ ეტიმოლოგია სიტყვა „პადვალიდან“ მოდის. ველურმა რევოლუციამ არ დაინდო, ვერ გამოიყენა საუკუნეებით ნაწრთობი კულტურული ძალა და ღონე ხალხისა, მისი აკუმულირებული, კონდენსირებული გონებრივი და ზნეობრივი ენერგია და, როგორც ნაგავი, სანაგვეში გადაუშვა“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

კავჩე – „ლაგერში არსებობს ერთი ნეტარ-ბოლშევიკური დაწესებულება – *Культурно воспитательная часть*, ე.წ. „კავჩე“. თვით ამ სიტყვის გაგონება ტანში ჟრუანტელს მგვრის, როგორც დაუჯერებელი პათოლოგიური კომპარის მოგონება. აკმოლინსკის დახურულ ლაგერში საბჭოეთის ელიტა – შვიდი ათასი თავრეტდასხმული, უდანაშაულო დედა-ქალები ეწამებოდნენ. ესენი იყვნენ ხელოვნების, მეცნიერების, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმიანობის მუშაკები, უბრალოდ ოჯახიდან ამოგდებული ქალები, რომელთა ქმრები, ვინ უწყის, სად და რატომ ჩაკლეს, რომელთა შვილები, ვინ უწყის, ვის ხელში ნადგურდებოდნენ. ამ ქალებს, ნაზარდ ელიტას, კულტურულ აღმზრდელებად მიუვლინეს რეციდივისტი, თავიდან ფეხებამდე გარყვნილი ნაძირლები“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

კარადა – ციხის უსარკმლო და იმდენად ვიწრო საკანი, რომ პატიმარი ფეხზე უნდა მდგარიყო, ვერ დანვებოდა.

კაპტიორკა – „ოციან წლებში საეტაპო გზაჯვარედინებთან არსებობდა სათბურების გამანაწილებელი, ე.წ. „კაპტიორკა“. იძლეოდნენ ახალსაც, მაგრამ უფრო ძველმანებს, მუშებისა და ჯარისკაცების გამონაცვალს; ბუშლატებს, ქურქიან ქუდებს, ვალინკებს, ბათინკებს, ხელთათმანებს და სხვა. რევოლუციონერების მიერ მოპოვებული ეს საეტაპო წესი რომანოვების ციხეებმა დაუტოვეს მათ, ვისაც თავის თავზე ჰქონდა გამოცდილი იმ ღონისძიებების სამკვდრო-სასიცოცხლო აუცილებლობა. დღეს ისიც გაუქმებული იყო“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

კლოზეტი – საპირფარეშო, რომელსაც აქვს წყლით ჩასარეცხი მოწყობილობა.

კრა – КонтрРеволуционнная Агитация.

კონტრიკები – კონტრრევოლუციონერები რეციდივისტების ჟარგონზე.

ლაგერი – „სალაგერო სისტემა ლენინის სიცოცხლეშივე არის ჩამოყალიბებული. საბჭოური კატორღის მსგავსი, ბენკენდორფიდან დაწყებული, რომანოვების ჯალათებს არც კი დასიზმრებიათ. მაგრამ, ვაი, რომ ოცდაჩვიდმეტი წლიდან ლაგერი ისეთ ჯოჯოხეთურ სრულყოფას აღწევს, რომ ადამიანის ნორმალურ ფანტაზიას შესადარი ნიმუშის გამონახვა გაუჭირდება, თუ ფაშისტურ ლაგერებთან მსგავსებას არ იუკადრისებენ... ლაგერის სპეციფიკა განსხვავდებოდა ციხისაგან. ციხე თავისი ტერიტორიალური ერთიანობით და პატიმართა კომპაქტურობით ზემოქმედების და სოლიდარობის მეტ შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ადმინისტრაცია უფრო თავშეკავებულია და იძულების საშუალებანიც გარკვეულად რეგლამენტირებული აქვს, ხოლო ლაგერები ცენტრისაგან დაშორების მიხედვით დამოუკიდებელ სანახაობად იქცეოდნენ, სადაც განუკითხაობით გარყვნილი სატრაპები მძვინვარებდნენ და საწარმოო გეგმის შესრულებით ზემდგომთა წინაშე პატივს იმსახურებდნენ“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

მეტეხი – „1924 წლამდე დაპატიმრებული რეპრესირებული ქართველები, რომელთაც აჯანყებაში მონაწილეობა არ ბრალდებოდათ და ვერც დაბრალდებოდათ, ხელალებით ირან-თურქეთის ყიზილბაშური ადათით, ყველა მძევლებად გამოაცხადეს. აჯანყების დღეებში კი, მხოლოდ ერთ ღამეს, თუ არ ვცდები, პირველ სექტემბერს, მეტეხიდან 6000 ასეთი მძევალი დახვრიტეს. გოგი მამალაძეს, რომელიც უკვე ფსიქიურად დაავადებული იყო, საკანშივე გაუსწორდნენ და კედელზე მიასხმევინეს ტვინი. ვინ იტყვის, თუ რა ხდებოდა მეტეხისა და სხვა დილეგების იმ სისხლიან ღამეებში?“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ნუვორიშები – წარმომდგარია ფრანგული სიტყვიდან და ნიშნავს „ახალ მდიდარს“; სავაჭრო სპეკულაციების შედეგად გამდიდრებულ ადამიანს, რომლისთვისაც დამახასიათებ-

ლია „ჭინჭები, შეკნაჭული თმები, ბუერას თმავარცხნილობა, პრიალა ჯოხებით და შუშებით დახუნძლოლი ბინები, ევროპის მოდების ბრმა, უგემოვნო გადმოღების ფსიხოზი ... გაბატონებულია, ტონის მიმცემია ნუვორიშების ფსიქოლოგია, რომლისგანაც თავდახსნილს იშვიათად თუ ნახავ ვინმეს“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

პარაშა – „მორიგეობით, მხარზე ჯოხებგადადებული „მივასვენებლით“ სავსე პარაშას“ (მოქმედება ხდება პეტროპავლოვსკის ციხეში) (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

პეტროპავლოვსკი – პეტროპავლოვსკის ციხე, რომელიც მდებარეობს კამჩატკის ოლქის ცენტრში, წყნარი ოკეანის ავარჩის უბის ნავსადგურში (რსფსრ), თავდაპირველად წარმოადგენდა ციხე-სიმაგრეს; „პეტროპავლოვსკიში ორი კვირა გაგვაჩერეს. ერთფეროვნად ენაცვლებოდა ღამე დღეს და დღე ღამეს. მორიგეობით ... „მივასვენებლით“ პარაშას, ვრეცხავდით საკან-დერეფნის იატაკს, საპირფარეშოებს და მოუთმენლად ველოდით თხუთმეტწუთიან სეირნობას.

ოთხკუთხა ეზო ყრუ კედლებში იყო ჩამჯდარი. ზევიდან ჩრდილოეთის მოქუფრული ცა დაგვყურებდა, მაგრამ მაინც ცა იყო. ირგვლივ კი ფანჯრები ჩონჩხის ცარიელი თვალის ღრმულელებით შემოგვცქეროდნენ გულშემზარავი უტყვი მზერით და მაინც უდიდესი ნეტარება იყო ეს თხუთმეტწუთიანი სუფთა, ცივი, გამჭვირვალე ჰაერი ...“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

რონოდა – ვაგონი; „სამსართულიანი გალიების წყებას წარმოადგენს. როგორც წესი, გალიები პატიმრებითაა ამოვსებული. ქვედა ორ სართულში ექვს-ექვსი სხეულია, უკანასკნელ ზედაში – თითო-თითო. თავშექცევით ორ-ორი აქაც ჩაიჭედებოდა, მაგრამ მენახირეებს საქონელი თავების ვარაუდით აქვთ ჩაბარებული და ანგარიშ-დათვლით გაოგნებულებს სათვალავის დეადამიანი ზირებული ერთეულები ყოველთვის მხედველობის არეში უნდა ჰქონდეთ, რაც თავშექცევას გამოორიცხავს. ამავე მიზეზით შუა საწოლი

თარო დღისით არ იკეცება. ქვევითაც გალიის სივინროვემ 12-14 ტუსალი რომც დაიტიოს, „ფხიზელ თვალს“ თავები აერევა, ეს კი წესდებით „ნეპოლოჟენო“.

გაგონილი მაქვს, დახშულრონოდებიანი სპეცეშე-ლონებიც ყოფილა. ეტაპის დასაბამიდან საგზავარედინო ინტერვალების გარეშე მატარებელი მიდის ერთი დანიშნულების მიმართულებით. კარებს დროგამოშვებით აღებენ, მკვდრები გააქვთ. ხმელი ულუფა წინასწარ დარიგებულია, კლოზეტი იქვე კუთხეშია გაჭრილი, რა თქმა უნდა, ტიხარიც კი არა აქვს. საქონელს არც რიდი უნდა და არც პატივი“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

სატრაპები – თვითნება, დესპოტი მმართველები; წარმომდგარია ბერძნული სიტყვიდან სატრაპეს; ისტორიულად ძველი სპარსეთის პროვინციის მმართველს ერქვა.

სლონი – «Соловецкий Лагерь Особого Назначения».

სტოლიპინკები – შეარქვეს განსაკუთრებით რეაქციული ხასიათის ციხეებს პეტრე არკადის ძე სტოლიპინის „საპატივისცემად“. სტოლიპინი 1906 წლიდან რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო; იგი ცნობილია როგორც 1905-1907 წლების რევოლუციების სისასტიკით ჩამხშობი; მთელი რუსეთი სახრჩობელებით აავსო, რომელთაც „სტოლიპინის ჰალსტუხები“ შეარქვეს;

„სტოლიპინკა ადამიანის ბოროტების ერთ-ერთი სახეემნილებაა და, როგორც სახელწოდება მონმობს, სტოლიპინის მძვინვარე ფანტაზიის სახსოვარი უნდა იყოს. რკინიგზით ეტაპის გადაზიდვა ამჯერად სტოლიპინკით ხდებოდა. 1940წ.“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

სალდათი – რუსი ჯარისკაცი, რომლისთვისაც „წესდება სჯულის ფიცარია. „ნეპოლოჟენო“ და „პოლოჟენოს“ ფარგლებით იზღუდება მისთვის საზოგადოებრივი და ადამიანური ფასეულობანი“.

სალოვკა – თეთრ ზღვაში მდებარე სალოვეცკის კუნძულები;

მე-15 საუკუნის 20-30-იან წლებში აქ დაარსდა მონასტერი, მოგვიანებით კი კუნძული მეფის რუსეთისა და საბჭოთა ხელისუფლების მონინალმდეგე პირთა გადასახლების ადგილად იქცა; 1925 წლიდან აქ ქართველი პატიმრები იხდიდნენ სასჯელს. ქართველთა ჯგუფი 75 კაცისგან შედგებოდა, რომლებიც სხვადასხვა „სტიკებში“ დაქსაქსეს.

„სალოვკის კატორლას საშინელი სახელი ჰქონდა გავარდნილი. 1929 წელს ნარიმის ეტაპს სალოვკელების ხეიბართა ჯგუფი შემოუერთეს. მეტნაკლებად ყველას ერთი ხელი ჰქონდა მოკვეთილი – ზოგს მთელი მკლავი, ზოგს – იდაყვამდე, ზოგ „ბედნიერს“ კი მხოლოდ მტევანი აკლდა. ერთ-ერთმა იმათთაგანმა, ინჟინერმა, ამიხსნა, რომ პატიმრები ურთიერთდახმარებით თვითონვე იჩეხავდნენ, ან იმტვრევდნენ ხელს ცულით, ან რითაც მოიხელთებდნენ, ხე-ტყის დამზადების დროს. მათ სახეებს ინდივიდუალობის ნატამალი აღარ აჩნდა. ოდესღაც სულიერი ავლა-დიდების გამომხატველი ნაკვთები ახლა ელემენტალურ გრძნობებს აირეკლავდნენ მხოლოდ. ვინ იცის, რა ცისკროვანი აზრები ლელავდნენ ამ მაღალი შუბლის იქით, როგორი ვაჟკაცური შემართებით აინთებოდნენ თვალები და სიყვარულის ნათელი ეფინებოდა ამ ჩაშავებულ ტუჩებს... ნაშთად ქცეული და მაინც მეტყველი ნაკვთები საოცრად კონტრასტულობდნენ გამოცარიელებული ფიტულების უმეტყველობასთან. ჯგუფი უცნაურად ერთსახოვანი იყო, ერთის მთქმელი და გამომხატველი. ეს იყო დაშინებული, დამშეული და უკვე მორჩილი საქონელი, რომელსაც ამ ქვეყნისაკენ პირი აღარ უჩანდა“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

სტიკები – სავანეები; სალოვეცკის კუნძულის დაბურულ ტყეებში მრავლად იყო მიმოფანტული სამონასტრო სავანეები; სწორედ ამ „სტიკებში“ ანაწილებდნენ პატიმრებს.

ურკა – „უგალოვნი კოდექსის“ ორი სათაური ასოს კომპოზიტი; ნიშნავს სისხლის სამართლის დამნაშავეს შემოკლებულ სახელს; პატიმარი, რომელიც ციხის უფროსობასთან შეკ-

რულია და მის არაკანონიერ დავალებებს ასრულებს; ურკები ასრულებდნენ ჯიბგირების, ქურდებისა და ნადირლების როლსაც; „აბანოს მსახური კაცები ურკები არიან; ქალები შიშვლები შევდივართ. „დავაი, დავაი, დავაი“, – ყვირიან ურკები. ცხელ წყალს ციხის დიასახლისები იმართობხელებენ; ცივს თუ ერიდები, გასაპნული გამოდიხარ. დრო ცოტა გაქვს. საიერიშოს წარმოადგენს აბანოს გარე ოთახიც, სადაც რგოლებზე ტანსაცმელი კიდია. თუ ჩაცმა ვერ მოასწარი, ჩაუცმელი დარჩები, ამიტომ გამორბიხარ ზოგჯერ უწინდოდ, ზოგჯერ უკაბოდ. ურკები ტანსაცმელს გპარავენ. ურკამ სისუსტე არ უნდა შეგატყოს, შედავებაც არ შეიძლება, იგი გაჯობებს, მისთვის ყველა საშუალება თანაბრად მისაღებია. დამარცხებას დაგიმახსოვრებს და აბუჩად აგიგდება... თუ არ შეგაშინა, იგი თვითონ შეშინდება. როგორც ყველა ლაჩარი, ურკა თავხედა და უტიფარი, ამიტომაც იოლადა იჯაბნება“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ურჩი – „*Учебно распределительная часть* ლაგერის გასაიდუმლოებული და ყველაზე უფრო შავბნელი ორგანოა. იქ მომუშავეს სინდისზე ხელი უნდა ჰქონდეს ალებული. ადმინისტრაციის ნდობადამსახურებული ბობოლა რეციდივისტები ურჩში მოღვაწეობენ. სიკვდილ-სიცოცხლის საგზურს ადამიანი ურჩში იღებდა. დასაიდუმლოებული პირადი საქმეების მიხედვით ან სხვა ფაქტორების ჩარევით, თუგინდ ვინმეს ათვალისწინებით პატიმარი ისეთ საქმეზე იგზავნებოდა, რომელიც სულს მალე ამოხდიდა ან პირიქით, თავს შეანახინებდა. მაგალითად, საკვებ ობიექტზე გაგზავნა სიცოცხლის საგზურს უდრიდა. პატიმრის მონაცემების მიხედვით, შრომის პატიოსანი და სამართლიანი განაწილებით მრავალი და მრავალი სიცოცხლე დაიზოგებოდა ლაგერში, მაგრამ დაზოგვა არავის აინტერესებდა. რაც უფრო ნაკლები მონმე და მთქმელი გადარჩებოდა, მით უკეთესი“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ფრაერი – დამთმობი, უხმო, მორჩილი პატიმარი, რომელსაც ჩაგრავს ციხის „ძლიერი წოდება“ – ნაძირალები.

ფილერები – ჯაშუშები; ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს პოლიციის აგენტს, მაძებარს;

„დიდი ნვალებით გამჭოლი ეზოების მეშვეობით ვახერხებდი უკვე ადევნებული ფილერების ჩამოშორებას და შედარებით მოკლე დროში დასახული გეგმა შევასრულე“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ყარაბაზი – „ყარაბაზი გადასახლების და უმთავრესად ყარაგანდის სალაგერო სისტემის გამანანილებელ გზა-ჯვარედინს წარმოადგენდა. თვალუწვდენელი ეტაპის მიკარგულ სიღრმეში, ვით უდაბნოში, გაშლილი იყო ეს საბჭოური „ოაზისი“. საიმედოდ იგი ორმაგი ეკლიანი მავთულების ხლართებში იყო მოქცეული. მავთულხლართებს შორის ხუთი თუ ექვსი მეტრის სიგანის ხნული იყო გატარებული... ქართველს მიწისთვის დედამინა უწოდებია, მაგრამ ეს საგანგებოდ გამწირებული და უნაყოფოდ შთენილი ხნული ადამიანს აქ დედობას არ უწევდა. იგი სიკვდილის ზონა იყო და თუ ვინმე მას მაინც გადაურჩებოდა, გაქცეულის ნაფეხურები ხნულის ბელტებზე აღიბეჭდებოდა, ძაღლები კი თავისას გააკეთებდნენ. მავთულებს მიღმა, ორი ფარგლის იქით, ბოძებს ირგვლივ რკინის მოქნილი ტროსი იყო შემოჭიმული. მის მოძრავ რგოლებზე ჯაჭვით ძაღლები იყვნენ გამობმულნი და მათ გააფთრებულ ყეფას ჯაჭვების ღრჭიალის აკომპანიმენტით ალბათ საფლავი თუ დამავინყებს... საზვერავი „ვიშკა“ – კოშკურების მეოთხე წრე აგვირგვინებდა მონათა დასაიდუმლოებული ბაზრის გარე-სადარაჯო სისტემას.

ყარაბაზი სახელმწიფო დანესებულებას არ ჰგავდა. იგი ნაძირალების შხამიანი ტრუშჩობა იყო, რომელიც სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ წარმატებით ყვაოდა და იფურჩქნებოდა. შორეული წარსულის მონებს დროის

შესაფერისი პირობები ჰქონდათ. მონები სამუშაო საქონელი იყო და ამის მიხედვით პატრონიც სიფრთხილეს იჩენდა... ყარაბაზი დროებითი, ეტაპური მოვლენა არ ყოფილა. იგი ტიპური იყო ყველა ნარევი „საერთო“ ლაგერებისათვის იმ განსხვავებით, რომ მისი უბედურება-საშინელებანი იქ გაათკეცებული სიძლიერით მეორდებოდა და სტაბილურ ხასიათს იღებდა... ბარაკის ტამბურს მიშენებული ჰქონდა მომცრო საკარანტინო სადგომი. სწორედ იქ ხდებოდა ადამიანთა მასიური წამება. ეს უსაშველო გნიასი, ენით აღუწერელი, არაადამიანური ღმუილი და ყივილი იყო არა კომმარი, არამედ სინამდვილე“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ცენტრო – Центральная Черноземная область – „ამ წლებს ცენტროში შევესწარი. კურსკის ქუჩებში დიდიდილაობით მეეზოვენი ბავშვების გვამებს ტომრებით აგროვებდნენ, მოხუცების და უფრო მეტად კაცებისას – დიდი ფორნებით. ვორონეჟის ციხეში კაციჭამიების საკნები იყო გამოყოფილი. მრავლად იყვნენ აგრეთვე ადამიანის ხორციით მოვაჭრე სპეკულიანტებიც“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ჩესეირები – Члены семьи изменников родины; აქედან წარმოსდგა ჩესეირი; პატიმართა ამ კონტიგენტს შემოკლებით „ცოლებსაც“ უწოდებდნენ, ხოლო ასეთ ლაგერს – „женский лагерь“-ს.

„დედა გასაგები მიზეზების გამო ცდილობდა დაემალა თავისი წარსული, თავისი ჩესეირობა, რადგან ერთი ფიქრი ჰქონდა აკვიატებული: საკმარისი იყო სამხედროებს გაეგოთ, რომ მოსკოვში ნებართვის გარეშე ჩავიდა, ხელახალი პატიმრობა არ ასცდებოდა“ (ლანა ლოლობერიძე, „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“, გვ. 177).

ბადასახლებული ქალები

ნაშრომის ბოლო ნაწილში ლიზიკო ქავთარაძის, თამარ წულუკიძის, ოლია მესხისა და მათი თანამებრძოლების ხსოვნის პატივსაცემად იმ პატიმარ ქალებსაც მოვიხსენიებთ, რომლებიც ჩვენს რესპონდენტებს თავიანთი მძიმე ცხოვრების, პოლიტიკური მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე შეხვედრიან. ეს ქალბატონები არიან:

ლიკო ხუციშვილი – 1927 წელს დაპატიმრებული; 1930 წელს ყელის ჭლექით გარდაიცვალა ტომსკში;

მაყვალა რატიანი – ორჯერ გადასახლებული, პირველად 1929 წელს, მეორედ 1945 წლის ბოლოს; დაიღუპა ეტაპის დროს;

ვერა ასათიანი – საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი იატაკქვეშელი, გაციმბირებული;

ცაცა დარახველიძე – „ჩერეზვიჩაინო ოპასნაია ჟენშჩინა“, საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი;

კატიუშა პრეობრაჟენსკაია – მორწმუნე კათოლიკე, რომელიც მძაფრი შინაგანი ბრძოლების შედეგად დისიდენტად ჩამოყალიბდა;

ლიოლა (ცეცილია) კინი – მწერალი ქმრის დახვრეტის გამო თვითონაც აკმოლენსკის – „სამშობლოს მოღალატეთა ცოლების“ – ბანაკში აღმოჩნდა;

ჟერმენ ბეგთაბეგიშვილი – ფრანგი ქალი, რომელიც უმიზეზოდ მეტეხის ციხის სიკვდილმისჯილთა ერთეულ კამერაში იჯდა; ერთი თვის შემდეგ დახვრეტის განაჩენი 3 წლით თავისუფლების აღკვეთით და იძულებითი შრომით შეუცვალეს;

ნიკა კრუკოვსკა – სამართალმცოდნეობის კათედრის მეცნიერ-მუშაკი; პოლონეთის საელჩოს დიპლომატიური კურიერი, რომელიც გამოძიების ინსტენიების შემდეგ ჯაშუშობის ბრალდებით გაისტუმრეს ციმბირში;

რიმა სარქისიანი – დააპატიმრეს თავისი ქორწინების საღამოს ქმრის სოციალ-დემოკრატიის გამო;

აიკანუშა ოგანეზოვა – სომხეთის „ახალგაზრდა მარქსისტთა“ პარტიის წევრი; სომეხ დისიდენტებთან ერთად მეტეხის ციხეში იხდიდა სასჯელს.

ჩვენი ღრმა რწმენით, ამ ადამიანთა სია შეივსება; გამოიძებნება მათი ახლობლები, შთამომავლები, რომლებიც დაგვეხმარებიან „ქალთა ზეპირი ისტორიების“ – ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი ისტორიის – ფურცლების შევსებაში.

ნაშრომის დასკვნად კვლავ ლიზიკო ქავთარაძის სიტყვებს გამოვიყენებთ, ეს არის ჩვენი თემის – „20-50-იანი წლების რეპრესირებული ქალები“ – მიზანიცა და დანიშნულებაც:

„იქნება ვინმემ, სასწაულით გადარჩენილმა, გაიხსენოს, შეავსოს დაღუპულთა დიდსულოვნების, ძნელი მხნეობის უკვალოდ გამქრალი მარტიროლოგი და ჩვენი ქვეყნის ოდითგანვე ლეგენდარულ მატრიანეში მეოცე საუკუნის ფურცლები მშრალ ბნკარედად მაინც დაუტოვოს შთამომავლობას ...

1921 წლიდან მოყოლებული სისხლიანი ტერორი მუსრს ავლებდა ქვეყანას, განსაკუთრებით განადგურდა გამოცდილი, მაღალი კვალიფიკაციის ავანგარდი, დამპყრობლებმა იგი თითქმის რომ პირწმინდად ამოჟუჟეს, ვინც გადარჩა – რუსეთის იზოლატორ-ცენტრალეებში და შორეულ ციმბირში გახიზნეს. ვინ მოთვლის დაღუპულთა სახელებს, თითოეული მათგანი მომავალი ძიების, სათუთი შესწავლა-შეხსენების დიდი თემა“ (ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან).

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული, „საქართველოს ისტორია“ (XIX-XX საუკუნეები), თბ. 2000 წ.
2. სოლომონ ზალდასტანიშვილი, „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“, თბ. 1989 წ.
3. ფარნაოზ ლომაშვილი, „საქართველოს ისტორია“ (1801-1918), თბ. 1992 წ.
4. აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე, „საქართველოს ისტორია 1783-1990“, თბ. 1991 წ.
5. ლანა ლოღობერიძე, „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“, თბ. 2003 წ.
6. „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, შემდგენელ-რედაქტორები: გ. შარაძე. გ. გვერდნითელი. თბ. 1989 წ.
7. გიორგი ციციშვილი, „რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი“, თბ. 2001 წ.
8. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1975 წ.
9. Александр Солженицын, «Архипелаг Гулаг», т.1-2, М. 1991.
10. «Декреты советской власти», т. 4, М.,1968.
11. М. Я. Лацис, «Два года борьбы на внутреннем фронте», Популярный обзор деятельности ЧК. ГИЗ, М., 1920.
12. Большая Советская Энциклопедия, третье издание, М. 1970-1978.

ინტერვიუები და მოგონებები

თამარ წულუკიძე



ვრცელი ამონაწერი ავტობიოგრაფიული ხასიათის მოგონებებიდან:

„დავიბადე ქ. თბილისში 1906 წელს, მამაჩემი – ალექსანდრე სიმონის ძე წულუკიძე – სამეფო ტახტის დიდაზნაურთა მემკვიდრე იყო, დედა კი – ოლღა ქველის ასული ჯაფარიძე – თავადიშვილი. 1913 წელს თბილისის მე-5 ქალთა გიმნაზიაში შევედი, 1915 წლიდან მე-2 ქალთა გიმნაზიაში ვსწავ-

ლობდი, რომელიც 1924 წელს წარჩინებით დავამთავრე.

1925 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი გავხდი. 1929 წლს, IV კურსიდან, „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სალიკვიდაციო ბიუროს განუწყვეტელი დევნის გამო (მპირდებოდნენ, რომ დიპლომში „პოლიტიკურად არასანდოს“ ჩამიწერდნენ.) იძულებული გავხდი, დამეტოვებინა უნივერსიტეტი. 1930 წელს უგამოცდოდ, გასაუბრებით ჩავირიცხე პოლიტექნიკური ინსტიტუტის საკონსტრუქტორო ფაკულტეტზე.

1924 წლიდან 1929 წლამდე ვიყავი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ წრის წევრი, რის გამოც სისტემატიურად მავინროვებდენ და მდევნიდნენ.

1931 წელს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის II კურსზე სწავლის დროს, 30 აპრილს დამაპატიმრეს, მომიხაჯეს 3 წლით გადასახლება ქალაქ ენისეისკში, სადაც გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე – სამსონ გიორგის ძე გობრონიძე, რომელსაც 3 წელი ჰქონდა მოხდილი სუზდალის¹¹⁴ იზო-

114სუზდალი – ქალაქი რუსეთის ფედერაციაში, ვლადიმირის ოლქში.

ლატორში. ხელი მოვანერეთ ქ. კრასნოიარსკში და 1934 წელს შეგვეძინა ქალიშვილი ნათელა. იგი დაიბადა ქ. ენისეისკში, თუმცა ოფიციალურ დოკუმენტში ფიგურირებს მახარაძის რაიონის¹¹⁵ სოფელი დვაბზე, სადაც 1934 წელსვე ჩამოვედით. თბილისში ცხოვრების უფლება არ გვექონდა. ვმუშაობდი ჯერ რაჭაში, ონში, დაწესებულების მდივნად, ბავშვი თბილისში მყავდა დატოვებული დედასთან, რადგან ონში არანაირი პირობები არ მქონდა. 1936 წლიდან წინანდლის საბჭოთა მეურნობაში გადმოვედი სტატისტი-ეკონომისტად. 1937 წელს კვლავ დაგვაპატიმრეს!”

ინტერვიუ ქალბატონ ნათელა გობრონიძესთან

ნათელა გობრონიძე, დაბადებული 1934 წელს ქ. ენისეისკში; მისი მშობლები – დედაც და მამაც – პოლიტპატიმრები იყვნენ და გადასახლების დროს დაქორწინდნენ. დედას – თამარ ნულუკიძეს აბრალებდნენ ტუხაჩევსკის ორგანიზაციის წევრობას; მამა – სამსონ გობრონიძე – სტალინზე ანეკდოტის მოყოლის გამო დააპატიმრეს. მათ ერთმანეთი სწორედ გადასახლებაში გაიცნეს; იქ დაბადებული შვილი მშობლებთან ჩამოიყვანეს,



თვითონ კი აგრძელებდნენ სასჯელის მოხდას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ციხესა და ბანაკში. შვილი, ფაქტობრივად, 20 წლის შემდეგ გაიცნეს. მაშინ ქალბატონი ნათელა სამედიცინო ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი იყო. ჩვენი ინტერვიუ ნათელა გობრონიძესთან წარმოაჩენს მისი დედის –

115 მახარაძის რაიონი – ახლანდელი ოზურგეთის რაიონი.

თამარ წულუკიძის – პიროვნებას, შვილის მიერ მოთხრობილი და გადმოცემულია დედის განცდები; პირადად ქალბატონი ნათელას – წლების განმავლობაში რეპრესირებული მშობლების შვილის, უდედმამოდ გაზრდილის – სულიერ მდგომარეობას. ინტერვიუში ჩავურთავთ თამარ წულუკიძის მოგონებებს, რომელიც მისმა შვილიშვილმა ქეთევან გოფოძემ ჩაიწერა.

- **ნათელა დედა, თქვენ ენისეისკში დაიბადეთ.**
- მე ენისეისკში დაიბადე 1934 წელს. 6 თვის ვიყავი, რომ ჩამომიყვანეს.
- **როგორ მოხდა, რომ ქართველი დედისა და მამის შვილი დაიბადა ენისეისკში?**
- იმიტომ, რომ ჩემი მშობლები გადასახლებულები იყვნენ. ჰქონდათ თავისუფალი გადასახლება. დედაჩემი ცალკე იყო გადასახლებული თავისი ბრალდებით, მამაჩემი – ცალკე. იქ შეხვდნენ ერთმანეთს, გადასახლებაში. მამაჩემზე სულ ამბობდა (იგულისხმება თამარ წულუკიძის ნათქვამი სამსონ გობრონიძეზე), იმდენ წამებას გაუძლო, კაციშვილი არ გაყიდა და ისეთი ვაჟკაცის სახელი ჰქონდა, იმიტომაც გავყვევი თავადის ქალი გლეხსო, ისე არ გავყვებოდიო. ხოდა, გათხოვდა 1932 წელს და 1934-ში გავჩნდი მე; 6 თვისა ჩამომიყვანა აქ. თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა, ამიტომ მე ბებიასთან და დეიდასთან დამტოვა, თვითონ კი მუშაობდა წინანდლის მეურნეობაში; რამდენიმე თვეში მამაჩემიც ჩამოვიდა და ისიც წინანდლის მეურნეობაში მოეწყო სამუშაოდ. ორივე ერთად იყო. პერიოდულად ჩამოდიოდნენ ხოლმე ჩემს სანახავად. რამდენჯერაც ჩამოვიდოდნენ, იმდენჯერ მილიცია დაადგებოდათ თავზე, თურმე მეზობელი ასმენდათ. თამარი გამწარებულა და ერთ-ერთ ჩამოსვლაზე უთქვამს მილიციისათვის, როგორ არ გრცხვენიათ, ადამიანები არა ხართ?! შვილის სანახავად ჩამოვდივარ რამდენიმე საათითო. მერე თვითონ მილიციამ უთხრა ჩუმად, ვინც ასმენდა.

- **თქვენ რომ იქ ჰყოლოდით, არ ჰქონდათ ამის საშუალება?**
- არ ჰქონდათ იმიტომ, რომ მუშაობდნენ და ვერავისთან დამტოვებდნენ. მერე 37 წელს კვლავ დაინყო გადასახლებები და ისევ გადასახლეს, როგორც ყოფილი გადასახლებულები, რაიმე ახალი ბრალდება არ ჰქონიათ არც დედაჩემს და არც მამაჩემს. თითქმის მთელი მეურნეობა გადასახლეს, მათ შორის – ჩემი მშობლებიც.

თამარ წულუკიძის ავტობიოგრაფიული მოგონებებიდან: „1937 წელს დააპატიმრეს ლენინის ქარხნის დირექტორი, მეღვინეები, მევენახეები, მე და ჩემი ქმარიც. მაშინ ვფიქრობდი, რომ დამაპატიმრეს, როგორც ამ ჯგუფის წევრი, სინამდვილეში კი ბრალდებად წამიყენეს, რომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგაც ვაგრძელებდი კონტრრევოლუციურ საქმიანობას და მომიხაჯეს 10 წლით პატიმრობა ბანაკში.

თბილისიდან 1500-კაციანი ეშელონით გამაგზავნეს ქ. ტომსკში, მათ შორის 22 ქალი ვიყავით. ტომსკში განლაგებული იყო გამანანილებელი პუნქტი, სადაც 1500 კაცი გაგზავნეს ახლად გახსნილ საკონცენტრაციო ბანაკ ტომასინლაკში. მე ცენტრალურ საბანაკო პუნქტში მოვხვდი (ირგვლივ რამდენიმე საკონცენტრაციო ბანაკი იყო, ერთმანეთისაგან 150–200 კმ-ით დაცილებული. ისინი წარმოადგენდნენ ტყეში გაშლილი კარგების ერთობლიობას). ჩვენი სამუშაო ტყის ქრაში მდგომარეობდა. პატიმრები სამუშაოდ დილის 6 საათზე გავდიოდით, ვმუშაობდით 12 საათის განმავლობაში. ვჭამდით მხოლოდ ერთხელ, ისიც ბალანდას.“

- **დედა რომ მეორედ გადასახლეს, მაშინ სამი წლის იყავით?**
- სამი წლის ვიყავი და დავრჩი ისევ ბებიასთან, დეიდასთან და ბიძასთან.
- **მაშინ დედა ალბათ არც დაგამახსოვრდათ. . .**
- რა თქმა უნდა, არ დამამახსოვდა. ჩემი ოჯახი ბებია და დეიდები იყვნენ, რომლებთანაც ვცხოვრობდი, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ მყავდა დედა. მერე, სკოლაში რომ შევედი და წერა დავიწყე, უკვე მიწერ-მოწერა

გვექონდა. ვწერდით ერთმანეთს წერილებს და აი, ასეთი კონტაქტი, ასეთი ნაცნობობა გვექონდა. მე ვთვლი, რომ ეს იყო დედაშვილობის ყველაზე უფრო დიდი ტრაგედია, ყველაზე დიდი... იმიტომ რომ, როცა დედაჩემი დაბრუნდა, ჩვენ ფაქტობრივად არ ვიცნობდით ერთმანეთს.

– **ჩამოვიდა, როცა 13 წლის იყავით?**

– ჩამოვიდა 48 წელს. ზაფხულში ჩამოვიდნენ. ჩვენ გურიაში ვიყავთ და ისინიც იქ ჩამოვიდნენ. გურიაში ნასაკირალის ფაბრიკაში დაინწყეს მუშაობა. კიდევ არ ჰქონდათ თბილისში ცხოვრების უფლება. სექტემბერში მე თბილისში წამოვედი და იანვარში კი ისინი ისევ დააპატიმრეს. საბოლოოდ რომ ჩამოვიდნენ, III კურსზე ვიყავი.

– **მესამეჯერაც პირდაპირ გადაასახლეს, ახალი ბრალდების გარეშე?**

– პირდაპირ, იმავე ბრალდებით, როგორც ყოფილი გადასახლებულნი. არავითარი ბრალდება არ წაუყენებიათ.

– **ეს იყო უკვე 47 წელში?**

– 48 წელში. „მეგრელების საქმის“ გამო მაშინ ბევრი გადასახლეს, ყველა, უკვე გადანასახლებიც, ზედ მიაყოლეს; მათ შორის – ჩემი მშობლებიც, მაგრამ ცალ-ცალკე მოხვდნენ. დედაჩემი გადაასახლეს ციმბირში, მამაჩემი – შუა აზიაში. მერე იყო განცხადებები ბერიასთან, მთელი ნათესაობა იყო ჩართული, რომ როგორმე ცოლ-ქმარი ერთად მოეხვედრებინათ. საბოლოოდ დედაჩემი შუა აზიაში გადაიყვანეს. მაშინ უკვე სამუდამო გადასახლება ჰქონდათ მისჯილი. ამიტომ იქ ააშენეს პატარა ქოხი და დასახლდნენ. აღარ ეგონათ, რომ ოდესმე დაბრუნდებოდნენ.

– **იქ რომ წაეყვანეთ, არ ჰქონდათ ამის უფლება?**

– ჰქონდათ, მაგრამ მე ამას მარიდებდენ. სკოლა რომ დავამთავრე, დედაჩემს სულ იმის ეშინოდა, რომ მეც აუცილებლად გადამასახლებდნენ, როგორც „არასანდო“ ოჯახის შვილს. ამის მაგალითი ბევრი ჰქონდა და იმაზე დარდობდა, იქ მე რა მეშველებოდა. თვითონ ორ უმაღლესში

სწავლობდა და გადასახლებაში არც ერთი არ გამოადგა. 8 წელიწადი ტყეს ჩეხდა – დამადგებოდნენ თავზე კონდახით და აბა, „დავაი, იუჟანკა“... ასე კონდახით გაეყავდით ტყეში საერთო სამუშაოზე, საერთო საჭმელზე... ვინც მედიცინის მუშაკი იყო, ექთანი (ექიმზე ლაპარაკიც კი არ არის), ბევრად უკეთეს პირობებში იყვნენო. ამიტომაც უნდოდა, რომ სამედიცინოზე ჩამებარებინა. ეგონა, რომ მეც აუცილებლად გადასახლებდნენ. სკოლა რომ დავამთავრე, უნივერსიტეტში შევიტანე საბუთები, მედალოსანი ვიყავი და უგამოცდოდ მიმიღეს, გასაუბრებით. გახარებულმა დეიდაჩემმა წერილი მისწერა თავის დას – თამარა, შენ ისეთი კარგი შვილი გყავს, სკოლა მედალზე დაამთავრა და უკვე უნივერსიტეტის სტუდენტიაო. გაგიჟდა თურმე დედაჩემი, ეს რომ წაიკითხა, რას ჰქვია, უნივერსიტეტის სტუდენტიაო?! თვითონ ყვებოდა მერე: გამოქცეულა ფოსტაში, უკითხავს, დეპეშაში რამდენი სიტყვის დაწერის უფლება მაქვსო? – რამდენიც გინდათო, – უპასუხიათ და ბიძაჩემს გამოუგზავნა ასეთი დეპეშა: „ვფიქრობ, ნათელას მომავალზე სერიოზულად არავის უზრუნია. დაუყოვნებლივ მოვითხოვ, საბუთები გადაიტანოთ სამედიცინო ინსტიტუტში“. აი, ასე მოვხვდი სამედიცინოზე. ბიძაჩემმა ჩემი საბუთები უნივერსიტეტიდან გამოიტანა და სამედიცინოზე შეიტანა. მაშინ მედალოსნებისთვის გამოცდები არ იყო.

- **სამედიცინო ფაკულტეტზე შეიძლებოდა გადასახლებულთა შვილების საბუთების მიღება? მაგალითად, დედაჩემის საბუთები არ მიიღეს, რადგან მამა ჰყავდა 37-ში გადასახლებული.**
- რა ვიცი. მე ეს პრობლემა არ მქონია. ბევრი ყვება დღეს, დაჩაგრული და გარიყული ვიყავიო, არც სკოლაში და არც სტუდენტობისას მე არ მიგრძენია საზოგადოებისგან, რომ გადასახლებულთა შვილი ვარ. ერთადერთი, ნიკო კეცხოველი¹¹⁶ არ ატანდა საბუთებს ბიძაჩემს; გასაუბრებას

116 ნიკო კეცხოველი – (1897-1982 წწ.) ქართველი ბოტანიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი 1945-52 წწ.

ესწრებოდა და რალატომლაც დავუმახსოვრებივარ: რატომ გაგატანოთ, კარგი ბავშვიაო. ბიძაჩემს საბუთების გამოტანა გაუჭირდა, თორემ სამედიცინოზე შეტანა არ გაჭირვებია. ლიმიტი იყო მაშინ. სვანეთიდან ჩამოიტანა ლიმიტი და იმ ლიმიტით მიმიღეს. მე ბახმაროში ვიყავი დასასვენებლად და იქ მომივიდა დეპეშა – ჩარიცხული ხარ სამედიცინო ინსტიტუტშიო. მოვკვდი ტირილით, არ მინდა სამედიცინოზე-მეთქი. ჯერ ერთი, ვერ გავიგე, რა მოხდა – საბუთები შევიტანე უნივერსიტეტში და აღმოვჩინდი სამედიცინოზე, არ მინდოდა. მერე, რომ ჩამოვედი, გაირკვა სიტუაცია. ბიძაჩემმა მითხრა, დედაშენმა დეპეშა გამოგზავნა და ამიტომ გადავიტანე საბუთებიო. დედაჩემი რომ ჩამოვიდა, ვაყვედრიდი, შენს გამო ვარ სამედიცინოზე, თორემ არ მინდოდა-მეთქი.

– **მას მერე მალე ჩამოვიდა?**

– მესამე კურსზე ვიყავი.

– **ე. ი. მესამე კურსიდან მოხდა ფაქტობრივად თქვენი გაცნობა.**

– ჩვენი გაცნობა მოხდა მესამე კურსიდან.

– **რა განცდები გქონდათ, როცა გაიგეთ, რომ დედა ჩამოვიდოდა?**

– იცი, რა განცდები მქონდა?! აი, ვლელავდი, როგორ შევზებოდით ერთმანეთს. ამაზე ძალიან ვლელავდი.

– **ორივე – დედა და მამა – ერთად ჩამოვიდა?**

– ერთად იყვნენ შუა აზიაში და ბიძაჩემმა იქ ჩააკითხა. სულ ეკითხებოდა თურმე დედაჩემი ჩემზე, როგორია, რა სიმალლისაა, რანაირია? ისიც ლელავდა. ბიძაჩემმა შეგნებულად არ წამიყვანა. მე არაფერს მეტყვიან და შენ, რა ვიცი, რამე არ მოხდესო (ქალბატონი ნათელას ბიძა – მამის ძმა – იყო იმ დროისათვის და დღესაც ცნობილი პროფესორი, ფსიქიატრი ევტინი გობრონიძე – თ.შ.). შეეშინდა, რადგან იმ პერიოდში შვილებსაც ასახლებდნენ მშობლებთან. თინა მიქელაძე, ბიჭიკო ბერიტაშვილი იმ პერიოდში გადაასახლეს. დედასაც იმიტომ უნდოდა სამედიცინოზე ჩამებარებინა, რომ ჩემს გადასახლებასაც სულ მოელოდა. ჩემი ექიმობა

კი იმიტომ უნდოდა, რომ იმ საერთო, აუტანელ პირობებში არ მოვხვედრილიყავი. იგი დარწმუნებული იყო, რომ გადამასახლებდნენ. არაფრით იმას არ მოელოდა, რომ ოდესმე თვითონ დაბრუნდებოდნენ, წარმოდგენაც არ ჰქონდათ ამისი. და საბჭოთა იმპერიისა და კომუნისტების დამხობას რომ მოესწრო, გაკვირვებას ვერ მალავდა, რას მოვიფიქრებდით.

- **ფაქტობრივად განთავისუფლება მოხდა სტალინის სიკვდილის შემდეგ?**
- სტალინის სიკვდილის შემდეგ, 54 წელს, ხრუშჩოვმა¹¹⁷ პოლიტპატიმრები გაათავისუფლა.
- **მერე აქ როგორ შეხვდით ერთმანეთს?**
- მერე აქ კარგა ხანს ვსწავლობდით ერთმანეთს.
- **ერთად ცხოვრობდით?**
- შიშკოვის ქუჩაზე ერთად ვცხოვრობდით: მე, ბებია, დედა და ჩემი დეიდაშვილები. დედა და მამაც იქ ჩამოვიდნენ. მერე დედაჩემმა რალაც სამსახური დაიწყო და გარკვეული პერიოდის შემდეგ, როგორც რეაბილიტირებულს, დილომში მისცეს ერთოთახიანი ბინა.
- **როდის მიიღო რეაბილიტაცია?**
- 56 წელს, როცა გაათავისუფლეს მაშინ. ის ოთახიც, როგორც რეაბილიტირებულს, მისცეს.
- **როგორ აღიქვამდით, რატომ იყო დედა გადასახლებული იცოდით, რომ დამნაშავე არ იყო?**
- ვიცოდი, რომ დამნაშავე არ არის და ისიც ვიცოდი, რომ ასე უსამართლოდ აპატიმრებდნენ წესიერ და პატიოსან ხალხს. მამაჩემმა ანეგდოტი მოყვა სტალინზე და ამის გამო დააპატიმრეს, – ესეც ვიცოდი.
- **მერედა სკოლაში ხომ კომუნისტური იდეოლოგიით გზრდიდ-**

117 ნიკიტა ხრუშჩოვი – (1894-1971 წწ.) საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მალაჩინოსანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ნენ, თქვენ კი სხვა თვალთ უყურებდით კომუნისტებს. ეს ორმაგი დამოკიდებულება და მიდგომა რას იწვევდა თქვენში?

- იცი, როგორი განწყობა მქონდა? არანაირი გავგონება არ მინდოდა სიტყვა პოლიტიკის, არანაირი, აბსოლუტურად! მინდოდა, ყყოფილიყავი იზოლირებული. სულ შიში მქონდა, რაღაც რომ მეთქვა... თან იმისაც მეშინოდა, შემთხვევით რამე არ წამომცდეს ისეთი-თქო. პიონერებშიც შევედი, კომკავშირშიც და ყველაფერს ვაკეთებდი, რომ, ასე ვთქვათ, რეაბილიტაცია გამეკეთებინა ჩემი თავისათვის. უბრალოდ, თავს ვიზღუდავდი, თორემ სწავლაში ამას ხელი წამდვილად არ შეუშლია.
- **არც საზოგადოებასთან და თანატოლებთან ურთიერთობაში?**
- არც არავისთან ურთიერთობაში. მაგალითად, არასდროს, არავისგან მიგრძენია, რომ ვარ ვიღაც „მოლაღატის“ შვილი. არასოდეს.
- **ამ მხრივ წვლილი ბიძათქვენს – ევტინი გობრონიძეს – ხომ არ მიუძღვის, რომელიც ამ დროისათვის ცნობილი და დაფასებული ექიმი იყო და თავისი ავტორიტეტით თქვენც გიფარავდათ.**
- შესაძლებელია. მან ძალიან დიდი მონაწილეობა მიიღო ჩემს აღზრდაში. თუმცა დედის ოჯახში ვიზდებოდი, მაგრამ მატერიალურად ჩემი პატრონი ბიძაჩემი იყო. ბებიას არ ჰქონდა საშუალება. დეიდები კი, რა თქმა უნდა, რამდენიც შეეძლოთ, გვეხმარებოდნენ, მაგრამ ძირითადად ბიძაჩემი იყო ჩემი პატრონი.
- **და ალბათ არა მარტო მატერიალურად?**
- აბსოლუტურად ყველაფერში მხმარებოდა. არაჩვეულებრივი კაცი იყო, არაჩვეულებრივი. ძალიან დიდი სითბო მქონდა მისგან. საერთოდ ყველასგან, დეიდებისგან და ბიძაჩემისგან, ბებიაზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკი არ არის.
- **რამდენი წლის იყო დედა, როცა პირველად დააპატიმრეს?**
- 18 წლის იყო, 1924 წელს მეტეხის ციხეში იჯდა.

– **რატომ დააპატიმრეს?**

- ოპერაში პროკლამაციები გადმოყარა. მაშინ გადარჩა, მაგრამ მერე... „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო და ამის გამო.

– **პროკლამაციებიც ალბათ ამ ორგანიზაციისა იყო?!**

- „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის პროკლამაციები იყო.

– **ხომ არ იცით ზოგადად, რა უნდოდათ ამ „ახალგაზრდა მარქსისტებს“?**

- დამოუკიდებელი საქართველო უნდოდათ, დამოუკიდებელი სახელმწიფო.

– **სოციალიზმი თუ უნდოდათ?**

- სოციალიზმი უნდოდათ, ოღონდ დამოუკიდებელ საქართველოში. ხოდა მისივე მეგობრები რომ მიხვდნენ, აქ არაფერი გამოუვიდოდათ, პარიზში წავიდნენ ემიგრანტებად. რა თქმა უნდა, თამარასაც ეპატიუებოდნენ, მაგრამ არ წავიდა, მე აქ ვჭირდები ჩემს ქვეყანასო. აფრთხილებდნენ, ანიშნებდნენ, რომ ციხე მოელოდა. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი და თავკაცი – მუჯირი რომ მიდიოდა, სადგურში ღია ბარათი გადაუცია თამარასთვის, რომელზეც მეტხის ციხე იყო გამოსატყულები. ამით გამაგებინა, რომ შენი ბოლო ეს არისო, – იგონებდა ხოლმე დედა, – და ცოტა ხანში მართლაც მოვხვდი იმ მეტხის ციხეშიო.

– **მეტხის ციხეში როგორ წაიყვანეს?**

- რამდენადაც მე ვიცი, უნივერსიტეტში აიყვანეს. არ უყვარდა ამ თემაზე ლაპარაკი. ბიძა ჰყავდა ნარკომი¹¹⁸ – პარმენ ნულუკიძე¹¹⁹, რომელმაც ბერიას სთხოვა, ახალგაზრდა

118 ნარკომი – ქართულად: სახალხო კომისარი.

119 პარმენ ნულუკიძე – (1893-1938 წწ.) საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ბანკის დირექტორი და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის სატყეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში.

გოგოა, შეეშალა და ნუ დასჯიო. დაწეროს დეკლარაცია და გავათავისუფლებო, უთქვამს ბერიას. ბაბუაჩემი და ბებიაჩემი მივიდნენ ციხეში მის დასარწმუნებლად, რათა დაეწერა. დედაჩემმა კატეგორიული უარი განაცხადა, ამას როგორ ვიკადრებო, და ორივე უკან გამოისტუმრა!

- **„ახალგაზრდა მარქსიტა“ ორგანიზაციაში რა როლი ჰქონდა თამარა ბებიას, თუ იცით, რა ფუნქციას ასრულებდა?**
- ყველაფერს, რასაც კი დაავალდებდნენ. ამას წინათ სრულიად შემთხვევით გაზეთში ვნახე სტატია 1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ. გამოქვეყნებული იყო 7-8 კაცის სურათიც, ერთ-ერთი მათგანი დედაჩემი იყო; გადაღებულია ციმბირში, გულაგში, ქალაქ ალან-უდში. პატიმრები ქართველები არიან: ანტონ ხუნდაძე, კაპიტონ (ნოე) ბერიშვილი და სხვები, შუაში თამარა დგას. მის შესახებ არაფერია ნათქვამი, რადგან სტატია ძირითადად ანტონ ხუნდაძეს და იონა ჭკუასელს ეხება, მათ როლს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.
- **თამარა ბებიას მოგონებების მიხედვით საქართველდან 1500-კაციანი ჯგუფი გადასახლეს, აქედან 22 ქალი იყო. ხომ არ იცით, ვინ იყვნენ ეს ქალები?**
- ერთი ვიცი, რომ იყო თამარა ნულუკიძე, ახმეტელის¹²⁰ ცოლი. ერთად იყვნენ გადასახლებაში, ისიც დაბრუნდა და შემდეგაც ჰქონდათ ურთიერთობა ერთმანეთთან, ოჯახებში მიმოსვლა. დანარჩენები ვინ იყვნენ, არ ვიცი.
- **მოგონებების მიხედვით 1500-კაციანი ჯგუფიდან 25 კაცი დარჩა; ე. ი. დანარჩენები დაიღუპნენ?**
- ვერ უძლებდნენ გადასახლების პირობებს. დედაჩემს ძალიან ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა, ძალიან მაგარი. რამდენიმე თვით ადრე, სანამ გარდაიცვლებოდა, სულ ვეუბნებოდი: დედა, მარხვა შეინახე, მოძღვარს მოგიყვან და გაზიარებ-თქო. მან კი ამაზე მიპასუხა და დამიბარა კიდევ: მარხვას შევინახავ, მაგრამ მოძღვარი არ მინდაო. კარგად დაიმასხოვრე, იცოდე

120 სანდრო ახმეტელი – (1886-1937 წწ.) ქართველი რეჟისორი.

და შეგიძლია წელგამართულმა იარო ამ ქვეყანაზე, ამდენი წამება გავიარე და არავინ გამიყიდა, არაფერზე ხელი არ მომიწერია; ერთი ციხიდან მეორეში რომ გადავყავდით, პატიმრები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ, წულუკიძის ქალი მოჰყავთო!

– **ღმერთის თუ სწამდა?**

– სწამდა, თავიდანვე სწამდა. მისი ნაქონი ხატიც მაქვს, რომელიც გადასახლებაში სულ თან დაჰქონდა, ყოველ დაკითხვაზე და ყოველ გამოძახებაზე, ჩამოიტანა კიდეც. თავისთვის სულ ლოცულობდა ხოლმე.

– **ისეთი რა ბრალდება წაუყენეს თამარა ბებიას, რომელიც უკვე სასჯელმთხრობის სამჯერ დაპატიმრების საბაბი გახდა?**

– თვითონ ასე ამბობდა, რომ მე, გარდა იმისა, რომ ვიბრძოდი დამოუკიდებელი საქართველოსათვის, სხვა იდეა არ მქონიაო. არა და, მეორე დაპატიმრების დროს, 1937 წელს, უკვე გადასახლებულს წაუყენეს ბრალდება, რომ ტუხაჩევსკის ორგანიზაციის წევრი იყო. წარმოდგენა არ მქონდა ამ ორგანიზაციაზე, ისიც არ ვიცოდი, თუკი საერთოდ არსებობდაო. მადგებოდენ თავზე, მიწყობდენ დაკითხვებს, მანამებდნენ, რომ მისი ორგანიზაციის წევრობა მეღიარებინაო.

თამარა წულუკიძის მოგონებებიდან: „1937 წელს ბანაკში ყოფნიდან 5 თვის შემდეგ 22 ქალი კვლავ დაგვაპატიმრეს (ჩვენთან ერთად იყო მოხუცი ქალბატონი ბუხარინი) და, როგორც ყოფილი გადასახლებულები, დაგვაბრუნეს ტომსკში. იქ ერთეულ კამერებში მოგვათავსეს და ბრალად დაგვდეს ტუხაჩევსკის ორგანიზაციის წევრობა; ტუხაჩევსკის, რომელიც თავდასხმას ამზადებდა სტალინზე. გამომძიებელი იყო ვინმე ჩეკისტი ფლეიშმანი, რომელმაც ბრალდების წაყენების შემდეგ დამსვა უზურგო სკამის კიდეზე, სტალინის სურათის წინ, უძრავ მდგომარეობაში, თავანუელი. მომიჩინა ორი სამხედრო მცველი, რომელთაც ევალეობდათ, თვალყური ედევნებინათ, რომ სკამზე მთლიანად არ დავმჯდარიყავი და არ მომეცილებინა

მზერა სტალინის სურათისათვის. მაძლევდენ მხოლოდ წყალს, არ მაძლევდენ საკვებს. წამების მესამე დღეს დამენყო პირღებინება. ჯარისკაცებს ხელმოკიდებული გავყავდი საპირფარეშოში. მე-4 თუ მე-5 დღეს დამენყო ჰალუცინაციები: სტალინის სურათი გაქრა, მის ნაცვლად გაჩნდა კიბე, რომელზედაც ჩამოდიოდნენ თეთრ სამოსში გამონყობილი მონყალების დები. გაღიმებული ვუყურებდი, რადგან მათში მხსნელებს ვხედავდი. მცველებს ეგონათ, რომ შევიშალე, რადგან სახეზე სულ ღიმილი მქონდა. ვეცოდებოდი და, როცა ოთახიდან გამომძიებელი გადიოდა, დაახლოებით საღამოს 9 საათზე, უფლებას მაძლევდნენ, თავი დამეხარა და სკამზე სრულად დავმჯდარიყავი, თავის დახრის შემდეგ იატაკზე მეჩვენებოდა ბავშვის თავები ბაფთებით. მცველებმა ჩათვალეს, რომ საბოლოოდ გავვიყუდი და ცდილობდნენ, როგორმე შეემსუბუქებინათ ჩემთვის მდგომარეობა; მირჩევდნენ, სკამზე კარგად დავმჯდარიყავი, მაგრამ უკვე აღარ შემეძლო, რადგან ხელფეხი უკვე საკმაოდ შეშუპებული მქონდა. წამების მე-7 თუ მე-8 დღეს სკამიდან გადმოვვარდი. ფლეიშმანს ჩექმის წვერით შეუმონწმებია, ცოცხალი ვარ თუ არა, და უბრძანებია ჩემი საკანში გადაყვანა. საკანში თვალები შეხვეული მქონდა, რადგან უნებლიე მოძრაობებს აკეთებდნენ და მხედველობის ფიქსირება ერთ ადგილას არ შემეძლო.

გარეთ ზამთარი იყო. ერთეულ კამერაში უშვებდნენ ცხელ ორთქლს. ვყვიროდი – „Дайте воды“, ხან უცებ გაყინავდნენ. სხეულზე სხვადასხვა უკიდურესი ტემპერატურტის მოქმედება საშინელება იყო. სწორედ ამის შემდეგ დავადასტურე, რომ ვარ ტუხარეცკის ორგანიზაციის წევრი. მომთხოვეს განმემარტა ამ ორგანიზაციის მიზანი და ამოცანები. ამის შესახებ არაფრის თქმა არ შემეძლო, რადგან წარმოდგენაც არ მქონდა საერთოდ ამ ორგანიზაციის არსებობაზეც კი. სამაგიეროდ ფლეიშმანმა თავად ითავა ყოველივე ზემოთქმულის შეთხზვა. ორგანიზაციის წევრებად დასახელებულნი იყვნენ:

1. გენზელი – ანდერსენის ზღაპრიდან. ეს სახელი იქცა გვარად, მას დაუმატეს სხვა სახელი და მამის სახელი და გამოვიდა – ოტო ჰაინრიხის ძე გენზელი. 2. გარდაცვლილი ბელეტრისტი ლაპა დანილოვსკაიაც ამ ორგანიზაციის წევრი აღმოჩნდა, თან მოსკოვის საბავშვო ბაღის გამგე. 3. პუშკინის ნაწარმოების მოქმედი პირი ბურმინი მოინათლა, როგორც მოსკოველი ბურმინოვა...

ასეთი მკვდარი სულებისაგან შედგებოდა აღნიშნული ორგანიზაცია, არც ერთი ცოცხალი სული, ყველა მათგანი სიაში მოხვდა ზღაპრებიდან და სხვადასხვა ნაწარმოებიდან.

ხსენებულ სიას წამების შემდეგ მოვანერე ხელი. გააზრებული მქონდა, რომ რეალურ პიროვნებას ზიანს არ ვაყენებდი...

საინტერესოა, საიდან გაჩნდა ეს სია. როცა პატიმრები თბილისიდან ვაგონებით გადავყავდით, ჩვენთან ერთად იჯდა ქურდი ქალი (სინამდვილეში ჩეკასთან შეთანხმებით), რომელიც იწერდა ყველა ადამიანის გვარს, ვისაც კი ახსენებდნენ. პატიმრები კი გზაში ყველაფერზე საუბრობდნენ, ახსენებდნენ ლიტერატურულ გმირებს, მომღერლებს და ა. შ., რომლებიც ამ სიაში მოხვდნენ.“

– ეს იყო ერთადერთი საბუთი, რომელზედაც დედამ ხელი მოაწერა და, მიუხედავად იმისა, რომ ამით ზიანი არავისთვის მიუყენებია, არავინ დაუბეზლებია, უსაზღვროდ განიცდიდა და მაინც მოახერხა მისი უარყოფა, გაუქმება.

კვლავ თამარ წულუკიძის მოგონებებიდან: „ძალიან მანუხებდა ის ფაქტი, რომ ტყუილზე მოვანერე ხელი, ვწვალობდი, ვიტანჯებოდი, მზად ვიყავი, უარესი წამება ამეტანა, ოღონდ უარი მეთქვა ყოველივე იმაზე, რასაც ხელი მოვანერე. აღარ ვჭამდი, არც სასეირნოდ დავდიოდი. ერთხელ გამომიძახეს და მითხრეს, თქვენი ოჯახის წევრები გეძებენ და მიწერეთ მათ წერილიო. უარი განვაცხადე, მისაწერი არაფერი მაქვს, მომეცით უფლება, პროკურორს განცხადება გავუგზავნო-მეთქი. ამაზე უარი მივიღე.

ჩემი საკნის გვერდზე იყო მამაკაცთა საკანი, საიდანაც

კაკუნით შემატყობინეს: „შეიტანეთ განცხადება და ყველაფერზე თქვით უარი“. ვუპასუხე: „ვეცადე, მაგრამ უფლებას არ მაძლევენ.“ მიპასუხეს: „მდგომარეობა შეიცვალა, ეჭოვი აღარ არის, ჩეკისტებს ერთმანეთის ეშინიათ და განცხადებას უთუოდ გაგზავნიან.“

ამ დროს ისევ გამომიძახეს და მითხრეს: „თქვენი ოჯახი დაჟინებით გეძებთ, მისწერეთ წერილი.“ დავთანხმდი. მომცეს სანერკალამი და ქალაღი. დამტოვეს ოთახში მარტო. წერილის ნაცვლად განცხადება დავწერე სსრკ გენერალური პროკურორის სახელზე, რომ ჩემ მიერ ხელმონწერილი მთელი მასალა თავიდან ბოლომდე ტყუილია, ფიზიკური და ფსიქიური წამების შედეგადაა ხელმონწერილი, გთხოვთ ჩარევას.

როდესაც გამომძიებლები შემოვიდნენ, განცხადება ჩავაბარე და ხმამალა ვუთხარი: „სახლში მისანერი არაფერი მაქვს, გთხოვთ, გაგზავნოთ ჩემი განცხადება!“

ამის შემდეგ საოცარი სულიერი შვება ვიგრძენი. მზად ვიყავი, ყოველგვარი წამება ამეტანა, რომელიც კი მოსალოდნელი იყო. კვლავ საკანში დამაბრუნეს. დასვენების დღეს, როდესაც გამომძიებლები არ იყვნენ, ფლეიშმანმა გამომიძახა. მისი მონაწილეობით ეს უკანასკნელი დაკითხვა იყო. ფლეიშმანმა გადმოანთხია მთელი ბოლმა, რაც გულში ჰქონდა. მცემდა და მაგინებდა უკანასკნელი სიტყვებით. დაჟინებით ითხოვდა, მეთქვა, თუ ვისგან გავიგე, რომ ეჭოვი აღარ არის. მე ვდუმდი, რადგან თავს პირობა მივეცი, რომ, რაც არ უნდა მომსვლოდა, როგორადაც არ უნდა ვენამებინეთ, ხმას არ ამოვიღებდი და ხელს არაფერზე მოვანწერდი. როცა ფლეიშმანმა გინებითა და ცემით გული იჯერა, დაუძახა მცველს და უბრძანა, საკანში გავეთრიე. ტალანში ორი ჩეკისტი დავინახე – მოხუცი და ახალგაზრდა. ამ ხნის განმავლობაში პირველად ვიგრძენი ამ ხალხისაგან თანაგრძნობა, მხოლოდ მზერაში, მეექვსე ადამიანური გრძნობით რომ შეიგრძნობ. საკანში შევედი და პირველად მას შემდეგ, რაც თავს გადამხდა, დავეცი მუხლებზე და

ავტირდი. გასაოცარია, ამდენი მანამეს და ერთხელაც არ მიტირია, ახლა კი უსიტყვო, შეიძლება არარსებულმა ადამიანურმა თანაგრძნობამ ცრემლებად იღინა. . .

გადიოდა დღეები, კვლავ არავინ მეძებდა, დაკითხვაზეც აღარ დავყავდით. არ ვიცი, რა მოხდა, ჩემმა პროტესტმა გაჭრა (ქალბატონი თამარა არც ჭამდა და არც სასეირნოდ დადიოდა – ხაზი ჩემია. თ. შ.), თუ სხვა პატიმრებისამ (მამაკაცებსაც ასევე აწამებდნენ. მე თუ 8 დღე ვიჯექი, ისინი 20-25 დღეს უძლებდნენ სკამზე წამებას), ერთ დღეს საკნის კარები გაიღო და გამოსვლა მიბრძანეს. მე წავედი ღამის პერანგისამარა, რადგან იმ დროისათვის ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო. ერთ ოთახში შემიყვანეს, სადაც სამი ჩეკისტი იჯდა. ერთი მაღალ-მაღალი, გამხდარი კაცი, რუსული გარეგნობით, მეორე – შავგვრემანი და მესამე – ფლეიშმანის მოადგილე. მივხვდი, რომ ეს იყო სასამართლო. იმასაც მივხვდი, რატომ ცდილობდნენ ჩემს გაყვანას სასეირნოდ და საკვების მომატებას. იმისათვის, რომ სასამართლოს წინაშე ფიზიკურად ასე დავრდომილი არ ვყოფილიყავი.

პროკურორი ფეხზე წამოდგა და მომმართა: „Вы действительно являетесь членом террористической организации троцкистов?“

– “Я не только в жизни не была членом этой организации, но и даже не знакома ни с одним троцкистом“, – ვუპასუხე მე.

– მაშ რატომ მოაწერეთ ხელი ამ ბრალდებას?

– მე აქ ისეთი რამ გადავიტანე, რომ ყველაფერზე შემეძლო ხელი მომეწერა.

– ჩვენც იმიტომ ჩამოვედით, რომ გავიგოთ, რა გადაგხდათ თავს?

და დავინყე ყველაფრის მოყოლა დანვრილებით, თუ რა მოხდა ციხეში, როგორ მანამეს და რა პრინციპით შეადგინეს ორგანიზაციის წევრთა სია. (პროკურორმა აქ თავი ველარ შეიკავა, სახეზე ხელი აიფარა და სიცილი დაიწყო ზღაპრის

გმირების ტროცკისტებად შერაცხვის გამო.) ყველაფერი ჩანერეს და ხელი მომანერინეს. ამის შემდეგ დაკითხეს ფლეიშმანის მოადგილე. მან აღნიშნა, რომ შეესწრო ჩემს წამებას იმ მომენტიდან, როცა სკამზე ვიჯექი და, რაც ჩემ მიერ ითქვა, ყველაფერი მართალია. მაშინ სამეულმა გააუქმა ყველა ბრალდება, რაც ფლეიშმანის მიერ იქნა წამოყენებული, მაგრამ იქვე აღინიშნა, რომ ისინი პასუხს არ აგებენ თბილისში გამოტანილ განაჩენზე. ამის მერე დამაბრუნეს ყოფილ ბანაკში, თან გამატანეს სამეულის დადგენილება – „Исползовать на исключительно лёгкой работе.“

– **თამარა ბებიას მოგონებების მიხედვით გამოდის, რომ თუ არა დიდი პროტესტი, დაილუპებოდა...**

– რასაკვირველია, მაშინ ჰქონდა პროტესტს მნიშვნელობა. ახლა აღარა აქვს არავითარი აზრი, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას შიმშილობას ანიჭებდნენ. შიმშილს რომ გამოაცხადებდი, ეს ძალიან დიდი პროტესტი იყო.

– **უკვე ხელს ვეღარ ახლებდნენ?**

– ვერ ახლებდნენ, იმიტომ რომ შიშიც უჩნდებოდათ, ამიტომ ყველანაირად ცდილობდნენ, პროტესტი აეცდინათ. ერთ-ერთი დაკითხვიდან რომ გამოვედიო, – დედამ, – ქალი დამხვდა კამერაში და მიეხვდი, რომ შემოგზავნილი იყოო. ნეტა ერთი შენო, რა თავს ინვალებო, რაღაც ასე დაინყო ლაპარაკი და სასწრაფოდ კამერგერს დავუძახე, მომაშორეთ ეს ქალი, თორემ ჩემს საქციელზე პასუხს არ ვაგებ-მეთქი და იმ წუთში გაიყვანესო, იმ წუთშივეო.

– **ჩეკისტების მხრიდანაც ყოფილა თანაგრძნობა...**

– რა თქმა უნდა, ისინიც ადამიანები იყვნენ, მეტ-ნაკლებად კარგები და ცუდები. განსაკუთრებით კარგად იმ მოხუც ჩეკისტს იხსენებდა:

თამარა წულუკიძის მოგონებებიდან: „... ამ დროს კარი გაიღო და შემოვიდა ის მოხუცი ჩეკისტი, რომელიც ტალანში იდგა. მოვიდა ჩემთან და მითრა: „Не плачьте, не надо

плакаты. “მერე დაინახა, რომ საკანში ხელუხლებლად მენყო პურის ნაჭრები, რომელსაც ყოველდღიურად მადღევდნენ, დღეში 300 გრამს, მაგრამ არ ვჭამდი. ასე არ შეიძლება, უნდა ჭამოთ“, – მითხრა მან. მე ვუპასუხე: „თქვენ ხომ იცით ყველაფერი, რაც გადამხდა?! როგორ შემეძლო, მეჭამა?“ მან კიდევ ერთხელ სცადა ჩემი დანყნარება, არაფერი მიპასუხა და გავიდა.“

სამეულის მიერ გასამართლებულმა დედაჩემმა ბანაკის მომარაგების ნაწილში დაიწყო ეკონომისტად მუშაობა და აქ ისევ შეხვედრია ამ მოხუც ჩეკისტს.

თამარ წულუკიძის მოგონებებიდან: „ ... გავიდა დრო და ამ მოხუცმა ჩეკისტმა თავისი ქალიშვილი მოიყვანა ბანაკის სამკერვალო სახელოსნოში რალაცის შესაკერად. როცა მომარაგების ნაწილის უფროსის ოთახში დამინახა, მიუბრუნდა უფროსს და უთხრა: „*Береги её, эта выдержанная женщина.*“

შედარებით კარგად იხსენებს დედა მეორე გამომძიებელსაც, რომანოვს: „ფლეიშმანმა საქმე გადასცა მეორე გამომძიებელს, რომანოვს. რომანოვი წესიერი და შედარებით პატიოსანი კაცი გამოდგა. მიძახებდა დაკითხვაზე, მაგრამ არაფერს მეკითხებოდა. თავისი საქმეებით იყო დაკავებული. როგორც შემდეგ გაირკვა, რომანოვი ფლეიშმანის წინაშე თამაშობდა დაკითხვის სცენებს.“

- ე.ი. რომანოვი ფლეიშმანისაგან განსხვავებით პატიმრების მხარეს იყო.
- ყოველ შემთხვევაში ფლეიშმანივით არ ანამებდა მათ. ფლეიშმანი ფსიქოლოგიური წამების ხერხებსაც მიმართავდა: „მაგალითად, ზის ფლეიშმანი მაგიდასთან, ალებს კარადას, საიდანაც გამოაქვს ტკბილეული, კვლავ ჯდება და იწყებს ჭამას. გვერდს „უმშვენებს“ მეორე ჩეკისტი რიაბინოვიჩი. ფლეიშმანი ამბობს: „*Ты знаешь её первую брачную ночь?*“ და ჩემზე მიუთითებს, იწყებს საშინელებების, ყოველგვარი გარყვნილობის მოყოლას. რიაბინოვიჩი დგას და უსაშველოდ

ხარხარებს. ენის წვერზე მადგას სიტყვები – „ფაშისტი, ფაშისტი“ და ხმას არ ვიღებ. ეს ბევრად საშინელი წამება იყო, ვიდრე 7-8 დღე სკამზე ჯდომა სტალინის სურათის წინ. მე მაშინ ვოცნებობდი სიკვდილზე. სიკვდილი ჩემთვის ერთადერთი შეება იყო – დიდი სიხარულით მივიღებდი შუბლში ტყვიას. მერწმუნეთ, ასეთი რამ მე არასოდეს განმიცდია და გადამიტანია, არც მანამდე და არც მას შემდეგ.“

- **ქალბატონი თამარის განცხადებისა და გასამართლების შემდეგ რა ბედი ეწია ფლეიშმანს, ისევ დარჩა თანამდებობაზე თუ არა?**
- ფლეიშმანი მიუყვანიათ ბანაკში, პატიმრისათვის უბრძანებიათ, მისთვის სამხრეები აეყარა და ქამარი მოეხსნა, და მოსკოვში გაუგზავნიათ. იქ რა ბედი ეწია, დედამ უკვე აღარ იცოდა.
- **საბჭოთა კავშირის ციხეებიდან, რომლებშიც ქალბატონი თამარა მჯდარა, რომელს მიიჩნევდა ყველაზე სასტიკად?**
- ასე არ გამოყოფდა, მაგრამ ყველაზე დიდი ტანჯვა-წამება მაინც ტომსკის ციხეში გამოიარა. იქ იჯდა ერთეულთა კამერაში ნახევარ წელზე მეტ ხანს. კამერიდან რომ გაყავდათ დაკითხვაზე ხოლმე, თბილ ქურთუკს კამერაში ტოვებდა, ეგონა, რომ დასახვრეტად მიჰყავდათ და შემდეგისათვის ზრუნავდა, რათა მას გამოსდგომოდა. წარმოიდგინე, რა საშინელება იყო და რას გაუძლო, როგორი ნებისყოფა და თავმოყვარეობა ჰქონდა. სხვათა შორის, ახალგაზრდობაში სიგარეტს ეწეოდა, სანამ დააპატიმრებდნენ, და იქ დაანება თავი. სადაც ყველა იწყებს, მე იქ დავანებეო. იმიტომ, რომ მის თავმოყვარეობაზე მოქმედებდა ერთობლივი მონევა, როცა ერთი იწყებს და სხვას გადასცემს, ის სხვა კიდევ სხვას და ასე შემდეგ. ამიტომაც დაანება თავი.
- **კიდევ რას ყვებოდა ციხის ამბებიდან?**
- ძალიან იშვიათად საუბრობდა ამ თემაზე, არ უყვარდა იმ ამბების გახსენება. სულ ვეუბნებოდი, აი, ლიზიკო ქავთარაძე

ხომ აქვეყნებს მოგონებებს, შენ რატომ არ წერ, ჩვენთვის მაინც დაწერე-თქო. არ არის სჭიროო, – მეუბნებოდა, – ლიზიკოს უკან არავინ დგას და მე კი თქვენ მყავხართო. ესენი რას მოიმოქმედებენ (კომუნისტებს გულისხმობდა) და როდის გამოიყენებენ ამ ჩემს ჩანაწერებს და თქვენ რას გიზამენ, არავინ იცისო; არ არის საჭიროო. რაც ნაკლებს ვილაპარაკებ ამ თემაზე, ის აჯობებსო.

- **ვიცი, რომ თამარა ბებია ერთ-ერთ ციხე-ლაგერში თავადის გვარის ქურდს შეხვედრია და მან დიდი პატივისცემა გამოხატა წულუკიძის ქალის მიმართ.**
- აბაშიძეს შეხვდა. იქ ყველანაირი პატიმარი ერთად ჰყავდათ: პოლიტიკურები, ქურდები, მკვლევები. ზუსტად არ მახსოვს, რას ჰყვებოდა ამ შეხვედრის შესახებ; ეს ქურდი რომ აბაშიძე იყო, ნამდვილად ვიცი. დედას მაინც ყოველთვის ეამაყებოდა თავადური წარმომავლობა. ჩემში ერთი წვეთი გლეხის სისხლი არ არისო, ამას ძალიან ამაყად აცხადებდა და მოწონდა. „Во мне нет крестьянской крови.“
- **ხომ არ ნანობდა, რომ მთელი ახალგაზრდობა და მთელი ცხოვრება ტანჯვა-წამებაში გაიარა, ნორმალური ოჯახი და დედობაც კი არ ელირსა?**
- არასოდეს უნანია. პირიქით. ეამაყებოდა თავისი წარსული. სხვანაირად ვერც კი წარმოედგინა. დედობრივი გრძნობა კი, რომელიც თავის დროზე ვერ გამოამჟღავნა ჩემდამი იმიტომ, რომ ამის საშუალება არ ჰქონდა, შვილიშვილებზე გადაიტანა. მათი ცხოვრებით ცხოვრობდა. დასდევდა სკოლაში, მათი ყველაფერი აინტერესებდა. მერე ნაადრევად გავიდა პენსიაზე, თქვა, როგორც კი ჩემი შვილიშვილი სკოლაში შევა, მე პენსიაზე გავალო. დედა რომ გადაასახლეს, მაშინ აქ ხალხი ჯერ კიდევ სუფთა იყო. როცა ჩამოვიდა, სულ სხვა ქვეყანა დახვდა, ასე ვთქვათ, უფრო გააფერისტებული და გარყვნილი. ამის გამო ძალიან გაუჭირდა შეგუება. სულ იმის შიში ჰქონდა, რომ ბავშვებს ვინმე რამეს დაუშავებდა, ამიტომ დასდევდა სკოლაში ერთსაც და მეორესაც.

- საბოლოოდ ხომ მაინც დაინყო თავისი ამბების გახსენება, თუნდაც თქვენ საკმაოდ ბევრი რამ იცით მისი იმდროინდელი ცხოვრების შესახებ.
- იცი, როგორ იყო, დაინყებდა-ხოლმე გახსენებას და მერე უცებ იტყოდა – „He сто́йт“ – და შეწყვეტდა. ის, რაც ჩვენ ვიცით, სხვადასხვა დროს მოსმენილი და შემდეგ ერთმანეთზე გადაბმული, ერთმანეთთან დაკავშირებული ამბებია, გარდა იმ ჩანაწერებისა, რაც ქეთინომ უშუალოდ მისგან ჩქარ-ჩქარა ჩაინერა.
- **თქვენ ამბობთ, რომ ქეთინო და დათო ბებამ აღზარდა. არ უნერგავდა მათ კომუნისტებისადმი ზიზღს, რეალურ ისტორიულ ვითარებაზე არ უამბობდა?**
- არა. პოლიტიკაზე და კომუნისტებზე საერთოდ არ ლაპარაკობდა, არც ცუდს, არც კარგს. მათი ხსენება არ იყო, კომუნისტებისა და მათი იდეოლოგიის. და კურთხევა ის იყო, რომ მისი აღზრდილი დათო მაინც ლენინისა და სტალინის მოყვარული გამოდგა. მაგიდაზე ლენინის და სტალინის სურათები ენყო (იციინის).
- **არ ეუბნებოდა, რატომ გიდევს ეს სურათებიო?**
- არ ეუბნებოდა. ალბათ ფიქრობდა, ბავშვია და სადმე არ თქვასო. შეიძლება, შიში ჰქონდა ამის. დათოს არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ ისე, მათ სახელს ვერ უხსენებდი.
- **ის როგორ იყო, მაღაზიაში რომ მოსთხოვა დათომ, ლენინის სურათი მიყიდეო?**
- არ გინდა, ბებო, გვაქვს ჩვენ ასეთი სახლშიო. არა, ასეთი არა გვაქვსო, ვერ გადაათქმევინა ვერაფრით. მერე ვილაცა კაცმა უთხრა თურმე, რატომ არ ყიდულობთ, ქალბატონო, ბავშვს უნდაო. და უცებ შეშინდა თურმე, იქნებ ვინ არის ეს კაციო და უყიდა. მიიტანეს სახლში და დათომ კედელზე გააკრა. მერე მამამისი მოვიდა და გადაიჩრია. ეს კი არა და, მოსკოვში რომ ვიყავით, დათომ თავი მოიკლა, ლენინი უნდა ვნახო და უზარმაზარ რიგში დამაყენა, რომ მავზოლეუმში შევსულიყავით. შევედით და ვნახეთ. არ გინდა, დედი, –

ვეუბნებოდი, – რად გინდა, ამ სიცივეში როგორ უნდა ვიდგეთ-თქო. – არა, ისე არ ნავალ, ლენინი თუ არ ვნახეო.

– **თქვენ ლენინი და სტალინი ალბათ არ გიყვარდათ?**

– რა თქმა უნდა, არა. რა თქმა უნდა. სტალინი რომ გარდაიცვალა, მარქსიზმის ლექცია გვექონდა, ისე კარგად მახსოვს. შევედით ლექციაზე. მარქსიზმის ლექტორი დიდ ამბებში იყო. სტუდენტებიც ცრემლებს აღვარღვარებდნენ. მე კი ვზივარ, იცი როგორ? აბსოლუტურად არაფერი მეხება. ხმას არ ვიღებ იმიტომ, რომ მეშინია, რამე რომ ვთქვა, თორემ არანაირი ცრემლი მე რომ არ გადმომვარდნია, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია.

– **სტუდენტები ტიროდნენ?**

– ტიროდნენ, აბა! ალექსანდროვის ბაღში რომ წავიდნენ 9 მარტს¹²¹, მე თეატრში წავედი. მარჯანიშვილის თეატრში ვიყავი, ისე კარგად მახსოვს. ჩვენი კურსი კი გვირგვინებით წავიდა ალექსანდროვის ბაღში.

– **ე. ი. შეგნებულად მოქმედებდით.**

– რა თქმა უნდა. არ წავედი იმიტომ, რომ ფაქტობრივად ცხოვრება დამინგრია ამ ადამიანმა. ნამდვილად არ მივტიროდი სტალინს.

– **როგორც ვიცი, ისეთი პარადოქსიც ბევრი იყო – მას, ვისაც ცხოვრება დაუნგრია, მაინც სტალინი უყვარდა და მისტიროდა...**

– ხო, უყვარდათ. მე კი არ მქონდა ეს განწყობა. აბსოლუტურად. ხომ გეუბნები, გვირგვინი შეუკვეთეს და ფეხით წავიდნენ პლენანოვის ქუჩით¹²². ბებიჩემიც პლენანოვზე ცხოვრობდა, კინო „ამირანთან“¹²³; კარგად ბრძანდებოდეთ-თქო და სახლში ავედი. შინაგანად არ მქონდა გლოვის განწყობა და

121 იგულისხმება თბილისში 1956 წლის საპროტესტო დემონსტრაცია, რომელიც სისხლში ჩაახშეს საბჭოთა ჯარებმა.

122 პლენანოვის ქუჩა – ამჟამად დავით აღმაშენებლის გამზირი.

123 კინო „ამირანი“ – ამჟამად მუსიკალური ცენტრი თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე.

რატომ უნდა წავსულიყავი? იმიტომ, რომ ვილაცას დაენახა? არ წავედი!

– **ყოვეთვის იცოდით, რომ თქვენი მშობლები დამნაშავენი არ იყვნენ?**

– ყოვეთვის ასე ვიცოდი, რომ დამნაშავენი არ იყვნენ. ამდენი იტანჯეს, თითქმის მთელი ცხოვრება! 19 წელიწადი ცოტა დროა?! მართალია, პატრონი მყავდა და ჩემზე ზრუნავდნენ, მაგრამ დედ-მამის ზრუნვა ხომ სხვაა? რამდენი რალაცაა... მე არასდროს არავისთვის არაფერი მითხოვია, ან „მიყიდე“ მითქვამს, ან „ჩამაცვი“ მითქვამს და არც არაფერი. თვითონ თავისით რასაც გამიკეთებდნენ; მესმოდა, რომ ვერანაირ პრეტენზიას ვერავის წაუწყებდენ, ვერავის მოვთხოვდი. ამას რომ თავი დავანებოთ, ბოლოს და ბოლოს, მშობლების სიტბო ხომ მაკლდა? მე ვერ ვიტყვი, რომ ვინმემ რამე დამაკლო, პირიქით, ყველა დიდი მზრუნველობით იყო ჩემ მიმართ, ყველას ვუყვარდი, მაგრამ მაინც... როცა ჩამოვიდნენ და ერთად ცხოვრება დავიწყეთ, მაშინ უფრო მივხვდი ამას, რამდენი რამე მაკლდა.

– **გქონდათ მოლოდინი, რომ დაბრუნდებოდნენ?**

– სკოლის პერიოდში მქონდა. ვიცოდი, რომ რალაც გარკვეული დრო – 10 წელი – მისჯილი ჰქონდათ და როცა გავიდოდა ეს 10 წელი, ჩამოვიდოდნენ. ეს ვიცოდი და მოლოდინი სულ მქონდა. მერე უკვე, როცა სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს, ნამდვილად აღარ ველოდებოდი. ჩემთვის ვფიქრობდი, რომ გავიზრდები, დავამთავრებ ინსტიტუტს, ასე ძალიან რომ უნდოდა დედაჩემს, ექიმი გამოვალ და ჩავაკითხავ იქ, გადასახლებაში, რომ იქნებ რამეში გამოვადგე. ჩემი იქ წასვლის იმედი მქონდა, თორემ ისინი აქ რომ ჩამოვიდოდნენ, ნამდვილად არ მეგონა. იმიტომ, რომ სამუდამო გადასახლება ჰქონდათ. ბიძაჩემი რომ წავიდა იმათ სანახავად, მე არ წამიყვანა, მითხრა, შენ არაო, ჯერ მე წავალ, ვნახავ, იქ როგორი სიტუაციააო. ბიძაჩემი რომ დაინახეს, გაგიჟდნენ, არ მოელოდნენ... დედ-მამას დიდი სურვილი ჰქონდა ჩემი

ნახვის, მაგრამ თან შიშიც, რომ იქ ჩასულს უკან აღარ გამომიშვებდნენ, დამტოვებდნენ.

– **ნათელა დეიდა, მიმონერა არ იყო შეზღუდული?**

– არა. ომის პერიოდში ცოტა შეიზღუდა და ისე – არა, გვექონდა მიმონერა.

– **ალბათ “ჩეკა” აკონტროლებდა?**

– ალბათ. მაშინ მე ბავშვი ვიყავი და მაგდენი არ მესმოდა. ახლა, როცა სხვა გადასახედიდან ვუყურებ, რასაკვირველია, გააკონტროლებდა, მაგრამ ჩვენ ძალიან მოზომილი მიწერ-მონერა გვექონდა. ისინი იწერებოდნენ, როგორ არიან იქ, ვთქვათ, ასე ვართ, თქვენ როგორ ხართ და ა. შ. ერთი სიტყვით, ჩვენ არ გვეწუნებოდნენ.

– **ჩანერილი მოგონებების მიხედვით, ქალბატონი თამარი რამდენჯერმე კითხულობს, რამდენი სიტყვის დაწერის უფლება აქვს, რატომ?**

– ეს დეპეშაში. დეპეშა შეზღუდული იყო. დედას ეუბნებოდნენ, რომ სახლში გამოეგზავნა დეპეშა, რადგან ერთი პერიოდი შეწყვიტა წერილების წერა და მის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდით. თან ხმა გამოვიდა, რომ ვილაც წულუკიძე დახვრიტეს. დეიდაჩემებმა ძებნა დაუწყეს, სხვადასხვა ციხეში შეკითხვას შეკითხვაზე აგზავნიდნენ. მერე გაარკვიეს, რომ ცოცხალია და წერილიც მოვიდა ცოტა ხანში. მიმონერა თითქმის სულ გქონდა, მხოლოდ რალაც გარკვეული პერიოდი იყო შეზღუდული. დედას და მამას ერთმანეთში არ ჰქონდათ მიმონერა, უფლებას არ აძლევდნენ, ჩვენი საშუალებით იგებდნენ ერთმანეთის მდგომარეობას.

– **სურათებსაც უგზავნიდით?**

– კი. სურათებსაც ვუგზავნიდით. ამანათიც შეიძლებოდა წელიწადში ერთხელ.

– **ამანათით რას უგზავნიდით-ხოლმე?**

– ხმელ რალაცეებს, ჩირს, სუნელებს. მეც ვიღებდი ჩალაგებაში მონაწილეობას.

- **ბოლო გადასახლება ხომ ერთად გაატარეს?**
- მაშინაც მამაჩემი შუა აზიაში გადასახლეს, დედა – ციმბირში. მერე ბიძაჩემის ჩარევით (ბევრი ირბინა და ინვალა ამაზე), დედაჩემი შუა აზიაში გადაიყვანეს.
- **ჩვეულებრივ პატიმარს ალბათ არც გადაიყვანდნენ, პატრონი რომ არ ჰყოლოდა?**
- დედა ისეთი მებრძოლი სულის ქალი იყო, რომ შეიძლება თვითონაც მიეღნია, მაგრამ ამ შემთხვევაში ბიძამ იბრუნა და გადაიყვანეს. მუშაობდნენ მეურნეობაში, ღვინის ქარხანაში.
- **მესამეჯერ გადასახლებისას იგივე ბრალდებები წაუყენეს თუ ახალი და რამდენად რთული იყო ეს პატიმრობა?**
- გაიმეორეს იგივე მუხლები, რაც 1937 წელს, და წამოუყენეს ახალი ბრალდება, თითქოს დაბრუნების შემდეგაც ეწოდნენ კონტრრევოლუციურ საქმიანობას, მაგრამ არავითარ ძალდატანებას ადგილი აღარ ჰქონია, პატიმრებს აღარ აწამებდნენ.

თამარ წულუკიძის მოგონებებიდან: „*ორჯერ დამკითხეს გამომძიებელი საკმაოდ ახალგაზრდა იყო. გამაცნეს საბრალდებო დასკვნა და ხელის მოწერა შემთავაზეს. არ მოვუწერე. 1949 წელს მარტში ეტაპით გამაგზავნეს ციხეების გავლით – ბაქო, როსტოვი, მოსკოვი – Бутырка, – კუიბიშევი, სვერდლოვსკი, კრასნოიარსკი, ირკუტსკი¹²⁴. კრასნოიარსკში გამოგვიცხადეს სამუდამო პატიმრობის შესახებ, რომ გვაქვს ხმის უფლება, ყველა უფლება, ოღონდ არ უნდა დავიძრათ ადგილიდან და გემით გამაგზავნეს იგარკაში, მეუღლე კი ყაზახეთში გადასახლეს. 14 თვეში მომცეს ქმართან გადასვლის უფლება ჯამბულის ოლქში, სოფელ მიხაილოვკაში.“*
- **გადასახლებიდან გამოგზავნილი სურათი ალბათ შუა აზიაშია გადაღებული?!**
- კი, შუა აზიაშია გადაღებული. ეტყობა კიდეც, დედას მშვიდი სახე აქვს და არა ნატანჯი.

124 ირკუტსკი – ქალაქი რუსეთის ფედერაციაში, შუა ციმბირში.

- **ლიზიკო ქავთარაძე გადასახლებაში გაიცნო, თუ მანამდე?**
- კლასელები იყვნენ. გიმნაზიაში ერთად სწავლობდნენ: დედა, ლიზიკო, მარგო მუჯირი (იყო, ასეთი ექიმი, სისხლის გადასხმაში მუშაობდა); აი, იმ მუჯირის ძმა იყო „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც ემიგრაციაში წავიდა. სწორედ მან გადასცა დედას ლია ბარათი მეტეხის ციხის ხედით.
- **ე. ი. რადგან კლასელები იყვნენ, შესაძლებელია, პატრიოტული იდეოლოგია სკოლის მერხიდან ჩაენერგათ.**
- როგორც მე ვიცი, ჰქონდათ წრეები, სადაც მხატვრულად კითხულობდნენ, არჩევდნენ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ლიზიკო რომ დაბრუნდა, მერეც აქტიური ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. სულ აინტერესებდა ახალგაზრდები, მათი აზრები, მისწრაფებები, თუ რითი არიან გამსჭვალულნი, ელაპარაკებოდა, ეკითხებოდა მათ; ეროვნულ მოძრაობაშიც იყო ჩაბმული.
- **და თამარა ბებია? ნუთუ არ აინტერესებდა ეროვნული მოძრაობა?**
- მაინც ბოლომდე გაჰყვა შიში. შენ არ იცნობ ამათო, არ იცი, ვერ წარმოიდგენ, ესენი რისი გამკეთებლები არიანო.
- **თქვენ პირადად თუ გქონდათ შიში, რის გამოც არ ერეოდით ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, არ ინტერესდებოდით?**
- არასდროს არ ვერეოდი. თუ სადმე თავყრილობა იყო ან ლაპარაკი პოლიტიკაზე, ყოველთვის განზე ვდგებოდი. განზე ვდგებოდი შიშის გამო. ეს შიში მეც მქონდა ყოველთვის.
- **ახლაც?**
- ახლა ვის რისი ეშინია?! არავის არაფრის და არავისი. დღეს უბრალოდ ვერ ვხედავ რაიმე სიკეთეს და ამიტომაც არა ვარ დაინტერესებული პოლიტიკით. ადრე კი შიში მქონდა: სტუდენტობისას, სამსახურში. იცი, როგორ მქონდა? აქტიური არ ვიყავი, უკან დახეულივით ვიყავი ყო-

ველთვის, კრება იყო თუ სხვა რამე, არასოდეს სიტყვით არ გამოვიდოდი.

– **ეს ალბათ არ შეეხება პროფესიულ საქმიანობას?**

– პროფესიულს არა, რა თქმა უნდა.

– **ქალბატონი თამარი ორი წელია, რაც გარდაიცვალა. როგორ ცხოვრობდა ბოლო წლებში, რითი ინტერესდებოდა?**

– რადიოს არ იშორებდა გვერდიდან. ძალიან უყვარდა საინფორმაციო სატელევიზიო გადაცემები. ჩვენ ვეუბნებოდით, დაანებე თავი, რად გინდა, ამათ როგორ უსმენ, ნახევარი ტყუილია-თქო; ის კი ბრაზობდა, როგორ არ გაინტერესებთო?!

– **მხედველობა დაკლებული ჰქონდა, არა?**

– ველარ ხედავდა. ამდენი ტანჯვის შემდეგ რა გასაკვირია. მერე მთელი ცხოვრება კითხულობდა პრესას, წიგნზე რომ არაფერი ვთქვა. სანყალი, რომ იწვა, ზეპირად ამბობდა „ვეფხისტყაოსანს“, ბარათაშვილისა და პუშკინის ლექსებს. იმეორებდა და გონებას ავარჯიშებდა. გონება მუდამ ჰქონდა, სიცოცხლის ბოლომდე. გაგიკვირდებოდა, რომ ამ ასაკის ქალმა ზეპირად იცოდა პუშკინი, ლერმონტოვი თუ ჩეხოვი. რომ დაინწყებდა „ვეფხისტყაოსანს“ თავიდან – პროლოგიდან, თუ არ გააჩერებდი, ალბათ ბოლოში ჩავიდოდა.

– **მისი პირადი ნივთებიდან რა დაგრჩათ?**

– ხატი დაგვრჩა, გადასახლებაში მუდამ თან რომ ჰქონდა. წერილებს შეგნებულად არ ინახავდა. ფოტოც სულ რამდენიმე გვაქვს.

– **რეაბილიტაცია ციხეშივე მიიღო?**

– არა. 1954 წელს საქართველოში დაბრუნდა, სამუდამო გადასახლება მოუხსნეს, მაგრამ თბილისში ცხოვრების უფლება მაინც არ ჰქონდა და გურიაში ცხოვრობდა. 1957 წელს მიიღო რეაბილიტაცია და გადმოვიდა თბილისში. მუშაობა დაიწყო „კავკაზელექტროქსელმშენში“.

- როგორც რეაბილიტირებულს თუ უწევდნენ რაიმე დახმარებას?
- მიიღო ერთოთახიანი ბინა დილომში. ცოტა ხანი შუქზე ჰქონდა შეღავათები, სხვა არაფერი. მერე ისიც მოუხსნეს. საზოგადოება „მემორიალი“¹²⁵ გვირეკავდა და წამლებს გვთავაზობდა. ჩვენ არ გამოგვირთმევია, არ გვჭირდებოდა. არც წნევა აწუხებდა და არც არაფერი. არ გვისარგებლია, ისე კი გვირეკავდნენ.
- უკვე რეაბილიტირებულის ცხოვრებით თუ დაინტერესებულა ვინმე?
- არავინ, აბსოლუტურად და არც თვითონ შეუთავაზებია თავი არავისთვის. მუდამ ცდილობდა, ჩრდილში ყოფილიყო.
- ვიცი, რომ საბჭოთა კავშირის გერმანიაზე გამარჯვების 50 წლის აღსანიშნავად გამოვიდა ნიგნი-ალბომი, რომელშიც გერმანული საკონცენტრაციო ბანაკები იყო აღწერილი, და ეს ნიგნი თამარა ბებიაშვილმა ნახა...
- ეცინებოდა, ეს იმასთან შედარებით არაფერიყო. რას ამბობდა, იცი? გერმანელებმა ამათგან ისწავლესო, ისეთი წამებები გვაქვს გავლილიო...
- არ უნდოდა, ამ წამებებზე გამოეთქვა პროტესტი, როცა უკვე იყო სიტყვის თავისუფლება?
- არა. არა. ლაპარაკიც კი არ უნდოდა. მხოლოდ ერთი წინადადება ჰქონდა – „რამდენი წამება გავიარე“.
- არც სხვაზე არ ყვებოდა, ვინც მასთან ერთად იყო გადასახლებული?
- არა. რადგან ძალიან მძიმე იყო მისთვის მოსაგონებლად და მეც, სიმართლე რომ გითხრა, არ მინდოდა მოსმენა. ისედაც ვიცოდი, რამდენი ჰქონდა გადატანილი... ერთხელ რაღაც აღელვებული შემოვვარდი სადარბაზოდან. მკითხა, რა იყო? ვირთხა იყო-მეთქი, ვუპასუხე. გაეცინა: აბა, მე

125 საზოგადოება „მემორიალი“ – არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია საბჭოური რეპრესიების მსხვერპლთა მხარდაჭერა და სოციალური რეაბილიტაცია (შეიქმნა 1991 წ.).

რა უნდა მექნაო: ხელებს შემიკრავდნენ, ჯიბეებში შაქრებს ჩამიყრიდნენ და ვირთხების ოთახში შემაგდებდნენ; ვირთხები სულ ზედ დამდიოდნენო. მე ვუთხარი: გეხვეწები, დედა, მეტი აღარ მოყვე-მეთქი. ამის მოსმენაც და გაფიქრებაც კი საშინელება იყო.

- **ნათელა დეიდა, ის როგორ იყო, ვილაცამ კომპლიმენტის სახით რომ უთხრა, გეტყობათ თავადიშვილური ცხოვრება, კარგად მოვლილი ქალბატონი ბრძანდებითო?**
- დედამ ამაზე უპასუხა: განსაკუთრებით 20 წელი მაქვს ფუფუნებაში გატარებულიო. სხვათა შორის, ხომ ასეთი დიდი წამებაგამოვლილი იყო, არ ეტყობოდა! როგორ გაუძლო ამ წამებას, მართლა როგორ გაუძლო, გასაკვირია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამდენი წელიწადი მოშორებული ხარ შენთანებს, შენს ქვეყანას, იმყოფები გადასახლებაში, როგორი გასაძლება?! ხალხი თავისი ნებით მიდის კარგ პირობებში და იმას უჭირს გაძლება. დილის 8 საათზე უკვე ტყეში იყო, ვერც ჯდებოდა, ვერც ისვენებდა, უკან „კანვოები“¹²⁶ მიჰყვებოდნენ.
- **კიდევ კარგი, რომ მოგონებები მაინც ჩაინერეთ...**
- ხო, ქეთინომ ჩაინერა. კიდევ ვიდეო-კასეტა გვაქვს, სადაც კითხვებს უსვამენ და ისიც რალატომლაც პასუხობს. ჩუმად არის ჩაწერილი; არ იცოდა, რომ უღებდნენ. ადრე რომ გვეთქვა, ჟურნალისტია და ჩაწერა უნდა-თქო, არავითარ შემთხვევაში ხმას არ ამოიღებდა.

126 „კანვოები“ – რუს: конвой – ბადრაგი, მცველი.

ინტერვიუ ქალბატონ ქეთევან გოფოძესთან, თამარ წულუკიძის შვილიშვილთან

ქეთევან გოფოძე – დაიბადა 1959 წელს, დაამთავრა სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; გაზარდეს ბებია და ბაბუამ. განსაკუთრებული წვლილი მის აღზრდაში მიუძღვის ბეზიას. ბებუის პატივსაცემად ქეთევანმა შვილსაც თამარი დაარქვა.



- ქეთი, შენ ბებუის აღზრდილი ხარ, ძალიან საინტერესოა, რას გაიხსენებ მასზე, თქვენს ურთიერთობებზე?
- რა თქმა უნდა, ყველას განსაკუთრებულად კარგი ბებია ჰყავს, ასეთივე განსაკუთრებულად კარგი იყო ჩემი ბებია; გადაყოლილი ჩემზე და დათოზე. მე რომ სკოლაში შევედი, ბებია ნაადრევად გავიდა პესიაზე, რათა ჩემთვის უფრო მეტი ყურადღება დაეთმო. მივყავდი სკოლაში და მოვყავდი, მეხმარებოდა მეცადინეობაში, საუზმეს, სადილს მიმზადებდა. ეს კი არა და, სკოლაში დიდი შესვენების დროსაც მოდიოდა და საჭმელი მოჰქონდა, რომ სკოლის ბუფეტში არ მეყიდა რაიმე. დედა მიკრძალავდა ბუფეტში ჭამას.
- სკოლის პერიოდში თუ იცოდი რაიმე შენი ბებუის წარსულის შესახებ?
- ვიცოდი, რომ ბებუაცა და ბაბუაც გადასახლებულები იყვნენ, მაგრამ ამ „გადასახლებაში“ რა იგულისხმებოდა და რა სიძნელები იყო, ვერ წარმომედგინა და არც არავინ მისხნიდა. თვითონ ხომ საერთოდ არ ლაპარაკობდა ამ თემაზე, ძალიან გვიან დაიწყო საუბარი, რაღაცის გახსენება,

მწარედ თუ ტკბილად მოგონება, მანამდე კი ყოველივე ამას ტაბუ ედო. ისე რომ, ბებიაჩემი ჩემთვის ჩვეულებრივი ბებია იყო და მისი წარსული ჩემზე არავითარ გავლენას არ ახდენდა, რა თქმა უნდა, არც იდეოლოგიურს. ერთხელ ბაბუას ვკითხე: – ბაბუა, რომელი უფრო გიყვარს, ლენინი თუ სტალინი-თქო? და მიპასუხა: – ძალი მიაკვდა ერთსაც და მეორესაცო. ისე გამიკვირდა, ისეთი შოკი იყო ჩემთვის, რომ, რა ვიცი, ძალიან დავიბენი – ლენინი და სტალინი ყველას უყვარს და ეს ბაბუაჩემი რამ გადარია-თქო?! რა თქმა უნდა, ეს ამბავი მალე გადავივიწყე; პიონერებშიც შევედი და კომკავშირშიც, არც არავის გაუპროტესტებია ოჯახში.

დროთა განმავლობაში გავიგე, რომ ბებიაჩემმა ბევრი უბედურება გადაიტანა, ხან ვისგან მესმოდა მისი ამბავი და ხან – ვისგან. პირადად მასთან დაკავშირებით ასეთი ფაქტი მახსოვს, 1988 წელს მოუტანეს, თუ არ ვცდები, გაზეთი „კომუნისტი“, სადაც 1924 წლის აჯანყებისა და იმ პერიოდის ეროვნულ მოძრაობაზე ეწერა დიდი სტატია. ბებიაჩემი მაშინ პატარა გოგონა იყო, მაგრამ უკვე აქტიურად იყო ჩართული ამ მოძრაობაში. იგი მეკავშირის ფუნქციას ასრულებდა 24 წლის აჯანყების „პარიტეტული კომიტეტის“ წევრებს შორის... დიდი ინტერესით კითხულობდა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე: „რა ვიცი, ამის გულისთვის ამდენი გვხოცეს და ამდენი წელიწადი გვტანჯეს და დღეს აღმოჩნდა თურმე, რომ გმირები ვყოფილვართო.“ მეც, იმ მთავრობისა არ იყოს, გვიან მივხვდი, რომ ბებია მართლა გმირი იყო; ალბათ მაშინ, როცა მისი მოგონებები ჩავწერე, როცა გავიაზრე, რამდენი ადამიანი შეენწირა ამ საქმეს, რამდენი ადამიანის ცხოვრება სულ სხვანაირად წარიმართა, დაინგრა და გაუბედურდა.

მოგონებები თამარ წულუკიძის შესახებ შემოგვინახა როსტომ ხიდაშელმა

როსტომ ხიდაშელი – 1939 წლის რეპრესიების მსხვერპლი, ექიმი. სამედიცინო ინსტიტუტის II კურსის სტუდენტმა 7 თანამოაზრესთან ერთად ჩამოაყალიბა პოლიტიკური საზოგადოება „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, თავად ამ პარტიის ლიდერი გახდა. 9 თვის თავზე, 1939 წლის 27 ივლისს, იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს. მასთან ერთად პირველ გადასახლებაში იმყოფებოდა სანდრო ახმეტელის მეუღლე – ქალბატონი თამარ წულუკიძე. ხოლო მეორე გადასახლებაში, როსტომ ხიდაშელი მეორე თამარ წულუკიძეს შეხვდა და დაუმეგობრდა. ერთმანეთს გვერდში ედგნენ, როგორც ქართველები, როგორც ერთი იდეითა და მრწამსით დაახლოებულნი, და ერთმანეთისთვის გადასახლების მძიმე ყოფის შემსუბუქებას ცდილობდნენ.

მოგვაქვს ამონაწერი როსტომ ხიდაშელისადმი მიძღვნილი სტატიიდან (INTERNET გაზეთი, №14. 9-15 აპრილი, 2002 წ. გვ.35): „...ხელახლა დააპატიმრეს ისინი, ვინც უშიშროებასთან არ იყო შეკრული. ხელახლა დააპატიმრეს როსტომ ხიდაშელიც და უკიდურეს ჩრდილოეთში გადაასახლეს. ამ გადასახლებისას როსტომ ხიდაშელი შეხვდა მეორე თამარ წულუკიძეს. იგი ალექსანდრეს ასული იყო. წულუკიძე ბულალტრად მუშაობდა და დიდი პატივისცმით სარგებლობდა. როსტომ ხიდაშელი და თამარ წულუკიძე სხვებთან ერთად ერთმანეთს გვერდში ედგნენ, რათა მძიმე პირობები შეემსუბუქებინათ. მოგვიანებით, თამარა წულუკიძე დედამთილის მოთხოვნით გადაიყვანეს იქ, სადაც მისი მეუღლე იყო გადასახლებული. ამის შემდეგ როსტომ ხიდაშელს იგი აღარ უნახავს. სამი წლის წინათ როსტომ ხიდაშელს შეხვდა თამარ წულუკიძის შვილიშვილი, ვისგანაც გაიგო, რომ ქალბატონი თამარა წულუკიძე ვაჟა-ფშაველას №35-ში ცხოვრობს, აღმოჩნდა, რომ ისინი თითქმის

მეზობლები ყოფილან. ამჟამად ქალბატონი თამარი 97 წლის არის. ეს არის ერთადერთი ცოცხალი ადამიანი, რომელიც როსტომ ხიდაშელთან ერთად იჯდა.“

ქალბატონი თამარი დღეს ცოცხალი აღარ არის, ბატონი როსტომი კი ერთადერთი ცოცხალი ადამიანია, რომელმაც გადასახლების გარკვეული პერიოდი თამარ წულუკიძესთან ერთად გაატარა. ბატონი როსტომი მუშაობს ავტობიოგრაფიულ ნიგნზე, რომლის ერთი თავიც მთლიანად ქალბატონ თამარ წულუკიძის პიროვნებას მიეძღვნება.

ლიზიკო ქავთარაძე



ვრცელი ამონაწერი ლიზიკო ქავთარაძის ჩანაწერებიდან:

„ვინ მოთვლის, რამდენი მეხოტბე ჰყოლია რუსეთის თვალმეუდგამ სივრცეებს?! დღესაც ვერ ნახავ ისეთ რუსს, რომ თავისი ქვეყნის სიგრძე-სიგანის გახსენებაზე არ იბნიდებოდეს და მის მეტად გასიებაზე არ ოცნებობდეს. ოღონდაც ერთი გოჯიც არ მოაკლდეს ამ მიტაცებული მინებიდან, ოღონდაც ერთი გოჯი კიდევ მიიტაცოს და იგი მზად არის, შეურიგდეს გაბერილი ვეშაპის უმსგავსობას, მის ანტიადამიანურ, მის ანტისაზოგადოებრივ არსებას.

ამ უკიდევანო, დღესაც აუთვისებელი სივრცეების საბედისწერო მნიშვნელობა კარგად ესმოდა ჩაადაევს¹²⁷. უშიშრად, ხმამაღლა აღიარებდა კიდეც, რომ სწორედ „მეექვსედობამ“ განაპირობა რუსეთში ფეოდალიზმის ცენტრალიზმ-დესპოტიზმის მძვინვარება, სიმახინჯე და ხან-

127 პეტრე ჩაადაევი – (1794-1856 წწ.) რუსი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, დეკაბრისტი.

გრძლიობა. რუსეთის მოწინავე საზოგადოება ერთსულოვანი აღმფოთებით ეგებებოდა რომანოვების კოლონიურ ექსპანსიას და მხოლოდ ჩადაევს ეყო სიბრძნე და ვაჟკაცობა, ჩაენერა თავის „ოფიციალურ წერილებში“, რომ „უცხო ქვეყნის დაპყრობით ჩვენ თვითონვე ვჭედავთ და ახალ ჯაჭვს ვუმატებთ საკუთარი მონობის ბორკილებსაცო.

... ნაკატორლალ დოსტოვესკის¹²⁸, კაცობრიობის საყოველთაო სიმართლის დიდ მაძიებელს (და მაინც „ჟიდების“, „პოლანიშკების“ და სხვათა აუგად მხსენებელს) სტამბული მოსვენებას არ აძლევდა. „დნეენიკ გრაჟდანიას“ ფურცლებზე მართლმადიდებელი რუსეთის „მემკვიდრეობის“ უფლებებს ასაბუთებდა და ბიზანტიური კონსტანტინეპოლის შემოერთების პრეტენზიას აყენებდა. ამაზე ოცნებობდა მილიუკოვიც¹²⁹ და სხვანი მრავალნი.

მტაცებლური ჟინის დაძლევა პატივად ვერ ირგო დიდმა ჰუმანისტმა ტოლსტოიმ¹³⁰: „მიყვარს ჩვენი გლეხი, რუსული მდინარესავით კალაპოტში არ ეტევა, ადიდდება, ნაპირებს გადალახავს, ივრცობა და გარე ეფინება. მერე ფესვებს გაყრის, იჩემებს, არუხებს უცხო მხარეს თავისთვის და თავისი ქვეყნისათვის,“ – ასე გადმოგვცემს ქმრის ნათქვამს სოფია ანდრეევნა თავის დღიურებში.

„ვლადი“ კავკასი, „ვლადი“ ვოსტოკი და კიდევ რამდენი „ვლადი“?! თვითმპყრობელური იმპერიის უკურნებელი ციებ-ცხელება ლენინმა და მისმა პარტიამ მემკვიდრეობით მიიღეს. ვერაგობა-ცბიერებაში მათ არა მარტო რომანოვები, სხვებიც ვერ გაუტოლდებიან. ფასადიდან „ვლადი“ მოხსნეს და მეტი გულმოდგინეობით, თანამედროვე ტექნიკის მაქსიმალური გამოყენებით მეტი წარმატებით გააგრძელეს დაპყრობილი

128 ფიოდორ დოსტოვესკი – (1821-1881 წწ.) რუსი მწერალი.

129 პავლე მილიუკოვი – (1859-1943 წწ.) რუსი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, 1917 წ. რუსეთის დროებით მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრი.

130 ლევ ტოლსტოი – (1828-1910 წწ.) რუსი მწერალი.

„ინოროდცების“¹³¹ ათვისება-მონელების „რუსული საქმე“. ახლა ფასადიც არ ენაღვლებათ: აკმოლინსკს ყაზახეთის ბრწყინვალე ათვისების დასამონემებლად ცელინოგრადი უწოდეს, კანტის¹³² ქალაქს – კალინინგრადი¹³³ და ა.შ.

თბილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის ნამონაფარმა, გარუსებულმა უცხოელმა, გრაფ ვიტტემ¹³⁴ გაბედა და ურჩია მპყრობელს: „იქნებ ჩვენთვის, რუსებისათვის, უკეთესი ყოფილიყო, რომ იყოს რუსეთი და ჩვენ ვიყოთ მხოლოდ რუსები... მაშინ უარი ვთქვათ განაპირა მხარეებზე, რომელთაც არ ძალუძთ შერიგება და არც არასდროს შეურიგდებიან რუსეთის იმპერიის იდეალს...“

გაფრთხილება ამაოიყო, აყლავაყუდა ბუმბერაზს, უმეცარსა და უგნურს, მხოლოდ ერთი რამ აბოდებდა: დაპყრობილი ერების გასრესა, გათქვეფა და მონელება“.

ელისაბედ (ლიზიკო) ქავთარაძე დაიბადა 1905 წელს ქ. თბილისში, ცნობილი სოციალ-ფედერალისტის, თბილისის არქივის გამგის, ქაიხოსრო ქავთარაძის ოჯახში. 1924 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტია, ამავე წლიდან ახალგაზრდა მარქსისტთა პარტიის წევრი. 1928 წლიდან 1957 წლამდე პოლიტპატიმარია. გარდაიცვალა 1988 წელს.

131 „ინოროდცები“ – რუს: инородец – უცხოტომელი, არარუსი, მეფის რუსეთში მომთაბარე ტომების: ყირგიზების, ყალმიკების, ბურიატების, იაკუტებისა და სხვათა სახელწოდება.

132 იმანუელ კანტი – (1724-1804 წწ.) გერმანელი ფილოსოფოსი, დაიბადა და გარდაიცვალა კენიგსბერგში, ორჯერ აირჩიეს კენიგსბერგის უნივერსიტეტის რექტორად.

133 კალინინგრადი – ქალაქ კენიგსბერგის სახელწოდება საბჭოთა რეჟიმის დროს.

134 გრაფი სერგეი ვიტტე – (1849-1915 წწ.) რუსეთის იმპერიის გზებისა და ფინანსთა მინისტრი, რუსეთში ფულის რეფორმისა და ციმბირში რკინიგზის მშენებლობის ინიციატორი.

ინტერვიუ ლიზიკო ქავთარაძის შვილიშვილთან – ქალბატონ რუსუდან რუსუდან ქუბაბრიასთან

რუსუდან ქუბაბრია – ქალბატონი ლიზიკოს დის – მარიამ ქავთარაძის – შვილიშვილი. გადასახლებიდან დაბრუნებული ლიზიკო ჯერ მარტო ცხოვრობდა, შემდეგ კი დისშვილთან – ბატონ გია ქუბაბრიას – ოჯახთან ერთად. რუსუდანის დაბადებასა და აღზრდაში მას დიდი წვლილი მიუძღვის. ქალბატონი რუსუდანი სიყვარულითა და მადლიერებით ემსახურება ლიზიკო ქავთარაძის დანატოვარ საშვილიშვილო საქმეს – ახდენს მისი არქივის – წერილების, ჩანაწერების, მოთხრობების გაშიფვრას, ამოკითხვასა და გადაბეჭდვას. მან უკვე შეადგინა ბებიის ჩანაწერების 2 ტომი. სამუშაო კიდევ ბევრი აქვს. რუსუდან ქუბაბრია დიდი სიყვარულით, მადლიერებით, ამავე დროს შვილიშვილებისათვის ჩვეული სილაღითა და იუმორით მოგვითხრობს ბებიის შესახებ:



„რაც თავი მახსოვს, მახსოვს ლიზიკო. ნათესაური კავშირის გარდა, კარგად მოგეხსენებათ, განსაკუთრებული სიახლოვის და სიყვარულის განცდა აქვს ადამიანს იმ ხალხის მიმართ, ვინც ცნობიერ „მე“-ს თან დაჰყვება. ასე იყო ლიზიკოს მიმართაც, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ასაკმა და ერთად ცხოვრებამ ურთიერთობის დადგენილი ფორმები გვარიანად შეცვალა და უწინ აღმართული „ზღუდეები“ მიანგრ-მოანგრია.

ჩემს გაჩენაში ბებიაჩემს მეტად მნიშვნელოვანი როლი უთამაშია. საერთოდ გულგრილად ვერ ჩაუვლიდა ხოლმე ორსულ ქალს და სულ იმის ცდაში იყო, შეძახილით მაინც საქართველოსთვის სასიკეთოდ შეეცვალა დემოგრაფიული სურათი. რომ არა ლიზიკოს დაჟინებული მოთხოვნა (ხაზგასმით

ვამბობ – არა თხოვნა, არამედ მოთხოვნა), ვინ იცის, როგორ გადანყდებოდა ამქვეყნად ჩემი მოვლინების საქმე, რის გამოც (და სხვა, რა თქმა უნდა, ბევრი მაქვს მის მიმართ სამადლობელი) უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

ლიზიკო ორთაჭალაში ცხოვრობდა. თავიდანვე მეც ჩემს მშობლებს იქ დავყავდი. არაჩვეულებრივად კარგად მახსოვს მისი ოთახი. იქ ყოველთვის რაღაც განსაკუთრებული კრძალვით შევებიჯებდი ხოლმე და უცნაურია, მაგრამ წყნარად მეჭირა თავი. თვალი კი კარადისკენ გამიბოდა. როგორც წესი, იქ წყლიან ქილაში დაბერილი ქიშმიშები მელოდნენ, რომელთაც ნებართვის მიღების პირველივე ნუთიდანვე დაუნდობლად ვანადგურებდი. ოთახში ვანილის სუნი იდგა. ლიზიკო რაღაც უცნაურ ნამცხვარს აცხობდა, ასევე კატლეტს კი არ შენვავდა, დანვავდა ხოლმე, მაგრამ მე მაინც მადიანად შევექცეოდი ამ უცნაურობას და არა მარტო ბავშვობაში, უკვე მონიფულ ასაკშიც კი. ლიზიკო რომ გარდაიცვალა, მე უკვე 24 წლის ვიყავი. ჩემს მეხსიერებას კარგად შემორჩა ხორციით, არაჟნით, ზეთით, ძმრითა და სუნელებით გაკეთებული კერძიც, რომელიც ქალბატონ ანა კალანდაძეს ჰყვარებია და შესაბამისად სახელწოდებად „ანასკერძი“ შემორჩა. მისი ლექსიკონით რომ ვთქვათ, რაღაცას „ჩირთიფირთობა“, მაგრამ გამოსდიოდა, როგორც ჩანს, მარტო მე არ ვიყავი მისი უცნაური კულინარული ხელოვნების ტრფიალი.

საშინლად მინდოდა ბალეტზე სიარული. „только через мой труп“-ო, გაიგიჟა თავი. ძალიან გავიკვირვე და მიზეზი ვკითხე: «Они не имеют детей и вообще это каторжный труд» . „არა, ბებო, ახლა არა, შენ რომ მოკვდები-მეთქი“, – დავაიმედე (მაშინ 5 წლის ვიყავი). მისეულ გამოთქმაშიც – «Я могу быть мостом для человечества, но костылём – никогда!» – ძალიან კარგად ჩანს მისი პათეტიკური შემართება. ახლა მახსენდება, მეცინება და მეტირება იმავდროულად.

რაც მე მახსოვს, სულ „პატარა ბელადი“ იყო. ჩვენთან შემოსვლისთანავე, რამდენი ხალხიც უნდა ყოფილიყო, ყველა საუბარს წყვეტდა და ინტერესით ადევნებდა თვალყურს

მისეულ დაუნდობელ და უკომპრომისო პოლემიკას. ტანად პატარა იყო და ძალიან აქტიური. თუ მოისურვებდა, ნებისმიერი ასაკის ადამიანს გაუტოლებდა თავს. არაჩვეულებრივად მხიარული იყო ხშირად და ხანდახან „ხულიგნობდა“ კიდეც. მაგალითად, ახლაც მახსოვს ე. წ. „შანხაის“ კინოთეატრში¹³⁵ ანი ჟირარდოს¹³⁶ მონაწილეობით ფილმი გადიოდა, სახელწოდებით „უკანასკნელი კოცნა“. ლიზიკომ კარგა ხანს უყურა, უყურა და ხმამაღლა გამოაცხადა „здесь поцелуем и не пахнет!“ დარბაზში სიცილი ატყდა. მგონი, ფილმს აღარავინ უყურებდა, მაყურებლები სიცილით კვდებოდნენ და ლიზიკოს მეტად მოხდენილ კომენტარებს უსმენდნენ.

ფიცხი იყო და ამ დროს სრულიად უმართავი. ერთ დღეს შეიძლებოდა რალაც არ მოსწონებოდა, ორი კვირის შემდეგ იმავეზე გადაირეოდა და მიმტკიცებდა, პირველად ვხედავო. ასე დაემართა თ. აბულაძის¹³⁷ „ამაღლებისა“ და „მონანიების“ ნახვისას. ბოლოს ორივე ძალიან მოსწონდა და აფასებდა.

ძალიან უყვარდა გია ჭანტურია. ისინი ერთად ცხოვრობდნენ ორთაჭალაში და ძალიან მეგობრობდნენ. გიას წასვლა ამ ქვეყნიდან უზომო ტკივილი იქნებოდა მისთვის. ბუნდოვნად მახსოვს, ლიზიკო თავის ჭრელ ბალიშს რაფაზე დააყრდნობდა, მე ხელებს წელზე შემომხვევდა, ამ ბალიშსა და თავის მუცელს შორის მომიქცევდა და ასე დავეყურებდით გიას ბურთის თამაშს ზევიდან. სულ მეშინოდა არ გადავვარდნილიყავი... მერე გაიზარდა გიაც, ლიზიკოც ჩვენთან – ნუცუბიძეზე – გადმოვიდა საცხოვრებლად, მაგრამ მათი მეგობრობა არ განელებულა, პირიქით. გიამ წერა რომ დაიწყო, ხშირად ვხედავდი ჩვენთან. მისი დედაც – ქალბატონი ლილიც – ხშირი სტუმარი იყო ჩვენი. ქალბატონი ლილი და ლიზიკო იყვნენ გიას პირველი მესაიდუმლენი და პირუთენელი შემფასებლები. ყოველ შემთხვევაში მე ასე ვიცი და მახსოვს. არა მგონი, ვცდებოდე.

135 „შანხაის“ კინოთეატრი – კინოთეატრი თბილისში.

136 ანი ჟირარდო – (1831 წ.) ფრანგი კინომსახიობი.

137 თენგიზ აბულაძე – (1924-1994 წწ.) ქართველი კინორეჟისორი, საქართველოს პარლამენტის წევრი 1992-95 წწ.

ბევრნი მოდიოდნენ ჩვენთან: თამრიკო ჩხეიძე, ირაკლი შენგელაია, ავთო იმნაძე, ირაკლი წერეთელი და მათი ამხანაგები. ერთობ ხმაურიანი იყო ეს თავყრილობები.

კარს ხშირად მე ვაღებდი. თამრიკოს უნდობელი მზერა ჰქონდა, მერე გაიღიმებდა და გაოცდებოდი. იშვიათად მინახავს, ასე მოხდენოდა ვინმეს სიცილი. ძალიან ბევრს ჩხუბობდა თამრიკოსთან. არაფერს უთმობდნენ ერთმანეთს. “Говорят, что она «Лизико в юбке», ничего поддного”, – ამბობდა გაბრაზებული, მაგრამ ძალიან უყვარდა და პატივს სცემდა. ალბათ, ამ კავშირების და მამაჩემის – გია ჭუბაბრიას – კომუნისტების მიმართ გამომჟღავნებული გულწრფელი არსიყვარული გახდა უშიშროების ჩვენ მიმართ დაინტერესების მიზეზიც, ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ მას კარგა ხანს საზღვარგარეთ გამგზავრება აეკრძალა.

ეროვნული საკითხი, პოლიტიკა იყო ლიბიკოსთვის ყველაფერი. ეს იყო მისი მთელი ცხოვრების არსი. 28 წელი პატიმრობაში, წარმოგიდგენიათ? ხანდახან მგონია, რომ მან რამდენიმე ადამიანის ურთულესი, მაგრამ უზომოდ საინტერესო ცხოვრებით იცხოვრა. მახსოვს, უკვე სიკვდილის სარეცელზე მწოლი როგორ მომენტალურად ცოცხლდებოდა და უბრუნდებოდა ძველი შემართებით ამქვეყნიურ ყოფას, როგორც კი მისთვის საინტერესო საკითხზე დაიწყებოდა ლაპარაკი. სწორედ იმ დროს გია ჭანტურიამ და მისმა მეგობრებმა მოინახულეს, თავიანთი „მოამბეც“¹³⁸ მოუტანეს და საკმაოდ მოუხერხებლად გაკეთებული მონუმობაც გადასცეს. ბედნიერი იყო და ღრმად დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირს დიდი დღე აღარ ეწერა. მკრეხელობაა, მაგრამ, როცა მათ ფილიპე მახარაძის¹³⁹ საფლავის აფეთქების ამბავი აუწყეს, გაიხარა.

138 „მოამბეც“ – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდვითი ორგანო.

139 ფილიპე მახარაძე – (1868-1941 წწ.) საბჭოთა რევოლუციონერი და სახელმწიფო მოღვაწე, სოციალისტური საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. დასაფლავებული იყო მთაწმინდაზე.

უკვე ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ – შეურიგებელი იყო და რადიკალური გადანწყვეტილების მიღება უყვარდა. თავის უახლოეს მეგობარს, ლიოლა კინს, რომელსაც მეუღლე დაუხვრიტეს და ერთადერთი ვაჟი ფრონტზე ტრაგიკულად დაეღუპა (ეს ცალკე ისტორიაა მოსაყოლად) და რომელთან ერთადაც ლიზიკომ გადასახლების უმძიმესი წლები გამოიარა, ერთი ფრაზა – «Дети в Грузии могут Стендаля читать и по-русски», – ვერაფრით აპატია და სამუდამოდ მოიკვეთა.

მის ოთახში, მისთვის სათაყვანებელ მწერალთა და მოღვაწეთა გარემოცვაში, სანოლთან პატარა რადიო იყო ჩამოკიდებული. ეს რადიო კოკჩეტავთან იყო დაკავშირებული და ძალიან უყვარდა. „სამყაროს ამ რადიოს მეშვეობით ვუკავშირდებოდი“, – ამბობდა. არც იმქვეყნად დაგვიშორებია ისინი ერთმანეთისთვის, მხოლოდ ცოცხისგან გაკეთებული თოჯინა დავიტოვე. ის ახლა ჩემი ოთახის კედელზე ჰკიდია და იმედია, დიდი ხნის შემდეგ ჩვენც ერთმანეთს ავეკიდებით სულეთისკენ მიმავალ გზაზე.

გადასახლებისდროინდელი მისი მონათხრობიდან რამდენიმე ფრაგმენტი შემომრჩა, რამაც, როგორც ჩანს, ემოციურად შემძრა. საერთოდ ბევრს არ ყვებოდა, ძირითადად წერდა. მახსოვს, არ უყვარდა ყვავილები – ნაშრომ-ნაჯაფნი რომ ვბრუნდებოდით, გვაიძულებდნენ, კასრები აგველო და ჩვენი ბარაკის ირგვლივ გასალამაზებლად დარგული ყვავილები მოგვერწყაო.

ლერნამს ჭრიდნენ, კონებად კრავდნენ და ეზიდებოდნენ და ეზიდებოდნენ. ნყალში მდგომს ერთხელ ჩასძინებია და კინალამ გაყინულა კიდევ, მაგრამ დედის თუ დის ხმას გამოუღვიძებია თურმე. არ ენერა მაშინ სიკვდილი. საშინლად მძიმე სამუშაო ყოფილა, გამთანგველი და გაუსაძლისი. ლიზიკოს ხერხისთვის მიუმართავს, კონა ზურგზე მოუგდია, მინაზე განოლილა და ოთხით გაუფრძელებია გზა. „ო, ეს საოცარი ნეტარება იყო, რომ იცოდე, როგორ იოლად მივათრევედი ჩემს ტვირთს, ის იყო უკვე ფონს გასულს აღმომჩენლის ყიჟინა უნდა აღმომხდომოდა, რომ გავშემდი... ჩემს ირგვლივ ყველა ოთხზე

იდგა და ჩემებრ ზურგით ეზიდებოდა ლერწმის კონებსო”. ლიზიკო ფეხზე წამომხტარა და სიხარულ-შვების ნაცვლად განგაშის ზარი დაუცია – ხალხნო, ახლავე ფეხზე დადექით, ჩვენ ხომ ცხოველებს ვემსგავსებითო. თვითონ რაფავამ მცემაო, – უთქვამს ჩემთვის.

მადლობის მეტი რა მეთქმის ჩემი ბავშვობის მეგობრის – თამრიკო შარაბიძის – მიმართ, რომელმაც ამ დიდებულ ქალთა შესახებ მასალის მოძიება და მკვლევართათვის გზის გაკაფვის არცთუ იოლი საქმე იტვირთა. ლიზიკო ქავთარაძის ნაწერები, რომლის მხოლოდ ორი ტომის აკინძვა-დაბეჭდვა მოვახერხე, ძალიან ბევრ საინტერესოს შეიცავს და ვფიქრობ, თავის ღირსეულ სიტყვას აუცილებლად იტყვის. თვითონაც სჯეროდა ამის. ძალიან ვწუხვარ, რომ გ. მამულიას¹⁴⁰ წაღებული ერთადერთი ეგზემპლარი – „აკმოლა ანუ თეთრი სამარე“ – არ დაუბრუნებია. სამუშაო კიდევ ბევრია. იმედი მაქვს, ბებიაჩემის და მისი თაობის ღირსეულ შვილთა ხსოვნას დავინყება არ უწერია.

ინტერვიუ ლიზიკო ქავთარაძის დისშვილთან – ბატონ გია ჭუბაბრიასთან

გია ჭუბაბრია – დაიბადა 1937 წლის 5 მაისს. პროფესიით კინორეჟისორი; ალბერტ შვეიცერის სახელობის პრემიის ლაურეატი (ფრ), კინოაკადემიის პრიზის – „ნატოს“ – მფლობელი, შოთარუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის დოკუმენტური კინორეჟისურის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელი, პროფესორი; ავტორი ფილმებისა: „თეთრი ზღაპარი“, „თეთრი თორღვაი“ (თუში მეცხვარეების შესახებ),



140 გურამ მამულია – (1937-2002 წწ.) ისტორიკოსი, საქართველოს პარლამენტის წევრი 1992-95 წწ.

„ჩუქურთმა“, „ორაგულის ბედი“, „ქართველები ნიდერლანდებში“, „ჟამი შეკრებად ქვათა“, „ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში“, „ომალო“, „ჩუქურთმის საგალობელი“, „იაპონია“, „გზა თავისუფლებისაკენ?!“, „რწმენის აღორძინება“ („წამი სასწორისაი“) და სხვა.

„მინდა იმ თაობაზე მოგიტხროთ, რომელსაც პირობითად დეიდაჩემის თაობა შეიძლება ვუნოდო. მე შევხვდი ამ ხალხს; შევხვდი, საუბედუროდ, მათ ნამსხვრევებს, რომლებიც 20, 25, 28, და 30 წელიწადი გადასახლებულნი იყვნენ და შემთხვევით გადაურჩნენ ფიზიკურ განადგურებას – დახვრეტას. ეს იყო გამორჩეული თაობა. მას არანაირი კავშირი არა აქვს დღევანდელ საზოგადოებასთან, იმ პოლიტიკოსებთან, რომლებსაც მე ვხედავ და ვუსმენ, ყოველივე იმასთან, რასაც დღევანდელი საქართველო ჰქვია. ეს ხალხი იყო სრულიად გამჭვირვალე და თავისი ქვეყნის საოცრად ერთგული. სამსხვერპლოზე მიჰქონდათ ყველაფერი, საკუთარი ოჯახიცა და შვილიც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოეპოვებინათ. მათში არანაირი ანგარება არ არსებობდა. საქართველო მათვის იყო ხატი, სალოცავი და ყველაფერს შესწირავდნენ მისი ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის. ასეთი იყო ეს ხალხი, რომლის ნაწილსაც წარმოადგენდა დეიდაჩემი – ლიზიკო ქავთარაძე. როგორი იყო და რა იდეებით ცხოვრობდა ის? დეიდაჩემსა და მთელს ჩემს ოჯახს არავითარი დამსახურება არ გამოუჩენია ბოლშევიზმის მიმართ. ასეთი რამ არ მომხდარა ჩვენს ოჯახში. პირიქით, რუსეთის ბოლშევიზმის საქართველოში შემოსვლა დიდ უბედურებად მიაჩნდათ საქართველოსთვის, რაც დრომ დაამტკიცა კიდევ. ისინი იმასაც კი ამბობდნენ, რომ ეს ყოველივე 70-80 წელი გაგრძელდება და ძალიან უარყოფით დაღს დაასვამს ჩვენს საზოგადოებას; ამის მომსწრენი გახლავართ კიდევ. დეიდაჩემის შესახებ ვიცი ბებიისა და თავად ლიზიკოს მოგონებებიდან; პატარაობის ასაკიდან გამოყოლილი მაქვს უშუალოდ ჩემი შთაბეჭდილებებიც, როცა დეიდა ლიზიკო მეორედ დააპატიმრეს. პაპაჩემი – ქაიხოსრო ქავთარაძე (მე არ მახსოვს, ადრე გარდაიცვალა) ძალზე საინტერესო პიროვნება

ყოფილა, ფედერალისტი, როგორც იმდროინდელი ინტელიგენციის უმრავლესობა. ერთ ოჯახში მამა ფედერალისტი იყო და შვილი – სოციალ-დემოკრატი. საოცრად უყვარდათ ერთმანეთი, როგორც მამასა და ქალიშვილს, – ასე ვთქვათ, პატარა შეკამათებაც იყო ხოლმე, მაგრამ სიყვარული მაინც იმარჯვებდა მათ შორის. და მოხდა ასეთი კუროზი – პაპა მეფის მთავრობის დროს დაპატიმრებული იყო მეტეხის ციხეში. როდესაც ბოლშევიკები შემოვიდნენ და ლიბიკო დააპატიმრეს, ისიც მეტეხის ციხეში მოხვდა, სწორედ იმ საკანში, სადაც მამამისი მჯდარა, კედელზე მისი წარწერა უნახავს, – ეს მე მომისმენია ბებიაჩემისგანაც და ჩემი ლიბიკოსგანაც. პირველი გადასახლება პროვოკატორის მეშვეობით მოხდა. ეს პროვოკატორი რუსი, განათლებული კაცი ყოფილა. დეიდაჩემთან პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონია, საბოლოოდ კი დაუსმენია 1928 წელს. გადასახლეს ლიბიკო, ეს უკვე მოყოლით ვიცი, ძალიან შორს, ციმბირში, სოფელ კოლპაშოვოში. ეს იყო ძალიან მიუდგომელი ადგილი, სადღაც, თუ არ ვცდები, მდინარე ობზე უნდა იყოს, სადაც მხოლოდ ციგისა და ძაღლების მეშვეობით თუ მიაღწევ. მახსოვს, ბებია რომ ყვებოდა, როგორ წავიდა შვილის სანახავად აი ამ სოფელ კოლპაშოვოში და მთელი ეს გზა იარა ჯერ მატარებლით, შემდეგ ცხენით, ციგით და, როგორც იქნა, თავის შვილთან ჩავიდა. ეს 30-იანი წლები უნდა იყოს; ის პერიოდი, როდესაც იმდროინდელი НКВД ოპოზიციონერებს (როგორც რუსებს, ასევე ქართველებსაც) საშუალებას აძლევდა, სამშობლო დაეტოვებინათ და საზღვარგარეთ გასულიყვნენ. ეს იყო, ასე ვთქვათ, სრულიად დემოკრატიული გზით მოწინააღმდეგეთა მოშორება. ბევრი, რასაკვირველია, წავიდა, მაგრამ დეიდაჩემმა და მისმა მეგობრებმა თავდადება გამოიჩინეს, თქვეს – ჩვენ იქ ვიქნებით, სადაც ჩვენი ხალხიაო, – და ფაქტობრივად განაპირობეს ის, რომ მთელი ცხოვრება ტანჯვასა და უბედურებში გაატარეს, მაშინ როდესაც ჰქონდათ საშუალება, უბრალოდ წასულიყვნენ ევროპაში და ნორმალურად ეცხოვრათ, რაც ბევრმა გააკეთა, და ამით შეიძლება მეტი სარგებლობაც მოეტანათ თავისი ქვეყნისათვის.

კოლპაშოვოში რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი იხდიდა სასჯელს, მათ შორის იყვნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები და ამათი უცვლელი მსაჯული, ასე ვთქვათ, მომრიგებელი მოსამართლე და ლიდერი, ყოფილა ლიზიკო. თვითონ რალაცნაირად ამბობდა-ხოლმე ამ სიტყვას, მსაჯულს სხვა სიტყვით გამოხატავდა. ყველა საკითხს ლიზიკო წყვეტდა. ის იყო ძალიან მკაცრი პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ, მკაცრი პრინციპებით ცხოვრობდა, იყო ძალიან ძლიერი და შეურიგებელი. ამ შეურიგებლობამ განაპირობა, რომ მთელი ცხოვრება იდეას – საქართველოს დამოუკიდებლობას – შესწირა. სხვათა შორის, სიკვდილის წინ მაინც მითხრა, ჩემმა ცხოვრებამ ყოველგვარი შედეგის გარეშე ჩაიარაო. ეს იმიტომ თქვა, რომ თავის სამშობლოს მართლაც ვერანაირი შედეგი ვერ მოუტანა გარდა იმისა, რომ საკუთარი თავი შესწირა ისევე, როგორც სხვებმა.

ამ ხალხთა შორის დეიდაჩემი განსაკუთრებული პატივისცემით ახსენებდა გრიგოლ ლორთქიფანიძეს¹⁴¹, უაღრესად დაახლოებული იყო მასთან და მიაჩნდა, რომ გრიგოლი იყო ერთ-ერთი ბრწყინვალე თავი საქართველოს პოლიტიკური საზოგადოებისა. სხვათა შორის, ამას წინათ მე ვნახე გრიგოლ ლორთქიფანიძის შესანიშნავი წიგნი „ფიქრები საქართველოზე“. როგორც დეიდაჩემი ამბობდა, ის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე იყო. ვფიქრობ, მას ლიზიკო ნოე ჟორდანიასზე მაღლა აყენებდა, ყოველ შემთხვევაში, ასე მახსოვს. მათ გარშემო შემოკრებილნი იყვნენ განათლებული მუშები. მუშათა წრიდან ვინმე დგებუაძეს ასახელებდა, რომელიც ვორონეჟის ციხეში გაიცნო. განთავისუფლების შემდეგ იგი ვორონეჟში დარჩენილა. იქ ხელოსნობდა, უპატიოსნესი ხელოსანი ყოფილა და თავისი კეთილშობილებით ყველა გაუოცებია. აი, ამ ორ პიროვნებას – ლორთქიფანიძეს და დგებუაძეს – ახსენებდა ხშირად ლიზიკო და ძალიან მაღალადამიანურ შეფასებას აძლევდა მათ.

პირველი გადასახლებიდან ლიზიკო 1936 წელს დაბრუნდა,

141 გრიგოლ ლორთქიფანიძე – (1881-1937 წწ.) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოური ოკუპაციის შემდეგ გადასახლეს რუსეთში, სადაც დაწერა წიგნი „ფიქრები საქართველოზე“.

მე 37-ში დავიბადე. ბებიასაგან ვიცი, რომ განუწყვეტელ დევნაში იყო, ხშირად იცვლიდა სამსახურს და სამსახურის განუწყვეტელი ცვლით გზას უბნედა იმ დაწესებულებას, НКВД-ს, რომელიც მის დაპატიმრებასა და ხელახლა ხელში ჩაგდებას ცდილობდა. ახსენებდა ერთ-ერთი დაწესებულების დირექტორს, რომელიც ძალიან კარგი პიროვნება ყოფილა, პატივს სცემდა ლიზიკოს და მაქსიმალურად ცდილობდა მის დაცვას ყოველი ხიფათისაგან, ე. ი. დაპატიმრებისაგან. ლიზიკოს მეორე დაპატიმრება მე უკვე მახსოვს. 3 წლის ვიყავი, როდესაც НКВД-ს წარმომადგენლები ჩვენს სახლში შემოიჭრნენ. მაშინ სოლოლაკში, ჩაიკოვსკის ქუჩაზე, ვცხოვრობდით. მახსოვს, მაისის თვე იყო. სხვათა შორის, ამ სახლში ძალიან ბევრი საინტერესო ხალხი დადიოდა. პაპაჩემს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა მიხეილ ჯავახიშვილთან¹⁴², რომელიც ჩვენს სახლში ძალიან ხშირად სტუმრობდა. სწორედ ამ სახლში შემოვიდნენ НКВД-ს წარმომადგენლები და დიდი ჩხრეკა ჩაატარეს. მე პატარა ვიყავი და მათი სახეები არ მახსოვს, რასაკვირველია, მაგრამ, სამაგიეროდ, ძალიან კარგად დამამახსოვრდა მათი გაპრიალებული ჩექმები. ჩემმა მზერამ რამდენიმე საინტერესო სურათი დააფიქსირა: გაპრიალებული ჩექმები, ლურჯი სინათლე და იატაკზე გადმოყრილი უამრავი წიგნი... ძალიან ლამაზი ლურჯი ფერის ქალი გვექონდა, მოლუჯო-მოცისფრო სინათლეს გამოსცემდა. ეს სინათლე მახსოვს და პაპას წიგნები... პაპაჩემი პროფესიით ჟურნალისტი იყო, ილიასთან დაახლოებული პირი, მისი დამკრძალავი კომისიის წევრი. ილიას სიკვდილის შემდეგ მისი თბილისის სახლი პაპაჩემს გადასცეს. ჩემი დეიდა და დედა ამ სახლში იზრდებოდნენ, ახლა თევდორე მღვდლის ქუჩა ჰქვია, მაშინ სხვა სახელი ერქვა – „ჩერკიზოვსკაია“ – ასე უძახდა ბებიაჩემი. ჯერ ამ სახლში ცხოვრობდნენ და მერე სოლოლაკში გადავიდნენ, სადაც უკვე მე დავიბადე და სადაც მოხდა ის ჩხრეკა. ეტყობა, წიგნებში რალაცას ეძებდნენ, ამიტომაც გადმოყარეს. მერე

142 მიხეილ ჯავახიშვილი – (1880-1937 წწ.) ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

მასსოვს, როგორ ჩაიყვანეს დეიდაჩემი კიბეებზე და დეიდაჩემმა მოითხოვა, მოსულიყო მანქანა. მე ერთი-ორჯერ მინახავს სოლოლაკში, როგორ მიჰყავდათ ხელშეკრული მამაკაცი ორ წითელარმიელს, დაახლოებით 3-5 მეტრის დაშორებით მისდევდნენ ხიშტიანი თოფებით, დეიდაჩემმა კი რატომღაც კატეგორიულად მოითხოვა ავტომანქანა და დღესაც მასსოვს ის ემადინი, რომელიც მაშინ რამდენიმე ხანში მოვიდა. ყოველთვის მეჯავრებოდა ემადინები და მასსოვს, გონებაში ჩამრჩა ის, რომ ამ მანქანას გვერდზე ჰქონდა ფარი, სინათლის ფარანი დაყენებული. ნაიყვანეს დეიდაჩემი. იმ დღისა მე სხვა აღარაფერი მასსოვს. გადმოცემით ვიცი, რომ ბებიაჩემი, ეს საოცარი ქალი, რომელიც თავად ექიმი იყო, გასივდა. პირდაპირ თვალსა და ხელს შუა წამებში სივდებოდა და უჩვეულო ფორმა მიიღო. მონაცოლიდან ვიცი, რომ მოუყვანეს ექიმი, თავისივე კოლეგა კოლუაშვილი და მან უმკურნალა; თქვა, რომ ეს ნერვიულ ნიადაგზე დაემართა. რამდენიმე ხანში ბებიას გასიება ჩაუქრა, მაგრამ მოტეხილი და განადგურებული იყო. ორი შვილი ჰყავდა, მაგრამ დეიდაჩემისადმი განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა. ალბათ იმიტომ, რომ ლიზიკო დაჩაგრული იყო, მძიმე პირობებში უწევდა ცხოვრება. იმ პერიოდიდან მასსოვს კიდევ, როგორ წამიყვანეს ორთაჭალის ციხეში. გისოსებიანი კედელი იყო და საკმაოდ დიდი ოთახი. პატარა კარებიდან დეიდა გამოვიდა, თვითონაც პატარა იყო ტანად, ხელი გაშალა და თქვა, „აი, ამ ღამეს მანამეს“. მასსოვს, ჩემმა თვალებმა დააფიქსირა და ვიგრძენი კიდევ, რომ რალაც ძალიან დიდი უბედურებაა. მერე თვითონ დეიდაჩემს აქვს მოყოლილი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, რომ იმ ღამეს თუ წინა ღამეს თავისი ხელით აწამა რაფავამ, სცემდნენ თურმე მათრახებით, რომელთაც ბოლოში ჰქონდათ ბურთულეები და აძლევდნენ სრულიად გაუგებარ კითხვებს. საკმაოდ განუვითარებელი ხალხი იყო ამ НКВД-ში და კითხვებიც შესაბამისად – პრიმიტიული და უგუნური. ერთ-ერთი დაკითხვის დროს ჰკითხეს, სად არის კაკი წერეთელიო. კაკი წერეთელი უკვე საფრანგეთში იყო, კიდევ ვილაცის შესახებ უკითხავთ,

რომელიც ამქვეყნად უკვე აღარ არსებობდა და ლიზიკოს უპასუხია, მისი მისამართი ლევილის სასაფლაოაო¹⁴³.

დეიდაჩემის გადასახლების შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი ოჯახი. ლიზიკოს ესაჭიროებოდა თბილი ტანსაცმელი. გაზაფხულის თვე იყო. ხშირად ხდებოდა ხოლმე ისე, რომ საქართველოდან პატიმრები მიჰყავდათ ლამის პერანგებში. ეს ადამიანები უცებ ხვდებოდნენ ყაზახეთის ან კიდევ კალიმის¹⁴⁴ მკაცრ ჰავაში და იღუპებოდნენ; ათასობით საუკეთესო ადამიანი იღუპებოდა. სხვათა შორის, 1972 წელს მე ვიმოგზაურე კალიმაში, ქართველთა კვალს ვეძებდი და რუსებმა მითხრეს: „თქვენი საზოგადების ნაღები განადგურებულია და აი, აქ არის ჩაფლული, ამ მიწაშიო.“ ვნახე რამდენიმე ქართველიც, ადრე გადასახლებული, რეპრესირებული. გავიცანი შესანიშნავი პიროვნება კარლო ლუტიძე, რომელიც 37 წელს გადაუსახლებიათ; განთავისუფლების შემდეგ იქ დარჩა; პროფესიით აგრონომი იყო და აი, ამ მუდმივი გამყინვარების მიწაზე გამოიყვანა ყურძენი, კიტრი და პომიდორი. 1972 წელს უკვე სხვა დამოკიდებულება იყო რეპრესირებულების მიმართ და მაგადანის¹⁴⁵ ხელისუფლებაც ხმამაღლა, ამაყად აცხადებდა, რომ მაგადანის მიწაზეც შეიძლება გამოიყვანო ყურძენი, კიტრი, პომიდორი და კიდევ სხვა რამო. ამას აკეთებდა კარლო ლუტიძე გამყინვარების მიწაზე და საკმაოდ კარგი ანაზღაურებაც ჰქონდა. ძნელად წარმოსადგენია, რა საშინელებაა ეს მიწა, დაახლოებით ნახევარი მეტრის შემდეგ ყინულია და აღარ ითხრება. რასაკვირველია, გამოყვანა ორანჟერიებში, სათბურებში ხდებოდა, მაგრამ მაინც დიდი სასწაულია, რომ იქ რაიმე მცენარემ იხარა. ძირითადად ტუნდრაა, ბუჩქეული იშვიათად თუ შეგხვდება. ჩემი იქ ყოფნის დროს ჩამოვიდა ქართველი კაცი, გვარად ხუნდაძე, რომელიც ეძებდა თავისი

143 ლევილის სასაფლაო – ქართველ ემიგრანტთა სასაფლაო საფრანგეთში, პარიზის მახლობლად.

144 კალიმა – მხარე რფ-ში, მაგადანის ოლქში.

145 მაგადანი – ოლქი და ქალაქი რუსეთის ფედერაციის ჩრდილო-აღმოსავლეთში.

მამის სიკვდილის ადგილს, სადაც ის დაეცა. იმისი მამა და კარლო ერთად იყვნენ ეტაპში და კარლომ იცოდა ადგილი, სადაც მამამისი წაიქცა, დაეცა და მერე, რასაკვირველია, იქვე ჩაფლეს მუდმივი გამყინვარების მინაში. მის ვაჟს იმედი ჰქონდა, რომ ბატონი კარლო აჩვენებდა იმ ადგილს და გამყინვარების გამო გვამიც შენახული დახვდებოდა; აპირებდა მამის სამშობლოში გადასვენებას. მე შედარებით ადრე დავბრუნდი და შემდეგი პროცედურა აღარ მინახავს, უბრალოდ ვიცი, რომ ამ კაცს ასეთი გადაწყვეტილება ჰქონდა. ეს იმიტომ გამახსენდა, რომ თბილი ტანსაცმელი იყო პატიმრებისთვის საჭირო. აქედან რომ მიჰყავდათ, იმ ტანსაცმლით ვერ გაუძლებდნენ ყინვას. ჩაიკოვსკის ქუჩაზე ჩვენ დიდი ბინა გვქონდა და სასწრაფოდ გავყიდეთ ერთი ოთახი; მიღებული თანხით (მცირე თანხა იყო) ლიზიკოს ვუყიდეთ ყველაფერი, რაც კი გზაში დასჭირდებოდა და რისი გატანებაც შეიძლებოდა. დიდი ხნის განმავლობაში ჩვენ მასთან ურთიერთობა არ გვქონია, არ ვიცოდით, სად იყო, მერე, ომის დროს რაღაც გაიხსნა იმ თვალსაზრისით, უფრო სწორედ, ომი რომ მთავრდებოდა, მაშინ უკვე იყო საშუალება წერილის გაგზავნის, ამანათის გაგზავნის. დეიდაჩემის თანაკლასელი სისხლის გადასხმის საავადმყოფოში მუშაობდა და ბებიაჩემი მასთან დადიოდა, სისხლი რომ ჩაებარებინა. ამაში იღებდა რაღაც თანხას, კაპიკებს, ამატებდა თავის ძალიან მცირე პენსიას და ამით აკეთებდა ამანათს, თავისი სისხლის ფასად, და უგზავნიდა თავის ქალიშვილს. არ ვიცი, ეს თვეში ერთხელ ხდებოდა თუ სამ თვეში ერთხელ, მაგრამ ასეთი ფაქტები იყო.

როდესაც სტალინი გარდაიცვალა... დეიდაჩემი მას „злой гений-ს“ ეძახდა და ეს მართლაც ასეა... ლიზიკო მაშინ ციხეში იყო, ყვებოდა: ფეხზე ვიდექი და ჩემს წინ, როგორც წიგნი გადაიშლება, ისე გადაიარა ისტორიის ფურცლებმაო. მაინც პატივი სცა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს და მის სიკვდილს ფეხზე წამოუდგა. ეს იყო 1953 წელი.

ლიზიკოს ჰყავდა მეგობარი ლიოლა-ცეცილია კინი, რომელიც ლიზიკომ ციხეში მრავალი საფრთხისაგან იხსნა და, როგორც თვითონ ამბობდა, იდეოლოგიურად გამოასწორა. ეს

ქალი უნიკალური ადამიანი იყო, თავის დროზე ლიტვინოვის¹⁴⁶ რეფერენტად მუშაობდა და მსოფლიო ჰქონდა შემოვლილი. მისი ქმარი მწერალი იყო, გვარად სუროვიკინი; ფსევდონიმად აღებული ჰქონდა კინი¹⁴⁷. ლიოლაც სწორედ ამ გვარს, ფსევდონიმად აღებულს, ატარებდა. ამ კაცის წიგნები რამდენიმე წლის წინ გამოვიდა კიდეც. იგი 1937 წელს დახვრიტეს, ცოლი კი გააგზავნეს „ალჟირში“ – Акмолинский лагерь жён изменников родины – ასე იწოდებოდა. აი, ამ კატეგორიის ქალი, როგორც ლიოლა კინი იყო, მოხვდა ლაგერში, სადაც გაიცნო ლიზიკო და მათ ძალიან შეუყვარდათ ერთმანეთი. ლიზიკომ სულიერად გადაარჩინა ეს ქალი. ლიოლა ძალიან საინტერესო ქალი იყო, წარმოშობით რუსი ებრაელი, სულიერად უაღრესად მდიდარი ადამიანი. ქმარი დაუხვრიტეს, თვითონ მოულოდნელად აკმოლინსკის ლაგერში აღმოჩნდა და აი, ამ ვითარებაში მისი ვაჟი (მშვენიერი ბიჭი იყო, ლიოვუშკა ერქვა) მოხალისედ წავიდა ომში და, რასაკვირველია, იქ დაიღუპა. სანამ გარდაიცვლებოდა, მედიცინის დას, ვინც მას საავადმყოფოში უვლიდა, დაუტოვა 10-მდე წერილი და სთხოვა, რომ ყოველ თვე თითო-თითო ბარათი გაეგზავნა ბებიისათვის, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა. ბოლო წერილი ასე იწყებოდა: შენ რომ ამ წერილს მიიღებ, მე უკვე 6-7 თვის გარდაცვლილი ვიქნები. მან ეს ყველაფერი განსჭვრიტა, რომ ბუბიაშის დიდი დარტყმა არ მიელო. ქალბატონი ლიოლა 48 წლისა გამოუშვეს ციხიდან, ლიზიკო არ გაუთავისუფლებიათ, თუ არ ვცდები, 1950 თუ 1952 წელს თავისუფალი გადასახლება მიუსაჯეს; არ ჰქონდა საქართველოში დაბრუნების უფლება. ლიოლა კინი კი ჩამოვიდა ჩვენთან. ჩვენმა ოჯახმა მიიღო; აქ ძალიან თბილად იგრძნო თავი. მას არ ჰქონდა დედაქალაქში ცხოვრების უფლება. ჩვენ ვეცადეთ, მისთვის სამუშაო ადგილი მოგვეძებნა და მახსოვს, რომ ეს უგანათლებულესი ქალი, იტალიური ენის ბრწყინვალე მცოდნე, მუშაობდა ბორჯომში ერთ-ერთი სანატორიუმის დიასახლისად

146 მაქსიმ ლიტვინოვი – (1876-1951 წწ.) რევოლუციონერი, საბჭოთა სახელმწიფო მაღალჩინოსანი, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, დიპლომატი.

147 კინი – ვიქტორ სუროვიკინი (1903-1937 წწ.) რუსი მწერალი.

და ამით გადაირჩინა თავი. როცა სტალინი გარდაიცვალა, მერე უკვე მისცეს უფლება, რუსეთში დაბრუნებულიყო და მოსკოვში ეცხოვრა. იგი გარდაიცვალა 2-3 წლის წინათ. ძალიან დიდი ფიგურა იყო იტალიური კულტურის სფეროში; იმ წლებში, როცა უკვე მოსკოვში ცხოვრობდა, თავისუფლად წერდა და შესანიშნავი ნიგნები აქვს გამოცემული საბჭოეთზე, იტალიაზე, ადამიანურ ურთიერთობებზე; მაგრამ დეიდაჩემს არ მოეწონა მისი პროსაბჭოური განწყობა და მოსკოვში ერთ-ერთი ჩასვლის შემდეგ ფაქტობრივად გულიდან ამოიღო ეს ქალი. რუსულ მეტროპოლიას უწოდებდა ასეთ – ზედმეტად პრორუსულ – განწყობილებას. კონკრეტულად ეს იმაში გამოვლინდა, რომ ერთხელ ლიოლამ უთხრა ლიზიკოს, რომ აუცილებელი არ არის, ყველაფერი იყოს გადმოთარგმნილი; ქართველ ახალგაზრდობას რუსულადაც შუძლია ნაიკითხოს ბალზაკი, დოსტოვესკი და ა. შ.; სრულიად არ არის საჭირო მათი ქართულად თარგმნაო. მისი ეს სიტყვები დეიდაჩემმა მიიღო ძალიან მწვავედ, დიდ შეურაცხყოფად, რადგან მიაჩნდა, რომ საქართველოშიც ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში, თუ საჭიროა, უნდა გადაითარგმნოს და ა. შ. აი, ამ ფრაზამ სრულიად განყვიტა მათ შორის ურთიერთობა. ასეთი პრინციპული ადამიანები იყვნენ ისინი.

გადასახლებაში გაიცნო დეიდაჩემმა შალვა ჩხიკვაძეც, ძალიან მომხიბლავი კაცი, ისინი ერთმანეთს სრულიად შემთხვევით ყაზახეთის რომელიღაც ქალაქში შეხვდნენ, ხრუშჩოვის პერიოდის დროს შალვაც ჩამოვიდა, დაბრუნდა. დეიდის მეგობარი იყო კიდევ ერთი მშვენიერი მუშაკაცი, მუშა იყო თავისი სოციალური მდგომარეობით – პარტენ ხურციძე. მახსოვს, ხშირად მოდიოდა ჩვენთან, ოჯახში და, სხვათა შორის, მე მკრეჭდა-ხოლმე თმებს. პარტენიც 56-ში დაბრუნდა გადასახლებიდან; ძალიან მოკრძალებული კაცი იყო; პრინციპული და განვითარებული მუშა, ნამდვილი მუშა-ინტელიგენტი, დახვეწილი გემოვნებითა და პოლიტიკურად განათლებული. ჰყავდა ოჯახი – მეუღლე და ორი მშვენიერი შვილი. დიდხანს ვერ „გაძლო“ მან საქართველოში. მოხდა ასეთი შემთხვევა. ძლივს იმოვა სამსახური და სადღაც, ტიპოგრაფიაში

დაინყო მუშაობა. ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მიიღო კუთვნილი ფული, თავისი ხელფასი, 104 თუ 110 მანეთი, აღარ მახსოვს, ტრანსპორტში ამოაცალეს. ამ შემთხვევას გადაჰყვა კიდევ, გულის შეტევით გარდაიცვალა ეს შესანიშნავი ადამიანი. იმდენად საინტერესო კაცი იყო, გარეგნულადაც, რომ ყოველთვის ვფიქრობ-ხოლმე, თუკი ნამდვილი ქართველი კაცის, რაინდის, დახვეწილი და განათლებული პიროვნების ძეგლი დაიდგება, პართენ ხურციძე უნდა გამოქანდაკდეს. ძალიან მომხიბვლელი, პატარა, ცისფერთვალე კაცი იყო, სინმინდისა და პატიოსნების განსახიერება, სრულიად გამჭვირვალე პიროვნება და ეს კაცი ასე გამოგვეცალა ხელიდან.

1956 წელს, როცა გავიგეთ, რომ დეიდა ბრუნდებოდა, 19 წლის ვიყავი. გაზაფხული იყო. მთელი მისი მეგობრები, მათ შორის, გიმნაზიის ამხანაგები, თავიანთი მეუღლეებით ჩვენს სახლში, ჩაიკოვსკის ქუჩაზე შეიკრიბნენ: თამარ ლორთქიფანიძე, თინა მრევლიშვილი, მარგო მუჯირი, თამარა ნულუკიძე (ორი თამარა ნულუკიძე იყო, ერთი – სანდრო ახმეტელის მეუღლე, ის მაშინ თბილისში არ ცხოვრობდა, მეორე მყავს მხედველობაში). სამწუხაროდ, ბებია უკვე გარდაცვლილი იყო. 1955 წელს გარდაიცვალა. ჩვენ არ ვაცნობეთ ლიზიკოს, მაგრამ მაინც გაუგია ამის შესახებ და იცოდა, რომ დედა უკვე ცოცხალი აღარ იყო. ადრეც აღვნიშნე, განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდათ დედა-შვილს და ძალიან გული მწყდება, ერთმა წელმა განაპირობა, ისინი რომ ვერ შეხვდნენ ერთმანეთს. თუმცა ბებია უკვე ღრმა სკლეროზით იყო დაავადებული, მაგრამ მაინც... ძალიან საინტერესო ქალი იყო, ოთარაანთ ქვრივს მოგაგონებდათ, ამ სიტყვის კარგი გაგებით. ჩემზე ძალიან დიდი ამაგი ჰქონდა და შეიძლება ითქვას, რომ მე ბებია ყველაზე მეტად მიყვარდა ახლობლებს შორის. ხოდა, გადავწყვიტე, დეიდას შევხვედროდი არა თბილისში, სადგურზე, არამედ მანამ, სანამ მატარებელი ჩამოვიდოდა. და წავედი გორში. ვიცოდი, რომელ მატარებელსაც მოჰყვებოდა, ვაგონის ნომერიც ვიცოდი და გორში დაველოდე. ავედი ვაგონში, დავდიოდი კუბეებს შორის და ყველას ვაკვირდებოდი.

დეიდას სურათი თან მქონდა, მაგრამ ახალგაზრდობაში იყო გადაღებული, მე კი ის თითქმის არ მენახა, თუ არ ჩავთვლით მის დაპატიმრებას, როცა მე 3 წლის ვიყავი და ბუნდოვნად დამამახსოვრდა ახალგაზრდა ქალის სახე. ახლა კი საკმაოდ ხანდაზმული ქალბატონი ბრუნდებოდა. დავდივარ კუპეებს შორის და ვაკვირდები მგზავრებს. ვიცოდი, რომ ტანად პატარა იყო, მაგრამ პირველი, რასაც ყურადღება მივაქციე, იყო ხელები, დედაჩემის ხელებს ჩამოჰგავდა, ერთი ფორმა იყო, ერთი ნახაზი, ერთი სილამაზე. პირველი რეაგირება ხელებზე და თითებზე გავაკეთე და მერე, რასაკვირველია, შევხედე და მივხვდი, რომ ის დეიდაჩემია და გადავხვდით ერთმანეთს. მასაც, ბუნებრივია, ძალიან გაუხარდა ჩემი ნახვა, არ მელოდა. და ჩამოვედით ასე ერთად. აქ უკვე მეგობრები დახვდნენ. ყველა ბედნიერი იყო. ჩამოვიდა დეიდაჩემი ისეთივე შემართებით, როგორც ადრე იყო, ძალიან აქტიური, ძლიერი, რუსული პოლიტიკის წინააღმდეგი, ისეთივე თავდადებული საქართველოსათვის, მაგრამ მაინც უკვე დაღდასმული აღამიანი. 28 წლის გადასახლება და წამებამ თავისი კვალი დააჩნია და საკმაოდ რთული იყო ურთიერთობაში. მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობდა ახალგაზრდებთან დაახლოებას; თავის გამოცდილებას, თავის პრინციპებს უზიარებდა მათ. როდესაც საბოლოოდ მიიღო რეაბილიტაცია და თბილისში დასახლდა, ბინაც მისცეს და მისი მეზობელი აღმოჩნდა გია ჭანტურია, რომელიც ერთი სართულით ქვემოთ ცხოვრობდა. დეიდა გიას რუსულში ამეცადინებდა და სწორედ აი, ამ სწავლების დროს, ლიზიკოს გავლენით გია დისიდენტ მოღვაწედ ჩამოყალიბდა;

გია ჭანტურიაც საუბრობს ამის შესახებ თავის მოგონებებში (იხ. „უშიშარი მეციხოვნე – გიორგი ჭანტურია“, გვ. 9).

მასსოვს, გია 7 თუ 8 წლის ასაკში დეიდაჩემთან მოდიოდა, მე მასზე უფროსი ვიყავი, რასაკვირველია. მათი ურთიერთობა მახსოვს, ძალზე თბილი და კეთილი. გია ჭანტურიას მთელი ოჯახი მეგობრობდა ლიზიკოსთან. დეიდამაც ბევრი სიკეთე მოუტანა მათ. თავის მოგონებებში გია მეტად საინტერესოდ წერს დეიდას შესახებ. სამწუხაროა, რომ ის ძალიან ადრე

დაიღუპა, ალბათ უფრო მეტ სიკეთეს მოუტანდა საქართველოს.

მთელი ჩემი ოჯახი, მისი ყველა წევრი და მათ შორის მეც, მუდამ ველოდით საქართველოს თავისუფლებას. ეს იყო ჩვენი ოცნება. საერთოდ ძალიან ძნელია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ხანა დავასახელოთ. საქართველო თითქმის მუდამ უცხო ქვეყნის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ან დაპყრობილი იყო, მით უმეტეს, ბოლო 200 წელი. რუსეთის ბატონობის დასრულება და დამოუკიდებელი საქართველოს ხილვა მთელი ქართველი ინტელიგენციის, ნამდვილი, ჭეშმარიტი ინტელიგენციის ოცნება იყო. პირველი თავისუფალი მიტინგი და შეკრება, თუ არ ვცდები, მოხდა 20 დღის შემდეგ, რაც დეიდა გარდაიცვალა, უნივერსიტეტის ეზოში. მე სულ ვეუბნებოდი დეიდაჩემს, რომ ქვეყანა შეიცვალა, კომუნისტური მენტალიტეტი ჩაჯდა და გაჯდა ამ ადამიანებში და აღარ მოგცემს იმ შედეგს, რომელიც შენ გინდა და გგონია, რომ მივაღწევთ. მაგრამ დეიდას მაინც ღრმად სწამდა, რომ, როგორც კი თავისუფლებას მივიღებთ, ადამიანები თავის განწყობილებას, მენტალიტეტს შეიცვლიან და გახდებიან ის ჭეშმარიტი ქართველები, რომლებიც მას ახსოვს და რომლებიც მის გარშემო იყვნენ. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. ეს დამოუკიდებლობა არ არის ის თავისუფლება, რომელიც დეიდაჩემს და ჩემს ოჯახს უნდოდა. ეს უფრო პოსტკომუნისტური შინაარსის ქვეყანაა ამ ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებელ საქართველოში და მე უფრო ლექის აღზევებას მაგონებს, ვიდრე ფასეულობის მატარებელი საზოგადოების ჩამოყალიბებას, იმ უანგარო საზოგადოების, რომელიც თავისუფალ საქართველოში წარმომედგინა. პირიქით მოხდა. ანგარება, პირადი ინტერესი, პირადი ჯიბე გამოვიდა წინა პლანზე. ამ ყოველივეს საფუძველი, რა თქმა უნდა, კომუნისტურმა წყობამ შეამზადა, რაც ჩემთვის ძალიან სანყენია და არაფერი კარგის მომცემი არ არის. ქვეყანა წესიერებითა და წესრიგით იქმნება. ჩვენთან არც ერთი არ არის, მხოლოდ გამოგლეჯვა, გაპარტახება და განადგურებაა, ქვეყნის გამოყენება პირადი ინტერესებისათვის. არც კი ვიცი, რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ეს ქვეყანა,

რომ კლასიკური დამოუკიდებლობის მაგალითი მივიღოთ, რომელზეც დეიდაჩემი ოცნებობდა, ჩემი ოჯახი ოცნებობდა და მასთან ერთად მთელი ქართული ინტელიგენცია. ალბათ ამას მრავალი წელი ესაჭიროება, ფაქტორი ესაჭიროება, რომელიც ადამიანს ადამიანად გახდის, ამ სიტყვის მაღალი და ღირსეული გაგებით. ესაა ჩვენი ოცნება. ამ ქვეყანაში თავს ვერ ვგრძნობთ იმ დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქედ, რომელსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში შევტრფოდით.“

მოგონებები ლიზიკო ქავთარაძისშესახებ შემოგვინახა გია ჭანტურიამ

„...მე სხვა მასწავლებელიც მყავდა – ოლონდ არა სკოლაში. მასწავლებელი, რომელმაც „ყალბი თვლების ძვირფასი თვლებისგან გარჩევა“ მასწავლა – ქ-ნი ელისაბედ ქავთარაძე, იგივე ლიზიკო დეიდა. ეს პიროვნება „ქართული რევოლუციის დეიდა“, ქართველი „ბრემკო-ბრემკოვსკაია“ (ჩვენ ასე ვუწოდებდით, რაზედაც ბევრი იცინა), 28 წლის განმავლობაში გულაგის სისტემაში იყო. ერთხელ სიკვდილით დასჯაც ჰქონდა მისჯილი. ეს უტყუელი და საოცარი ნებისყოფის ქალი, უნივერსალურად განათლებული და მშვენიერი პუბლიცისტი იყო. დიდი პოლიტიკოსი და მკაცრი მსაჯული და უმკაცრესი კონსპირატორი, მრწამსით ათეისტი და სოციალ-დემოკრატი... მხოლოდ ამ ბოლო საკითხებზე ვერ ვენწყობოდით ერთმანეთს. ხშირად გვიჩხუბია კიდევ. ბოლოს შევთანხმდით – აღარ გვეჩხუბა. მე სოციალ-დემოკრატიას აღარ ვუგინებდი, ის კი რელიგიას აღარ შეეხებოდა...“

მე დეიდა ლიზიკო 5-6 წლის ასაკიდან მზრდიდა. ჩვენ მეზობლები ვიყავით და დედაჩემმა სთხოვა ქ-ნ ლიზიკოს ჩემი რუსულში მომზადება. რუსული როგორ ვისწავლე, ვერ გეტყვით, მაგრამ 15 წლის ასაკში პოლიტიკის საფუძვლებს რომ დავეუფლე, ეს ფაქტია. 16-17 წლის ბიჭი, მრავალთა თქმით, უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი ვიყავი. თან უკვე

მქონდა პოლიტიკურ პროგნოზებში პირველი ცდები, ამას დიდ ყურადღებას უთმობდა ლიზიკო დეიდა. ლიზიკო ქავთარაძე იმდენად დიდი ავტორიტეტი იყო ჩემთვის (და არა მარტო ჩემთვის), რომ დღესაც კი, როდესაც რაიმე ნაბიჯს ვდგამ, ყოველთვის ვფიქრობ, რა შეფასებას მისცემდა ამას ლიზიკო დეიდა. იატაკქვეშეთში აღდგენილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც პირველად ლიზიკო დეიდას, ჩვენს დიდ მასწავლებელს, დავალოცვინეთ. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, მისი გონება სრული დატვირთვით მუშაობდა. ამ გონებას კი ბევრი საფრთხის აცილება შეეძლო ჩვენი სამშობლოსათვის.“

„უშიშარი მეციხოვნე – გიორგი ჭანტურია“,
თბ., 2011, გვ. 9.

ოლია მესხი



ოლია მესხი დაიბადა 1905 წელს ქ. თბილისში. 1929 წელს დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. სამუშაოდ გაანაწილეს საგარეჯოში. 1930 წელს დააპატიმრეს ანეგდოტის მოყოლის გამო და გადაასახლეს დასავლეთ ციმბირში, ნარიმის მხარეში, სოფელ კოლპაშევოში. გადასახლებაში დაქორწინდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ დისიდენტზე, 1921 წლიდან უკვე პატიმრობაში მყოფ ნესტორ იმნაიშვილზე. გადასახლებაში შეეძინათ ქალიშვილი – თინათინ

იმნაიშვილი. ოლია მესხმა 6 წელი მოიხადა ციმბირში. მისი მეუღლე გადასახლებიდან აღარ დაბრუნებულა. სავარაუდოდ გარდაიცვალა ეტაპის დროს.

ინტერვიუ ოლია მესხის ქალიშვილთან – ქალბატონ თინათინ იმნაიშვილთან

თინათინ იმნაიშვილი – დაბადებული 1933 წელს გადასახლებაში, ნარიმის მხარეში. მისმა მშობლებმა – ოლია მესხმა და ნესტორ იმნაიშვილმა – თავისუფალ გადასახლებაში გაიცივნეს ერთმანეთი და დაოჯახდნენ. გადასახლებიდან 6 წლის შემდეგ მხოლოდ ქალბატონი ოლია დაბრუნდა ქალიშვილთან ერთად; მისი მეუღლე იქ გარდაიცვალა. ინტერვიუს ჩანერის დროს ქალბატონი თინათინი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის



ბიბლიოთეკაში გეორგიკის განყოფილების გამგედ მუშაობდა. ის იყო უცხო ენების სპეციალისტი. ინტერვიუს ჩანერიდან მოკლე ხანში გარდაიცვალა.

– როგორ მიხარია, რომ ამ თემით დაინტერესდით, თანაც ახალგაზრდა, სულ სხვა თაობა; არ უნდა მოვწყდეთ ფესვებს, ეს უნდა გვესმოდეს, – არ მალავს სიხარულს ქალბატონი თინათინი და უაღრესად დიდი სითბოთი მოგვითხრობს არა მარტო დედამისის – ქალბატონი ოლია მესხის – შესახებ, არამედ იხსენებს მთელ თაობას – მისი მშობლების თანამებრძოლებს.

– სულ თავიდან დავიწყოთ, როგორ დაიჭირეს, რის გამო, რა მიუსაჯეს? ყველაფერი მაინტერესებს, რასაც გაიხსენებთ, – თხოვნით მივმართავ მე და ისიც მიყვება უკვე გარდასული საუკუნის, ჩვენი უახლესი ისტორიის ამბებს, რისი დავინწყებაც, ჩვენი – საერთო – აზრით, ნამდვილად არ შეიძლება.

– სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დედა და მისი მეგობარი – მაყვალა რამიშვილი – არაჩვეულებრივი ქალი, კარგი ექიმი და მართლა მებრძოლი საქართველოსათვის, საგარეჯოში გაანაწილეს სამუშაოდ. ეს იყო 1929 წელი, იწყებოდა

კოლექტივიზაცია. დედა საგარეჯოში დააპატიმრეს. მიზეზი დაჭერისა იყო ის, რომ მან კოლექტივიზაციაზე გაიხუმრა. დედა დაიჭირეს, მაყვალა დეიდა კი შემთხვევით გადარჩა. მაშინ ხომ ასე იყო, გეგმა ჰქონდათ, უნდა დაეჭირათ, ვთქვათ, 4 კაცი, 5, თუ ვინ, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მოკლედ, დაიჭირეს დედა, დაიჭირეს და ჩამოიყვანეს თბილისში, მოათავსეს მეტეხის ციხეში სრულიად ახალგაზრდა და სრულიად გამოუცდელი; ამით ისარგებლეს და ცარიელ ფურცელზე მოაწერინეს ხელი. მაყვალა დეიდას ეს არ მოუვიდოდა, დედა კი უფრო ადვილად ენდობოდა უცხოს, თან გამოუცდელი იყო.

ბაბუა იცნობდა აბელ ენუქიძეს¹⁴⁸, ლენინთან და შემდეგ მაშინდელ მთავრობასთან დაახლოებულ კაცს. ურჩევიათ, აბელთან მიდი და სთხოვეო. ბაბუა მართლაც ასე მოქცეულა, მაგრამ მისთვის დედას ხელმონერილი ქალაქი უჩვენებიათ – აი, რაზე აქვს ხელი მონერილიო. არაფერი გამოვიდა. სხვათა შორის, მაშინ პროკურორი იყო გურამ ენუქიძის¹⁴⁹ მამა, ფაქტობრივად დედა იმისი დაჭერილია. მიუსაჯეს გადასახლება და გადასახლეს კიდეც. მოხვდა ნარიში, სადაც გაიცნო მამა, ლიზიკო ქავთარაძე, ლევან გოთუა, პრეობრაჟენსკების ოჯახი და სხვები.

ქალბატონ თინას აღმოაჩნდა ქალბატონი ოლიას ჩანანერები, სადაც ის თავის გადასახლებაზე მოგვითხრობს. მოგვაქვს ნაწყვეტი ამ ჩანანერებიდან:

„1930 წელს, კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დროს, ვმუშაობდი სოფ. საგარეჯოში ექიმად. მიშა კუტალაძის დაბეზლებით დამაპატიმრეს და გადამგზავნეს თბილისში. გამომძიებელმა კიკნაძემ მომისაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა დასავლეთ ციმბირში გადასახლებით. სექტემბრის თვეში ეტაპით ვიყავი გაგზავნილი მოსკოვში (ბუტირკის ციხეში). ჩემთან ერთად იყვნენ: რაფაელ თავაძე, გიორგი

148 აბელ ენუქიძე – (1877-1937 წწ.) საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მაღალჩინოსანი, 1917 წ. თებრეველისა და ოქტომბრის რევოლუციების მონაწილე.

149 გურამ ენუქიძე – (1930 წ) საქართველოს სსრ ტელე-რადიო კომიტეტის თავმჯდომარე, განათლების მინისტრი.

რევიშვილი, ამბროსი კალანდარიშვილი, არკადი კვაჭაძე, კონდრატი ძიმისნარიშვილი, ალექსანდრე ნანეიშვილი, რამიშვილი (სახელი არ მახსოვს). იყვნენ აგრეთვე მოსკოველები, სომხები, რუსი ებრაელები. მოსკოვის ციხეში დიდხანს არ ვყოფილვართ. მალე გაგვაგზავნეს ტომსკისაკენ. იქ დაეყავით დეკემბრის თვემდე. ბოლო რიცხვებში, როცა ობზე გზა გაიხსნა, ჩვენივე მოთხოვნით გაგვამგზავრეს. მოგვცეს თბილი ჩასაცმელი (ტყავის ტულუპები). ყინვა ძლიერი იყო; გაჩერებიდან გაჩერებამდე ვიყინებოდი. განსაკუთრებით მეყინებოდა ფეხები. ძალიან გამიჭირდა ასეთ ყინვებში მგზავრობა. ჩაგვიყვანეს სოფ. კოლპაშევოში. ისეთ დღეში ვიყავი, რომ მეჯინიბეს ვუთხარი – ახლავე რომ გამათავისუფლონ, უკან დამბრუნებელი არა ვარ-თქო. მან მიპასუხა – შენ ფული მომეცი და ისე ჩაგიყვან ტომსკში, ცივ ნიავს არ მოგაკარებო. შიგ მარხილში დაგიდგამ ლუმელს, დაგინთებ ცეცხლს და სითბოც იქნებაო. კოლპაშევოში ჩვენი თავები ჩააბარეს შინსახკომს. იმ დღესვე ქართველებმა მოგვაკითხეს: ლიზიკო ქავთარაძემ, კოტე ბოკერიაშვილმა და იპოლიტე ქვირიამ ... 1931 წლის მარტის თვეში დავინწყე მუშაობა კოლპაშევოს რაისაავადმყოფოში.”

ექიმობა ყველგან გამოსაყენებელი სპეციალობაა, – აგრძელებს თხრობას ქალბატონი თინა, – დედასაც გამოადგა. დაინყო მუშაობა ექიმად. გადასახლებიდან მეორე წელს, 32-ში გათხოვდა, ორი წლის მერე მეც გაეჩნდი. ჩვენი ოჯახი ის ადგილი იყო ნარიმში, სადაც მთელი ქართველობა – 24 თუ 25 კაცი – იყრიდა თავს. დედამ გადასახლებაში 6 წელი მოიხადა. ჯერ სამი წელი ჰქონდა მისჯილი. ვადა რომ დაუმთავრდა, კიდევ სამი დაუმატეს. მერე კიდევ სამს აძლევდნენ, მაგრამ სწორედ მაშინ გახდა ავად თრომბოფლებიტით, თანაც ბავშვიანი იყო და გაათავისუფლეს, მე მგონი, მოიშორეს.

ნარიმში ყოფნისას საოცარი რამ მოხდა. დედა მაყვალა დეიდას შეხვდა. ეს ორივესათვის სასწაული და ბედნიერება იყო. დედა რომ დაიჭირეს, საფრთხე მაყვალა დეიდასაც

ელოდა. ამიტომ ახლობლებმა გადაწყვიტეს, სასწრაფოდ საზღვარგარეთ გაემგზავრებინათ და მზად იყო კიდეც ნა-სასვლელად, ბორჯომში ჩაიყვანეს და იქიდან საზღვარზე უნდა გადასულიყო; მაგრამ ამბობდა, ნავალ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოლიას გაათავისუფლებენ, თუ არა და – არაო. დედაჩემს მიუსაჯეს, გადაასახლეს და მაყვალა დეიდაც სასამართლოში გამოცხადდა, განაცხადა, ყველაფერი ჩემი ბრალიაო. რა თქმა უნდა, დედა არ გამოუშვიათ, ისიც დაიჭირეს და გადაასახლეს. მოხდა სასწაული და ნარიმში შეხვდნენ ერთმანეთს.

– **ეს თავდადება,** – ვერთვები მე, ქალბატონი მაყვალას საქციელით ამაყი და მაინც გაკვირვებული.

– ნამდვილად, – მიდასტურებს ქალბატონი თინა, – არა-ჩვეულებრივი მეგობრობა ჰქონდათ. ბაბუას წერილები მაქვს შემორჩენილი, რომლებშიც ის მაყვალას თავის მეთერთმეტე შვილსა და მერვე ქალიშვილს უწოდებს (დედას 9 დედმამიშვილი ჰყავდა). აი, ასეთი მტკიცე მეგობრობა ჰქონდათ. იმ დროს, როცა მე გავჩნდი, დედა ავად გახდა და ჩემს გაზრდაში დიდი წვლილი მაყვალა დეიდას მიუძღვის. იქ ყველას შვილი ვიყავი, ქართველთა ჯგუფი მაქვს მხედველობაში. იმ დროს იქ იყვნენ: მეტია დგებუაძე, გიორგი ჯინორია – ოთარ ჯინორიას (თსუ-ის პროფესორის) მამა, მამაჩემი – ნესტორ იმნაიშვილი, ლევან გოთუა, ლიზიკო ქავთარაძე, დეიდა მაყვალა, საუკეთესო ინტილიგენცია საქართველოსი. ყველა ერთად იყო, მეგობრობდნენ და, შეიძლება ითქვას, კარგადაც იყვნენ, მაგრამ მათი უბედურება ის იყო, რომ საქართველოში არ შეეძლოთ დაბრუნება. ზოგი მუშაობდა და ხელფასიც ჰქონდა, მაგალითად, დედას და მამას. დედა ექიმად მუშაობდა, მამა ეკონომისტად ხე-ტყის დამზადების ქარხნის ბუღალტერიაში. ზოგი, რა თქმა უნდა, ვერ მუშაობდა. ყველას არ ჰქონდა განათლება და რომც ჰქონოდა, ფილოსოფოსს რა უნდა ეკეთებინა? დგებუაძე, მაგალითად, წალებს კერავდაო. მარამ ეს არ იყო მთავარი, საერთო სალარო ჰქონდათ, რომლითაც ყველა სარგებლობდა. რა თქმა უნდა, სულ დალხინებულნი არ იყვნენ, დროდადრო რეპრესიებიც ეხებოდათ. საქართველოსა თუ მთელ საბჭოთა

კავშირში რეპრესიების დანყებას იმით ვიგებდით, რომ აქაც დაინყებოდა ხოლმე ჩვენი დაპატიმრებებიო. რადგან თავისუფალ გადასახლებაში იყვნენ, ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაქირავებულ ბინებში ცხოვრობდნენ: რეპრესიების დროს კი ჩამოუვლიდნენ და ციხეში გადაჰყავდათ. დედის მონაყოლიდან ვიცი: მარტის თვე იყო, საკმაოდ ციოდა, რომ დაინყო ხელახალი რეპრესია-დაპატიმრებაო. ჩამოიარეს ბინები და არავინ დახვდათ, სუყველა ჩვენთან იყო და, როგორც ქართველებს სჩვევიათ, გადასახლებაშიც ლხინობდნენ, ჰქონიათ გიტარა, მღეროდნენ და დროს ატარებდნენ ყველაფრისდა მიუხედავად. მოვიდნენ ჩვენთანაც და დაინყო ჩხრეკა. გადმოყარეს წიგნები, ქალაღები, ნანერები და მათთვის საინტერესო – ნივთიერი მტკიცებულება – ერთად მოაგროვეს. ამ დროს დედამ ატეხა ერთი ამბავი: „МНЕ холодно, мне холодно, я мёрзну, затопите, пожалуйста, печку“. დაუნთეს ცეცხლი. იქვეა ნანერების გროვაც და უცებ სწვდა დედა ამ ყველაფერს და ცეცხლში გადაუძახა. გაგიჟდნენ, აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ამას ვერსად მოყვებოდნენ. „Как вы нас перехитрили“-ო, – გამწარებულები ეუბნებოდნენ. განადგურდა ის საბუთი, რისი ნაღებაც უნდოდათ, მაგრამ მაინც ყველა დაიჭირეს, ვინც უნდოდათ; მათ შორის – მამაც.

– დედა გადარჩა?

– დედა ამ დროს ორსულად იყო და არ შეიძლებოდა. მე რომ გავჩნდი, ყველა დაჭერილი იყო.

ამის შესახებ ქალბატონი ოლიას ნანერებიდანაც ვიგებთ, ოღონდ ძალიან გაკრული ხელი აქვს და ამოკითხვა გვიჭირს:

„1933 წელს მოხდა დაპატიმრებები. თითქმის ყველა დააპატიმრეს: იმნაიშვილი, ბოკერია, ჩოგოვაძე, ჩაჩუა, ნიკოლეიშვილი, კვაჭაძე, თავაძე, რევიშვილი, კალანდარიშვილი, ძიმისნარიშვილი, აბულაძე. მე, როგორც ორსული, დამტოვეს (სახლში დაპატიმრებით)... მე ვცხოვრობდი სოლომონ ინაკავიძესთან ერთად. ის იყო ჩემი მფარველი. ეს იყო მაისის თვე. მე უნდა მალე მემშობიარა ...“

– საინტერესო ფაქტია, – განაგრძობს ქალბატონი თინა, – ყველა თვლიდა, რომ თითოეულს ჰქონდა უფლება, ჩემთვის

სახელი დაერქმია. საერთო შვილი ვიყავი, რუსები რომ იტყვიან „сын полка“, გაჩნდა ქალიშვილი და ნავიდა წერილი ციხეში, დაარქვით სახელიო. დეიდა მაყვალას ნამდვილი სახელი იყო ეპრაქსია და იმდენად უყვარდა ყველას, რომ ორი სახელი შემირჩიეს – თინათინი („ვეფხისტყაოსნიდან“) და ეპრაქსია, ან ერთი ან მეორე უნდა დაერქმიათ. ერთი ხმით გადაწყდა თინათინი, თორემ ვიქნებოდი ეპრაქსია.

ჩემი გაჩენის შემდეგაც დედამ მუშაობა გააგრძელა. სახლში ჯდომას ექიმად მუშაობა ჯობდა, რადგან ხელფასს იღებდა. მე კი ძიძასთან მტოვებდა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში შეარჩია. ძიძას თავისი ხელფასიდან უხდიდა. საერთოდ ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ნარიმელ მოსახლეობასთან. თავდაპირველად, როცა ჩავიდნენ, იქაურები ეჭვის თვალით უყურებდნენ. თურმე გაფრთხილებული ჰყოლიათ: „Приехали бандиты, грузины и не давайте им квартиру.“ მერე მაინც მისცეს ბინები; ფული, ხომ იცით, ყველას სჭირდებოდა და ფულის გულისათვის მიაქირავეს. ნელ-ნელა გაუშინაურდნენ ერთმანეთს და ბოლოს დამეგობრდნენ კიდევ. ეუბნებოდნენ, ასე გვაფრთხილებდნენ თქვენზე და თურმე რა მშვენიერი ხალხი ყოფილხართო. წერილებიც კი გვაქვს იქიდან ჩემი ნარიმელი ძიძის მიერ გამოგზავნილი. მერე, დედა რომ ავად გახდა, ეტყობა, ველარ ანდობდა ბავშვს ძიძას და მივლიდნენ გიორგი ჯინორია და ლევან გოთუა. ლევან გოთუა ჩემი ნათელია იყო. გიორგი ჯინორიას შვილი – ოთარ ჯინორია – მე მიკითხავდა უნივერსიტეტში დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიას. არაჩვეულებრივად განათლებული და ჭკვიანი კაცი იყო. ნუცუბიძის მერე ჩვენთვის პირველ ადგილზე ყოველთვის ოთარ ჯინორია იყო. მახსოვს, დეიდა ლიზიკო უკვე დაბრუნებული იყო მეორე გადასახლებიდანაც, რომ უცხო ენათა ინსტიტუტში ტარდებოდა სემინარები. ატარებდნენ ოთარ ჯინორია და გიორგი კვესელავა. დეიდა ლიზიკო ძალიან აქტიური და ინტერესიანი ქალი იყო და სიამოვნებით წამოგვყვა სემინარზე. ძალიან მოენონა ბატონი ოთარი, მაგრამ თქვა: „Это жалкий отблеск и всё же, и всё же,

жалкий отблеск своего отца“. ამის მერე სულ ვფიქრობდი, რა უნდა ყოფილიყო გიორგი ჯინორია ისეთი, რომ ოთარი მისი „жалкий отблеск“-ი იყო.

დეიდა ლიზიკოსაგან საინტერესო ფაქტი ვიცი დედას მაშინდელი საქმიანობის შესახებ. დედა რომ ექიმად მუშაობდა, ყველაფერი იყო – ქირურგიც, თერაპევტიცა და სტომატოლოგიც კი. მივიდა მასთან ჩეკისტი და უთხრა: „У меня зуб болит“. „Садитесь, пожалуйста,“ – ხელი დაიბანა დედამ, – „откройте рот“ – მიმართა მკაცრად. ჩეკისტი არ მოელოდა პოლიტპატიმრისაგან ბრძანებით თქმას და შეურაცხყოფის მიყენების მიზნით უთხრა: „Уберите ваши грязные руки.“ არ ვიცი, რა ძალით და ტონით გაუმეორებია დედას: „Откройте рот,“ რომ ჩეკისტი დაემორჩილა და პირი გააღო. დედამაც გაუნმინდა, გაუკეთა, დაუმუშავა, რაც საჭირო იყო. გამოალო კარი და უთხრა: „а теперь убирайтесь, чтобы ваши ноги больше здесь не было.“ ამ სიტყვების მერე ყველას გვემინოდაო, – იხსენებს დეიდა ლიზიკო, შეეძლოთ შურისძიების მიზნით ოჯახი დაეშალათ; ცოლი და ქმარი სხვადასხვა სოფელში გაენაწილებინათ, ერთმანეთისგან დაემორებინათ. მოძრაობა ძალიან ძნელი იყო, ზამთრობით კი გზა საერთოდ იკეტებოდა. გვეგონა, რომ რალაც მოხდებოდა, ოლიას აუცილებლად დასჯიდნენ, რამდენიმე თვე ეს შიში გვქონდაო.

ქალბატონი თინა ნარიმის მხარეში გადაღებულ სურათებს მიჩვენებს. გადასახლებულთა ცხოვრება თითქმის ჩემს თვალწინ იშლება. სულ პატარა, ორი თვის ბავშვს მზრუნველობით თავს დასტრიალებენ პატიმრები; ნიჩბიანი ნავით გადადიან სახლიდან სახლში...

– გაზაფხულობით, ყინული რომ ღვებოდა, გზები წყლით იფარებოდა და მხოლოდ ნავეებით შეეძლოთ მოძრაობა, – მიხსნის ქალბატონი თინა, – ეს მამაა თანამშრომლებთან ერთად, ნარიმის ხე-ტყის დამზადების ქარხანაში ეკონომისტად მუშაობდა, მერე ნარიმშიც დაიჭირეს და იქიდანაც გადაასახლეს; დედა რომ ბრუნდებოდა, სწორედ მაშინ.

– რამდენი წლის იყავით, გადასახლებიდან რომ დაბრუნდით?

– სამის აქ გავხდი. 36 წლის მარტში ჩამოვედით და გავხდი კიდევაც სამის.

– **ქალბატონო თინა, ფეხი როგორ აიდგით, ამის შესახებ მომიყევით,** – ვთხოვ მას და უკვე გაგონილი ამბის მოსასმენად ვემზადები, თანაც მინდა, დავრწმუნდე, გაგონილი სინამდვილეა თუ მითი.

ქალბატონ თინას ეცინება და მიყვება:

– დადგა ის დრო, რომ ფეხი უნდა ავიდგა. იფიქრეს, ეტყობა, ველარ მივდივართ საქართველოში ფეხის ასადგმელადო და გადანყვიტეს, გამოენერათ საქართველოს რუკა. ეს რუკა დამიფინეს და იმაზე ამადგმევინეს ფეხი. როგორც თოჯინა, ისე ვიყავი იმათთვის, ჩემზე ერთობოდნენ. ეს რუკა დღემდე შენახული მაქვს. მე, გია ჭუბაბრიამ და ჩემმა მეგობრებმა სწორედ ამ რუკით მოვიარეთ საქართველო. ალექსანდრე ჯავახიშვილის შედგენილი რუკაა და პატარა, უმნიშვნელო სოფელიც კი ზედ არის აღნიშნული. გავშლიდით ამ რუკას გიასთან, ჩაიკოვსკის ქუჩაზე, ან ჩვენს ძველ სახლში და ვგეგმავდით მარშრუტებს. ეს რუკა გადასახლებიდან დედამ წამოიღო, როგორც სამახსოვრო და ძვირფასი ნივთი. მეორედ რომ გაუვიდა სამი წლით პატიმრობის ვადა, მიხვდა, რომ კიდევ გაუგრძელებდნენ და ბრძოლა დაიწყო განთავისუფლებისათვის. დედასთან ერთად ვადა ლევან გოთუასაც დაუმთავრდა, მაგრამ იბრძოდნენ, რომ პირველ რიგში დედა გამოეშვათ. ეს იყო მათთვის მთავარი და მოახერხეს კიდევ. ეტყობა ბიძია ლევანმა ჩამოაცილა დედა, რადგან ავად იყო და მოძრაობა უჭირდა, თრომბოფლებიტი ჰქონდა. მატარებელში თავით ქვემოთ და ფეხებით ზევით დაუნვენიათ. „სიბირიაჩკები“ გაკვირვებულნი დარჩენილან: „В чём дело, почему эта женщина так лежит?“ ბიძია ლევანს უხუმრია: „А потому что её голова в Сибири, а ноги обратно везут.“ მიუხედავად ყველაფრისა, ამხელა გაჭირვებისა, არც იუმორის გრძნობა დაუკარგავთ... დავბრუნდით საქართველოში, დედა დაბრუნდა, თორემ მე, რა თქმა უნდა, პირველად დავდგი ფეხი ქართულ მიწაზე. არც აქ გვქონია დაწყნარებული ცხოვრება. აქაც ძალიან ბევრი გაჭირვება გამოიარა დედამ. ჯერ ერთი, არ

ჰქონდა თბილისში ცხოვრების უფლება; ცხრა და-ძმა ჰყავდა, ყველა აქ ცხოვრობდა, ჩვენ კი იძულებული ვიყავით, სოფელში გვეცხოვრა. ჩავედით გურიაში. დედა ჩოჩხატში, მამაჩემის სოფელთან ახლოს, მოენყო ექიმად, მაგრამ ცოტა ხანში აქედანაც გაათავისუფლეს, როგორც თავად რეპრესირებული და ასევე „ხალხის მტრის“ ცოლი; მოხსნეს სამსახურიდან; მაგრამ მალე გამოვიდა სტალინის ბრძანება, რომ ქმარი ცოლზე არ აგებს პასუხს, მამა – შვილზე და ა.შ. და ეყო დედას ვაჟკაცობა (ამ დროს 36-37 წლებია, მე, მაგალითად, ამას არ გავაკეთებდი, შემეშინებოდა), გაასაჩივრა თავისი სამსახურიდან განთავისუფლება და სასამართლო პროცესი მოიგო, აანაზღაურებინა ხელფასი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩოჩხატში აღარ დაბრუნებულა. სხვათა შორის, სასამართლოს დადგენილებაც მაქვს შენახული.

დადგენილებასთან ერთად ქალბატონი თინა ლევან გოთუას წერილსაც მიჩვენებს, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნებულ ოლია მესხს სწორედ მეუღლის სოფელ შუხუთში (ჩოჩხატთან ახლოს) მიუღია: „...კარგია, მეტად კარგი, რომ ასე კეთილად გიმგზავრიათ. ეხლა ისლა გაკლიათ, რომ სრულიად განიკურნოთ. ამის სრული იმედი მაქვს. სამშობლო – ისიც ასეთი სამშობლო რომელ სენს არ განკურნავს. მეტად მენატრება თინიკო და ამ მხრივ ვნანობ კიდევაც თქვენს წასვლას (ადამიანი ეგოისტია მაინც!). წარმოდგენილი მაქვს: ფეხშიშველა და მზენანვაკი შუხუთის ღელეებში დასდევს პეპლებს და ბაყაყებს. თან გაჰკივის წარიმულ-გურულ დიალექტზე...“

ჩოჩხატიდან იმერეთში გადავედით. იქ დედა თერჯოლის მედპუნქტში მოენყო ექიმად. დაინყო 37 წელი, არეულობა, ვინ, ვის, სად და რატომ იჭერდა, კაცმა არ იცის. მით უმეტეს, გადანასახლების დაჭერა ყველაზე ადვილი იყო. დედას ჰყავდა 18 წლის ექთანის – თამარ კაპანაძე. ახლა, რასაც გეტყვით, ძალიან იოლი მოსაყოლია, მაგრამ მაშინ, რაც იმ ქალმა გააკეთა, გმირობის ტოლფასი იყო – ღამე მოვიდა და დედა გააფრთხილა: „ქალბატონო ოლია, ხვალ თქვენს

დასაჭერად მოვლენო.“ თურმე მისი ძმა მუშაობდა ორგანოში, ლაპარაკს მოჰკრა ყური და დედას შეატყობინა. ბიძაჩემმა სასწრაფოდ იშოვა ურემი, დაანვინეს ზედ ფეხშეხვეული დედა, ვითომ თრომბოფლებიტის შეტევა ჰქონდა და იმავე ღამეს წამოვიდნენ თბილისში. დილით მივიდნენ დასაჭერად, მაგრამ დედა იქ აღარ დახვდათ და ალბათ სხვა ვინმე დაიჭირეს მის მაგივრად. მაშინ ხომ ასე იყო, გეგმა ჰქონდათ, რამდენი უნდა დაეჭირათ, თუ – ვინ, ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. უბრალოდ დედა ადვილი დასაჭერი იყო, როგორც უკვე გადანასახლები.

ჩამოვედით თბილისში და მერე კარგა ხანს რაჭაში ვაფარებდით თავს, დედას სოფელში. იქ დედა არ მუშაობდა. უბრალოდ ადგილმდებარეობა შეიცვალა, რომ გზა-კვალი აებნია და ხელახალი დაპატიმრება აეცდინა. მერე ლუქსენბურგში დაიწყო მუშაობა. ეს იყო გერმანელების დაბა, უმრავლესობა გერმანელები ცხოვრობდნენ. იქაურობა მე უკვე მახსოვს. გერმანელებთან ვქირაობდით ოთახს. როდესაც დედა სამსახურში მიდიოდა, გერმანელ მოხუცებულ ქალთან – ბებიასთან – მტოვებდა ხოლმე. იქ იმუშავა მან ომის დანებებამდე. თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა, მაგრამ ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს შემთხვევით შეხვდა თავის ყოფილ ლექტორს – ლუკა ცაგარელს. რასაც ბატონ ლუკაზე გაიმბობთ, ესეც გმირობის ტოლფასი იყო. ბატონი ლუკა მუშაობდა თბილისის მესამე პოლიკლინიკაში პუშკინის ქუჩაზე, იყო ამ პოლიკლინიკის დირექტორი. შეხვედრის დროს უკითხავს დედასთვის, როგორ იყო, რას საქმიანობდა. დედას ყველაფერი მოუყვლია მისთვის. ბატონი ლუკა დაპირებია, ჩამოდი და მე მიგიღებ სამსახურშიო. მართლაც ჯერ კვალიფიკაციაზე წამოიყვანა და შემდეგ სამუშაოდ დატოვა. დედას არ ჰქონდა ქალაქში მუშაობის უფლება. ეს ბატონი ლუკასთვისაც დიდი საფრთხე იყო, მაგრამ მაინც გააკეთა, მაინც დაეხმარა. ასეთი ადამიანები იშვიათობაა, მაგრამ მაინც არსებობენ და ყოველთვის იქნებიან. ეს ამბავი ვუამბე ბატონი ლუკას შვილიშვილს, მისი ვაჟიშვილის, არჩილ

ცაგარელის, ქალიშვილს (ბატონი ლევან ჭილაშვილის, სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მეუღლეს); მინდოდა სცოდნოდა, როგორი ბაბუა ჰყავდათ.

– ე.ი. საბოლოოდ ქალბატონი ოლია გადაურჩა ხელმეორე დაპატიმრებასა და გადასახლებას...

– გადაურჩა, მაგრამ შიში სულ მუდამ ჰქონდა. მახსოვს, როდესაც სკოლას ვამთავრებდი, 50-იანი წლების დასაწყისში დაინყო ტყვედნამყოფი და გადანასახლები ოჯახების ხელმეორედ დაპატიმრება. სკოლიდან და მერე უკვე უნივერსიტეტიდანაც სირბილით მოვდიოდი სახლში, მეშინოდა, რომ დედა აღარ დამხვდებოდა, წაიყვანდნენ და მე დამტოვებდნენ. დედა სულ მეუბნებოდა: მე თუ გამამასახლებენ, შვილო, შენ უნდა დარჩე, შენ უნდა ისწავლო. დედას დიდი ოჯახი ჰქონდა, 7 და და 3 ძმა ჰყავდა. ისე რომ, თავისუფლად შეეძლო ჩემი დატოვება მათთან.

– მამა არ იყო დაბრუნებული?

– არა, მამა აღარ დაბრუნებულა. უმთავრდებოდა ვადა, მაგრამ 37 წელს იქიდან ვინ გამოუშვებდა? პირიქით იყო, გადასახლებულებს ხელმეორედ იჭერდნენ. შეკითხვას რომ ვაგზავნიდით, მოგვდიოდა პასუხი: „Жив, здоров, без права переписки.“ ბოლო პასუხი 38 წელს მივიღეთ და მას შემდეგ აღარაფერი გვსმენია; სად დაიღუპა, როდის და როგორ – არავინ იცის. ვიღაცეები გვეუბნებოდნენ, აქ შეგვხვდა, იქ შეგვხვდა ეტაპის დროსო. დედა და ლიზიკო დეიდა ამბობდნენ, რომ პატიმრებისთვის ყველაზე მძიმე ეტაპი იყო, როცა ერთი ადგილიდან მეორეში გადაჰყავდათ. ეს იყო უმძიმესი. შეიძლება სწორედ ეტაპის დროს დაიღუპა.

ხელმეორედ დაიჭირეს ლიზიკო დეიდა, მაყვალა დეიდა, ლევან ბიძია, მეშინოდა, რომ დედასაც დაიჭერდნენ და საერთოდ აღარ გავდიოდი სახლიდან. მუდამ მქონდა დედის დაკარგვის შიში. ასევე იყო დეიდაჩემიც, დედას უფროსი და, ყოველ დილით მოდიოდა ჩვენთან და გვამონებდა, ხომ არ წაგვიყვანეს; მერე თავის ქალიშვილთან მირბოდა, რადგან სიძე ჰყავდა ტყვედნამყოფი ომის დროს... მართლაც

საოცრება იყო, დედა რომ გადარჩა. მე კარგად მახსოვს კაცი, რომელიც მუდამ ფეხდაფეხ დაჰყვებოდა დედას, ახალგაზრდა, ქერა, ხუჭუჭთმიანი, ცისფერთვალეა ყმანვილი. სპეციალურად ჰყავდა მიჩენილი და არც ერთ წუთს არ შორდებოდა; ნავიდოდა დილით სამსახურში, გაჰყვებოდა; დედა უბნის ექიმი იყო და ბინებში სიარული უწევდა, ისიც სულ უკან დასდევდა. მაშინ ღამე დგებოდა რიგები ნავთზე და სხვა პროდუქტებზე. დედა ყოველთვის ამბობდა: მე ისეთი გამცილებელი მყავს, რომ არაფრის მეშინიაო. ჩვენი სახლი ბელეტაჟზე იყო და ერთ-ერთი ფანჯარა ეზოში გადიოდა. იმ ფანჯრიდან ვხედავდით, როგორ იდგა ეზოში ბოძთან ეს ყმანვილი. ერთხელ დაიბარეს დედა ლევან გოთუას დებმა, ძია ლევანს, ეს უკვე მეორე გადასახლებიდან, რალაც მოენერა და წავიდა გოთუებთან. ისინი ენგელსის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. რა თქმა უნდა, ის ყმანვილიც თან გაჰყვა. დედას უთქვამს: რა ვქნა, თან მომყვავო. ენგელსის ქუჩის სახლებს მეორე მხიდანაც აქვთ გასასვლელი, თან სახლების ეზოები სულ ერთმანეთში გადის. ძია ლევანის დებმა ამ უკანა გასასვლელიდან ეზოებ-ეზოებით ისე ჩაიყვანეს დედა ენგელსის ქუჩიდან დადიანზე, რომ თავისუფლად დაბრუნდა სახლში მეთვალყურის გარეშე. ის ყმანვილი კი შეიძლება დილაამდე იქ იდგა.

– მაყვალა დეიდა თუ დაბრუნდა მეორე გადასახლებიდან?

– არა. ძია ლევანი და დეიდა მაყვალა 45-ის ბოლოს დაიჭირეს, ომის შემდეგ. ძალიან კარგად მახსოვს, ბებია – დედის დედა – რომ გარდაიცვალა 45-ში, ძია ლევანი იყო მის დასაფლავებაზე. რამოდენიმე თვეში ბაბუაც გარდაიცვალა და ძია ლევანი უკვე აღარ იყო. მაყვალა დეიდაც მაშინ აიყვანეს. ძია ლევანი დაბრუნდა, მაყვალა დეიდა კი გზაში დაიღუპა. როგორც თქვეს, კუჭის შეტევით. კუჭ-ნაწლავი ისედაც ანუხებდა და ეტაპების დროს რას ჭამდა და რას სვამდა, ხომ კაცმა არ იცის. კარგად მახსოვს, დედა ბოლნისში იყო წასული გამოძახებაზე. რომ დაბრუნდა, მაშინ ვუთხარიო.

ერთხელ, უკვე თბილისში ვიყავით გადმოსულები, რომ

დედა მორიგეობიდან მოხსნეს და უთხრეს, რომ ეტაპს უნდა გაჰყოლოდა, რომელიც გერმანელებს ყაზახეთში მიაცილებდა. მაშინ ომი ახალი დაწყებული იყო და გერმანელებს ყაზახეთში ასახლებდნენ. დედას უარი უთქვამს: პატარა ბავშვი მყავს და ვერ წავალო. ეს პრობლემა არ არისო, – უპასუხიათ. შევჩინეკოს ქუჩაზე იყო КГБ-ს სკოლა-ინტერნატი და ბალიც; წამიყვანეს იქ. ამ დროს ჩემი დატოვება პრობლემა არ იყო, დედა და დეიდა ერთად ცხოვრობდნენ, უფრო სწორად, ჩვენ ბინა არ გვქონდა და ვცხოვრობდით დეიდასთან. მე და ჩემი დეიდაშვილი – გულიკო – ტოლები ვიყავით და ერთად ვიზრდებოდით. ეს იყო მიზეზი, მაგრამ არ გაჭრა. გადამიყვანეს ინტერნატში. დედას უთქვამს, ტიტველი ვარ და ასე ხომ არ წავალო; ერთ დღეში შეუძენიათ მისთვის თბილი ფეხსაცმელები, ქურქი, ქუდი და ყველაფერი, რაც კი მგზავრობისათვის იყო საჭირო. დედა იძულებული შეიქმნა, ეტაპს გაჰყოლოდა, მაგრამ მოხდა საოცრება; აღმოჩნდა, რომ მოხვდა თავის ნაცნობ გერმანელებთან, ვისთანაც წლების მანძილზე ლუქსენბურგში მუშაობდა. ეუბნებოდნენ თურმე: „Доктор, мы даже лозу с собой везём.“ გერმანელები ძალიან მუშა ხალხია, ააყვავეს ბოლნისი, არაჩვეულებრივი ვენახები ჰქონდათ. საოცარი კიდეც ის იყო, რომ კრასნოვოდსკამდე გემით წაიყვანეს და იმის მაგივრად, რომ მე მომეწყო მაგათთვის, ისინი მივლიდნენ მეო, ზღვაზე რყევისაგან თურმე ცუდად გამხდარა. ჩააცილა ყაზახეთამდე და უკან დაბრუნდა. ამ დროს ინტერნატში დეიდაჩემმა ამომაკითხა; მომეცით ეს ბავშვი, თქვენი არაფერი მინდაო. იმდენად ვიყავით მე და გულიკო ერთმანეთთან შეჩვეულები, რომ უჩემოდ ვერ გაძლო. მე არაფრით დამანებეს და გულიკო ამოიყვანეს ჩემთან. ამასობაში ავად გაფხდი ქუნთრუშით, ძალიან მძიმედ ვიყავი, ისეთი მძიმე ფორმა მქონდა, რომ არავის ეგონა, თუ გადავრჩებოდი. დედა რომ დაბრუნდა, მე ისევ საავადმყოფოში ვინექი, ოღონდ უკვე სააქაოს მობრუნებული.

– ქალბატონო თინა, იქნებ მამაზეც მიაშობო... – ვთხოვ მე. ქალბატონი თინა სიამოვნებით მეთანხმება, მაგრამ ვატყობ, რომ ჩაფიქრებულია:

– მე ხომ მამას ფაქტობრივად არ ვიცნობდი, – მეუბნება ნალვლიანად, – თუკი რამ ვიცი, ვიცი სხვების მონაცემებით, მაგრამ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყველაფერი მე მახსოვს. ვიცი, რა თქმა უნდა, დედაჩემისგან და შემდეგ უკვე მამის, როგორც გიმნაზიის, ასევე უნივერსიტეტის, მეგობრებისგან. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დედამ თითოეული მათგანი მონახა და დამეგობრდნენ კიდევ, მე კი მათ შვილებთან დღესაც ვმეგობრობ.

მამას უახლოესი მეგობარი იყო ნოე ქებაძე. ერთად სწავლობდნენ ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში და შემდეგ უნივერსიტეტში, მთელი ახალგაზრდობა ერთად ჰქონდათ გატარებული. რა თქმა უნდა, დედა პირველ რიგში მათ დაუმეგობრდა. ერთხელ, უკვე მოზრდილი ვიყავი, ვყვები რაღაცას ჩემებურად და ეტყობა, გავცხარდი. ამ დროს ბიძია ნოეს ცოლი, დეიდა ანიჩკა, ისეთი თვალებით მიყურებს, თითქოს აქ არ არის. – დეიდა ანიჩკა, რა ხდება-თქო? – ვკითხე. – ვაიმეო, – თქვა მან, – ახლა შენ კი ვერ გხედავდი, მეგონა, ჩემს წინაშე ნესტორი იდგა და ის ლაპარაკობდაო. ერთხელაც ჩემი მამიდაშვილის ორმოცზე ქალმა მკითხა: შვილო, შენ ნესტორის შვილი ხომ არა ხარო? მე რომ ჩემს თავს სარკეში ვუყურებ, დედაჩემის ასლი ვარ, მაგრამ, ეტყობა, დედა და მამაც ჰგავდნენ ერთმანეთს. მარტო გარეგნობაც ხომ არ არის, ხასიათია მთავარი!

– დედა რას გეუბნებოდათ მამის შესახებ, რატომ არის დაპატიმრებულიო?

– ჩემთვის იმდენად ნათელი იყო ყველაფერი, რომ ამას ახსნა აღარ სჭირდებოდა; ისეთ ოჯახში ვიზრდებოდი, რომ სხვანაირად ვერ ვიფიქრებდი. ეს მამას წერილებიდანაც ნათელი იყო. ერთ-ერთ წერილში ბებიას მიუწერია, რომ იქნებ შენც დაგენერა თხოვნა შეწყალებაზეო. თავად პატიმარს უნდა ეთხოვა, იმის მაგივრად სხვას რომ დაენერა, ვთქვათ, ცოლს, დედას ან შვილს, არ შეიძლებოდა. მამა კი პასუხობს: „დავუშვათ, დავწერე, მერე კი გინდა, დედა, შენ ასეთი შვილიო?“

წინ მიდევს ბატონი ნესტორის დედისადმი მიწერილი ბარათები და ქალბატონი თინას ნებართვით ვკითხულობ. გაო-

ცებული ვარ, იმდენი სითბო და სინაზე იღვრება ვაჟიშვილისგან, რომელსაც, ციმბირში გადაკარგულს, ოჯახს მონყევტილსა და საშინელ პირობებში მყოფს, წესით დაკარგული უნდა ჰქონდეს ამ გრძნობების თუნდაც გამოხატვის უნარი. მაგრამ თურმე პირიქითაც ხდება. მოგვყავს ნანყვეტი მისი წერილიდან:

„ქ. სუზღალი. პოლიტ-იზოლიატორი. 29. 11. 22წ.

... გენაცვალე, შენ იწერები რაღაც „გაჯავრებაზე“. განა მე, რომელიც ასე დატვირთული ვარ შენი თბილი სიყვარულით, რომელიც შენი სიყვარულით ვსუნთქავ, შემძლია შენზე გავჯავრდე? განა მე არ ვიცი, რომ ჩემი სახე შენ მუდამ თვალწინ გიდგას და ყოველდღე, სანამ დღიური შრომით დაქანცული ძილს მისცემდე თავს, ჩემთან ხარ და მე მემუსაიფები? და განა მარტო ფხიზლობის დროს? ვინ იცის, ალბათ რამდენჯერ სიზმარშიც არ მიშორებ და ჩემთან ხარ! არა, ჩემო ტკბილო დედიკო, მე გასაჯავრებელი არა მაქვს რა. მე შესაძლოა რაიმე მენყინოს, ეს მოსალოდნელია. ოხ, შენ რომ იცოდდე, ჩემო კარგო, როგორ ვამათრახებ ჩემს თავს, როდესაც წარსულს წარმოვიდგენ და გავიხსენებ ყველა წვრილმანებს ჩემი ცხოვრებისა! რამდენი მეტი ტკბილი წუთის გამოყენება შემეძლო შენთვის ამ ხნის განმავლობაში! ვინ იცის, ჩემი ცხოვრების რამდენ წელს მივცემ, რომ გიხილო და დავტკბე შენი ნაღვლიანი და გონიერი თვალების ცქერით. ახლოს ვიგრძნო შენი ანთებული სიყვარული და მეც მზრუნველი ხელით გაგისწორო ორიოდე ღარი შენს სპეტაკ შუბლზე და ნაზად ვეამბორო შენს ნაღვლიან სახეს!“

ალარ ვაგრძელებ ციტირებას, ამ მოკლე მონაკვეთიდანაც ცხადია, თუ რისი ჭიდილი ყოფილა „დედა-შვილობა“! ჩემს გაკვირვებას იწვევს მხოლოდ მეღნით გადაშლილი წინადადებები, ზოგჯერ მთელი აბზაციც, აგრეთვე შტამპიც, რომელიც ძალაუწებურად გაფიქრებინებს, რომ წერილი შემოწმებულია. ქალბატონი თინა ხვდება, რისი კითხვაც მსურს და თავად მიხსნის:

– ასეთ წერილებს ჰქვია ИКРА, როგორც ერთმა ამერიკელმა მკვლევარმა ამიხსნა, რომელიც საბჭოთა სპეცნერილებსა და მთლიანად დოკუმენტაციაზე მუშაობდა. გა-

დასახლებიდან გამოგზავნილი ყველა წერილი მოწმდებოდა, რასაც ადასტურებდა შტამში. თუ ქართულის ნამკითხველი არ ჰყავდათ, მაშინ არ აძლევდნენ უფლებას, რომ ქართულად დაეწერათ; შეიძლებოდა, ოღონდ რუსულ ენაზე. რაც არ მოეწონებოდათ, ტექსტიდან შლიდნენ. სწორედ ასეთ გადახაზულ და შემოწმებულ წერილებს ჰქვიათ ИКРА. მამის წერილები თითქმის ყველა ასეთია.

– რა ბრალდებით დააპატიმრეს მამა?

– მამა მართლაც მებრძოლი იყო და ამას არც მალავდა. თურმე ციხეში ეკითხებოდნენ: „а что дальше Нестор Давидович? ის კი პასუხობდა: „а дальше выпустите и будет тоже самое“. ე.ი. ციხიდან რომ გამოვიდოდა, იმავე საქმიანობის გაგრძელებას აპირებდა.

დეიდა ლიზიკოს სულ ვეკითხებოდი: რატომ მოხდა, რომ ზოგი წავიდა ემიგრაციაში, თქვენ კი გადაგასახლეს? მათაც შეეძლოთ, რომ წასულიყვნენ. 21 წელს მამას სრულიად თავისუფლად შეეძლო ემიგრაციაში წასვლა და არა ციხეში. ყველა მეკითხება, 24 წლის აჯანყებაში თუ მიიღო მამამ მონაწილეობა? არ მიუღია იმიტომ, რომ 24 წელს უკვე ციხეში იჯდა, მეტეხში.

– რომელიმე პარტიაში ან პოლიტიკურ ჯგუფში თუ იყო გაერთიანებული მამა?

– მაშინ ძირითადად სოციალ-დემოკრატები იყვნენ, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. მამა რომელ პარტიას ეკუთვნოდა, არ ვიცი. დეიდა ლიზიკო კი ჯერ ახალგაზრდა მარქსისტი იყო (ესენიც დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ; ყველა პროგრესულ პარტიას თითქმის ერთი მთავარი მიზანი ჰქონდა), გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა. დღეს გულზე ვსკდები, რომ ეს პარტია, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის, ასე დაეცა...

1988 წლის ნოემბრის „შიმშილობის“ დროს სულ ვუთვლიდი გია ჭანტურისას: გია, ისეთი არაფერი გააკეთო, რომ დეიდა ლიზიკო (ახალი გარდაცვლილი იყო) საფლავეში გადატრიალდეს-თქო. დეიდა ლიზიკოს ძალიან დიდი ამაგი აქვს გიაზე, ძალიან დიდი.

- და ბოლოს, - მეუბნება ქალბატონი თინათინი, - ერთ ძალიან საინტერესო რაღაცას გიჩვენებთ და გიამბობთ, დედასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ თავისთავად ძალიან საინტერესო ამბავია: სახალხო ფრონტის ყრილობა რომ ტარდებოდა, მე და ჩემი მეგობარი დილის 9 საათზე მივდიოდით და გვიანობამდე იქ ვიყავით. ერთ დღესაც მოვიდა ნოდარ ნათაძე და განაცხადა, მოვიტანე 1921 წლის საქართველოს დროშა, მრავალჭირგადახდილი, რომელიც ფარულად ინახებოდა ერთ ქართულ ოჯახშიო. დარბაზი ტაშით, ოვაციით, სიყვარულით შეხვდა ამ დროშას, რომელიც ბატონმა ნოდარმა ნოე ქებაძის ოჯახიდან წამოიღო და ყრილობაზე მოიტანა, როგორც უძვირფასესი რელიქვია. ძია ნოდარისა და დეიდა ანიჩკას ქალიშვილია ნათელა ქებაძე. ნათელა სულ ამბობდა, რომ მამამისი, რომელსაც არ ახასიათებდა ნივთების სიყვარული, საოცარი სიფრთხილითა და და სიფაქიზით ეკიდებოდა ერთ თიხის ფიგურას და სიკვდილის წინ შვილისთვის უთქვამს, რაშიც იყო საქმე. ფიგურას ძირი თიხით ჰქონდა ამოლესილი, შიგ კი რაღაც ინახებოდა. - ამაში მე და ნესტორმა შევინახეთ საქართველოს დროშა, წერილები და რაღაც დოკუმენტებო, - გაუნდია ნათელასათვის, - დრო რომ დადგება, თქვენ გახსენითო. და აი, მაშინ, 1989 წელს, სახალხო ფრონტის პირველი ყრილობის დროს, ნათელამ ჩათვალა, რომ ეს დრო დადგა. დარეკა ჩემთან, რომ ერთად გაგვეხსნა. მე სახლში არ ვიყავი და ვერ მივედი. მივიდნენ ჩვენი საერთო მეგობრები - ქართველიშვილები. გახსნეს და ამოიღეს საქართველოს დროშა და რაღაც ნაწერები. ნათელამ რომ დაათვალიერა, თქვა, ეს მამაჩემის ხელი არ არისო. მაკა ქართველიშვილს წაკითხული ჰქონდა მამაჩემის წერილები და მაშინვე მიხვდა, თინას მამის ხელიაო. რაში იყო საქმე? - მამა და ნოე ქებაძე 2 წელი ერთად ისხდნენ მეტეხის ციხეში. მათ ამხანაგების საერთო წრე ჰქონდათ - 5 ვაჟი და 5 ქალი მეგობრობდნენ. შენახული ჰქონიათ მათი წერილები, რომლებშიც სერიოზულ საკითხებთან ერთად ბევრი გასართობი რამ ეწერა; მაგალითად, რა დაგემართათ, ბიჭო, გამოდით დროზე, თორემ სანამ თქვენ მანდედან გამოხვალთ,

ყველანი გათხოვილი დაგხვდებით და ა.შ. გარდა ამისა, აქ იყო მამას ხელით ნაწერი სია – მეტეხის ციხეში 1923 წელს სად, რომელ საკანში, ვინ იჯდა. მითითებული იყო პატიმრის გვარი, სახელი, ასაკი და სოციალური მდგომარეობა – ვთქვათ, სტუდენტი, მასწავლებელი, გლეხი და კიდევ, „მიჰყავდათ დასახვრეტად“ თუ „ტოვებდნენ“.

დღეს ეს დროშა, ჩარჩოში ჩასმული, ნათელა ქებაძის ოჯახში ინახება, მასთანვეა წერილებიცა და სიაც, რომელიც უთუოდ დააინტერესებს როგორც ახალი ისტორიის მკვლევარებს, ასევე დღევანდელ საზოგადოებასაც, რომელსაც არ სურს ფესვებიდან მოწყვეტა; ქალბატონი თინას ოჯახში კი ინახება საქართველოს რუკა, რომელზედაც პატარა თინიკომ ფეხი აიდგა, რომელიც ნარიმში გადასახლებულ ქართველთა ჯგუფს უკან დაბრუნების იმედს აძლევდა, გამძლეობას მატებდა, ძვირფასი ნივთი იყო მათთვის; ასევე ოლია მესხის, ნესტორ იმნაიშვილისა და ლიზიკო ქავთარაძის არქივები.

მარიამ შარაბიძე



მარიამ შარაბიძე – დაიბადა 1899 წელს ქ. თბილისში. მისი მამა იყო პირველი გილდიის ვაჭარი – ზაქარია შარაბიძე, დედა – სოფიო ბარნაბიშვილი. დაამთავრა მე-7 გიმნაზია. გარდაიცვალა 1921 წლის 25 თებერვალს, დედაქალაქში რუსეთის მე-11 ნითელი არმიის შემოსვლის დღეს. გარდაცვალების მიზეზი იყო პანიკური შიში დამპყრობლური ძალის მიმართ.

მარიამ შარაბიძის ძმისშვილებს – თამაზ და მერცია შარაბიძეების მოგონებებიდან

თამაზ შარაბიძე – დაბადებული 1928 წელს ქ. თბილისში. პროფესიით ინჟინერი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ხაზვისა და მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის სრული პროფესორი, ამჟამად ემერეტუს პროფესორი.

მერცია შარაბიძე – დაბადებული 1933 წელს თბილისში, უცხო ენათა სპეციალისტი, მთარგმნელი.

თამაზისა და მერციას მშობლებმა – თამარ დარახველიძემ და ივანე შარაბიძემ – მარიამის გარდაცვალების შემდგომ გაიცნეს ერთმანეთი. მარიამის ძმისშვილების მონათხრობი მათი მშობლებისა და პაპის – მარიამის მამის მოგონებებს, გულისტკივილსა და ემოციებს ეფუძნება.



მარიამი თბილისში დაიბადა, 1899 წელს. მისი დედა იყო სოფიო ბარნაბიშვილი, მამა – ზაქარია შარაბიძე. ოჯახი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა, რადგან ზაქარია პირველი გილდიის ვაჭარი გახლდათ. ცოლ-ქმარი გამოირჩეოდა როგორც კეთილშობილებით, ასევე საოცრად მიმზიდველი გარეგნობით: ზაქარიას ვაჟკაცური შესახედაობა ჰქონდა, მაღალი, თხელი, ცისფერთვალა კაცი იყო, სოფიო კი ძალიან ლამაზი პირისახის

ქალბატონი გახლდათ, საშუალო ტანის, ნაბლისფერი თმებით, მუდამ ქართულ სამოსში გამოწყობილი. მათი მომსწრე ნათესავები და მეგობრები იგონებდნენ: როცა წყვილი ქართულ კლუბში (ახლანდელი მარჯანიშვილის თეატრი) გამოჩნდებოდა, დამსწრე საზოგადოება აღტაცებით გააყოლებდა ხოლმე თვალსაო.

ზაქარია წარმოშობით ლაზიკიდან ყოფილა. საქართველოს ეს მხარე მისი ადგილმდებარეობის გამო ჯერ რომაელებისა და სპარსელების, შემდგომ კი ბიზანტიის ძალაუფლებას განიცდიდა. მე-15 საუკუნეში გაძლიერდნენ თურქ-ოსმანები, რომლებმაც 1453 წელს დაიპყრეს კონსტანტინეპოლი. საქართველო, რომელიც ბიზანტიის მეზობელი მხარე იყო, დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. გაუთავებელ ბრძოლებსა და მაჰმადიანური რელიგიის შემოტევას ქართველები ძალიან ეწინააღმდეგებოდნენ. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მშობლიური კუთხიდან – ლაზიკიდან – იყრებოდა და საქართველოს სხვადასხვა მხარეში სახლდებოდა.

ზაქარიას მამის – ივანეს – წინაპრები ქართლში დასახლდნენ. ივანემ ცოლად შეირთო კახელი ტახტისაზნაურის, გომელაურის, ქალი. მათი შვილი ზაქარია უკვე თბილისში დაიბადა. ზაქარიას მეუღლე სოფიო გვარად ბარნაბიშვილი იყო. ამ გვარს საინტერესო ისტორია აქვს. გენიოლოგიური შტო იმ ელიოზიდან იწყება, რომელმაც საქართველოში ქრისტეს კვართი ჩამოიტანა. მისი შთამომავლები გახდნენ ელიოზიშვილები, გედევანიშვილები და ბარნაბიშვილები. ელიოზიშვილები მცხეთაში დასახლდნენ, სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიაზე მღვდელთმსახურები გახდნენ; ბარნაბიშვილებმა რკონის ხეობა დაიკავეს და წმინდა მარიამის ეკლესიის მღვდელთმსახურებას მიჰყვეს ხელი. დროთა განმავლობაში სოფელი გაიზარდა. მთის პირობების სირთულის გამო მოსახლეობამ დატოვა მთა და ბარში, სოფელ მეტეხის ახლოს, გადმოვიდა. მათ შეინარჩუნეს თავიანთი წარმომავლობა და სოფელს ბარნაბიანთკარი უწოდეს. აქ დღესაც ცხოვრობენ

ბარნაბიშვილები, დღესაც აღნიშნავენ წმინდა მარიამის ხსენების დღეს – 28 აგვისტოს და სალოცავად რკონის წმინდა მარიამის ეკლესიაში დადიან. აი, სწორედ ამ სოფლიდან იყო მარიამის დედა, ლამაზი სოფიო, რომელიც ცოლად გაჰყვა თბილისელ ზაქარია შარაბიძეს.

პაპაჩენი ჭკვიანი, განათლებული და ალლოიანი კაცი იყო. მან კარგად იცოდა რუსული, ბერძნული და თურქული ენები. თავისი საქმიანობის გამო კავშირი ჰქონდა მრავალ ქვეყანასთან: ირანთან, თურქეთთან, რუსეთთან, საბერძნეთთან და იტალიასთან.

ოჯახი შეძლებული იყო და სტუმრიანი, პატრონი მრავალრიცხოვანი ნათესაობისა. ზაქარიამ არა თუ შვილებს, დისშვილებსაც კარგი განათლება მისცა. მარიამმა მე-7 გიმნაზია დაამთავრა, სწავლის გაგრძელებასაც აპირებდა, ნაადრევად რომ არ გარდაცვლილიყო. უმცროსი ძმებიც გიმნაზიაში სწავლობდნენ. (შემდგომში მისმა უფროსმა ძმამ, ივანემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩააბარა; უმცროსმა ძმამ, ლადომ, პარიზის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და ტელეინჟინერი გახდა, უკვე ასაკში მყოფი ნიუ-იორკის ერთ-ერთი კერძო ტელევიზიის მეპატრონე იყო). დედ-მამას ახარებდა განათლებული შვილების მომავალი და ყველანაირად ხელს უწყობდა, მაგრამ...

1917 წლის რევოლუციამ სხვა ბევრ რამესთან ერთად ეს ოჯახიც იმსხვერპლა. რუსეთის მონარქია დაემხო და ძალაუფლება ბოლშევიკების პარტიამ აიღო. საქართველო განთავისუფლდა რუსეთის თვითმპყრობელობისაგან, მაგრამ ჩვენთან მენშევიკური მთავრობა ჩამოყალიბდა ნოე ჟორდანიას მეთაურობით. საქართველომ ნანატრი თავისუფლება კი მიიღო, მაგრამ – ძალიან მცირე ხნით, რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა საქართველომდეც მოაღწია და წითელი მე-11 არმია მოადგა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ მობილიზაცია გამოაცხადა. თბილისის უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი სტუდენტებს

ბრძოლისაკენ, სამშობლოს დასაცავად მოუწოდებდა. მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, წითელი არმია, რომელსაც ქართველი ბოლშევიკი სერგო ორჯონიკიძე მეთაურობდა, საქართველოში შემოვიდა.

იყო პანიკური შიში. მარიამს დედა ახალი გარდაცვლილი ჰყავდა, ხოლო ოჯახის მამაკაცების უხმო განცდამ, ახალგაზრდა ქალი სრულ უიმედობაში ჩააგდო. არეულობა და ომი, რუსული არმიის ქვემეხების ხმა, რომელიც ქალაქშიც ისმოდა, მისი სათუთი გულისათვის აუტანელი აღმოჩნდა. სასონარკვეთილებაში ჩავარდნილს, უნუგეშოდ დარჩენილი მამისა და ძმების შემეყურეს, გულის შეტევა დაემართა სწორედ წითლების თბილისში შემოსვლის დღეს და სახლში მარტომყოფი გარდაიცვალა. ერთ წელიწადში დედა-შვილის თითქმის ერთდროულად დაკარგვა იყო საშინელი ტრაგედია ოჯახისათვის. მარიამის სიკვდილი არა მხოლოდ ასოცირდებოდა, არამედ პირდაპირ დაკავშირებული იყო „წითლებთან“, ამიტომ „წითელი მთავრობის“ სიყვარული თუ მონობა ამ ოჯახისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. შემდგომი თაობაც კი ყოველთვის გულისტკივილითა და სევდით ვიხსენებდით იმ ავადხსენებულ დღეებს, როცა „თბილისის თავზე წითელი დროშა აფრიალდა“¹⁵⁰.

ჩვენს ბავშვობაში, დედას ქუჩაში ხშირად ხვდებოდა ქალბატონი თამარ გეტაშვილი, რომელიც პედაგოგი იყო. დედაც ისტორიის მასწავლებელი გახლდათ, ამიტომ მათ ბევრი საერთო ჰქონდათ. თამარი ნაღვლიანი თვალებით ჩაგვაცქერდებოდა ხოლმე სახეში, სათუთად გადაგვისვამდა თავზე ხელს და ალერსით გვეუბნებოდა: „იცით, რა კარგი მამიდა გყავდათ!“ ის და მარიამი მონაფეობის მეგობრები ყოფილან.

ჩვენს ოჯახში ყოველთვის ეკიდა გიმნაზიის ფორმაში ჩაცმული მარიამის სურათი, ასევე დედასთან და თავის ძმებთან ერთად გადაღებული ფოტო. მამა საწერი მაგიდის უჯრაში

150 „თბილისის თავზე წითელი დროშა აფრიალდა, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“ – დღევანდელი აცნობა ლენინის სერგო ორჯონიკიძემ.

სათუთად ინახავდა მარიამის ალბომს მისადმი მიძღვნილი ლექსებითა და მოგონებებით. ჩანანერებში ყოველი წინადადება ინწყებოდა ასე: „ძვირასო მარი, საყვარელო მარი, სანატრელო მარი“. დღესაც ის ჩვენთვის „სანატრელი მარია“.

რომანტიკული რეალობა

(თამარ შარაბიძის მონათხრობი)

მინდა, ნაწილობრივ გადავუხვიო თემიდან და ერთი სევდანარევი ისტორია მოგითხროთ; ისტორია, რომელიც მე – მარიამ შარაბიძის ძმის, ივანეს, შთამომავალს – მარიამთან მაკავშირებს. ბუბიისგან – თამარ დარახველიძისგან – მერგო ერთი ძველებური საოჯახო სერვისის ნ დიდი თეფში. ანტიკვარულ ნივთებზე გადარეული არასდროს



ვყოფილვარ, მაგრამ ეს თეფშები საოცრად მომეწონა და შემეყვარდა კიდეც, რადგან ჩემი ოჯახის წევრების ნაქონი ნივთები იყო, თანაც ნატიფი და ლამაზი. თითოეულ მათგანზე დიდი ზამბახის იასამნისფერი ყვავილები ხატია. როგორც შემდგომ დავადგინე, რუსეთში კუზნეცოვის ქარხანაზე გაცილებით ადრე მუშაობდა და საუკეთესო ჭურჭელს ქმნიდა ფაიფურის სხვა ქარხანა, რომელშიც თითოეულ ნივთს ხელით ხატავდნენ. ასეთი დამუშავებით შექმნილ სერვისებს ფერწერული ერქვათ.

მარიამი ფიროსმანის 3 ნომერში ცხოვრობდა. მის ოჯახს დიდი სახლი ჰქონდა, პირველ სართულზე სავაჭროებითა და ღვინის სარდაფებით, მეორე სართულზე კი ნათელი ოთახებით, რამდენიმე სამზარეულოთი და სამრეცხაოთი (საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რასაკვირველია, ოჯახს

მხოლოდ ჯერ სამი, მერე კი ორი ოთახი და სამზარეულო დაუტოვეს, დანარჩენი ფართი, მათ შორის სამრეცხაო, პატარ-პატარა ოთახებად დაჰყვეს და მუშები შეასახლეს. სამრეცხაო და საპირფარეშო საერთოდ მოშალეს, ისე რომ, არც კი უფიქრიათ ამდენი შესახლებული ადამიანის ჰიგიენაზე). აივნები მაშინდელ მალაკნების ბაზარს გადაჰყურებდა. აქ ხშირად დადიოდა ფიროსმანი და ნახატიც კი დაუხატავს შარაბიძეებისთვის (შესაძლოა, სიყვარულით, შესაძლოა, ერთი ბოთლი ღვინის ფასადაც). მე ამ სახლში არ დავბადებულვარ. ჩემი მშობლები ვაჟა-ფშაველაზე ცხოვრობდნენ, მაგრამ ფიროსმანზე ხშირად მივდიოდით, ღამეც ვრჩებოდი, მიყვარდა ბებიასთან ყოფნა, ძველებური და უცნაური ნივთებით თამაში, თითოეულ მათგანს თავისი ისტორია ჰქონდა და მე ეს ისტორიები ვიცოდი. უკვე შემდგომ, ჩემს „დილობაში“, „ფიროსმანის ბინა“ გაყიდეს, როგორც უკვე მოძველებული და საცხოვრებლად მოუხერხებელი, მაგრამ ჩემთვის ის დღესაც ოჯახის ფუძესახლია.

ერთხელაც მესიზმრება, რომ მე, ასაკით პატარა და ფიზიკურადაც ნერტილად ქცეული, „ფიროსმანის აივანზე“ ვზივარ და თვალს ვადევნებ სამყაროს უცნაურობას – ცაზე მთვარის ბურთივით თამაშს. აღარ გავაგრძელებ... გამომეღვიძა. სიზმარმა ტკბილი მოგონებები აღმიძრა. იმავე დღეს, შემთხვევით მშრალი ხიდის მიდამოებში მოხვედრილმა (სტუდენტები იღია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გვყავდა ნაყვანილი მე და ჩემს კოლეგას – ნინო წერეთელს და ქალაქის აქეთა ნაწილში მოსახვედრად ფეხით გადმოგკვეთეთ ვორონცოვის ხიდი), დავინახე, იყიდება ჩვენი სერვისის ორი საშუალო ზომის თევზი. აქამდე ვიცოდი, რომ ასეთი სერვისი საქართველოში მხოლოდ ჩვენს ოჯახს ჰქონდა, რადგან საკმაოდ ძვირი სიამოვნების საგანი ყოფილა. რა თქმა უნდა, თევზები იმწუთას ვიყიდე და სერვისის ისტორია უფრო წვრილად დავადგინე მამიდაჩემისგან. თურმე ჩემს დიდ ბაბუას, მარიამის მამას, უყიდია სერვისი 120 კაცზე, 60 კაცზე – ვაჟიშვილისთვის, 60 კაცზე – ქალიშვილისთვის სამზითვოდ.

საქართველოს „განითლებისა“ და ოჯახური ტრაგედიის შემდგომ (ზაქარიას ცოლი და ქალიშვილი გარდაეცვალა) მამაჩემის პაპას აუღია თავისი ქონების დიდი ნაწილი, მათ შორის, ქალიშვილის მზითველი და გაუყიდა, „ნითლები მაინც არ შემარჩენენო“. დარჩენილი ჭურჭელი ბებიაჩემმა მოიხმარა, ხმარებაში კი უმრავლესობა დაემსხვრა და დარჩენილი – შვილიშვილებს გაუნაწილა. სწორედ მარიამის მზითველის 2 თევზი შემიძენია მე.

სიმართლე მგონია ის აზრი, რომ ნივთები ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს, მით უმეტეს, მათ ძველ და ახალ პატრონებს. მე მარიამზე დავინწყე ფიქრი. ის ჩემი ბებია ანუ პაპიდა ფიქრშიაც არ ყოფილა, 16 წლის გოგოდ დარჩა. მოვიძიე მარიამის სურათები, ველარ მივაგენი მის ალბომს; დავინწყე მისი ისტორიის მოყოლა სხვებთან. გავიდა დრო და მარიამმა კიდევ შემახსენა თავი. ერთ დღეს აღელვებულმა დამირეკა ჩემმა მეგობარმა – ნინო წერეთელმა: „თამუნა, შენი სერვისის „პოდნოსი“ ვიპოვე, რა თქმა უნდა, ახალი პატრონი ჩვენი ოჯახების ისტორიის მუდვიმი მოწმე „მშრალი ხილია“; გადავადებინე, არ გაყიდიან, გაიქეცი“. და მეც თავქუდმოგლეჯილი გავარდი, ყველაფერი გადავდე, ფულიც ვიპოვე და მარიამის ნივთი ისევ ოჯახში დავაბრუნე.

გავიდა დრო. მე კვლავ ფიროსმანის ქუჩა მესიზმრა, ის სახლი, სადაც მარიამი დაიბადა, ბებიაჩემი, ბაბუაჩემი, დანვრილებით, რა თქმა უნდა, არ დამამახსოვრდა სიზმარი, მაგრამ ფიქრები კი ამიშალა: „ხომ არ შევიტანო მარიამის ისტორია ჩემს წიგნში? მაგრამ მარიამი გმირი რომ არ ყოფილა?! მსხვერპლი ხომ იყო, „ნითელი ტერორის“, „ნითელი შიშის“ მსხვერპლი?! რა თქმა უნდა, იყო“. კვლავ მირეკავს ჩემი მეგობარი ნინო: „სარძევე ვნახე ახლობლის ოჯახში, „შენი ისტორია“ მოუწყვევი, ვაჩუქებთო, მითხრეს. მოდი, ჩვენ მაინც გავიაროთ ხიდზე, რაიმე შევარჩიოთ, საჩუქარი იმ ოჯახისათვის, და მერე უფრო თამამად წამოვიღებთ იქიდან შენთვის ძვირფას, ამჯერად, სარძევეს“. და ჩვენ ორნი, მარიამის მზითველის კვალში მოსიარულენი, მშრალ ხიდზე აღმოვჩნდით. ვარჩევდით

საჩუქარს იმ ქალბატონისთვის, რომელსაც მარიამის სერვისის სარძევე მეგობრებმა აჩუქეს. დავიღალეთ. ხიდი გადმოვიარეთ და ბოლო პუნქტად დავსახეთ კამოს ქუჩაზე მდებარე ერთი ანტიკვარიატის მაღაზია. შესვლისთანავე, შესასვლელი კარების პირდაპირ მდებარე დახლთან (ამ დროს ნინო გამყიდველ ქალბატონს გამოელაპარაკა) დავინახე მარიამის სერვისის საკმაოდ დიდი ნაწილი, შეიძლება ითქვას, ბირთვი: დიდი თეფშები, საშუალოები, პატარები, სასუპე, სათევზე ბლუდები... მე ხმა ჩამივარდა. მხოლოდ ხელით ვექაჩები ნინოს. ისიც ხმას არ იღებს. მერე მორიდებით ფასი ვიკითხეთ. საკმაოდ დიდი იყო. დადუმებულები სხვა დახლისკენ წავედით. „ის სერვისი რად გინდათ, აკლია, მე მთლიანი მაქვს, უფრო თანამედროვე, თანაც გერმანული“, – გვთავაზობს სხვა ქალბატონი. დაფიქრებულებმა და ფასის გამო შეწუხებულებმა დავტოვეთ მაღაზია.

მარიამის სერვისი მაინც შევიძინე. საკითხიც გადავწყვიტე – მარიამის ისტორია, ეს რომანტიკული რეალობა – წიგნში მოკრძალებული სახით, მაგრამ მაინც უნდა შევიდეს. და შევიდა კიდევც.

ფოტოარქივი



ხატი, რომელიც გადასახლებაში მუდამ თან ჰქონდა თამარ წულუკიძეს



გადაღებულია ციმბირში, გულაგში, ქ. ულან-უდეში, მარჯვნივ ანტონ ხუნდაძე, კაკიტონ (ნოე) ბერიშვილი, ქ-ნი წულუკიძე-გობრონიძისა



მეორე მხარე
 წარმოადგენს
 მისი მუშაობის
 ძირითად ნაწილს
 რომელიც უკვე
 მრავალი წელია
 უწყვეტად მიმდინარეობს
 და მისი მუშაობის
 შედეგად მივიღებთ
 მისი მუშაობის
 ძირითად ნაწილს
 რომელიც უკვე
 მრავალი წელია
 უწყვეტად მიმდინარეობს
 და მისი მუშაობის
 შედეგად მივიღებთ
 მისი მუშაობის
 ძირითად ნაწილს
 რომელიც უკვე
 მრავალი წელია
 უწყვეტად მიმდინარეობს
 და მისი მუშაობის
 შედეგად მივიღებთ



მისი მუშაობის
 ძირითად ნაწილს
 რომელიც უკვე
 მრავალი წელია
 უწყვეტად მიმდინარეობს
 და მისი მუშაობის
 შედეგად მივიღებთ
 მისი მუშაობის
 ძირითად ნაწილს
 რომელიც უკვე
 მრავალი წელია
 უწყვეტად მიმდინარეობს
 და მისი მუშაობის
 შედეგად მივიღებთ

თამარ წულუკიძის III გადასახლებიდან გამოგზავნილი ფოტოსურათი, რომლის უკანა მხარეზეც შვილთან მიწერილი ბარათია

ნათელა გობრონიძის ბიძაშვილთან გადაღებული ფოტოსურათი, რომელიც დედას გაუგზავნა გადასახლებაში



სახლი, სადაც ცხოვრობდა გადასახლებულთა ნაწილი. სოფ. კოლპაშოვო



პატიმრების მიერ ცოცხისგან გაკეთებული თოჯინა, ლიზიკო ქავთარაძის განუყრელი მეგობარი



ლიზიკო ქავთარაძე და კატია პრეობრაჟენსკაია



ლიზიკო ქავთარაძე
ახალგაზრდობაში



ლიზიკო ქავთარაძის ოთახი



ლიზიკო ქავთარაძის ოთახი




ლიზიკო ქავთარაძის ოთახი



ლიზიკო ქავთარაძის
სურათი ციხის
კარტოთეკაში

კავთარაძე ლიზიკო ქავთარაძე



ნარიმის მხარე, ქ. ტოგური, ქართველ გადასახლებულთა ჯგუფი



2 თვისა და 2 დღის თინათინ იმნაიშვილი.
1933 წ. 17 აგვისტო, სოფ. კოლაპაშოვო



თინათინ იმნაიშვილი
3 წლის



თინათინ იმნაიშვილი



გადასახლებაში დაბადებული
თინათინ იმნაიშვილი. 1933 წ.



ოლია მესხი ქალიშვილთან ერთად



კონდრატ ძიმისტარაშვილი ნიჩბით
ხელში, სოლომონ ინაკავიძე, ოლია მესხი,
სამსონ კვაჭანტირაძე. ნარიმის მხარე.
სოფ. გოროდიშჩევი. 05.05.1932 წ.



ოლია მესხი სოფ. კოლპაშოვოში



ნესტორ იმნაიშვილი და ოლია მესხი



ნოე ქებაძე და ნესტორ იმნაიშვილი



ნოე ქებაძე და მისი მეუღლე




თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. 1928 წ. მათ შორის ოლია მესხი და მაცვალა რატიანი




ნარიმის მხარე. გადასახლებულთა ჯგუფი




მარცხნიდან მარჯვნივ, I რიგი: კაპიტონ თევზაია, ვასო ჯაფარიძე
II რიგი: მიშა ჩიჩუა, ოლია მესხი, გიორგი მიქაძე, კოტე ბოკერია
III რიგი: გიორგი რევიშვილი, ბაგრატ ბაქრაძე, ალექსანდრე ბარამიძე



1921 წლის საქართველოს დროშა რომელიც თან ჰქონდათ მეტეხის ციხეში ქართველ პატიმრებს და მოახერხეს მისი ფარულად გამოტანაც



ალ. ჯავახიშვილის შედგენილი საქართველოს რუკა. მასზე აიდგა ფეხი გადასახლებაში დაბადებულმა თინათინ იმნაიშვილმა



ქართველი ინტელიგენცია – მეტეხის ციხის პატიმრები, 1921 წ. 2 დეკემბერი



ფიგურა რომლის საშუალებითაც მოახერხეს მეტეხის ციხიდან დროშისა და პატიმართა სიის გამოტანა

<p>შედეგად მივიღეთ უნდას და აქედან წარმო დის...</p> <p>საქმიანო პირობა</p> <p>და სხვადასხვა პირობები</p> <p>ამის ნაშრომები</p> <p>შედეგად მივიღეთ</p> <p>შედეგად მივიღეთ</p>	<p>შედეგად მივიღეთ</p>	<p>შედეგად მივიღეთ</p>	<p>შედეგად მივიღეთ</p>
<p>შედეგად მივიღეთ</p>	<p>შედეგად მივიღეთ</p>	<p>შედეგად მივიღეთ</p>	<p>შედეგად მივიღეთ</p>

ლევან გოთუას გადასახლებიდან გამოგზავნილი წერილი ოლია მესხისადმი

წერილი ოლია მესხისადმი, რომელიც ლევან გოთუას მიერ გამოგზავნილია. მისი თემატიკა ეხება მისი გადასახლების გამოგზავნის შემდეგ დადგენილ ვითარებას, მისი განცდები და მოლოდინები. მწერალი აღწერს თავის უკმაყოფილოდ განცდილ ვითარებას და მოუხმობს ოლიას დაეხმოს მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

წერილი დაიწყო შემდეგნაირად: "წერილი ოლია მესხისადმი, რომელიც ლევან გოთუას მიერ გამოგზავნილია..."

წერილის შინაარსი: "გთხოვთ, დაგაწეროთ რამე, რადგან მე ვარ ახლახანა და ჩემი მდგომარეობა არცაა საკმაოდ კარგი. მე ვარ ახლახანა და ჩემი მდგომარეობა არცაა საკმაოდ კარგი. მე ვარ ახლახანა და ჩემი მდგომარეობა არცაა საკმაოდ კარგი..."

წერილი დასრულდა შემდეგნაირად: "წერილი ოლია მესხისადმი, რომელიც ლევან გოთუას მიერ გამოგზავნილია..."

სესტორ იმნაიშვილის წერილი დედისადმი, შემომწებული და შესწორებული სუკ-ის მიერ